114
1937/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

11

სახელგამი
ტფილისი—1937

პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეთოთხმეტე

ГЕ-ЕГ

11

Тбилисский Филиал
Библиотека
имени ЦК ВКП (б)

2043

სახელგამი
ტფილისი 1937

7

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქცია:
ტფილისი, მაჩაბლის, 13
მწერალთა სასახლე
ტ. 3-71-84

კანტორა:
ტფილისი, კიროვის ქ. № 7
სახელგამი
პერიოდსექტორი

პ/მგ. რედაქტორი — ა. მაშაშვილი

პ/მგ. მდივანი — ლ. ასათიანი

მთავლიტი № 811. შეკვ. 1507 ტირ. 3500

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ეორესის ქ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ბ. სტალინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ბ. სტალინი

სიტყვა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს დიდ თეატრში

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა ჩვენს კანდიდატს ამხანაგ სტალინს.

ამხანაგ სტალინის გამოჩენას ტრიბუნაზე ამომრჩევლები ხვდებიან მქუხარე ოვაციით, რომელიც რამდენიმე წუთის განმავლობაში გრძელდება. დიდი თეატრის მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი მიესალმება ამხანაგ სტალინს. დარბაზიდან განუწყვეტლივ გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს, ვაშა!", „მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული საბჭოთა კონსტიტუციის შემოქმედს ამხანაგ სტალინს, ვაშა!", „გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა ბელადს, ამხანაგ სტალინს, ვაშა!".

სტალინი: ამხანაგებო, უნდა გამოვტყდე, მე არ მქონდა განზრახვა გამოვსულიყავი. მაგრამ ჩვენმა პატივცემულმა ნიკიტა სერგეის-ძემ შეიძლება ითქვას, ძალით მომიყვანა აქ, კრებაზე: გვითხარი კარგი სიტყვაო. რაზე ვთქვა, სახელდობრ რა სიტყვა? ყველაფერი, რისი თქმაც საჭირო იყო არჩევნების წინ, უკვე არის ნათქვამი და არაერთხელ ნათქვამი ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგების კალინინის, მოლოტოვის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, ეჟოვის და მრავალი სხვა პასუხისმგებელი ამხანაგის სიტყვებში. რა შეიძლება კიდევ დაემატოს ამ სიტყვებს?

ამბობენ, საჭიროა განმარტებანი საარჩევნო კამპანიის ზოგიერთ საკითხზეო, რა განმარტებანი, რა საკითხებზე? ყოველივე ის, რისი განმარტებაც საჭირო იყო, უკვე განმარტებული არის და არაერთხელ განმარტებული ბოლშევიკთა პარტიის, კომკავშირის, პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს, თავდაცვა-ავიაქიმის, ფიზკულტურის საქმეთა კომიტეტის ცნობილ მიმართვებში. რა შეიძლება კიდევ დაემატოს ამ განმარტებებს?

რასაკვირველია, შეიძლებოდა თქმულიყო ერთგვარი მსუბუქი სიტყვა ყველაფერზე და არაფერზე (**ნელი სიცილი**). შესაძლოა, რომ ასეთი სიტ-

ყვა გაართობდა საზოგადოებას. ამბობენ, რომ ასეთი სიტყვების ოსტატები მოიპოვებიან არა მარტო იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ ჩვენშიაც, საბჭოთა ქვეყანაში **(სიცილი, ტაში)**. მაგრამ ჯერ ერთი — [illegible] ასეთი სიტყვების ოსტატი. მეორე, განა ღირს გასართობ საქმეებს მივყოთ ხელი ახლა, როდესაც ჩვენ ყველას, ბოლშევიკებს, როგორც იტყვიან, „მუშაობა თავზე საყრელი გვაქვს". მე ვფიქრობ, რომ არა ღირს.

ცხადია, რომ ასეთ პირობებში კარგ სიტყვას ვერ იტყვი.

და მაინც რაკი მე ტრიბუნაზე გამოვედი, რასაკვირველია, მიხდება ასე თუ ისე ვთქვა ცოტა რამ მაინც **(მქუხარე ტაში)**.

უწინარეს ყოვლისა მე მინდოდა მადლობა გადამეხადა **(ტაში)** ამომრჩეველებისათვის იმ ნდობისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს **(ტაში)**.

მე დამასახელეს დეპუტატობის კანდიდატად და საბჭოთა დედაქალაქის სტალინის ოლქის საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გამატარა მე, როგორც დეპუტატობის კანდიდატი. ეს, ამხანაგებო, დიდი ნდობაა. ნება მიბოძეთ დიდი ბოლშევიკური მადლობა გადაგიხადოთ იმ ნდობისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ბოლშევიკთა პარტიისადმი, რომლის წევრიც მე ვარ, და პირადად ჩემდამი, როგორც ამ პარტიის წარმომადგენლისადმი **(მქუხარე ტაში)**.

მე ვიცი, რას ნიშნავს ნდობა. იგი, ცხადია, მაკისრებს ახალ, დამატებით მოვალეობებს და, მაშასადამე, ახალ, დამატებითს პასუხისმგებლობას. რა გაეწყობა, ჩვენ, ბოლშევიკებს, არ გვჩვევია უარი ვთქვათ პასუხისმგებლობაზე. მე მას ხალისით ვკისრულობ **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში)**.

ჩემი მხრით მე მინდა დაგარწმუნოთ თქვენ, ამხანაგებო, რომ თამამად შეგიძლიათ ენდოთ ამხანაგ სტალინს **(მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. შეძახილები დარბაზიდან: „ჩვენ კი ყველანი ამხანაგ სტალინთან ვართ!")**. შეგიძლიათ იქონიოთ იმის იმედი, რომ ამხანაგი სტალინი შესძლებს შეასრულოს თავისი მოვალეობა ხალხის წინაშე **(ტაში)**, მუშათა კლასის წინაშე **(ტაში)**, გლეხობის წინაშე **(ტაში)**, ინტელიგენციის წინაშე **(ტაში)**.

შემდეგ, მე მინდა, ამხანაგებო, მოგილოცოთ მომავალი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული, საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღე **(ძლიერი ტაში)**. მომავალი არჩევნები — ეს უბრალო არჩევნები როდია, ამხანაგებო. ეს მართლაც ჩვენი მუშების, ჩვენი გლეხების, ჩვენი ინტელიგენციის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია **(მქუხარე ტაში)**. ჯერ არასოდეს არ ყოფილა მსოფლიოში ასეთი ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები, არასოდეს! ისტორიამ არ იცის მეორე ასეთი მაგალითი **(ტაში)**. ლაპარაკია არა იმაზე, რომ ჩვენ გვექნება საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი არჩევნები, თუმცა უკვე ამას თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს. ლაპარაკია იმაზე, რომ საყოველთაო არჩევნები ჩვენში ჩატარდება როგორც ყველაზე

უფრო თავისუფალი არჩევნები და ყველაზე უფრო დემოკრატიული, მსოფლიოში ყოველივე სხვა ქვეყნის არჩევნებთან შედარებით.

საყოველთაო არჩევნები ტარდება და მათ ადგილი აქვს ზოგიერთ კაპიტალისტურ, ეგრეთწოდებულ, დემოკრატიულ ქვეყნებშიც. მაგრამ რა ვითარებაში ტარდება იქ არჩევნები? კლასობრივ შეტაკებათა ვითარებაში, კლასობრივი შუღლის ვითარებაში, კაპიტალისტების, მემამულეების, ბანკირებისა და კაპიტალიზმის სხვა ონავრების მხრით ამომრჩეველების მიმართ დაწოლის ვითარებაში. ასეთ არჩევნებს, ისინი რომ კიდეც საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი იყოს, არ შეიძლება ეწოდოს სავსებით თავისუფალი და სავსებით დემოკრატიული არჩევნები.

ჩვენთან, ჩვენს ქვეყანაში, პირიქით, არჩევნები ტარდება სულ სხვა ვითარებაში. ჩვენში არ არიან კაპიტალისტები, არ არიან მემამულეები, მაშასადამე, არც მქონებელი კლასების დაწოლა არის უქონლების მიმართ. ჩვენში არჩევნები ტარდება მუშების, გლეხების, ინტელიგენციის თანამშრომლობის ვითარებაში, მათ ურთიერთნდობის ვითარებაში. მე ვიტყოდი, ურთიერთმეგობრობის ვითარებაში, იმიტომ რომ ჩვენში არ არიან კაპიტალისტები, არ არიან მემამულეები, არ არის ექსპლოატაციონ და კაცმა რომ სთქვას, არავინ არის, ვისაც შეეძლოს დაწოლის მოხდენა ხალხზე მისი ნებისყოფის დასამახინჯებლად.

აი რატომ არის ჩვენი არჩევნები ერთადერთი ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული მთელს მსოფლიოში (ძლიერი ტაში).

ასეთი თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები შეიძლებოდა აღმოცენებულიყო მხოლოდ სოციალისტური წესწყობილების გამარჯვების ნიადაგზე, მხოლოდ იმის ბაზაზე, რომ ჩვენში სოციალიზმი არა მხოლოდ შენდება, არამედ უკვე დამკვიდრდა ყოფაცხოვრებაში, ხალხის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში. 10 წლის წინათ შეიძლებოდა დისკუსია იმაზე, შეიძლება თუ არა ჩვენში სოციალიზმის შენება. ახლა ეს აღარ არის სადისკუსიო საკითხი. ახლა ეს არის ფაქტების საკითხი, ცოცხალი ცხოვრების საკითხი, ყოფაცხოვრების საკითხი, რომლითაც გამსჭვალულია ხალხის მთელი ცხოვრება. ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობენ უკაპიტალისტებოდ. მუშაობას ხელმძღვანელობენ ხალხიდან გამოსული ადამიანები. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში ნამდვილ სოციალიზმს. ჩვენს მინდვრებში მიწის მუშაკები მუშაობენ უმემამულეებოდ, უკულაკებოდ. მუშაობას ხელმძღვანელობენ ხალხიდან გამოსული ადამიანები. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში სოციალიზმს ყოფაცხოვრებაში. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში თავისუფალ, სოციალისტურ ცხოვრებას.

აი ამ ბაზაზე აღმოცენდა სწორედ ჩვენში ახალი, ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები, არჩევნები, რომლის მაგალითი არ არის კაცობრიობის ისტორიაში.

როგორ არ უნდა მოგილოცოთ ამის შემდეგ საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღე, საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღე! **(მთელი დარბაზის მჭუხარე ოვაცია).**

შემდეგ, ამხანაგებო, მე მინდა მოგცეთ თქვენ რჩევა, დეპუტატობის კანდიდატის რჩევა თავისი ამომრჩევლებისადმი. თუ ავიღებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, იქ დეპუტატებსა და ამომრჩევლებს შორის არსებობს ერთგვარი თავისებური, მე ვიტყოდი, საკმაოდ უცნაური ურთიერთობა. სანამ არჩევნები მიმდინარეობს, დეპუტატები ელაციცებიან ამომრჩევლებს, ელაქუცებიან მათ, ეფიცებიან ერთგულებას, აძლევენ ათასგვარ დაპირებას. გამოდის, რომ დეპუტატები სავსებით დამოკიდებული არიან ამომრჩევლებზე. როგორც კი არჩევნები მოხდა და კანდიდატები დეპუტატებად გადაიქცნენ, — ურთიერთობა ძირფესვიანად იცვლება. ამომრჩევლებზე დეპუტატების დამოკიდებულების ნაცვლად გამოდის მათი სრული დამოუკიდებლობა. 4 თუ 5 წლის მანძილზე, ე. ი. ახალ არჩევნებამდე, დეპუტატი ისე გრძნობს თავს, რომ იგი არის სრულიად თავისუფალი, ხალხისაგან, თავისი ამომრჩევლებისაგან დამოუკიდებელი. მას შეუძლია გადავიდეს ერთი ბანაკიდან მეორეში, მას შეუძლია გადაუხვიოს სწორი გზიდან არასწორზე, მას შეუძლია გაებას ზოგიერთ არა მთლად საკადრისი ხასიათის მახინაციებშიც კი, მას შეუძლია ყირაზე გადავიდეს, როგორც მას ნებავს, — იგი დამოუკიდებელია.

შეიძლება თუ არა ნორმალურად ჩაითვალოს ასეთი ურთიერთობა? არავითარ შემთხვევაში, ამხანაგებო. ეს გარემოება გაითვალისწინა ჩვენმა კონსტიტუციამ და მან გაატარა კანონი, რომლის ძალით ამომრჩევლებს უფლება აქვთ ვადამდე გაიწვიონ უკან თავისი დეპუტატები, თუ ისინი იწყებენ მელაკუდაობას, თუ ისინი უხვევენ გზიდან, თუ მათ ავიწყდებათ, რომ დამოკიდებული არიან ხალხისაგან, ამომრჩევლებისაგან.

ეს შესანიშნავი კანონია, ამხანაგებო. დეპუტატმა უნდა იცოდეს, რომ იგი არის ხალხის მსახური, მის მიერ წარგზავნილი უზენაეს საბჭოში და იგი უნდა გაჰყვეს იმ ხაზს, რომელზედაც მას მიცემული აქვს განაწესი ხალხის მიერ. თუ გზას გადაუხვია, ამომრჩევლებს უფლება აქვთ მოითხოვონ ახალი არჩევნების დანიშვნა, და მათ უფლება აქვთ ის დეპუტატი, რომელმაც გზას გადაუხვია, ყორანივით გააშავონ **(სიცილი, ტაში).** ეს შესანიშნავი კანონია. ჩემი რჩევა, დეპუტატობის კანდიდატის რჩევაა ჩემი ამომრჩევლებისადმი, ახსოვდეთ ამომრჩეველთა ეს უფლება, — დეპუტატთა ვადამდე უკან გაწვევის უფლება, თვალყური ადევნონ თავის დეპუტატებს, კონტროლი გაუწიონ მათ და, თუ ისინი განიზრახავენ სწორი გზიდან გადახვევას, თავიდან მოიშორონ ისინი, მოითხოვონ ახალი არჩევნების დანიშვნა. მთავრობა ვალდებულია დანიშნოს ახალი არჩევნები. ჩემი რჩევაა — გახსოვდეთ ეს კანონი და გამოიყენოთ იგი საჭიროების შემთხვევაში.

დასასრულ, დეპუტატობის კანდიდატის კიდევ ერთი რჩევა თავის ამომრჩეველებისადმი. საერთოდ რა უნდა მოვთხოვოთ ჩვენს დეპუტატებს, თუ ყველა შესაძლო მოთხოვნიდან ავიღებთ ყველაზე ელემენტარულ მოთხოვნებს?

ბიბლიოთეკა

ამომრჩეველებმა, ხალხმა თავის დეპუტატებს უნდა მოსთხოვონ, რომ ისინი დარჩნენ თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე, რომ ისინი თავის მუშაობაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი დარჩნენ ლენინის ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეთა პოსტზე, რომ ისინი იყვნენ ისეთივე ნათელი და გამორკვეული მოღვაწეები, როგორც ლენინი **(ტაში)**, რომ ისინი იყვენ ისეთივე უშიშარნი ბრძოლაში და შეუბრალებელნი ხალხის მტრების მიმართ, როგორიც იყო ლენინი **(ტაში)**, რომ ისინი იყვნენ თავისუფალნი ყოველგვარი პანიკისაგან, პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როდესაც საქმე გართულებას იწყებს და ჰორიზონტზე ისახება რაიმე საფრთხე, რომ ისინი იყვნენ ისევე თავისუფალნი პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როგორც თავისუფალი იყო ლენინი **(ტაში)**, რომ ისინი იყვნენ ისევე ბრძენნი და აუჩქარებელნი რთული საკითხების გადაჭრის დროს, სადაც საჭიროა ყოველმხრივი ორიენტაცია და ყველა პლუსისა და მინუსის ყოველმხრივ გათვალისწინება, როგორიც იყო ლენინი **(ტაში)**, რომ ისინი იყვნენ ისევე მართალნი და პატიოსანნი, როგორიც იყო ლენინი **(ტაში)**, რომ მათ ისევე უყვარდეთ თავისი ხალხი, როგორც უყვარდა იგი ლენინს **(ტაში)**.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ ვთქვათ, რომ დეპუტატობის ყველა კანდიდატი სწორედ ამგვარი მოღვაწეა? მე ამას ვერ ვიტყოდი. ათასნაირი ადამიანია ამ ქვეყნად, ათასნაირი მოღვაწეა ამ ქვეყნად. არიან ადამიანები, რომლებზედაც ვერ იტყვი, ვინ არის იგი, კარგია თუ ცუდი, მამაცია თუ მხდალი, ბოლომდე ხალხის მხარეზეა თუ ხალხის მტრების მხარეზე. არიან ასეთი ადამიანები და არიან ასეთი მოღვაწეები. ისინი ჩვენშიაც არიან, ბოლშევიკებს შორის. თვითონ იცით, ამხანაგებო, რომ ყოველ ოჯახშია თითო მახინჯი **(სიცილი, ტაში)**. ასეთი გამოურკვეველი ტიპის ადამიანებზე, იმ ადამიანებზე, რომლებიც უფრო გვაგონებენ პოლიტიკურ ობივატელებს, ვიდრე პოლიტიკურ მოღვაწეებს, ასეთ გამოურკვეველ, ჩამოუყალიბებელ ტიპის ადამიანებზე საკმაოდ მოსწრებულად სთქვა დიდმა რუსმა მწერალმა გოგოლმა: „გამოურკვეველი ადამიანებიაო, არც ეს არიან, არც ისო, ვერ გაიგებ რა ხალხია, არც ბოგდანია ქალაქში და არც სელიფანი სოფელშიო“ **(სიცილი, ტაში)**. ასეთ გამოურკვეველ ადამიანებზე და მოღვაწეებზე აგრეთვე საკმაოდ მოსწრებულად ამბობს ჩვენი ხალხი: „არის რაღა, — არც წყალია და არც ღვინო“ **(საერთო სიცილი, ტაში)**, „არც ღვთისაა და არც ეშმაკისა“ **(საერთო სიცილი, ტაში)**.

მე არ შემიძლია სრული დარწმუნებით ვთქვა, რომ დეპუტატობის კანდიდატთა შორის (მე, რა თქმა უნდა, დიდ ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე)

და ჩვენს მოღვაწეებს შორის არ მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ყველაზე უფრო მოგვაგონებენ პოლიტიკურ ობივატელებს, რომლებიც თავისი ხასიათით, თავისი ფიზიონომიით მოგვაგონებენ ისეთი ტიპის ადამიანებს, რომლებზედაც ხალხი ამბობს: „არც ღვთისაა და არც ეშმაკისა“.

მე მინდა, ამხანაგებო, რომ თქვენ სისტემატიურად ახდენდეთ გავლენას თქვენს დეპუტატებზე, რათა მათ ჩააგონებდეთ, რომ მუდამ თვალწინ ედგეთ დიდი ლენინის დიადი სახე და ყველაფერში ჰბაძავდნენ ლენინს (ტაში).

ამომრჩეველთა ფუნქციები არჩევნებით არ თავდება, ეს ფუნქციები გრძელდება ამათუიმ მოწვევის უზენაესი საბჭოს არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე. მე უკვე ვილაპარაკე იმ კანონზე, რომელიც უფლებას ანიჭებს ამომრჩევლებს ვადამდე გაიწვიონ უკან თავისი დეპუტატები, თუ ისინი უხვევენ სწორი გზიდან. მაშასადამე, ამომრჩეველთა მოვალეობა და უფლება მდგომარეობს იმაში, რომ მათ მუდამ კონტროლქვეშ იყოლიონ დეპუტატები და რომ ისინი ჩააგონებდნენ მათ—არავითარ შემთხვევაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი — ამომრჩევლები ჩააგონებდნენ თავის დეპუტატებს — იყვნენ ისეთნი, როგორიც იყო დიდი ლენინი (ტაში).

ასეთია, ამხანაგებო, ჩემი მცირე რჩევა თქვენდამი, დეპუტატობის კანდიდატის რჩევა თავის ამომრჩევლებისადმი. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან და თვალს აპყრობენ მთავრობის ლოჟას, საიდანაც მიდის ამხანაგი სტალინი. გაისმის შეძახილები: „დიდ სტალინს, ვაშა!“, „ამხანაგ სტალინს, ვაშა!“, „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს, ვაშა!“, „გაუმარჯოს პირველ ლენინელს — კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს — ამხანაგ სტალინს! ვაშა!“).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. პ. ბერია

სიტყვა ქალაქ თბილისის საბჭოთა მშრომელი ინტელიგენციის საერთო-საქალაქო წინასაარჩევნო კრებაზე

1937 წლის 9 დეკემბერს

(დარბაზი ამხანაგ ბერიას მქუხარე ოვაციით ხვდება. ადგილებიდან გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!" „ვაშა დიდ სტალინს! „გაუმარჯოს ჩვენი კონსტიტუციის შემოქმედს ამხანაგ სტალინს!").

ამხანაგებო!

ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიაში ინტელიგენცია დიდ როლს თამაშობდა.

არ ყოფილა არცერთი გაბატონებული კლასი, რომელსაც თავისი საკუთარი ინტელიგენცია არა ჰყოლოდეს.

მარქსიზმმა გამოამჟღავნა და გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბურჟუაზიული იდეოლოგების ცდა განეხილათ ინტელიგენცია, როგორც განსაკუთრებული ზეკლასობრივი კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც ვითომდაც მოწოდებული არიან ემსახურონ მთელი ხალხის ინტერესებს, კლასების განურჩევლად.

ჩვენში ძველი რევოლუციამდელი ინტელიგენციის ძირითადი მასა ემსახურებოდა მემამულეებსა და კაპიტალისტებს, ერთგულად იცავდა თავის მეპატრონეთა ინტერესებს. ძველი ინტელიგენციის კადრების დიდი უმრავლესობა გაბატონებული კლასებისა და წოდებების წარმომადგენელთაგან შესდგებოდა.

ასეა ახლაც კაპიტალისტურ ქვეყნებში. საერთო კრიზისისა და კაპიტალიზმის ლპობის პირობებში ფაშისტებს არ შეუძლიანთ შეურიგდნენ არა მარტო მარქსიზმს, არამედ ბურჟუაზიული მეცნიერების იმ წარმომადგენლებსაც, რომლებიც თუნდაც ოდნავ იჩენენ მიდრეკილებას დაიცვან ბურჟუაზიული დემოკრატიზმის ტრადიციები. მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლები, რომელთა შორისაც

ბევრმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი, იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ ფაშისტური გერმანიიდან. ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი უმუშევრობა ჩვეულებრივი მოვლენაა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

სულ სხვა მდგომარეობაა ჩვენში, საბჭოთა კავშირში. ბოლშევიკური ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ განვლილ 20 წლის მანძილზე, — ამ მეტად მოკლე ისტორიულ ვადაში,—ძირფესვიანად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა და კულტურა. ძირითადად უკვე აგებულია სოციალისტური საზოგადოება. იარაღებისა და საწარმოო-საშუალებათა საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრება საბჭოთა საზოგადოების ურყევ და განუყოფელად გაბატონებულ საფუძველს წარმოადგენს.

ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარ რადიკალურ ცვლილებათა ბაზაზე ძირფესვიანად შეიცვალა ჩვენი საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურაც.

ჩვენში გაჩნდა სრულიად ახალი, საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც ყველა თავისი ფესვებით მტკიცედ არის დაკავშირებული მუშათა კლასსა და გლეხობასთან.

ჩვენს ქვეყანაში ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის შედეგად, რამაც გააძლიერა ხალხის უფართოესი მასების აქტივობა და შემოქმედებითი ენტუზიაზმი, ძველი ინტელიგენციის დიდი უმრავლესობის მსოფლმხედველობაში გადამწყვეტი გარდატეხა მოხდა და იგი პატიოსნად დადგა სოციალიზმის მხარეზე.

საბჭოთა ხელისუფლებამ შეჰქმნა მძლავრი ქსელი დაწყებითი და საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლებისა, რომლებშიც, სახელმწიფო სტიპენდიების სისტემის პირობებში, უფასო განათლებას იღებს მშრომელთა შვილების უდიდესი რაოდენობა.

ამჟამად, როგორც რიცხობრივად, ისე ხარისხობრივად განუზომელად გაზრდილი საბჭოთა ინტელიგენციის 80—90 პროცენტს მუშათა კლასიდან, გლეხობიდან და მშრომელთა სხვა ფენებიდან გამოსულნი შეადგენენ.

შეიცვალა ინტელიგენციის საქმიანობის თვით ხასიათიც. „წინათ მას უნდა ემსახურნა მდიდარი კლასებისათვის, ვინაიდან მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ახლა იგი უნდა ემსახუროს ხალხს, ვინაიდან უკვე აღარ არიან ექსპლოატატორული კლასები. და სწორედ ამიტომ იგი ახლა წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების თანასწორუფლებიან წევრს, სადაც იგი მუშებთან და გლეხებთან ერთად, მათთან ხელიხელ ჩაკიდებული. ეწევა ახალი უკლასო სოციალისტური საზოგადოების შენებას.

როგორც ხედავთ, ეს სავსებით ახალი, მშრომელი ინტელიგენციაა. რომლის მსგავსს დედამიწის ვერც ერთ ქვეყანაში ვერ იპოვით“ (სტალინი).

საბჭოთა ხელისუფლებამ შეჰქმნა ყველა პირობა ადამიანის პიროვნების თავისუფალი და ყოველმხრივი განვითარებისათვის. მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა წინაშე გადაშლილია შემოქმედებითი საქმიანობის უფართოესი ასპარეზი.

საბჭოთა ინტელიგენცია გარშემორტყმულია პარტიისა და მთავრობის ყურადღებითა და მზრუნველობით, მთელი ხალხის სიყვარულით.

ასეთია საქმის ვითარება ჩვენში.

როგორც ხედავთ, ჩვენი სამშობლოს ინტელიგენცია ხალხის, პარტიისა და მთავრობის მიერ აყვანილია ისეთ სიმაღლეზე, რომელზეც იგი წინათ, ბურჟუაზიული წყობილების დროს, არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

ძველ ქართველ ინტელიგენციას ახასიათებდა ყველა ის თვისება, რაც სჩვევია ბურჟუაზიულ-მემამულურ ინტელიგენციას და რაზედაც მე უკვე ვილაპარაკე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში ქართველი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი ძველ პოზიციებზე რჩებოდა. გულმოდგინედ ინარჩუნებდა რა ძველ მემამულურ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ტრადიციებს და იღებდა რა ორიენტაციას კაპიტალისტურ დასავლეთზე, იგი არა მარტო მიჰყვებოდა ანტისაბჭოთა პარტიებს — მენშევიკებს, ნაციონალ-დემოკრატებს, ფედერალისტებს და სხვებს, არამედ შეადგენდა ამ პარტიების ძირითად ხელმძღვანელ ბირთვს და აწარმოებდა აქტიურ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

ქართველი ხალხის საზიზღარი მოღალატეები ნ. ჟორდანია, ი. წერეთელი, ე. გეგეჭკორი, მ. წერეთელი, ა. ჩხენკელი, გრ. რობაქიძე და სხვ. ერთ დროს თავის თავს სთვლიდნენ ქართველი ინტელიგენციის რჩეულ ნაწილად, ქართველი ხალხის წარმომადგენლებად.

საქართველოს მშრომელთა მიერ გაძევებულნი, ისინი გაიქცნენ თავიანთ საზღვარგარეთელ პატრონებთან, აშკარად და ცინიკურად გახდნენ ფაშისტურ დაზვერვათა აგენტები და ლაქიები.

მიჰყიდდნენ რა ხოლმე თავს განურჩევლად ყველას, ოღონდ კი ფული ეძლიათ, ერთსა და იმავე დროს მსახურობდნენ რა უცხოეთის რამდენსამე დაზვერვაში, ეს საზიზღარი გამცემლები ერთი წუთითაც არ სტოვებდნენ თავიანთ შავ ზრახვებს საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ, ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

1924 წელს მათ შესძლეს ქართველი ინტელიგენციის ერთგვარი ნაწილისათვის, განადგურებული თავადაზნაურობისა, კულაკობისა და ოფიცრობის ნარჩენებთან ერთად, მონაწილეობა მიეღებინებინათ სისხლიან ავანტიურაში, რომელიც, როგორც ცნობილია, მის დამწყებთა სრული განადგურებით დასრულდა.

ქართველმა ხალხმა შეაჩვენა ისინი, როგორც ყველაზე მოსისხლე მტრები. ბაგრამ ხალხის საზიზღარმა მტრებმა არ შესწყვიტეს თავიანთი ძირგამომთხრელი მუშაობა, ცდილობენ რა თავისი აგენტურული ნაბეჭდებით თავიანთ ძოლალატურ ბადეში მოაქციონ ზოგიერთი ქართველი ინტელიგენციიდან, რომლის ძირითადი მასაც უკვე დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარზე.

ფაშისტური ოხრანკების აგენტები, მოღალატეები და გამცემლები აღმოჩნდნენ პროფესორები გ. ელიოვა, ჯანდიერი, ცქიტიშვილი, ა. წერეთელი, ლეონიძე ინჟინერი ჭიჭინაძე, რუსთაველის თეატრის ყოფილი დირექტორი ს. ახმეტელი, მწერლები მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ლიტფონდის ყოფ. დირექტორი დავით წერეთელი, ცნობილი მენშევიკი გაიძვერები ნ. ქარცივაძე, სეით დევდარიანი, გ. მახარაძე და სხვ.

ისინი ეწეოდნენ ძირგამომთხრელ დივერსიულ-მავნებლურ მუშაობას საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობაში, ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

ისინი, უკლებლივ ყველანი, ეწეოდნენ ჯაშუშობას, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი უცხოეთის დაზვერვებთან, აგროვებდნენ და მათი საშუალებით საზღვარგარეთ ჰგზავნიდნენ ჯაშუშური ხასიათის ცნობებს.

თავიანთ შავბნელ ძირგამომთხრელ მუშაობაში ისინი არ თაკილობდნენ არავითარ საშუალებას, არაფრის წინაშე არ ჩერდებოდნენ, ისინი ამზადებდნენ წყლის მოწამლვას ნატახტარის წყალსადენში, ამზადებდნენ ბაქტერიოლოგიურ დივერსიას, რომელიც ნაწილობრივ განახორციელეს სიღნაღის რაიონში, სადაც ბაქტერიების გამოყენების გზით შარშან მათ მოახერხეს გამოწვევა მასობრივი დაავადებისა მუცლის ტიფით, რამაც 50 კაცზე მეტი იმსხვერპლა.

მერე რით დასრულდა მთელი ეს დანაშაულებრივი მუშაობა ხალხის მოსისხლე მტრებისა, რომლებიც ადამიანთა საზოგადოების ნაძირალთა ფსკერზე მოექცნენ?

საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა ყველა ისინი შეიპყრეს, გაანადგურეს და მოსპეს **(ხანგრძლივი ტაში)**. მთელი ქართველი ხალხი ზიზღითა და კრულვით იხსენიებს მათ.

ასეთივე ბედი მოელის ყველას, ვინც გაბედავს მძლავრი საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წასვლას **(ხანგრძლივი ტაში)**.

თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მტრები კიდევ დარჩნენ, რათა განაგრძონ ფარული ძირგამომთხრელი მუშაობა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს და არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ დიდი სტალინის ბრძნული მითითებები, რომ იდრე არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, ჩვენში გამოგზავნიან ჯაშუშებს, დივერსანტებს, მავნებლებს, ჩვენსკენ საზღვარგარეთიდან გამო-

აწვდიან ბინძურ, სისხლიან ხელებს. ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე. საბჭოთა ინტელიგენციამ ჩვენ ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად უნდა იბრძოლოს პარტიისა და ხალხის ყველა მტრების წინააღმდეგ (ტაში).

ამხანაგებო! მე უკვე ვთქვი, რომ ხალხმა, პარტიამ და მთავრობამ საბჭოთა ინტელიგენცია არხახულ სიმაღლეზე აიყვანეს. ამის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ საბჭოთა საქართველოს ინტელიგენციის ბაგალითის მიხედვით.

თქვენ კარგად იცით, რომ რევოლუციამდე საქართველოში არ იყო არცერთი უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო დაწესებულება.

ქართველი მენშევიკების — ხალხის ინტერესების ამ საზიზღარი გამცემლების — ბატონობის პერიოდმა არა თუ არ შეუწყო ხელი საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას, ორამედ საბოლოოდ გაანადგურა ის მცირე მემკვიდრეობაც, რომელიც მეფის თვითმპყრობელობისაგან იყო მიღებული.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან საქართველოში, ბრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფ განვითარებასთან ერთად, იწყება ნაციონალური კულტურის აყვავება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში ერთი სამად გაიზარდა საშუალო და დაწყებითი სკოლების რაოდენობა, ხოლო მათში მოსწავლეთა რიცხვი გაიზარდა ერთიოთხად. მენშევიკების დროს გაიხსნა და ძლივსძლივობით ბოგინობდა თბილისის უნივერსიტეტი — საქართველოში ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც უმთავრესად მოსწავლეთაგან შემოსული ფულით არსებობდა, რამაც განსაზღვრა სტუდენტთა თავადაზნაურულ-მემამულური, ბურჟუაზიული შემადგენლობა.

ამჟამად კი საქართველოში არის სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის 19 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც სწავლობს 22 ათასზე მეტი სტუდენტი — მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის შვილები

ფართოდ გაიშალა აგრეთვე სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელი, მეცნიერების განვითარებაზე ჩვენში ყოველწლიურად ათეულ მილიონ მანეთობით იხარჯება.

თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა რამდენიმე ათეულს არ აღემატებოდა, ამჟამად საქართველოში გვყავს სამასზე მეტი პროფესორი, 700-მდე დოცენტი და ათასამდე სხვა მეცნიერი მუშაკი (ტაში).

ფართოდ არის ცნობილი ჩვენი მეცნიერების, პროფესორების **ივანე ჯავახიშვილის, ნიკოლოზ მუსხელიშვილის, ივანე ბერიტაშვილის, ალექსანდრე ჯანელიძის, ალექსანდრე თვალჭრელიძის, აკაკი შანიძის, გიორგი**

ახვლედიანის, სიმონ ჯანაშიას, არნოლდ ჩიქობავას, კონსტანტინე ერისთავის, ალექსანდრე მაჭავარიანის, გიორგი მუხაძის, ალადაშვილის და სხვათა სახელები (**მქუხარე ტაში**).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აყვავდა ქართული საბჭოთა ლიტერატურა, გაიზარდნენ საბჭოთა მწერლებისა და პოეტების კადრები. საქართველოს მშრომელებისათვის კარგად ცნობილია **შ. დადიანის, ს. ჩიქოვანის, ა. მაშაშვილის, გ. ლეონიძის, ი. მოსაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, დ. შენგელაიას, კ. ლორთქიფანიძის, ა. აბაშელის** და სხვათა სახელები (**ტაში**).

ქართველ ხალხს შეუძლია იამაყოს თავისი თეატრებით და აქტიორ-რეჟისორთა კადრებით, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გაიზარდნენ. არტისტების, რეჟისორებისა და კომპოზიტორების: **ა. ხორავას, ა. ვასაძის, ღამბაშიძის, თ. ჭავჭავაძის, წუწუნავას, ამირანაშვილის, სოხაძის, გამრეკელის, ქუმსიაშვილის, ანდღულაძის, არაყიშვილის, ფოცხვერაშვილის, ტუსკიას, კილაძის** და სხვ. სახელები დიდ პოპულარობით სარგებლობენ (**ტაში**).

გაიზარდნენ და ფართოდ ცნობილი გახდნენ ქართული კინემატოგრაფიის რეჟისორები და აქტიორები: **მ. ჭიაურელი, ს. დოლიძე, ნ. შენგელაია, ნ. ვაჩნაძე, გელოვანი, ჟორჟოლიანი** და სხვ. (**ტაში**).

გაიზარდნენ ქართველ მხატვართა და მოქანდაკეთა კადრები: **ვეფხვაძე, უჩა ჯაფარიძე, მ. თოიძე, ელენე ახვლედიანი, თამარ აბაკელია, კროტკოვი, გამრეკელი, სიდამონ-ერისთავი, ი. ნიკოლაძე, თავაძე, კაკაბაძე, მერაბიშვილი** და სხვ. მშრომელთათვის ცნობილი არიან თავიანთი მაღალხარისხოვანი მხატვრული ნაწარმოებებით (**ტაში**).

შეიძლებოდა კიდევ დაგვესახელებინა მრავალი ათეული და ასეული სხვა ახალგაზრდა მეცნიერები, ინჟინრები, გეოლოგები, ელექტრიკოსები, ჰიდროტექნიკოსები, არქიტექტორები, აგრონომები, ექიმები, მწერლები, არტისტები, მხატვრები, მოქანდაკეები, რომლებიც გაიზარდნენ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში და რომლებიც ეწევიან ხელმძღვანელ მუშაობას მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებში.

ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის პათოსი აღაფრთოვანებს ინტელიგენციის არა მარტო ახალგაზრდა კადრებს, არამედ მოხუცებსაც, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დროს გაახალგაზრდავდნენ და ახალი შემოქმედებითი ძალები მოიცეს (**ტაში**).

ნაციონალური კულტურის ასეთი აყვავება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, მხოლოდ ბრძნული ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად განხორციელების საფუძველზე.

ქართული კულტურის აყვავება სსრ კავშირის ყველა ხალხთა ნაციონალური კულტურების აყვავების ერთერთ მკაფიო მაგალითად წარმოადგენს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დიდი რუსი ხალხი სწავლობს და სიყვარულით უფრთხილდება წინათ ჩაგრულ ხალხთა კულტურულ სიმდიდრეებსა და მიღწევებს, ყოველ მხრივ დახმარებას უწევს ამ ხალხებს მათი ნაციონალური კულტურის განვითარებაში **(ტაში)**.

ქართული ოპერები იდგმება მოსკოვის, ლენინგრადის და სხვა ქალაქების თეატრებში, ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს სწავლობენ წითელი დედაქალაქის მშრომელები. ტრეტიაკოვის გალერეაში მოწყობილია ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა. მოსკოვში, ლენინგრადში და რუსეთის სხვა ქალაქებში დიდი აღფრთოვანებით ემზადებიან უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის გენიალური პოემის დაწერიდან 750 წლისთავის აღსანიშნავად **(მქუხარე ტაში)**.

ჩვენც ჩვენი მხრივ უფრო ღრმად უნდა შევისწავლოთ უმდიდრესი რუსული კულტურა და რუსული ენა **(ტაში)**. ეს კიდევ უფრო გაამდიდრებს ჩვენს ნაციონალურ კულტურას, გააფართოვებს მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა გონებრივ ჰორიზონტს.

ამხანაგებო! მხოლოდ სამი დღე გვაშორებს იმ ისტორიულ თარიღს, როდესაც საბჭოების ქვეყნის მრავალმილიონიანი ხალხი აირჩევს საბჭოთა სახელმწიფოს უზენაეს ორგანოს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე **(ტაში)**.

უდიდესი მიღწევებით, ურყევი შინაგანი მორალური და პოლიტიკური ერთიანობით ეგებება საბჭოთა ხალხი ამ ისტორიულ დღეს.

ჩვენს გამარჯვებებს უნდა ვუმადლოდეთ ბოლშევიკურ პარტიას, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** ბრძნულ ხელმძღვანელობას **(მქუხარე ოვაცია. დარბაზი დიდხანს უკრავს ტაშს. გაისმის შეძახილები ქართულ, რუსულ, სომხურ ენებზე: „გაუმარჯოს დიდ სტალინს, „ურა", ვაშა — ამხანაგ სტალინს!", მადლობა ამხანაგ სტალინს ბედნიერი სასიხარულო ცხოვრებისათვის!".**

ორკესტრი უკრავს „ინტერნაციონალს", ოვაცია ახლდება ახალი ძალით. ხელახლა გაისმის შეძახილები დიდი სტალინის პატივსაცემად).

პარტიისა და მთავრობის მიერ აღზრდილი, მთელი ხალხის სიყვარულითა და მზრუნველობით გარშემორტყმული საბჭოთა ინტელიგენცია სოციალისტური საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრია **(ტაში)**. საბჭოთა ინტელიგენციის ცოტა წარმომადგენლები როდია წამოყენებული პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად.

საბჭოთა ინტელიგენცია ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელებთან ერთად უდიდესი სიხარულით შეხვდა სრულიად-საკავშირო კომუნისტური

Тбилисский Филиал Библиотеки

პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ყველა ამომრჩევლისადმი — ისტორიულ დოკუმენტს, რომელშიც ალნიშნულია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი და ასახულია მთელი საბჭოთა ხალხის გრძნობები და განწყობილებანი.

ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თვითეულ მშრომელამდე დავიყვანოთ უდიდესი ისტორიული აზრი საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მიმართვისა ყველა ამომრჩევლისადმი. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულებაში საბჭოთა ინტელიგენციას საპატიო როლი ეკუთვნის.

მთელი საბჭოთა ინტელიგენცია, როგორც ერთი კაცი, განუხრელად განახორციელებს სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სტალინური ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას და ერთსულოვნად მისცემს ხმას სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს, რომლებიც წამოყენებული არიან პარტიის მიერ უპარტიოებთან ერთად **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს! **(მქუხარე ტაში. შეძახილები: „ვაშა", „ურა").**

გაუმარჯოს მძლავრ და უძლეველ საბჭოთა ხალხს! **(მქუხარე ტაში. შეძახილები: „ვაშა", გაუმარჯოს დიდ რუს ხალხს").**

გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

(მქუხარე ოვაცია, რომელიც დიდხანს არ ცხრება. მთელი დარბაზი აღტაცებით მიესალმება ხალხთა ბელადს დიდ სტალინს. გაისმის შეძახილები ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბეიჯანულ ენებზე: „გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრების შემომქმედს ამხანაგ სტალინს!" „ვაშა გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის შემომქმედს!" „გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!" „გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას!" „გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს ამხანაგ ბერიას!").

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მოწოდება

ყველა ამომრჩეველს, მუშებს, მუშა-ქალებს, გლეხებსა და გლეხ-ქალებს, წითელარმიას, საბჭოთა ინტელიგენციას

ამხანაგებო!

1937 წლის 12 დეკემბერს საბჭოთა კავშირის მშრომელნი ჩვენი სოციალისტური კონსტიტუციის საფუძველზე აირჩევენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატებს.

ბოლშევიკური პარტია არჩევნებში გამოდის **ბლოკში, კავშირში** უპარტიო მუშებთან, გლეხებთან, მოსამსახურეებთან, ინტელიგენციასთან. უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები, რეგისტრირებულნი საარჩევნო ოლქში, — როგორც კომუნისტები ისე უპარტიოები, — წამოყენებული არიან მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებების მიერ ქარხნებში, წითელარმიელთა კრებების მიერ ჯარის ნაწილებში, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა კრებების მიერ სოფლებში — კომუნისტებისა და უპარტიოების საარჩევნო კავშირის საფუძველზე. ამ კანდიდატურებს ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მშრომელთა მრავალრიცხოვანმა მიტინგებმა საარჩევნო ოლქებსა და უბნებში.

ბოლშევიკური პარტია კი არ ემიჯნება უპარტიოებს, არამედ, პირიქით მიდის არჩევნებზე ბლოკში, კავშირში უპარტიოებთან, მიდის ბლოკში მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიულ კავშირებთან, კომკავშირთან და უპარტიოთა სხვა ორგანიზაციებთან და საზოგადოებებთან.

მაშასადამე, დეპუტატობის კანდიდატები საერთონი იქნებიან როგორც კომუნისტებისათვის, ისე უპარტიოებისათვის, თვითეული უპარტიო დეპუტატი იქნება აგრეთვე დეპუტატი კომუნისტებისაგან, ისევე როგორც თვითეული კომუნისტი დეპუტატი იქნება უპარტიოებისაგან.

ბოლშევიკური პარტია მოუწოდებს ყველა კომუნისტსა და თანამგრძნობს ერთსულოვნად, როგორც ერთმა კაცმა, მისცეს ხმა როგორც უპარტიო, ისე პარტიულ კანდიდატებს.

ბოლშევიკური პარტია იმედოვნებს, რომ უპარტიო ამომრჩევლები ისევე ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტ-კანდიდატებს, როგორც უპარტიო კანდიდატებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვთ თუ არა ამომრჩევლებს საფუძველი მისცენ ხმა ბოლშევიკური პარტიის კანდიდატებს?

დამსახურებული აქვს თუ არა ბოლშევიკურ პარტიას ხალხის ის ნდობა, რომლის იმედიც მას აქვს მომავალ არჩევნებში?

რა იყო ჩვენი სამშობლო წინათ და რა გახდა იგი საბჭოთა ხელისუფლების წლების განმავლობაში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობისას?

რა იყო ჩვენი სამშობლო მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის დროს და რას მიაღწია მან მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დროს, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობისას?

საბჭოთა ხელისუფლების წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყნის სახე სულ მთლად შეიცვალა. ჩამორჩენილობისა და შუასაუკუნოებრივობის, სიბნელისა და უკულტურობის, მშრომელთა სიღატაკის, უუფლებობისა და ჩაგვრის ქვეყნიდან, როგორიც იყო ძველი რუსეთი, ჩვენი ქვეყანა მოწინავე, კულტურულ, მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაიქცა.

ამ წარმატებებს ჩვენმა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია.

ვინც მიისწრაფვის იქითკენ, რომ ჩვენი სამშობლო კვლავაც მძლავრი, კულტურული და თავისუფალი სოციალისტური სახელმწიფო იყოს, ის ხმას მისცემს ბოლშევიკურ პარტიას, ის ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ ლიკვიდირებულია მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა და ექსპლოატატორული კლასები, გაუქმებულია წარმოების იარაღთა და საშუალებათა კერძო საკუთრება და მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. დამკვიდრებულია წარმოების იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება, როგორც ჩვენი საბჭოთა საზოგადოების ურყევი საფუძველი.

ამ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას ჩვენმა ხალხმა მიაღწია ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

ვინც მიისწრაფვის იქითკენ, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელნი სამუდამოდ თავისუფალნი იყვნენ ექსპლოატაციის უღლისაგან, ის ხმას მისცემს ბოლშევიკების პარტიას, იგი ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

სოციალიზმის გამარჯვებამ საბჭოთა კავშირში უზრუნველჰყო მრეწველობის აყვავება. ორი ხუთწლედის განმავლობაში შექმნილია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი პირველხარისხოვანი მრეწველობა. ჩვენი სოციალისტური ფაბრიკებისა და ქარხნების წარმოების მოცულობა რვა-

ჯერ და უფრო მეტად აღემატება ომამდელი დროის მრეწველობის წარმოების მოცულობას.

ამ წარმატებებს ჩვენმა ხალხმა მიაღწია ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

ვინც მიისწრაფვის იქითკენ, რომ ჩვენი ინდუსტრია კვლავაც ვითარდებოდეს, წინ უსწრებდეს კაპიტალისტურ ქვეყნებს, ის ხმას მისცემს ბოლშევიკურ პარტიას, ის ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ნაცვლად ორ ათეულ მილიონზე მეტი წვრილი და უწვრილესი ერთპიროვნული გლეხური მეურნეობისა, რომლებსაც ახასიათებდა სუსტი ტექნიკა და მემამულისა და კულაკის ძალმომრეობა, გაიზარდნენ და განმტკიცდნენ მემამულეებისა და კულაკებისაგან თავისუფალი მსხვილი სოციალისტური მეურნეობანი — 243 ათასზე მეტი კოლმეურნეობა, რომელნიც უხვად არიან მომარაგებული ტრაქტორებით, კომბაინებით და სხვა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანებით. ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობა საბჭოთა მეურნეობებთან ერთად, თუ მხედველობაში მივიღებთ მის ყველა დარგს, ახლა ორჯერ უფრო მეტ პროდუქტს ამზადებს, ვიდრე ომამდელი დროის სოფლის მეურნეობა.

ამ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას ჩვენმა ხალხმა მიაღწია ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

ვინც მიისწრაფვის იქითკენ, რომ ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კვლავაც ჰყვაოდნენ, უხვად აძლევდნენ ჩვენს ქვეყანას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, ის ხმას მისცემს ბოლშევიკების პარტიას, ის ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

სოციალიზმის გამარჯვებამ საბჭოთა კავშირში უზრუნველჰყო მშრომელთა მდგომარეობის ძირეულად გაუმჯობესება. მეფის რუსეთში მუდამ იყო უმუშევართა უზარმაზარი მასა, ისევე როგორც ახლაც არის იგი თვითეულ კაპიტალისტურ სახელმწიფოში. მატერიალური არაუზრუნველყოფა, ხვალინდელი დღის რწმენის უქონლობა და სიღატაკე მუშათა კლასის მუდმივი ხვედრი იყო. საბჭოების ხელისუფლების დროს სამუდამოდ მოსპობილია უმუშევრობა. საბჭოთა მოქალაქის წინაშე, რომელსაც სურს იშრომოს, არასოდეს არ დადგება ხვალინდელი დღის რწმენის უქონლობის საკითხი. ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის კანონით უზრუნველყოფილია შრომის, დასვენების, მოხუცებულობაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლება.

ამ წარმატებებს ჩვენმა ხალხმა მიაღწია ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

ვინც მიისწრაფვის იქითკენ, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელნი ყველანაც თავისუფალნი იყვნენ ყოველგვარი უმუშევრობისა და ხვეულ-ეთის რწმენის უქონლობისაგან, ვისაც სურს მუშათა და მოსახლეობათა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება, ის ხმას მისცემს ბოლშევიკურ პარტიას, ის ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

რა იყო გლეხი მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლების დროს? იგი იყო ყველაზე ბედკრული, ყველაზე უუფლებო ადამიანი. რევოლუციამდელ სოფელში იყო 40 მილიონზე მეტი ღარიბი მოსახლეობა, ადამიანები, რომელთა ხვედრი შიმშილობა და სიღატაკე იყო. საბჭოთა წყობილებამ, რომელმაც მოახდინა მემამულეთა ლიკვიდაცია, რომელმაც მოსპო კულაკური კაბალა, რომელმაც გლეხებს გადასცა მემამულეთა და კულაკთა 150 მილიონზე მეტი ჰექტარი მიწა და უზრუნველჰყო საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება, — სამუდამოდ იხსნა გლეხობა სიღარიბისა და სიღატაკისაგან და უზრუნველჰყო მისთვის შეძლებული და კულტურული ცხოვრების შესაძლებლობა.

ეს მიღწევები ჩვენმა ხალხმა მოიპოვა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

ვინც მიისწრაფვის იქითკენ, რომ ჩვენი გლეხობა სამუდამოდ იყოს უზრუნველყოფილი სიღატაკისა და შიმშილის საფრთხისაგან, ვისაც უნდა სოფლის შეძლებული ცხოვრების შემდგომი აღმავლობა, ის ხმას მისცემს ბოლშევიკურ პარტიას, ის ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

მეფის რუსეთი ბნელი და უმეცარი იყო. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. საბჭოთა ქვეყანაში კი უკვე განხორციელებულია საყოველთაო-სავალდებულო სწავლება. ჩვენს სკოლებში სწავლობს 30 მილიონი ახალგაზრდა. განათლების უფლება ყველა მოქალაქისათვის მოპოებული და ჩაწერილია ჩვენს კონსტიტუციაში. წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის 90 პროცენტს აღემატება. მალე ჩვენს ქვეყანაში არ იქნება წერა-კითხვის არცერთი უცოდინარი მოქალაქე. მეცნიერება, ლიტერატურა, თეატრი და ხელოვნება ჩვენს ქვეყანაში ისე ვითარდება, როგორც არასოდეს. მეცნიერებისა და ხელოვნების მონაპოვარნი ყველა მოქალაქის კუთვნილებას შეადგენენ.

ამ წარმატებებს ჩვენმა ხალხმა მიაღწია ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

ვინც მიისწრაფვის განათლების შემდგომი ზრდისაკენ ჩვენს ქვეყანაში, ვისაც უნდა საბჭოთა კავშირის ხალხთა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი აყვავება, ის ხმას მისცემს ბოლშევიკურ პარტიას, ის ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

ქალი მეფის რუსეთში მონა იყო და მონად რჩება ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში. მხოლოდ სსრ კავშირშია იგი თავისუფალი და სრულუფლებიანი. როგორც ქალაქად, ისე სოფლად ქალი მამაკაცთან ერთად ხელჩაკიდებული მიდის სოციალიზმის მშენებლობაში და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია შექმნილი პირობები უზრუნველყოფილი და ბედნიერი დედობისათვის. საბჭოთა კანონები იცავენ დედის უფლებებს და ბავშვთა ჯანმრთელობას.

ამ წარმატებებს ჩვენმა ხალხმა მიაღწია ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

ვინც მიისწრაფვის იქითკენ, რომ ჩვენი საბჭოთა ქალი კვლავაც თავისუფალი და სრულუფლებიანი იყოს მეურნეობისა და მართვაგამგეობის ყველა დარგში, ის ხმას მისცემს ბოლშევიკურ პარტიას, ის ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

მეფის რუსეთი იყო ხალხთა საპყრობილე, ნაციონალური ჩაგვრისა და ხოცვა-ჟლეტის ქვეყანა, ისევე როგორც ყველა კაპიტალისტური ქვეყანა წარმოადგენს ნაციონალური ჩაგვრისა და კოლონიური დამონების ქვეყანას. წინათ ჩაგრულმა ხალხებმა მხოლოდ საბჭოთა კავშირში მიაღწიეს სრულ განთავისუფლებას ნაციონალური ჩაგვრისა და არათანასწორუფლებიანობისაგან. ამჟამად საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის ხალხები გაერთიანებული არიან ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ თანასწორობისა და ნებაყოფლობის საფუძველზე. საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მსოფლიოში ერთადერთ ქვეყანას, სადაც საბოლოოდ ლიკვიდირებულია ურთიერთუნდობლობა ხალხებს შორის და სადაც ხალხთა ურთიერთობა აგებულია ურთიერთნდობისა, ძმური კავშირისა და მეგობრული თანამშრომლობის საფუძველზე.

ამ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას ჩვენმა სამშობლომ მიაღწია ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

ვინც მიისწრაფვის იქითკენ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები კვლავაც თავისუფალი და თანასწორუფლებიანი იყვნენ, ვინც მიისწრაფვის სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისაკენ, ის ხმას მისცემს ბოლშევიკურ პარტიას, ის ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

ჩვენი სამშობლოს მიღწევები ახალი თავისუფალი ცხოვრების მშენებლობის დარგში ჭეშმარიტად უდიდესია. ისინი მოპოებულია სსრ კავშირის ხალხების მიერ შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლაში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. სსრ კავშირის ხალხთა მეგობრებს ახარებს ეს მიღწევები და ისინი მიესალმებიან მათ, მაგრამ საბჭოთა კავშირს ჰყავს არა მარტო მეგობრები, მას მტრებიც ჰყავს. ესენი არიან, ჯერ ერთი, ‘ქვეყნის შიგნით ლიკვიდირებულ ექსპლოატატორულ

კლასთა ნაშთები. მეორე, — ესენი არიან კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციულ-ფაშისტური ძალები. საბჭოთა კავშირის ფარგლებს იქით, თუ შინაური მტრები მცირერიცხოვანი და უძლურნი არიან, [illegible] მტრები, რომელნიც მათ მხარს უჭერენ, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. რათა უშიშარვყოთ ჩვენი სამშობლო ამ საფრთხისაგან, საჭიროა გვყავდეს ჯერ ერთი, კარგათ ორგანიზებული დამსჯელი ორგანოები, რომელთაც შესწევს უნარი გააუვნებლონ ჯაშუშები, მავნებლები, დივერსანტები და საბჭოთა ხალხის სხვა მტრები; მეორე, — საჭიროა გვყავდეს კარგათ ორგანიზებული და ტექნიკურად შეიარაღებული წითელი არმია, რომელსაც შესწევს უნარი დაიცვას საბჭოთა საზღვრები გარედან თავდასხმებისაგან, და, ბოლოს, საჭიროა გვქონდეს კარგათ მოფიქრებული და თანმიმდევრობით გატარებული მშვიდობიანობის პოლიტიკა, რომელსაც ძალუძს ამხილოს კაპიტალისტური ქვეყნების საომრად განწყობილი წრეების მტაცებლური პოლიტიკა. მთელი რიგი წლების მანძილზე საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო მიეღწია იმისთვის, რომ ჩვენს სამშობლოს ახლა თავის განკარგულებაში მოეპოება, როგორც შემოწმებული დამსჯელი ორგანოები და კარგათ შეიარაღებული წითელი არმია, ისე თანმიმდევრობით გატარებული მშვიდობიანობის პოლიტიკა საგარეო ურთიერთობის სფეროში. მხოლოდ ამ მიღწევების არსებობით აიხსნება ის ფაქტი, რომ საბჭოთა ხალხი უკვე 16 წელიწადია თავისუფალია საომარი შეტაკებებისაგან, სარგებლობს მშვიდობიანი ცხოვრების დოვლათით და აქვს შესაძლებლობა განაგრძოს თავისი მშვიდობიანი შრომა.

ეს წარმატებები ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის დარგში სსრ კავშირის ხალხთა მიერ მოპოვებულია ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

ვინც მიისწრაფვის იქითკენ, რომ სსრ კავშირის მშრომელნი კვლავაც სარგებლობდნენ მშვიდობიანი შრომის დოვლათით, ვისაც სურს ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ის ხმას მისცემს ბოლშევიკურ პარტიას, ის ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

ასეთია ჩვენი სამშობლოს მიღწევები რევოლუციის წლების განმავლობაში, მოპოებული ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

ასეთია ბოლშევიკური პარტიის ბრძოლის საქმეები და შედეგები. პარტიისა, რომლის სიტყვა არასოდეს არ შორდებოდა საქმეს და რომლის დაპირებანი არასოდეს არ ქცეულა ლიტონ სიტყვად.

აი რატომ არის, რომ ბოლშევიკური პარტია თავის თავს ნებას აძლევს იქონიოს იმედი ხალხის ნდობისა მომავალ არჩევნებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი რატომ არის, რომ ბოლშევიკურ პარტიას უფლება აქვს, იმედი იქონიოს, რომ ამომრჩევლები ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

ამხანაგო ამომრჩევლებო!

საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში გამოაშკარავდა ზოგიერთი კომუნისტისა და უპარტიოს მისწრაფება ხმა მისცენ აუცილებლად და მხოლოდ ლიდერებს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ საარჩევნო ოლქში არიან ისინი რეგისტრირებულნი. ამ ამხანაგებს, ცხადია, არ ესმით, რომ კანონით თვითეულ კანდიდატს შეუძლია კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში. ამ ამხანაგებს, ცხადია, არ ესმით, რომ ხმის მიცემა ამათუიმ კანდიდატისათვის, რომელსაც მხარს უჭერენ ბოლშევიკური პარტია და უპარტიონი, არის ხმის მიცემა არა მარტო ამ კანდიდატისათვის, არამედ უწინარეს ყოვლისა, — ხმის მიცემა იმ პოლიტიკისათვის, რომელსაც ატარებს ბოლშევიკური პარტია უპარტიოებთან ერთად და რომლის განხორციელებასაც კისრულობს ეს კანდიდატი. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ კანდიდატები იყვნენ მტკიცე და ხალხის საქმის ერთგული ადამიანები და რომ ამომრჩევლებმა ერთსულოვნად მისცენ ხმა ყველა კანდიდატს, ზოგიერთი მათგანი ამჟამად თავისი სიახალგაზრდავის გამო კიდეც, რომ არ იყოს საყოველთაოდ აღიარებული ხელმძღვანელი. საბჭოთა წყობილების თავისებურებანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი უზრუნველჰყოფს ადამიანების, მათი ნიჭის, მათი ტალანტის სწრაფ ზრდას, რომ ჯერ კიდევ გუშინ ნაკლებად ცნობილ ადამიანებს შეუძლიათ მოკლე ვადაში გახდნენ საყოველთაოდ ცნობილ მოღვაწეებად, რომელნიც საყოველთაო პატივისცემას იმსახურებენ.

სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა კომუნისტსა და თანამგრძნობს ხმა მისცენ უპარტიო კანდიდატებს ისეთივე ერთსულოვნობით, როგორითაც მათ ხმა უნდა მისცენ კომუნისტ კანდიდატებს.

სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა უპარტიო ამომრჩეველს ხმა მისცეს კომუნისტ კანდიდატებს ისეთივე ერთსულოვნობით, როგორითაც ისინი ხმას მისცემენ უპარტიო კანდიდატებს.

სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა ამომრჩეველს ყველა, როგორც ერთი კაცი, გამოცხადდეს 1937 წლის 12 დეკემბერს საარჩევნო ყუთებთან კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების ასარჩევად.

არ უნდა იყოს არც ერთი ამომრჩეველი, რომელიც არ გამოიყენებს თავის საპატიო უფლებას აირჩიოს დეპუტატები საბჭოთა სახელმწიფოს უზენაეს ორგანოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უნდა იყოს არცერთი აქტიური მოქალაქე, რომელსაც თავისი სამოქალაქო მოვალეობად არ მიაჩნდეს ხელი შეუწყოს უკლებლივ ყველა ამომრჩევლის მონაწილეობას უზენაესი საბჭოს არჩევნებში.

1937 წლის 12 დეკემბრის დღე უნდა გახდეს ლენინ-სტალინის ძლევამოსილი დროშის გარშემო სსრ კავშირის ყველა ხალხის მშრომელთა ერთიანობის დიად დღესასწაულის დღედ.

ყველანი არჩევნებზე!

გაუმარჯოს და განმტკიცდეს ჩვენი მძლავრი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა სოციალისტურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა კავშირს!

გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების კავშირს საბჭოთა სახელმწიფოს უზენაესი ორგანოს მომავალ არჩევნებში!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს სრულიად-საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისა)!

სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი.

1937 წ. 6 დეკემბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. მ. კიროვი

სახალხო ტრიბუნი

„როცა იხსენებ სერგეი მირონის-ძე კიროვის ბრძოლისა და მუშაობის წლებს, კვლავ თვალწინ გიდგება მისი დაუვიწყარი სახე მტკიცე, უდრეკი ბოლშევიკ-ლენინელის, შესანიშნავი ორგანიზატორის, მგზნებარე სახალხო ტრიბუნის, რომლის პიროვნებაში შეხამებული იყო გამჭრიახი პოლიტიკური ხელმძღვანელისა და ამავე დროს უდიდესი, ნამდვილი ბოლშევიკური სამეურნეო მუშაკის ნიჭი.

კიროვი სიცოცხლით სავსე იყო და მას უყვარდა სიცოცხლე, რომელიც წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის" (ლ. ბ ე რ ი ა). და მართლაც კიროვმა თავისი შესანიშნავი, ლამაზი სიცოცხლე ხალხთა მილიონების ბედნიერებისათვის ბრძოლაში გაატარა. ეს იყო კლასიკური სახე ბოლშევიკის, კრისტალივით წმინდა ადამიანის, რომელიც გამოსჭედა პროლეტარული რევოლუციის ისტორიამ.

ბოლშევიზმის გმირულ მატიანეში სამარადჟამოდ აღბეჭდილია ამ დიდბუნებოვანი ადამიანის უკვდავი სახელი. კიროვი იყო განხორციელება ბოლშევიკური პრინციპულობის, გამჭრიახობის, ორგანიზებულობის, მაღალი იდეური წრთობის და უღრმესი ერთგულებისა რევოლუციის საქმისადმი; რევოლუციის ეს ფხიზელი და უშიშარი რაინდი იბრძოდა სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, იბრძოდა კომუნიზმის გამარჯვებისათვის მთელ მსოფლიოში. იატაკქვეშეთის გმირულ ბრძოლებში ცარიზმის და კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის წინააღმდეგ, მძვინვარე სამოქალაქო ომის ფრონტებზე, აღდგენითი პერიოდის დაძაბულ წლებში და სტალინურ ხუთწლედების, სოციალიზმის ბრწყინვალე და საბოლოო გამარჯვების ეპოქაში ლ ე ნ ი ნ-ს ტ ა ლ ი ნ ი ს პარტიის სახელოვანი შვილი, ნაცადი სტალინელი სერგეი მირონის-ძე იდგა ყველგან მოწინავე პოზიციებზე.

განუზომელია კიროვის ღვაწლი და თავდადება. განსაცვიფრებელია და წარმტაცია მისი გმირული მუშაობა, ცხოვრება და ბრძოლა. მრავალრიან ჩრდილო კავკასიის ხალხების დარაზმვა ბოლშევიკური დროშის ქვეშ, მეთერთმეტე არმიის განმტკიცება, ასტრახანის და ვოლგის მიდამოების დაცვა, დენიკინის ბანდების განადგურება, აზერბეიჯანის ხალხის განთავისუფლება, ამიერ-კავკასიის ფედერაციის ჩამოყალიბება და ხალხთა ურყევი ლენინურ-სტალინური მეგობრობის განმტკიცება — რევოლუციის ისტორიის ეს ბრწყინვალე ფურცლები განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ კიროვის სახელთან. ხალხთა მასების საყვარელი ტრიბუნი, სერგეი კიროვი, ტროცკისტულ-ზინოვიევურ-ბუხარინულ ბანდების წინააღმდეგ მიმართული რისხვა და ამოწვდილი მახვილი იყო. პარტიამ კიროვს ჩააბარა ლენინგრადის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. ფოლადის ლენინელმა გამანადგურებელი იერიში მიიტანა

ტროცკისტულ-ზინოვიევურ გარეწრების ბანდაზე და ჩამოგლეჯა მათ ნიღაბი. ლენინგრადში კიროვი ამჭიდროებს პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკების კადრებს, შეუბრალებლად ამხელს და ანადგურებს ბუ-ბათა კლასის მოღალატეთა ბინძურ ხროვას. შესანიშნავი მებრძოლი და მშენებელი შემომქმედი და ორგანიზატორი სერგეი კიროვი მეთაურობს ლენინგრადის მრეწველობის სოციალისტურ გარდაქმნას. კიროვის დაუღალავმა მზრუნველობამ ლენინგრადი აქცია სოციალისტური ინდუსტრიის უძლიერეს ბაზათ. დაუცხრომლად, უდიდესი შემოქმედებითი დაძაბულობით და ბოლშევიკური გატაცებით ზრუნავდა სერგეი კიროვი ჩვენი სამშობლოს აყვავებისათვის. მასების ცოდნა, მასებთან ლაპარაკის, მასების მოთხოვნების და საჭიროებათა შეგრძნობის დიდი უნარი, ამ საჭიროებაზე სტალინური მზრუნველობა ყოველდღიურად და ყოველ საათში — ეს სერგეი კიროვის განუყრელი თვისებები იყო. მისი გული სძგერდა მშრომელი მილიონების გულთან ერთად. მასების ნამდვილი ტრიბუნი და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი სერგეი კიროვი მშრომელთა მილიონების სიყვარულით გარემოსილი იყო.

და აი სამი წლის წინ, პირველ დეკემბერს, მთელი ჩვენი სოციალისტური სამშობლო შეაძრწუნა სამწუხარო ამბავმა. ტროცკისტულ-ზინოვიევურ-ბუხარინული არამზადების ბინძური ხელით დაიღუპა რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი, სტალინური ფოლადით ნაჭედი ადამიანი, ლენინის ქალაქის საყვარელი მეთაური სერგეი კიროვი. სამგზის წყეულმა ბანდიტებმა, რომელთა ცხოვრება — ეს ბნელი, მუხანათური, ვერაგული გამცემლობის და შავი ღალატის ისტორიაა, რომელნიც დასაბამიდან უპრინციპო ბლოკებს ჰკრავდნენ სხვა ანტიპარტიულ ორგანიზაციებთან, კონტრრევოლუციურ ჯგუფებთან და შემდეგ თვალთმაქცურად ინანიებდნენ თავის გამცემლობას, რომელთა პროვოკაციის საშინელი სისტემა გადაიხლართა მსოფლიო კონტრრევოლუციის ყველაზე უფრო ცოფიანი ძაღლების — მიხაკისფერ კაცისმკვლელების — ბინძურ საქმეებთან და რომელნიც გადაიქცნენ უცხოეთის ფაშისტური დაზვერვების დაქირავებულ აგენტებად, ჯაშუშებათ, ტერორისტებად და დივერსანტებად — ამ ნაძირალებმა, ამ გარეწრებმა მოგვიკლეს ჩვენი კიროვი.

მტრის ვერაგულ გასროლას, რომელიც სამი წლის წინათ სმოლნში გაისმა — საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, პარტიულმა და უპარტიო ბოლშევიკებმა უპასუხეს რევოლუციური სიფხიზლის კიდევ უფრო ამაღლებით, კიდევ უფრო მეტი შემჭიდროებით პარტიის ცენტრალურ კომიტეტის და ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს გარშემო.

კიროვის სახელი და ხსოვნა მოგვიწოდებს ვიყვნეთ კიდევ უფრო ფხიზელნი, შეუბრალებლად ვამოვამჟღავნოთ და გავანადგუროთ საშგზის წყეული მტრის ნამსხვრევები და ნაბოლარები.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ. ნ. ლაღიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა დადიანი

ქართველმა ხალხმა თავის სხვა საუკეთესო შვილებთან ერთად საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა დამსახურებული დრამატურგი და მწერალი ამხანაგი შალვა ნიკოლოზის ძე დადიანი. ეს უდიდესი ნდობა საუკეთესო გამოხატულებაა იმ სიყვარულის, პატივისცემის და მადლობისა, რომელიც თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობით დაიმსახურა მწერალმა ჩვენი ხალხის წინაშე. ეს არის უდიდესი შეფასება, რომელიც მისცა საქართველოს მშრომელმა მასებმა შალვა დადიანის ნაღვაწს, მის განვლილ გზას, მთელ მის წარსულს ცხოვრებას, მუდამ შთაგონებულს და გასხივოსნებულს თავისი ხალხის, მშრომელი კლასის, სამშობლოს სიყვარულითა და ერთგულებით.

შალვა დადიანი დაიბადა 1874 წ. ქ. ზესტაფონში, ცნობილ საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანის ოჯახში. ნიკო დადიანი, შალვას მამა, თავის დროზე ცნობილი იყო, როგორც ლიტერატორი და მეცნიერული ინტერესებით გატაცებული ადამიანი. მის ოჯახში იკრიბებოდა საუკეთესო წარმომადგენლები მაშინდელი ქართული მწერლობისა. ეს ლიტერატურული და კულტურული ატმოსფერო, გამეფებული მამის ოჯახში, გარკვეულ გავლენას ახდენდა პატარა შალვას აღზრდასა და გონებრივ განვითარებაზე. ნიკო დადიანი კარგად იცნობდა იმ დროინდელ სკოლებში გაბატონებული სწავლების მახინჯ წესებსა და მეთოდებს. მეფის კოლონიზატორები იმ ხანებში ყოველნაირად ცდილობდნენ რუსიფიკატორული სული გაებატონებინათ ჩვენი ქვეყნის სასწავლებლებში, ისინი სდევნიდნენ ქართულ ენას და ქართული კულტურის ყოველგვარ გამოვლინებას იმ მიზნით, რომ ჩვენი ახალი თაობა გადაგვარებისა და ძალად გარუსების გზაზე დაეყენებინათ. ნიკო დადიანმა არ მოისურვა თავისი შვილის ასეთ სკოლაში გაწვრთნა. პატარა შალვა მამამ ოჯახში დასტოვა და თვითონვე იკისრა მისი აღზრდა-განათლება. ეს იყო თუმცა მეტად ორიგინალური, მაგრამ მაინც დამახასიათებელი ფორმა ქართველი ინტელიგენტის პროტესტისა მეფის რუსეთის დამპყრობელური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ოჯახში შალვამ შესძლო საკმარისი მომზადების მიღება, როგორც საერთო ცოდნის სფეროში, ისე ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. მამის სურვილს შეადგენდა, რომ შალვა მეცნიერი გამოსულიყო. ოცდაერთ 19 წლის შალვამ, გატაცებულმა თეატრალური ხელოვნებით, მეცნიერის კარიერას მსახიობობა არჩია და ქუთაისის სცენაზე შევიდა კოტე მესხის დრამატიულ დასში. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი გადავიდა ტფილისის სცენაზე და თავისი ნიჭიერი თამაშით ჩქარა დაიმსახურა ფართო საზოგადოების ყურადღება. ტფილისში ერთხანს იგი რეჟისორობდა ცნობილ ავჭალის აუდიტორიაში, რომელიც უმთავრესად მუშა-მაყურებლებს იზიდავდა თავის დარბაზში და ითვლებოდა ყველაზე დემოკრატიულ თეატრად საქართველოში. შ. დადიანი მარტო ტფილისით არ დაკმაყოფილდა. მან შეადგინა მოგზაური დრამატიული დასი, რომელმაც მოიარა მთელი საქართველოს დაბა-ქალაქები და მის ფარგლებს გარეთაც გავიდა. ყველგან ამ დასს, თავისი სოციალური ხასიათის პიესებით შეჰქონდა ხალხში პროგრესიული მოქალაქობრივი იდეები.

შ. დადიანმა ადრე მოჰკიდა ხელი სამწერლო კალამსაც. ჯერ კიდევ 1896 წ. გაზ. „ივერიაში" დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა „წმინდა ცრემლები". ამის შემდეგ 40 წლის განმავლობაში შ. დადიანს კალამი აღარ გაუგდია ხელიდან და მუდამ ერთგულად ემსახურებოდა როგორც ქართულ სცენას, ისე მწერლობას. განსაკუთრებით პოპულარული შეექნა შალვა დადიანი როგორც დრამატურგი და ბელეტრისტი. მას დაწერილი აქვს ასზე მეტი პროზაული ნაწარმოები (მინიატურები), სამი ათეული მოთხრობა, ორი რომანი, ოცდათორმეტი ორიგინალური პიესა, მასვე ეკუთვნის აგრეთვე მრავალი ნათარგმნი და გადმოკეთებული დრამატიული ნაწარმოები.

შალვა დადიანის შემოქმედებას თავიდანვე ახასიათებდა პროგრესიული იდეურობა, ხალხის ინტერესებისადმი სამსახური, მაღალი მოქალაქობრივი გრძნობები, სამშობლოს ერთგულება და სიყვარული.

ჯერ კიდევ რეაქციის წლებში დაწერილ პიესაში „რ ო ს ნ ა დ ი მ ო ბ დ ნ ე ნ" იგი შეეხო მწვავე სოციალურ პრობლემებს, ბრძოლას შრომასა და კაპიტალს შორის და გაბედულად გამოხატა თავისი სიმპატიები მშრომელი მასების მიმართ.

სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მძლავრი პროტესტის გრძნობით იყო გაჟღენთილი მისი მეორე პიესაც „გ ე გ ე ჭ კ ო რ ი". შალვა დადიანი არ შეუშინდა გაბატონებული წოდების რისხვას და მოგვცა მისი გადაგვარებული სახის მხატვრული ანარეკლი კომედიაში „გ უ შ ი ნ დ ე ლ ნ ი". ეს კომედია, როგორც თავისი იდეური შინაარსით, ისე მხატვრული ოსტატობით, საუკეთესო პიესად ითვლება ქართულ დრამატურგიულ მწერლობაში.

შ. დადიანის ნიჭიერ შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენენ აგრეთვე პიესები „მ ღ ვ ი მ ე შ ი“, „ვ ა რ ა მ ი“, „შ ე ნ ი ჭ ი რ ი მ ე“ და სხვა. განსაკუთრებით ინტენსიური შემოქმედების ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს შალვა დადიანის სამწერლო მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე. ამ პერიოდში მან მოგვცა მთელი რიგი ღირსშესანიშნავი პიესებისა, მათ შორის „ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი ს გ უ რ ი ა“ და „ჩ ა ტ ე ხ ი ლ ი ხ ი დ ი“. ეს ორი პიესა წარმოადგენს ეგ. ნინოშვილისა და ილია ჭავჭავაძის კლასიკურ ნაწარმოებთა გასცენიურებას და დრამატიულ-თეატრალურ სახეებში მხატვრულ პოპულარიზაციას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სულ უკანასკნელი ნაწარმოები შ. დადიანისა — „ნ ა პ ე რ წ კ ლ ი დ ა ნ“, სადაც ავტორმა გვიჩვენა ბოლშევიკური პარტიის ჩასახვის გმირული პერიოდი, ახალგაზრდა ი. ს ტ ა ლ ი ნ ი ს მუშაობა საქართველოში პირველი ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და მუშათა კლასის დარაზმვის საქმეში.

მეტად საგულისხმო ადგილი უჭირავს შალვა დადიანს აგრეთვე ქართულ ლიტერატურაში, როგორც ბელეტრისტს, ისტორიულ რომანების ავტორს.

შ. დადიანის კალამს ეკუთვნის რომანი „უბედური რუსი“, სადაც ასახულია უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტი ქართველი ხალხის ისტორიაში—თამარ მეფის ხანა, როდესაც ცხოვრობდა ქართული მხატვრული სიტყვის უდიდესი გენიოსი შოთა რუსთაველი.

შ. დადიანმა უდიდესი ოსტატობით შესძლო ქართული ფეოდალური წარსულის მხატვრული სურათის მოცემა. მან გვიჩვენა ქართველი მაღალი წოდების ყოფა-ცხოვრება, აღადგინა დამაჯერებელ ფერებში ისტორიული პიროვნებები, გარკვეული სოციალური გარემო და ის პოლიტიკურ-კულტურული ატმოსფერო, რომელიც ახასიათებდა იმ დროს საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. მართალია, „ამ რომანში ავტორმა ვერ მოგვცა ფართე ასახვა ხალხის ცხოვრებისა, მაგრამ სამაგიეროდ ის ვიწრო სოციალური გარემო, რომელიც თავის მხედველობის არეში მოაქცია მწერალმა, დახატულია მეტად ცოცხალი, მხატვრული ფერადებით, ისტორიული კოლორიტის დაცვით, რეალისტი შემოქმედის ალღოთი და ზომიერებით. ეს რომანი სამართლიანად ითვლება ჩვენი ისტორიული პროზის ერთ საუკეთესო ნიმუშად.

ხალხის მასების ფართო მოძრაობა, მშრომელთა ბრძოლა თავისი სოციალური უფლების აღდგენისათვის მებატონეთა და მჩაგვრელ ხელისუფლების წინააღმდეგ — ეს დიდი მხატვრული თემა უდევს საფუძვლად შ. დადიანის ახალ ისტორიულ რომანს „უ რ დ უ მ ს“. აქ დახატულია სამეგრელოს გლეხთა აჯანყება ცნობილ სახალხო გმირის — უ ტ უ მ ი ჭ ა ვ ა ს ხელმძღვანელობით. რომანი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული, მაგრამ ის დიდი ნაწილიც, რაც გამოქვეყნებულია ამჟამად, იძლე-

ვა ნათელ წარმოდგენას ავტორის მაღალ იდეურ-მხატვრული შემოქმედების შესახებ. ეს ნაწარმოები მეტად დამახასიათებელია შალვა დადიანის სამწერლო ბიოგრაფიისათვის. იგი ერთგვარ დაგვირგვინებას წარმოადგენს იმ საინტერესო შემოქმედებითი განვითარებისა, რომელიც განვლო მწერალმა და რომელიც ასე ინტენსიური, მრავალფეროვანი და შინაარსიანი გახდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში. შ. დადიანი საბჭოთა წყობილების მანძილზე აქტიურად იყო ჩაბმული სოციალისტურ მშენებლობაში, როგორც მწერალი, დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე; საბჭოთა მთავრობის, პარტიის, მთელი მშრომელი ხალხის მზრუნველობის პირობებში მან უფრო ფართოდ გაშალა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი და მიმართა იგი თავისი ხალხის, სამშობლოს ინტერესების სასარგებლოდ. ეს შრომა შალვა დადიანს ღირსეულად დაუფასა მისმა ქვეყანამ, საბჭოთა საქართველომ. იგი უდიდესი ნდობით აღჭურვა მშრომელმა ხალხმა და დაასახელა იგი უზენაეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. შალვა დადიანის წარსული შემოქმედებითი და პრაქტიკული მოღვაწეობა და უფრო მეტად დღევანდელი აქტიური მონაწილეობა სოციალისტური კულტურის ზრდა-განვითარების საქმეში საუკეთესო საწინდარია იმისა, რომ მწერალი — დეპუტატი თავის შემდგომი ინტენსიური მუშაობით ღირსეულად გაამართლებს ხალხის ნდობასა და სიყვარულს.

ლ. ა.

ალიო მაშაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰიმნი სამშობლოს

როგორ ვიმარჯვეთ! მზიან დროშებით
შევხვდით ცხოვრების ახალ განთიადს,
როგორ ავმაღლდით! წარსულისაკენ
რა შორი გზაა, რა დაღმართია,
ბორკილ აწყვეტილ შრომის გარეშე
მხოლოდ მონობა და ღალატია,
ამას უამბობს კაცობრიობას
განახლებული ქვეყნის ხარტია!

როგორ ვიმარჯვეთ! ეს გამარჯვება
ახლა მტრისთვისაც უკვე ცხადია,
ყველგან საგმირო და საამური
შრომის დიდება და ღაღადია,
ყოველ საქმეში ბრწყინავს იმედი,
ყველგან სტალინის სიბრძნე ჰხატია,
ამას უამბობს კაცობრიობას
გამარჯვებული ხალხის ხარტია!

თავისუფლებას უფრო სხივმოსილს
ვინ დაიჩემებს ქვეყნად, რომელი,
ქარხნის სალამურს უსმენს ქალაქი,
დამკვიდრებულა სოფლად მშრომელი,
ჩემო სამშობლოვ, შენ გიხაროდეს,
აზრთა გენიის რომ ხარ მშობელი,
ამიერიდან შენ გენიჭება
ხალხთა მადლობა დაუშრობელი!

დღეს საბჭოეთის დიად სამყაროს
ერთვის მრავალი ქვეყნის ერები,
სტალინის აზრით გაჩაღებულან
ცრემლით ჩამქრალი მათი კერები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მათ შორის შენც ხარ, ჩემო სამშობლოვ,
შენი მთებით და შენი სერებით,
შენი ბაღებით და ვენახებით,
შენი სიუხვით და სიმღერებით!

ბედნიერი ხარ: „ქართლის ბედისთვის"
დღეს აღარ ჰგოდებ, აღარ მუნჯდები,
ჰქუხარ სიცოცხლით, შენში მდინარის
ძარღვიც არ არის უხმო, უჩქეფი,
განათებულან ხილთა სინათლით
შენი ხეები, შენი ბუჩქები,
ბედნიერი ხარ... დილის მზესავით
მაღლა იზრდები და იფურჩქნები!

ბედნიერი ხარ შენი ერითვე...
და თუ ოდესმე მტერმა ინება —
სცადოს წამითაც რომ შეაჩეროს
შენი აღდგენა, აღორძინება,
სცადოს საბჭოთა ხალხებისაგან
შენი მოწყვეტა და მოცილება,
შენ გაიმარჯვებ ისევ გმირულად,
გაქვს საამისო გამოცდილება!

როგორ იქნება შედრკეს ქვეყანა,
პატარა, მაგრამ მარჯვე წელისა,
რომელმაც ჰშობა გმირი სტალინი,
დამამხობელი ქვეყნად ბნელისა,
როგორ დაჭკნება მთების შვენება
ან სურნელება მინდორ-ველისა,
როგორ იქნება, ჩაუქრობელი
ჩაქრეს ნათელი რუსთაველისა?

ჩემო სამშობლო, დღეს შენი ერი
განახლებული ქართლის ერია,
ასე ხმიერად და ბედნიერად
შენ არასოდეს არ გიმღერია,
ალისფერია შენი მიდამო,
ეგ შენი დროშაც ალისფერია,
შენი სიცოცხლე არის სტალინი,
შენი მარჯვენა არის ბერია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძე

ძველი გორი

აი ქალაქი შემოჭანდრული,
ვერხვის ფოთლებში გამოხვეული;
აჟღერებული, როგორც ფანდური,
ჰქრის ზენაქარი მთით დარხეული...

დაჩუჭურთმული აივანები,
ზედ ხეივნებად ვაზი გასული,
ზოგან კრამიტი, ზოგან ბანები,
ძველი კედლები გულდაგაზული...

აქ ოღროჩოღრო, იქ გაპირული,
შუაქუჩაზე შლამის ბექია,
წვიმა ყოფილა კოკისპირული,
ტალახის ტბორე დაულექია.

ქალაქს დასცქერის უზარმაზარი
ციხე ხერხემალ გადატეხილი;
ძირს დაფანტულა დუქან ბაზარი
წინ-გოდრის თევზი, თაბახზე — ხილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაც დატვირთულ ტივს მოუტანია
ყველას ასწონის დიდი ყანთარი;
იქ სადაც ვრცელი მოედანია,
ზურნით ჩაივლის გორის ამქარი.

ჭაპნის ჭრიალი, ეტლის ხმაური...
მემაწვნე ბიჭის ჩქარი ძახილი...
დღისით დგა ერთი აურზაური,
საღამოობით ბღავის ნახირი...

ირგვლივ მინდორი ღელავს ბარაქით,
მტკვარზე გაისმის წყნარი „ტიური";
შხუის ლიახვი და სთვლემს ქალაქი,
დიდი ვერხვებით გადაჩრდილული...

— — —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ჟუჩიშვილი

შოვი

I

ქალწულებრივი
        სპეტაკი სახით
ვის არ მოხიბლავს
        შვენება შოვის?
მის ტურფა ტაფობს,
        ერთი დანახვით,
ვადარებ ძვირფას
        ირანულ ქსოვილს.
არ ვიცი, საით
        გავსტყორცნო მზერა,
ან რა გავკოცნო
        პირველ ტრფიალით;
გულს აღტაცებულს
        მოსწყდა სიმღერა,
ჰანგთა ჩანჩქერად
        იწყო წკრიალი.
რა საუნჯეა,
        რა სილამაზე, —
ირგვლივ ყვავილთა
        ნოხები მოსჩანს;
ფერთა სიუხვე
        შნო და სინაზე
ჰგავს ქვემო-რაჭის
        ზღვა-ხილთა ხონჩას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიელვარეში შესტოქებიან:
შოდა,
ელითა და
მთა შაქრისთავა;
პირველობა კი
ბუბას რგებია,
ბუბა-კაშკაშა
არ იწვევს დავას.

2

ვნახე რიონი
აღქაფებული,
განრისხებული
ლომური წყრომით;
მაგრამ ჭანჭახი
ვეფხვი ქებული,
ზარავდა ზვირთთა
შმაგი ნახტომით.
მოლმუილებდა
ზათქით და ჯახით,
მოაგორებდა
გოლიათ ლოდებს;
წარღვნასა ჰგავდა
იმ დროს ჭანჭახი,
დაძრულ ნაძვებით
ვიხილე ოდეს.

3

პოეტო! თუ მთლად
არ დაგშრეტია
შემოქმედების
ნიჭი და ცეცხლი, —
აჰყევ ჭანჭახის
ზვირთების ზრიალს,
უმღერე ბუბას,
გვირგვინ-შეეერცხლილს.

კურორტი შოვ.
1937 წელი
გაზაფხული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იაკინთე ლისაშვილი

ძახილი მთაში

(დასასრული [1])

თავი მეცამეტე

შუამთაში უკვე დაღამდა. ხალხი გაიფანტა. ყველამ საკუთარ ბინას მიაშურა. ცოტა ხანს კიდევ ისმოდა ხმაური და მალე ისიც შესწყდა.

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა.

სატუსაღოს კარი გაიღო და ოთხი შეიარაღებული კაცი კარებთან შეჩერდა. მალე სატუსაღოდან ოთხი პატიმარი გამოიყვანეს და გზას გაუყენეს.

არავინ არაფერს ამბობდა. დუმილით მიდიოდნენ. მთვარიან ღამეში გარკვევით მოსჩანდა, როგორ გავიდნენ ისინი გზაზე. პატიმრები შეაჯგუფეს, ორგვლივ მცველები შემოერტყნენ და ისე წავიდნენ.

თავდახრილი ნოდარი ისე მიდიოდა, თითქოს ეს არის ახლა უბიძგესო. ყველაფერს თვალს არიდებდა, თითქოს ნაცნობი ხისაც კი სცხვენოდა, და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ შესცვალოს თავისი თავი, რომ ვერვინ იცნოს. უნდოდა მცირე მანძილი საპატიმროდან რკინისგზის სადგურამდე ჩქარა მოთავებულიყო. თავის სიცოცხლეში არასოდეს არ უგრძვნია ასეთი სირცხვილი, მით უფრო რომ ისეთ პატიმრებთან მიჰყავდათ იგი, რომელნიც ყოველთვის სძულდა. ...ამ სიძულვილის შესახებ საპატიმროში არაფერს ამბობდა, რადგან ამისთვის „დრო“ არა ჰქონია, ან ამაზე მათთან ლაპარაკი ზედმეტად მიაჩნდა, თუმცა უსიტყვოდაც კარგად იგრძნობოდა მათდამი სიძულვილი. და ეს „უცხო“ ადამიანი პატიმართ შორის ახლაც ირჩეოდა.

მთვარემ ვერცხლი ჩამოყარა ფიჭვნარის რტოებზე. მეტეორმა ჰაერი გაკაწრა. და უცბად, თითქოს წყნარი ღამე შეკრთაო, რამდენჯერმე თოფი გავარდა.

მოისმა კვნესა, სასოწარკვეთილი შეძახილი, გინება და ღრიანცელი.

ორი მცველი ძირს დაეცა, ორიც რკინის გზის ხიდს ამოეფარა და იქიდან ისროდა. პატიმრები გაიქცნენ, მაგრამ ნოდარი ადგილიდან არ იძროდა. მას ვერაფერი გაეგო, რა ხდებოდა.

---

[1]) იხ. „მნათობი“ №№ 8 — 9 და 10.

— ჩქარა, ჩქარა! — რას ელოდები? — მოესმა ნოდარს და თავის წინ ძლივს გაარჩია რევოლვერ-მომარჯვებული გიგო.

— ოჰ, შენ გიგო! — იყვირა ნოდარმა და კვლავ გაშეშდა.

— ხომ ხედავ, გაიქცნენ?! თავისუფლება არ გინდა? წამოდი, თორემ... ხომ ხედავ? — და რევოლვერი პირთან მიუტანა: — შენს სულს წუთი აჩერებს. თქვენი გულისთვის, ხედავ, რა ვქენით? გასწი, საქმე გვაქვს!

ნოდარს ყველაფერი ერთად წარმოუდგა: სიკვდილი, სირცხვილი და ვინ იცის, კიდევ რა...

„ჩემი სიკვდილი მათი წამალია. ყველაფერს გამოასწორებს. არა, არ ივარგებს. რა უნდა გამოვიდეს? იქ კი, ვინ იცის, იქნებ რამე ვიღონო“. ასე გაიფიქრა და წავიდა ჯერ ბარბაცით, შემდეგ უმატა ნაბიჯს, და მალე ტყეს შეუერთდნენ. წინ მიმავალ ნოდარს გიგო თვალს არ აშორებდა. „გაიქე!“ — ხშირად ეძახდა იგი და თან რევოლვერ-მიშვერილი მიმართულებას უკარნახებდა.

ტყეში სირბილით უკვე მეორე მთას გადავიდნენ. ცოტა შეჩერდნენ. ორი ყაჩაღიც შეიერთეს და წინ გასწიეს.

უკანიდან, ძალიან შორიდან სროლა და ხალხის ჩოჩქოლი ისმოდა. როცა რამდენიმე მთას გადავიდნენ, სირბილი შეანელეს და ერთ ვეებერთელა, მაღლიდან გადმოზნექილ კლდესთან შეჩერდნენ.

ეს იყო სადგომი, — კლდის ძირში, ტყით დაბურულ კარჩხალ ქვებს შორის. ყველამ იქ მოიყარა თავი.

ასტეხეს სიცილი, ხარხარი. უამბოდბნენ ერთმანეთს, ვინ რა ჩაიდინა, ჰყვიროდნენ ხმამაღლა და გამარჯვებას ზეიმობდნენ.

ნოდარი ხმას არ იღებდა. ვეებერთელა ქვაზე ჩამომჯდარიყო და მიწას ჩაჰყურებდა.

— გუშინ, — ამბობდა ერთი განთავისუფლებულ პატიმართა საყურადღებოდ, — თოფი რომ ვესროლე, მტკვარში გადავარდა. ძლივს დავეწიეთ. ტანისამოსი გავხადეთ შემდეგ კი... ჰა-ჰა-ჰა! — აუტყდა სიცილი და დანარჩენებმაც გადაიხარხარეს.

— მე... — დაიწყო მეორემ, — ჩასაფრებული ვარ, აი ასე! — და მან უჩვენა, როგორ იყო ჩასაფრებული. — გავარდა თოფი... ბაზრიდან მომავალი დედაბერი წაიქცა, მივვარდი, ფული ავაცალე და კლდიდან დავუშვი. ცარიელი კალათები ზურგში მისდევდნენ სიმღერა-სიმღერით...

კვლავ გაუთავებელი სიცილი ატყდა და როცა სიცილი მინელდა, წითური ოსი ზეზე წამოდგა, ქვაზე ჩამომჯდარ ნოდართან მივიდა და თვალი მიაშტერა.

— შენი ჭირიმე, შენი. ნოდარი ხარ მაშა! მუდამ მაშინებდი შენი...

და ხელი გაარტყა. ატყდა ჩოჩქოლი. გამწარებული ნოდარი ზეზე წამოიჭრა, წითურ ოსს ყელში წაეტანა და კლდეზე წააწვინა.

— მიშველეთ, ვაი! — იძახდა ოსი, რომელიც სულს ძლივს იბრუნებდა.

— რას შვრებით, ძაღლებო?! — დაიყვირა გიგომ, რომელიც ყველებში პირველი იყო და თავმომწონედ მეთაურობდა.

ჩოჩქოლი შესწყდა. მისცვივდნენ მოჩხუბართ და გააშველეს.

ოსი მაინც არ ისვენებდა, და გაიძახოდა:

— ჰა, შე კომსომოლო, შენა!

გიგო წინ წამოდგა და გაანჩხლებულ ოსს დაუყვირა.

— დაეგდე! შენ კი აქ მოდი, სიტყვა მაქვს! — მიმართა ნოდარს. — მიტო, შენც! — უბრძანა მიტოსაც და ორივენი თან გაიყოლა.

კარგა მანძილით განშორდნენ ბანაკს. ვებერთელა ქვაზე ჩამოსხდნენ.

— ჩვენ დაჩაგრული ხალხი ვართ, — მოჭარბებული სერიოზულობით დაიწყო გიგომ. — ქართლში რომ ამყარეს, მას შემდეგ სად არ დავდივარ, რას არ ვიგონებ. რამდენიმე კაცის სისხლი დავღვარე. მაგრამ ჩვენ საქმეს ეს არ შველის. ეს არის, გული გვაქვს და ბრაზი გვახრჩობს, დაგვაბნიეს. მეთაური არ მოსჩანს, ალბათ, იმიტომ, რომ გადარჩენის იმედი გაჰქრა. უიმედო საქმეს ხელს არ ჰკიდებენ. ზენაც გაგვიწყრა... ჩემი მეთაურობით ტყეს ვერ გავცდებით. ჩვენი ბელადები კი არსად მოსჩანან. გარდა ამისა, ყველა ჩვენგანს რაიმე პირადი საქმეც აწუხებს, აი, მაგალითად, ჩვენ, მე და შენ, და ნოდარს შეხედა. — მოვტყუვდით. ერთმა ქალმა ორი ღალატი ერთად ჩაიდინა. მისი მამა ფულსაც მიგზავნის, მოღალატე შვილსაც აგინებს, რომელმაც თავის მამასაც კი უღალატა და ჩემთვის მოცემული სიტყვა გაატეხინა, სხვას აედევნა. მამას არ სცოდნია, სად არის, სად გადიხვეწა. ყველაფერი მაცნობა. უფრო შენზე მთხოვდა პავლე: მოახერხე, რომ დაკითხვაზე არ გაგვცესო და თავის ანგელოზთან გააფრინეთო. მაგრამ ჩემი მიზანი სხვა იყო. წარმოსთქვა გიგომ და განცვიფრებულ ნოდარს თვალებში ღრმად ჩახედა. — იი გიგო შენ თუ გიყვარდა, მეც მპირდებოდნენ. წავიდა. ბრაზი მახრჩობს. ახლა ჩვენ ორივეს სიკვდილი გვიცდის. შენ მაინც იბნევი. არც კი მოგვდევდი. ახლა შენ სიმართლეს ჩემი უსამართლობა სჯობია. ძველ ადგილს მაინც ვერ მიაღწევ. სისულელეა! სიკვდილთან დაბრუნება გამოვა. წინ მაინც კიდევ რამეა. აი, მაგალითად, მოღალატის მოძებნა. ჩვენ აქ ძმები ვართ. მე ამას შენთვის ვამბობ... ვიცი, გიყვარდა. შენ რუსული სიტყვებიც იცი. ერთსაც თან წავიყვანთ. აქ კი ჩემს მაგიერ შენ დარჩები, მიტო, — და ახლა ის მიტოს მიაჩერდა, — ჩემს მაგიერ. უნდა ელოდოთ. ვნახოთ, რა გამოვა.

— გამიშვით! თავი დამანებეთ! — მოულოდნელად დაიყვირა ნოდარმა და მუშტი ქვას დაარტყა. ძაღლებო, მომეშვით!

— რას ცხარობ, შენ ეი!.. — თითქოს არაფერი მომხდარაო, იმავე ტონით განაგრძო გიგომ, — აქედან ცოცხალი ვერ წახვალ. ეს კარგად იცოდე. იარაღს ჯერ მაინც არ მოგცემთ... შენ თუ არა გსურს, მე წავალ

შურის საძიებლად. მაგრამ შენ აქ მკვდარი დარჩები... გახსოვდეს. შენთვის კეთილი მინდოდა. არ გინდა? ჩემი ბრალი აღარ ვარ! კეთილი მინდოდა, იმიტომ რომ ამხანაგი იყავი: ჩვენთან თავდასხმაზე მოსულხარ და ჩავარდნილხარ...

— ეგ შენ იყავი? შენ იყავი? — უეცრად დაიყვირა ნოდარმა.

— მე ვიყავი, არ იცოდი? მაშ ახლა გაიგე. ახვეული გვქონდა სახეები. ახლოს რომ მოსულიყავ, მაინც ვერ გვიცნობდი.

რატომ მივიდა ნოდარი იმ ღამეს? ნუთუ გიგოს ჰგონია, რომ სურდა მათთვის დახმარება გაეწია?

ნოდარმა იცოდა, რომ ამის გამხელა საჭირო არ იყო. „მტრების ხელში ვარ“ — გაიფიქრა და თავი შეიკავა.

მაგრამ ეს საძაგელი სწორედ იმ მტკივან ადგილს ეხება, სწორედ იმ სათუთ კარს უკაკუნებს, რომლის შიგნითაც ნოდარის ტკივილია მოთავსებული.

„როგორ შემიძლია? სიმართლის თქმა მაინც მომესწრო! აქ კი სიცოცხლე უნდა მომისპონ. ოჰ, თუ ხელში ჩავიგდე!“

და ამ დილემის წინაშე დამდგარი, ბრაზით ენთებოდა, ძალას ჰკარგავდა.

თითქოს განგებ მოეწყო ისე, რომ მის საქმეს აღარ ეშველოს, ვინ იცის, წინააღმდეგობის რამდენი ისარი ხვდებოდა მის გონებას: კომკავშირელი, მტრებთან „მეგობრობა“, მკვლელობა.

საით წავიდა და სად მივიდა.

ფიქრობდა თუ არა ნოდარი ოდესმე ასეთ ბნელ გზაზე? საიდან დაიწყო ეს ჯოჯოხეთი? სიყვარულში იწყება ის. „არა, ჩემს სიბეცესა და სისულელეში დაიწყო ის, — გაიფიქრა და ბოლოს გადასწყვიტა: — ასე სჯობია. იარაღს მაინც არ მანდობენ. შურისძიება! მაგრამ ამისთვის ხომ სიცოცხლეა საჭირო. წავალ, წავალ...“

— კარგი, მე მზად ვარ, — რაღაც გამწარებული ტონით მიუგო ნოდარმა, — თქვენთან ვარ. ამხანაგი ვარ. იარაღი მომეცით მხოლოდ.

— იარაღი? არა... ვნახოთ. წავიდეთ, დაიმსახურებ და იქნებ მოგცეთ.

ნოდარს ბრაზი ახრჩობდა, მაგრამ ხმას არ იღებდა, რადგან დარწმუნდა, რომ ხელცარიელი ძალადობას აზრი არა აქვს.

უკვე თენდებოდა...

მზე ვაჟკაცურად ამოდიოდა და მკერდზე ღრუბლებ-დაყრილი ქედებთან ამოჰქონდა.

რა დიდი მოვლენების წინაშე იღვიძებდა ქვეყანა! მზე, ვით საარაკო მებრძოლი, აურაცხელ ჯარში შეჭრილი, სხივთა ისრებით არღვევდა სქელ ღრუბლებს და გამარჯვების შუქს აახლოებდა.

ბანაკში ყველას ეძინა. ადამიანები კუნძებივით ეყარნენ ქვებზე. ნოდარი ქვას მისწოლოდა და სანთელივით ყვითელ სახეზე თვალი დაეხუჭა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩნდა გიგო, რომელიც იმ ღამეს სადღაც წასულიყო. მაღალ ქვაზე ასულ დარაჯს მიუახლოვდა და მკვახედ უთხრა:

— ჰეი, დაითვალე?

— აქ არიან სრულად, რვა კაცი.

— შენ ხომ ჭურდი ხარ, მოიპარავდი! — და ჩაიცინა.

— ამან რამდენჯერმე სცადა გაქცევა, ხელები გაუკარით, — ნოდარის შესახებ უთხრა დარაჯმა.

— ვინ მოგცათ ნება? განა მე აგრე გიბრძანეთ? გაუხსენით ახლავე ხელები!.. ჯერ წადი და მიტო მოიყვანე! — გასცა ბრძანება.

ორ წუთში მიტოც მოვიდა.

— ხომ იცი, — მიმართა გიგომ: — ეგ კომსომოლი საეჭვო ვინმეა. ტლინკებს ისვრის. იი გოგო რომ არის, პავლეს გოგო, ეთერი, ეგ ჭია უყვარდა. და აი მე მინდა, რომ ამის სახელით იი გოგო ხელში ჩავიგდო. იმ წყეულს ჩემი სიყვარული არა აქვს და ახლა, ვინ იცის, იქნებ ე მაგ ჭიას გამოჰყვეს. შემდეგ კი მე ვიცი... ხომ გესმის? შენ სიდო, თან გამომყევ, მიტო კი აქ დარჩება. მოიცდის და ხმას გაავრცელებს, რომ ნოდარის მეთაურობით მოხდა კაცის კვლა და ხოცვა-ჟლეტაო... ჯავრი მკლავს, გოგო ხელში მინდა ჩავიგდო. მოვტყუვდი, მაგრამ გულს ხომ მაინც მოვიფხან, იქნებ ქალაქში ვიპოვო სადმე. მიტო, შენ გენდობი. ციხიდანაც დაგიხსენ. ჩვენ ფეხით ვიმგზავრებთ ქალაქამდის, მატარებელი არ შეიძლება... ახლა შენ იცი.

იგი განშორდა. სიდო და ნოდარი თან გაიყოლა, ხოლო მარტო დარჩენილი მიტო ქვაზე ჩამოჯდა და უნაპირო ტყეს დააჩერდა, და ამ უმდიდრესი ბუნების წინაშე თავისი ღატაკი და მოკლე სულით ახლა გაიგო პირველად, თუ ამ ქვეყანაზე რატომ არსებობს სიტყვა „სილამაზე", თუმცა ამ შეგნებამ მხოლოდ წუთით გაირბინა მის გონებაში. მალე განშორდა და მისი ადგილი დაიჭირა ფიქრმა იმაზე, თუ რა აკეთოს, რომელი გზით გაძვრეს ამ ტყიდან, საით წავიდეს, ვის რა წაგლიჯოს და როგორ მიიმალოს. ახლა ამ უდიადეს ბუნებას მისი ვერაგული მიზნებისათვის მხოლოდ საფარის მნიშვნელობა ჰქონდა.

ბანაკში უკვე ყველას ეღვიძა.

ამ დროს გიგო და სიდო, რომელთაც შუაში ნოდარი ჩაეყენებიათ, პირველ მთაზე გადადიოდნენ, მიდიოდნენ ფეხ-შეწყობილნი, თავდახრილნი, თითქოს მათი აზრი და მისწრაფება ერთად არისო, მაგრამ სინამდვილეში მაინც სხვა იყო. ახლა ამ საიდუმლო მოგზაურობას ხედავდა მხოლოდ გვირგვინის მთაზე ასული მზე, რომლის ძლიერებამ გარეკა ღრუბელთა დიდი ჯარი, მაგრამ ამ უმნიშვნელო გიგოს წინაშე გასაოცარ გულგრილობას იჩენდა და წინააღმდეგობის გაწევის მაგიერ გზას უნათებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ღამეს, როცა პატიმრები ტყეში გაიქცნენ, სოფელს არ დაუძინია. მახლობელ ტყეებსა და გზებზე გათენებამდის ისმოდა ხმაურობა და შეძახილი.

იქ, სადაც ადამიანის სისხლი დაღვარა, აუარებელი ხალხი შეგროვილიყო, უმთავრესად კი ქალები, ბავშვები და მოხუცები, ორი დაჭრილი უკვე წაეყვანათ, მაგრამ დაღვრილ სისხლს მაინც არ ეშვებოდნენ და ჭრაქებით ანათებდნენ, თითქოს ამით შეეძლოთ გაგება, ვინ ჩაიდინა ეს ვერაგობა.

— აი აქ, ხომ ხედავ?

— ვხედავ...

— ოჰ, როგორ გაველურდა ის ძაღლი.

— იმან მოაწყო...

— კი მაგრამ...

— კმარა ბოდიში!

— დედის უბეში გველის წიწილი გამოიზარდა.

— აი, სადამდე მივიდა დედაკაცზე დამოკიდებულება.

— გაჩუმდი, რა შუაშია აქ დედაკაცი!

გათენდა.

ხალხიც გაიფანტა.

ყველამ თავის სახლს მიაშურა, მაგრამ აფორიაქებული სოფლის სიმშვიდე ჯერ კიდევ შორს იყო.

სოლომონის ეზოში არავინ არ სჩანდა. ძაღლიც არ ჰყეფდა და ასეთი სიმშვიდით გაოცებული ქათმებიც კი გაკვირვებულნი შესცქეროდნენ ცას, ერთად დადიოდნენ და საკუთარ ენაზე ერთმანეთს თითქოს რაღაცაზე აფრთხილებდნენ.

ცოტა ხანი კიდევ გავიდა.

ვიღაცამ ჭიშკარი ააჭრიალა და სოლომონის ეზოში სირბილით შეიჭრა. თემური იყო: იგი სახეშეცვლილი, აღშფოთებული შევარდა სახლში, რომლის კარებიც ღია იყო მიტოვებული. სახლის ორივე ოთახი „დედას“ ძახილით შემოირბინა და როცა ვერავინ ნახა, უკანა კარებიდან გავარდა და სამზარეულოსკენ გაიქცა.

ყვირილით მივარდა სამზარეულოს კარს, რომელიც შიგნიდან გამოკეტილი დაუხვდა.

— დედა, დედა! — იძახდა და თან მუშტს არტყამდა კარებს, მაგრამ ამაოდ: არავითარი პასუხი, ყური დაუგდო, მაგრამ სუნთქვაც არ ისმოდა. ბოლოს აცოცდა კარზე, გავიდა ჭერზე და საცეცხლურიდან ჩაიხედა.

ცეცხლი არ ენთო, მაგრამ კედლის ჭუჭრუტანებიდან შესულ შუქზე გაარჩია ჩვარივით მიგდებული ირინე, რომელიც არ იძროდა.

ელდანაცემმა თემურმა ერთხელ კიდევ შესძახა: დედაო, ჭერიდან ჩახტა და ირინეს მიაშურა.

— დედა, დედა! — ჩასძახოდა იგი და ძელის საჯდომზე გაწოლილ ირინეს სახეში წყალს ასხამდა, თვალს ხელით უხელდა, მაგრამ მოხუცი არ იძროდა. კარგა ხნის შემდეგ თემურის მღელვარება ... ელა მოხუცის გახელილმა თვალმა, რომელიც თემურს სახეში ... და. რადგან ეს გაყინული გამომეტყველება არ იძროდა, ამან უფრო გაკაწრა თემურის გული და ტირილი დაიწყო.

— ცოცხალი ხარ, თუ კვდები, დედიკო?! — რაღაც უნებლიედ, შიშისაგან ატანილმა თემურმა შესძახა მოხუცს.

ირინემ ცრემლის წვეთებით გასცა პასუხი, და ცოტა ხნის შემდეგ ძლივს აღმოხდა:

— თემურ, თემურ! — მეტი არა უთქვამს რა, არც ადგილიდან იძროდა, მაგრამ პატარა თემურისათვის ესეც საკმაო იყო.

იგი სწრაფად წამოდგა, შიგნიდან ჩაკეტილი კარი გააღო, გარეთ გავიდა და ყვირილი მორთო:

— მიშველეთ ხალხო! ცოცხალია, მიშველეთ! — თემურს ეგონა, რომ ახლა მთელი სოფელი მასავით მოხუც ირინეს ბედზე ფიქრობდა და მხოლოდ ეს აწუხებდა.

ვიღაცამ ჭიშკარი მიაბრახუნა. თემურ შეჩერდა, იქითკენ მიიხედა და როცა ეზოში თოფით შემოსული სოლომონი შენიშნა, ძალზე გახარებული გაიქცა მისკენ.

— სოლომონ, სოლომონ! — ყვიროდა ის, — აქეთ, ჯერ კიდევ ცოცხალია, სოლომონ!

— ცოცხალი? რა დაემართა?! — იკითხა შეშინებულმა სოლომონმა და ნაბიჯს მოუჩქარა.

სახლში შევიდნენ.

— ჰე, შე უბედურო! — ეუბნებოდა სოლომონი კარგახნის შემდეგ მოსულიერებულ ირინეს, რომელიც სოლომონს თემურის თანხლებით ოთახში შეჰყავდა.

თავი მეთოთხმეტე

ტფილისის მახლობლად, ერთ მაღალ მთაზე, რომელსაც ხშირი ბუჩქი ჰფარავდა, სამი კაცი ერთად შეჩერდა.

ერთმა მათგანმა მაზარა გაშალა, მიწაზე დააგო და მოქანცული ზედ წამოწვა.

— ოოჰ! — აღმოხდა მას და სახე დაელრიჯა. — დასხედით თქვენც! — გასცა ბრძანება, და სხვებიც დასხდნენ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ცაზე სრული მთვარე მიგორავდა.

სამივენი ელნათურებით ახლადგაჩაღებულ ტფილისს ზევიდან დაჰყურებდნენ.

ისინი სხვადასხვანაირად განიცდიდნენ ამ ზღაპრულ სურათს.

გიგო გაჩაღებული ქალაქის სახით თითქოს მტრის ბანაკს ხედავდა, და რამდენადაც დიდი და ძლიერი იყო ამ ქალაქის ელვარება, იმდენად უფრო მეტად აწვებოდა ბოღმა გიგოს გულს. ახლა აშკარად დაინახა, თუ რა განწირული, უსუსური ყოფილან ისინი.

აი, გაჭიმული ქუჩები, ვეებერთელა ხიდები, ვეებერთელა სახლები, სადაც ათასები ცხოვრობენ, აზროვნობენ და ფუსფუსებენ. ერთ მთლიან სიცოცხლედ შეერთებული, საერთო ძარღვში მოძრავი სისხლის ძლიერი ხმაური აქაც კი ისმის.

„იყუჩე, გიგო, ნუღარ გაიგონებ!" — გაივლო გულში და თან საკუთარ უძლურებას ოდნავ გაუღიმა, თითქოს ეს ღიმილი კი არა, ჭრილობა იყო, რომელიც მის ბაგეს დაეტყო და ისევ გაჭქრა.

დაახლოვებით ასეთსავე ფიქრებს შეეპყრო გიგოს მარჯვენა ხელი— სიდო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას უფრო მეტად მიტოვებული ამხანაგები და მათი „საქმეები" აგონდებოდა, რომელთა ვაჟკაცობას, მისი აზრით, აქ, ამ დიდ ქალაქში, უფრო დიდი ნადავლის შეძენა შეეძლო.

მათთან შედარებით ძალზე შორს, სრულიად საწინააღმდეგო მხარეზე იყო მოქცეული ნოდარის ფიქრები. საპატიმროში ერჩია მას. იქ ხომ მტრების ხელში არ იყო. აქ კი... როგორ ციმციმებს ქალაქი ღამით. ცას ეჯიბრება! და ამ სხივებში, ამ ნათელ ქვეყანაში უნდა შესულიყო როგორც ძმა, როგორც მეგობარი მაღალი მიზნებით, რადგან ეს ყოფნა მასაც ეკუთვნოდა, მათი სიცოცხლე საერთო იყო.

და, ასე ეგონა, თითქოს აქ, ამ გაჩირაღდნებული სახლების ყოველ ოთახში, ყოველ კუნჭულში ვიღაც ზის, რამეს აკეთებს და ახალი, საზეიმო აღმოჩენებით ქვეყანას ამაღლებს. რამდენი სიახლე და სასწაული იქმნება აქ! რამდენი, ჯერ კიდევ შეუცნობელი ქვეყანა ჩნდება მათ თვალწინ!.

ნოდარი კი...

რატომ დარჩა ასე გარიყული? მასაც ხომ შეეძლო იქ ყოფილიყო, მათთან ყოფილიყო, განეცადა, ეგრძნო ის ჟრუანტელი, დიდი სიხარული, რასაც იქ ათასები დასწაფებიან თავიანთი შრომით, თავიანთი ბრძოლით და თავისუფლებით განათებული დიდ აზროვნებით?

„წვრილმანებმა შემბოჭეს მე, — გაიფიქრა და ტუჩებზე იკბინა: — ნეტავი ჭუჭყი აქაც იქნება, ადამიანის გულში რომ არის? აი, ასეთები, — და მან უნებლიეთ გიგოს შეხედა. — ეთერიც იქ არის? რატომ არის იქ? განა იმიტომ, რომ ჩემზე წმინდაა? ქალაქშიაც ყოფილა ჭუჭყი, მაგრამ ეს ჭუჭყი რატომ მაღელვებს? მეც ასეთი ვარ? როგორ მინდოდა... და რა გამოვიდა!"

მას მეტის თქმა უნდოდა სკკუთარი თავისათვის, მაგრამ თითქოს ფიქრი არ ეყო, თავი მიანება. უნდოდა ეთქვა, თუ რას ფიქრობდა ეგი თავიდან, როგორი დიდი ერთგულებით და რწმუნებით სურდა გაეცლო მხოლოდ იმ გზაზე, რომელსაც ადამიანური ღირსების სიმაღლეზე აყვევართ. მაგრამ რა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს გრიგალი მაშინ ამოვარდა და იქ ჩამობნელდა, სადაც არ ელოდა. თავბრუ დაესხა და ვნებათაღელვის ბრმა ნიაღვარმა აქ გამორიყა.

ხმაურობდა ქალაქი, აქა-იქ ცისარტყელებს აჩენდა მტკვარიდან ამოსული ელექტროდენი, და უთვალავ შუქთა ეს ციმციმი თითოს ზევით იწეკდა, ცისკენ მიდიოდა, ვარსკვლავებთან შეერთებას ლამობდა.

რამდენი საუკუნე დარჩა უკან. მიწაში არიან ისინი ღრმად ჩაპარხული და ახლა მათ ჩონჩხებს მუზეუმებში თუ ნახავთ.

იქ არის საქართველოს სასტიკი წარსული, რამდენმა ბავშვმა დალია სული მტრისაგან განგმირულ დედის მკერდზე, რამდენ ბავშვს შეაცივდა პირში ჩადებული ძუძუ!

მრისხანე სიველურევ! შენი ხმა ალარ ისმის, მაგრამ ძველი ჭრილობა ახლაც გვახსოვს... რამდენი რამ გაჰქრა უკვალოდ იმ სიძველიდან, რამდენი სიცოცხლე შეიხორცა მიწამ! არავინ ანგარიშს არ იძლევა.

გადარჩა მხოლოდ ზოგი რჩეული, რომელთა სახეები ახალ-ახალ სიმაღლეს იძენენ, რომელნიც უფრო აშუქებენ და მხრებზე დადგმულ საუკუნეებს გიგანტური ძალით ატარებენ.

მათ შორის არის შოთა, რომლის საფლავიც კი ალარ ვიცით, მაგრამ რომლის უკვდავი სახეც მზესავით მოსჩანს. ასეთია გენიოსთა დიდი სასწაული. რამდენ კოცონს გადაურჩა მისი სახელი, რომლის ელვარება სიველურის საუკუნეთა კედლებს ანგრევდა.

თითქოს ახლა ყველა ამაზე უთვალავი ელნათურის ციმციმი ლაპარაკობდა. თითქოს მათ ენახოთ, რა იყო უწინ, რა არის ახლა და კარგად იციან, რა უნდა იყოს მომავალში.

მკვდარი სიჩუმე დაარღვია გიგომ, რომელმაც თოფი გვერდზე გადასდო და ნოდარს შეხედა:

— მაშ ასე, ჩვენი ინტერესი ერთია: შენ იგი ლამაზი, მე კი კარგი მეგობარი. უყვარხარ ხომ? მერე რაუყოთ, რომ ეჭიმს გაჰყვა? გული მაინც შენში დასტოვა. მე ვიცი, სხვა გზა არ ჰქონდა.

ნოდარის გულს თითქოს ჭუჭყიანი ხელი შეეხო. უეცრად შეჰკრთა, გიგოს სახეს ანთებული თვალები მიანათა და სუნთქვას უმატა. სრულ სიჩუმეში თითქოს ჰაერიც ალარ იძროდა და უმოძრაო ბუნება გულზე აწვებოდა.

ნოდარი ირგვლივ ველარაფერს ხედავდა, მისი მღელვარე აბობოქრებული გული და გონება იმ მზაკვრული სიტყვების ქვებს ეხლებოდა, რომ-

ლებიც გიგომ წინ დაუგორა: „უყვარხარ ხომ“, „სხვა გზა არ ჰქონდა“, „გული მაინც შენში დასტოვა“.

ის ხომ ეთერს აღარ დაეძებდა. მან ხომ მოახერხა მისდამი ყველა გრძნობის ჩახშობა. ჩაახშო შურისძიების სურვილიც კი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ... ვინ იცის, იქნებ მართალიც იყოს: ზოგჯერ მტერიც სიმართლეს ამბობს. საჭიროა თუ არა ასეთი სიმართლე? რომელი სჯობია?

და მან გაიფიქრა, რომ ეს უფრო ცუდია, აუტანელი. ის, რაც გადაწყდა, რაც დაიმარხა — აწუხებდა ნოდარს, მაგრამ ეს ტკივილი მოულოდნელ ჩხვლეტას და შეჯახებას აღარ იწვევდა. იგი დასრულებულ სახეს იღებდა. მანაც მიიღო და შეურიგდა, რადგან საკუთარი თავის უბედურება იქნება ბოლოს გადარჩენის გზაზე გასულიყო.

ნოდარი ამ გზას გარკვევით ვეღარ ხედავდა, მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში მისი არსებობა ბუნდოვნად ჰქონდა წარმოდგენილი, თუმცა ეს წარმოდგენა შეგნებამდე არ იყო მისული. ახლა კი გიგოს სიტყვები ამ რწმენის განადგურებასაც ლამობდა, რათა ახალი, უმიზნო შეჯახება დაწყებულიყო.

ნოდარი ფოთოლივით თრთოდა.

გიგო ზეზე წამოდგა, თოფი აიღო, ირგვლივ მთის კალთებს მაძებრის თვალი შემოავლო და ბებერი, მეხისაგან დამსხვრეული მუხისაკენ გაეშურა.

— იყავით აქ, მოვალ! — ბრძანა მან, ხშირ ბუჩქებში თავი გაჰყო და მიეფარა.

— სიდო, რომელიც თითქოს ნოდარის სასტიკმა შეხედვამ შეაშინაო, ზეზე წამოდგა, კარგა მოშორებით შეჩერდა, თოფი მოიმარჯვა და გაიღიმა.

„მარტო ვარ, მზად უნდა ვიყო. თუ მხეცები თავს დაგვესხმებიან... შენ რას მიშველი, უიარაღო.“ — გაიფიქრა გულში.

ნოდარმაც ნაძალადევი ღიმილით უპასუხა, მაგრამ გულში გაიფიქრა: „ასეთია ბრძანება. მხეცს მეძახის. მართალია, მხეცი ვარ, რადგან...“

ამ დროს ბუჩქები ისევ გაიხსნა და გიგოს მსხვილი, ბანჯგვლიანი თავი გამოჩნდა.

— წავიდეთ! — გასცა ბრძანება და უკან გაბრუნდა.

ნოდარი და სიდო აედევნენ მას. მერე შეჩერდნენ ტოტებშემხმარ ვეება მუხასთან.

გიგომ გრძელთავა სიდოს თოფი ხელიდან გამოსტაცა, ბუჩქნარში გაძვრა, მუხის ძირას მიწაზე დაიჩოქა და თოფები ვეება ღრუში შემალა. შემდეგ ისევ ზეზე წამოდგა და მუხას ახედა, თითქოს სურდა გაეგო, შეუძლია თუ არა ამ ბებერ მუხას ნამუსის შენახვა.

ისინი ქვემოთ დაეშვნენ, ტფილისისაკენ.

როცა კარგა მანძილი განვლეს, გიგომ სთქვა:

— მშვენიერი ღამეა. როგორ დავიწყოთ: შევიდეთ ბაღში თუ გავართ ქუჩებში, ეგებ წავაწყდეთ... შენ, ნოდარ, მე ვიცი, იმ ქალისთვის ცოცხლეს გასწირავ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარს თითქოს არაფერი არ ესმოდა, ბარბაცით მიდიოდა.

სად მიდის ეს გზა? მიიყვანს თუ არა იგი ბედნიერი დღეების დასაწყისამდე, რომელიც მან კარგა ხანია უკან დასტოვა? არა, ამის იმედი მას აღარა ჰქონდა, მაგრამ...

მიდიოდნენ ხმაგაკმედილნი, თავჩაქინდრულნი. წინ გიგო მიდიოდა.

მიუახლოვდნენ. ტფილისი გაიზარდა, გაფართოვდა. ახლოს მოსული ძლიერი შუქი გიგოს აწუხებდა — ვერ იტანდა, რადგან ეგონა, რომ მის გულში დაფარულ ზრახვებს ანათებს, ააშკარავებს.

ღელავდა, გული უტოკავდა. გრძნობდა, რა ძნელია მტრის სიახლოვე, რომელსაც ძალით ვერას დააკლებ, ფარულადაც ბევრს ვერ გახდები, ხოლო წინ წადგმული ყოველი ნაბიჯი სასტიკ შიშს უფრო აძლიერებს.

უკვე მიაღწიეს. პირველ ქუჩაზე ფეხი შედგეს, და როცა გიგომ ქუჩაში მოსეირნეთა სახეებს გადახედა, სიმშვიდე იგრძნო: ამ სახეებზე რისხვა არ სჩანდა.

ნოდარი კვლავ ბურანში იყო. საკუთარი ფეხის ხმა დაჰკარგა. საკუთარი ფიქრებიც თითქოს გაექცა, ათასი კაცის ფიქრებში ჩაინთქა, და ეს ამოძრავებული, ახმაურებული და ფერადი შუქით გაჩირაღდნებული ქალაქი თითქოს ბრძანებლობდა ყოველ მის ნაბიჯს, ყოველ მის მოძრაობას. ასეთ უძლიერეს შთაბეჭდილებათა სიმძიმით გასრესილი, მისდევდა იგი გიგოს, რომელიც ახლა, როგორც სიზმარი, ტყიდან შემოპარული სიბნელის ორეულად ეჩვენებოდა...

მაგრამ, აი ნოდარმა ჰპოვა თავი. უნდოდა დაეყვირა: ქალაქში მტერია შემოსული, მიშველეთ, ძმებო, მაგრამ გიგომ თითქოს წაიკითხა ეს განზრახვა მის სახეზე, ჯიბიდან რევოლვერის ტუჩი უჩვენა, სწრაფად უკან მიაბრუნა და იმავე გზით ქალაქიდან გაიყვანა... მიყრუებულ ბუჩქებიან ადგილას შეჩერდნენ. გიგომ სიდო თავისაკენ ხელით მისწია და ჩუმად უთხრა:

— შევცდი. როგორ შეიძლებოდა ქალაქში წამოყვანა! უდარაჯე რევოლვერით ხელში, სანამ მე მოვალ... თვითონ მოვძებნი და თუ ვიპოვე, მაშინ მაგ ლაწირაკს სხვანაირად გამოვიყენებ. ფრთხილად იყავი, მხეცია ნამდვილი.

შემდეგ ნოდართან მივიდნენ, ხელები ზურგზე გაუკრეს და მიაგდეს.

ნოდარი უმტკიცებდა მათ, რომ ასეთი მოპყრობა საჭირო არ არის, რომ ის უკვე ყაჩაღია, მათი მეგობარი. მაგრამ თავის მხრივ გიგოც უმტკიცებდა, რომ ასე სჯობსო.

გიგო ისევ ქალაქისკენ წავიდა, ხოლო სიდოს რევოლვერის ტუჩს მთელ ღამეს მიზანში ჰქონდა ამოღებული ნოდარი.

მეორე დღეს გიგო ქალაქიდან გვიან დაბრუნდა. ბუჩქებში მათ ვერავინ ხედავდა. შეუმჩნევლად გავიდნენ გზაზე.

მზე ჩასავალზე იყო. ერთი ღამე ჩაშრა მათ ღია თვალებში. ყველა იმედი თითქოს ამოიწვა, ფიქრის ყოველი ძალა დაიხსნა. ახლა სულ სხვა გზით მიდიოდნენ. გიგოს ამღვრეულ, სისხლიან თვალებში თითქოს შურის გუბე ჩამდგარაო. ზოგჯერ ნოდარს რაღაც უჩვეულო სისასტიკით გადახედავდა, მერე თვალს აშორებდა და დამუნჯებული გზას განაგრძობდა.

ახლოს გაიქროლა მცხეთიდან მომავალმა ავტომანქანამ. გზაზე ბუღად ამდგარ მტვერში ცა აღარ სჩანდა, თითქოს უკვე დამარხვის დრო იყო, სხვა რაღა დარჩენოდათ! მაგრამ ეს მტვერმიყრილი, ცხოვრების გზაზე დამარხული მგზავრები, მაინც მოძრაობდნენ, არ ისვენებდნენ და მიდიოდნენ.

ნოდარის გამხდარ, ნაცრისფერ სახეზე დიდი თაფლისფერი თვალები უფრო ამოზრდილიყვნენ. მიწას დაჰყურებდა. ახლა მასაც აშკარად ეტყობოდა რაღაც უცნაური ცვლილება.

გზიდან გადაუხვიეს, მტკვართან მივიდნენ.

— სიდო, შენ წახვალ და თოფებს აქ მოიტან. მოგიცდით, უკვე ბნელდება, იჩქარე...

ამ სიტყვის შემდეგ ხელი მოხვია და გააცილა.

— იცოდე, — განაგრძო მან, — სამწყესავია, თვალს ვერ მოვაშორებთ. იქ, ქალაქში, კინაღამ იყვირა. ხომ შეამჩნიე? რევოლვერი ვუჩვენე და ძლივს შევაჩერე. აღარაფერი გამოვა. კმარა, ქალაქში აღარ წაიყვანება. ჩაგვაგდებს სადმე. რომ დაბნელდება, აქვე გავათავოთ... გადაწყდა... ის ვერ ვნახეთ. უნდა დასრულდეს. მაინც მაგისაგან არაფერი არ გამოვა. გადაწყდა...

ეს სთქვა და სწრაფად მოშორდა, მარტოდ დარჩენილ ნოდართან დაბრუნდა და მოლზე გაწვა.

ნოდარიც იქვე ახლოს ჩამოჯდა და მტკვრის გამჭვირვალე სილრმეს დააჩერდა.

შეუჩერებლივ ქშინავდა მტკვარი და გარბოდა. რამდენი დღე, ღამე და ვარსკვლავი ჩაძირულა ამ მდინარეში! მიაქვს ეს დღეები და ღამეები, მთვარე და ვარსკვლავები კასპიის ზღვაში. მიაქვს მარადჟამს, ათას წლობით და მაინც ვერ მოათავა. თითქოს ყველაფერი უკან ბრუნდება, ისევ თავიდან იწყება, კვლავ მიდის და კვლავ აქვე ჩნდება — ტანგაბანილი, იმავე სინორჩით, იმავე სიცოცხლით, სიხარულით და მწუხარებით...

„ჩვენ რა შუაში ვართ? — გაიფიქრა ნოდარმა. — ან ჩვენ ვართ მხოლოდ მოწმენი, ანდა ისინი არიან ჩვენთვის“... ასეთ გაორებულ დასკვნას მიადგა. ისევ მტკვარში ჩაიხედა და მოულოდნელად თითქოს ეთერის

სახე შენიშნა, რომელსაც ხელი მაღლა აეშვირა, ნოდარს უცქეროდა, თავშეუკავებელ სიცილისაგან იბზარებოდა, წელში იხრებოდა და შორდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ყოველ წუთს უფრო დიდი სიშორე მოაქვს, უფრო დიდი დაცინვა მოაქვს. იგი წავიდა, მდინარეს გაჰყვა, თვალს მიეფარა, აღარა სჩანს. „მე მაინც მივდევდი, ისევ მივდევდი... შე საძაგელო! უნდა მეყვირა? მე ჩემს სოფლამდე მინდოდა მისვლა და იქ ჩაჯდომა. თუ ძოვახერხე, გამოვასწორებ დანაშაულს. სჯობს ის განზრახვა სისრულეში ახლა მოვიყვანო. დრო არის, კმარა!“

და ნოდარი უცბად ზეზე წამოიჭრა, ოდნავ ჩამობნელებულ ველებს გახედა, თვალი შეავლო წამოწოლილ გიგოს და ხმამაღლა შესძახა:

— ჰეი, წამოდექ, ძაღლო, მურტალო! ჩქარა იარაღი, შენი დრო დადგა!

შეშინებული გიგო გველ-ნაკბენივით ზეზე წამოვარდა, რევოლვერი იშიშვლა და ნოდარს მიუღირა.

უიარაღო ნოდარს თითქოს ვეფხვის ძალა მიეცაო, გიგოს ორივე მკლავი გაუჩერა. რევოლვერი ჰაერში გავარდა. ნოდარმა სწრაფად გამოგლიჯა იგი ხელიდან და გაქცეულ გიგოს დაუმიზნა.

თავდავიწყებით გარბოდა გიგო. ჩირგვებში ეცემოდა, ფეხზე დგებოდა, ისევ გარბოდა და თან ყვიროდა:

— ნუ მომკლავ, ნუ მომკლავ!

ნოდარმა ერთხელ ესროლა გიგოს, მაგრამ გიგო უკვე შორს იყო. მიეფარა.

რევოლვერით ხელში აფთარის თვალით გასცქეროდა ნოდარი კარგა მანძილით დაშორებულ ქალაქს, რომლის მახლობლადაც კოშმარული ღამე გაატარა. ეს ქალაქიც თითქოს შესძულდა, შესძულდა მთელი ქვეყანა, თუმცა იქ, მაღალ მთებში, სოფლად დარჩენილ ამხანაგთ შორის ახალი ცხოვრების მძლე შადრევანი უფრო მაღლდებოდა და დამსხვრეული ბრძოლის შხეფები თითქოს თავზე ესხმოდა მას.

იგი ტოკავდა, თვალს ხუჭავდა და ბარბაცებდა. მწვანე მოლზე პირქვე დაემხო და ბრაზისაგან მიწას უკბინა.

თავი მეთხუთმეტე

შუამთის მიწას შემოდგომის მზე ველარ ათბობდა.

შუადღე იყო.

თემშარაზე განუწყვეტლივ ჭრიალებდნენ ურმები. მოსავლის მილაგების შემდეგ ახლა საზამთრო შეშას იმზადებდნენ. კოლმეურნეთა დიდი ნაწილი უკვე მოთავებულ არხთან ირეოდა: ზოგი მიწას ასწორებდა, ზოგი ქვებს ჰყრიდა.

ესეც მოათავეს. კაშხალის მახლობლად არხის ორივე მხარეს დაირაზმნენ. რაღაც უჩვეულო სიხარულის მოლოდინში იყვნენ. განსაკუთრებით ახალგაზრდების მომღიმარე სახე და თვალები უდიდეს სიხარულს ასხივოსნებდნენ.

თავდახრილი, სახე-დაღარული, თითქოს მთელი საუკუნის სიმძიმე თავს აწვებაო, მომაღლო ქვაზე იდგა სოლომონი და გრანიტის გახვრეტილ ქვებში დინამიტის ჩამლაგებელთა მუშაობას თვალს ადევნებდა. მისი დიდი თეთრი თავი სამუდამჟამოდ გაყინულ მწვერვალს უფრო წაგავდა. არაფერს ამბობდა, არ იძროდა. მის დიდრონ თვალებში სიხარულის ნიშანი ზოგჯერ კაჟიდან დაკვესილ ნაპერწკლებივით ანათებდა და ისევ ქრებოდა.

კიდევ კარგახანს იდგა იგი მიწაში ღრმად ჩაფლულ ვეება ქვაზე, თითქოს ამ ქვის ნიადაგმა ამოზიდაო, ცივი ნიავი აგრილებდა მის მოქანცულ სახეს.

ვილამაც მხარზე ხელი დაადო. მიბრუნდა, გიორგის მომღიმარე თვალებს შეხედა და, თითქოს ღრუბელმა გადაუარაო, სახე გაუნათლდა.

— სოლომონ, რას ჩაფიქრებულხარ? — შესძახა კმაყოფილმა გიორგიმ.

ზევიდან ჯებირთან მომუშავეთა პატარა ჯგუფს დააჩერდნენ.

— მე ვამბობ, რომ იფეთქებს, — სთქვა გიორგიმ.

— ჰო, მაგრამ თითქოს ჩემს გულს აფეთქებენო, ისე ვარ რაღაც...

— უნდა გიხაროდეს, სოლომონ, უნდა გიხაროდეს! — საყვედურით უთხრა გიორგიმ.

— ჰო, უნდა მიხაროდეს... მაგრამ... — დაიწყო სოლომონმა, მაგრამ სიტყვა გაუწყდა.

გიორგიმ სოლომონის მოღრუბლულ სახეს შეხედა, მაგრამ რაკი მისთვის ყველაფერი გასაგები იყო, აღარაფერი უპასუხა.

სოლომონი თითქოს შუაზე იყო გაყოფილი: იტანჯებოდა და თან უხაროდა კიდეც. მაგრამ ეს გაყოფა კოლექტივში რაიმე გამარჯვების დროს უფრო მეტად იჩენდა თავს, უფრო საგრძნობი ხდებოდა მისთვის, უფრო მტანჯველი. მეტი სიხარული მეტ ტანჯვას იწვევდა.

ეს კი ორად აპობდა მოხუცის გულს. ამ ბოლო თვეებმა წლებზე მეტი სასიცოცხლო ძაფები ჩასწყვიტა მასში. უფრო მოიხარა, სახის ნაოჭები უფრო ჩაღრმავდა, თვალებში ალი აღარ ელვარებდა, უფრო მძიმე ფიქრებით დატვირთული დადიოდა, იშვიათად თუ დასძრავდა ხმას.

ყოველ სიტყვას, ყოველ მსჯელობას იმავე სასტიკი სურათების ხილვამდე მიჰყავდა სოლომონი, რომლებსაც იგი ყოველთვის გაურბოდა, თვალს არიდებდა.

თითქოს ყოველივე ამას არ იმჩნევდა სოლომონი. ზოგჯერ ძველებურად ვაჟკაცური ხმით დაიწყებდა მსჯელობას. ბრიგადის წევრებს მრა-

ვალი ბრწყინვალე საქმის სურათს უჩვენებდა. მათ სიხარულს და ბედნიერ ღიმილს ისიც ღიმილით უპასუხებდა. მაგრამ მალე, მოულოდნელად, სიტყვები ყელში ეჩხირებოდა, სუნთქვას უხშობდა, ამ დროს ფვალებშიაც ჰქრებოდა სხივი და იქ დაგროვილ ცრემლებს ძლივს აჩერებდა.

ახლა, ამჟამად, როდესაც ჯერ კიდევ დაფარული სიხარულის ნაპირთან იყო, სოლომონი ძლივს იდგა ფეხზე და მეგობარ გიორგისთან გასაუბრებამ უფრო ააღელვა: ძალზე ბევრი სათქმელი ჰქონდა, მაგრამ ხმას ვერ იღებდა. რაც აღელვებდა ეს მისი დიდი მწუხარება და დიდი სიხარული იყო.

ისინი კვლავ ზევიდან დაჰყურებდნენ მომუშავეთა მცირე გუნდს, როცა გუნდმა მუშაობა შესწყვიტა, იარაღი დაჰყარა და ერთმა მათგანმა ხმამაღლა დაიძახა:

— სოლომონ, უკვე მოვათავეთ, მზად არის.

რადგან სოლომონი ხმას არ იღებდა, გიორგი ჩაერია საქმეში.

— მოშორდით, ძმებო! მიეფარეთ! მოშორდით ყველანი!

ორიოდე წუთში იქაურობა დაცალიერდა.

არხის თავთან ცისფერი ბოლი ამოდიოდა და რაღაც ნელი შრიალი ისმოდა.

თითქოს ნიავიც კი შეჩერდა, ფიქვნარის ტყემ სუნთქვა შეწყვიტა და მთელი ბუნება უჩვეულო ამბის მოლოდინში გაქვავდა.

დიდი სიჩუმე დიდმა ხმაურობამ დაარღვია, თითქოს ქვესკნელმა პირი გააღო, ალმოდებული მიწა და ქვა ცას მიაყარა.

შორეულ მწვერვალებისაკენ წასული ხმები ხეობაში ჩაწყდა. მაგრამ მალე ყოველის მხრიდან წამოსულმა ყიჟინამ და ხალხის აღტაცებულმა ჟრიამულმა იფეთქა.

აქეთ გამორბოდა მთელი სოფელი.

არხის ორივე მხარეს დარაზმულნი აღტაცებით იქნევდნენ ჰაერში ამართულ ხელებს, როგორც ტყე რტოებს ძლიერი გრიგალის დროს. მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

ვეება არხში პირველად მოვარდნილ წყალს ზევიდან დაჰყურებდნენ გიორგი, სოლომონი, ტარიელი, სოფლის საბჭოს თავმჯდომარე გედევან და ბევრი სხვა, რომლებიც იმავე ვეება ქვაზე შემდგარიყვნენ, წინ წამდგარ გიორგის ეტყობოდა ახმაურებული ხალხის შეჩერება უნდოდა, რომ საზეიმო მიტინგი გაესხნა, მაგრამ ის ჯერ კიდევ არაფერს ამბობდა, რადგან მის სიტყვას ჯერჯერობით ვერავინ გაიგებდა.

ოდნავ მინელდა ხმაური. ხალხის მაგიერ ხმას აუწია არხში შემოვარდნილმა წყალმა. იგი გათამამდა და თითქოს ხალხის მისამართით ამბობდა:

„თქვენ მე შემქმენით. თქვენ საზეიმო ხმაურში მე ჩავისახე. ახლა შეგიძლიათ დადუმდეთ. მე კი... გაივლის წლები, მაინც ვიხმაურებ, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ეს ხომ ისევ თქვენი საკუთარი ხმა იქნება, თქვენი ზეიმი, რომელიც ჩემში აღარ მოკვდება“.

გიორგიმ მიტინგი გახსნილად გამოაცხადა და შესავალ სიტყვა ასე დაიწყო:

„ხომ ხედავთ, ამხანაგებო, ხომ ხედავთ: წისქვილი გვექნება, მიწა მოირწყვება. ხომ ხედავთ ახლა, ამხანაგებო, როგორ იქმნება უკეთესი ცხოვრება, უფრო მდიდარი ცხოვრება, უფრო ნათელი ცხოვრება!

ამ დროს რაღაც უჩვეულო, ყორნისებური ჩხავილი მოისმა, რომელიც უდიდესი სისწრაფით ახლოვდებოდა. გიორგიმ ერთის წუთით იმ გულსაკლავ ჩხავილს ყური ათხოვა, სიტყვა შესწყვიტა და როცა მიბრუნდა, იცნო ზარმაცი გენო, რომელიც მირბოდა და რაღაც გაუგებარ სიტყვებს იძახდა.

მთელი ხალხი გაქვავებულ-დაჩუმებული ელოდა გენოს, რომელმაც თავისი საზარელი, გულსაკლავი ჩხავილით ხალხთან მისვლამდე მოწამლა ჰაერი.

გენო შეჩერდა. ერთის წუთით გაკვირვებულ ხალხს თვალი შეავლო და, თითქოს სირცხვილი იგრძნოო, ხმა ჩაუვარდა.

— სთქვი რაღა, რა ამბავია? — დაუყვირა გიორგიმ.

— დახოცეს... — ძლივს ამოიღო ხმა აქლოშინებულმა გენომ: — ის მწყემსები... ნოდარის მეთაურობით... ერთი მკვდარია...

— რაო?! თითქმის ერთხმად მიაძახა ზღვა ხალხმა.

გენო შეკრთა, უკან დაიხია.

როცა სიჩუმე ჩამოვარდა, ესტატე გურამაძე გენოს მიუახლოვდა, ხელი მხარზე დაადო და თვალებში ჩააცქერდა.

— კი, მაგრამ მიტომ ხომ არა, კოლექტივიდან რომ გაგაძევეთ? მიტომ, არა? — მსინჯავი ტონით მიმართა ესტატემ.

ამ დროს სოფლიდან ქალების კივილი და ხმამაღალი მოთქმა მოისმა. ესტატეს ფერი ეცვალა, პირი სოფლისაკენ იბრუნა. გენომ, როგორც იყო ხმა ამოიღო:

— მოხუცი დედ-მამა სტირის... ხომ გესმის, სტირიან შვილს...

ხალხი აირია, შეწუხდა, მთელი სიხარული მოიშხამა.

სოლომონის ნაცრისფერ სახეზე არაჩვეულებრივად გაფართოებულმა უმოძრაო თვალებმა ყველა შეაკრთო. მან მკლავები წინ გაიშვირა, თითქოს მისკენ წამოსულ უფრო დიდ უბედურებას აჩერებსო. ხელი მოჰკიდეს, ქვიდან ძირს ჩაიყვანეს, მიწაზე დასვეს და რაღაც ჩასძახეს.

იგი გონს მოვიდა, განცვიფრებით მიმოიხედა. ძლივს იცნო გიორგი და მასთან ტარიელ. ნეტავი არავინ ეცნო... აღარ სურდა დარჩენილიყო იმ მიწაზე, რომელზედაც იგი დასვეს. ქვევით, ამ შავი მიწის სიღრმეში უნდოდა ჩასულიყო, რომ ყველა მარცხს გზა დაეკარგა, რომ სოლომონი ველარ მოენახათ.

— გამაგრდი! — შესძახა გიორგიმ გონზე მოსულ სოლომონს.

— გაგიჟდი? — დაუმატა ტარიელმა და ჩვეულებრივად სახე აენთო. — შვილი კი არა, ძაღლის ლეკვი გაგიჩნდა! შენ კი კაცი ხარ...

სოლომონი არაფერს ამბობდა. ხან ერთს, ხან მეორე შეგობარს მისჩერებოდა. ყბებს ისე ანძრევდა, თითქოს პირში რამეს ღეჭავსო, ბოლოს თავი დახარა და ძლივს აღმოხდა:

— ჰო, კარგი, დამტოვეთ. წადით იქ, გაიგეთ, რა ხდება,

ვიორგი და ტარიელი წავიდნენ. ხალხიც გაიფანტა. მხოლოდ მზის ჩასვლის ბეჭდეკ. როცა ღამემ მიწაზე პირველი ნაბიჯი შემოდგა, როცა დასავლეთიდან ანაზდად ამოვარდნილმა ძლიერმა ქარმა ლეგა ღრუბლები გააფთრებით მიაყარა მთებს, ორმა ახალგაზრდამ მოხუცი სოლომონი არხთან გაატარა და შინ წაიყვანა.

სასწრაფოდ მოდიოდა დიდი სიცივე, თითქოს შემკრთალნი გამორბოდნენ ღრუბლები. ცას აბნელებდნენ. ჰქროდა დამძვინვარებული სასტიკი ქარი და ქალთა გულსაკლავ კივილს უფრო ამძაფრებდა.

*
* *

ამავე ღამეს სოფლად მოასვენეს მოკლული. ქალთა მწარე შეძახილი მძვინვარე ქარს მიჰქონდა. განუწყვეტლივ ჰყეფდნენ ძაღლები, გაბრაზებულნი ჰკბენდნენ ერთმანეთს, ულრენდნენ მგზავრებს და ლობის წნელს კბილით ამტვრევდნენ.

შუალამე იყო. ქარი შენელდა. სოფელიც ოდნავ მიწყნარდა. სული ამოითქვა. მაგრამ ახლა სახალხო სახლის პატარა ეზოს დიდ სიბნელეში შემოვიდნენ ისინი და ხელის ფათურით ეძებდნენ ერთმანეთს.

— ჰეი!

— რომელი ხარ?

— აქეთ, აქეთ!

მოვიდა პირველი თოვლი და მათ ფეხქვეშ შეუმჩნევლად ეგებოდა თეთრი საბანი.

კარები შეაღეს, შიგნით შევიდნენ და შუქი აანთეს.

არც ერთი მათგანი ხმას არ იღებდა, მოქანცულნი, დაღვრემილნი აქაიქ ჩამოსხდნენ და თავი დახარეს.

მაგიდასთან მივიდა ტარიელი. კარგა ხანს ხმას არ იღებდა. მერე მაგიდას ორივე ხელით დაეყრდნო და შეწითლებული თვალებით ამხანაგებს მიაჩერდა.

— კრებას გახსნილად ვაცხადებ, — სთქვა ტარიელმა, — რაც მოხდა, თქვენც იცით. ახლა შავებს ხომ ვერ ჩავიცვამთ! სთქვით, რა საშუალებებს უნდა მივმართოთ, ბოლო როგორ მოვუღოთ! — და ტარიელი შეჩერდა, ამხანაგებს გადახედა. კარგა ხნის შემდეგ გულმოსულმა ხმამაღ-

ლა დაიყვირა:—დამუნჯდით!? როგორ გგონიათ, თავისთავად იქნება ყველაფერი?

— არა, ტარიელ! — გამოეხმაურა გიორგი, — გული მიდგა, ასეხარული ვერ დავასრულეთ და ეს მწუხარება მას ზედ დაეჯახა. თითქოს განგებ იყო მოგონილიო. მე ვამბობ.... სიკვდილი მტერს! კუზიანს საფლავი ასწორებს! უკან მოუხედავად! გადაწყდა! — და კუთხეში ჩამოჯდა, თავდახრილ მოხუცს შეხედა, ხმას დაუწია და ნაღვლიანი ხმით დაასრულა: — და ყოველივე ამაში, როგორ დავიჯერო, რომ კომკავშირელი ნოდარი ურევია?!

გიორგის შემდეგ თითქმის ყველამ გამოსთქვა თავისი აზრი. მათი რისხვა ალიონამდე გუგუნებდა პატარა ოთახში. ბოლოს ტარიელმა მთლად დამუნჯებულ სოლომონს მიმართა, ეთქვა რამე.

— შვილია, მაგრამ რას იზამ. ახლა უნდა გამოჩნდე შენ. ვნახოთ, სოლომონ, რამდენი ადგილი უჭირავს შენში ყაჩაღ შვილსა და კომუნისტობას. შენც ხომ რაიმე უნდა სთქვა დღეს.

სოლომონმა დახრილი თავი მხოლოდ ახლა ასწია. ცოტა შეჩერდა. ზეზე წამოდგა. დინჯად და უშფოთებლად შეათვალიერა ამხანაგები. თავზე და წვერზე ხელი გადაისვა. მის ანთებულ თვალებში ერთი წუთით გაიელვა ძველი პარტიზანის მკვეთრმა იერმა, პირდაპირ სახეში მიაჩერდა ტარიელს და სუნთქვა-შეკრულმა დაიწყო:

— ჰო, ახლა შეჩერდით, ძმებო! მე ჩემის ხელით... პატარა იყო, ბავშვის ხელს მკერდზე რომ ვგრძნობდი... შვილის ხელს. ჩემი შვილი აქ იყო სადღაც — გულში იჯდა. ყურშიაც მესმის მისი ტიტინი. თითქოს ჩემი არსებობის ძაფებს ეხება, თავის პატარა თითებით ითვლის. შეაჩერეთ! სიმი თუ იყო, ალბათ, ჩამოწყდა! ხმა აღარ ისმის, — და მან ცრემლი ძლივს შეიკავა, თავი დახარა. — ჰო, ჩემო ტარიელ, წავალ, მე თვითონ წავალ! მშვიდობით! — სთქვა, სწრაფად შებრუნდა, კარი გააღო და გარეთ გავარდა.

— სოლომონ, სოლომონ! — ყრუდ, თითქოს სიზმარში მოესმა ტარიელის ხმა, მაგრამ ახლა მას დრო აღარ ჰქონდა, სწრაფი ნაბიჯით ეზოში გავიდა.

თოვდა.

თენდებოდა.

მიწა არ სჩანდა.

და თოვლისაგან დაძაძული ხეების დაშვებული რტოები ფრთებდახრილი გედებივით მიწას ჰფარავდნენ.

სოლომონი მიაბიჯებდა, სადღაც მიდიოდა. გზას არ ხედავდა და არც ფიქრობდა, რომ დაენახა. არ იცოდა, როგორ მოხდა, რომ სახლში შევიდა. ლოგინზე მკვდარივით გაწოლილ ირინესათვის არც კი შეუხედავს,

პირდაპირ ნოდარის ოთახში შევიდა და იარაღით შეჭედილ კედელთან შეჩერდა.

სოლომონის არაჩვეულებრივად გაფითრებულმა სახემ, ბაბა სტრაფმა ნაბიჯებმა და ანთებულმა თვალებმა შეაკრთო ირინე. მის თვალწინ წამოსდგა ძველი პარტიზანი, ახალგაზრდა სოლომონი. დედაბერი უნებლიეთ წამოიჭრა და ცახცახით შესძახა:

— აქა ვარ, სოლომონ, აქ!

სოლომონს ხმა არ გაუცია. მას არაფერი არ ესმოდა, არც სურდა გაეგონა. თავისი ძველი ბერდენა კედელს მოჰგლიჯა, ტყვიებით გავსებული „ფალასკა“ მხარზე გადაიდო და გარედ გავიდა.

ელდანაცემი ირინე ჩოხის კალთაში ჩაეჭიდა, სოლომონის შეჩერებას ლამობდა, მაგრამ ვერაფერს გახდა, ფეხი აუცურდა და პირქვე დაეცა.

— სოლომონ, სოლომონ! შვილი, სოლომონ, შვილი! — იძახდა ის. ხმა ჩაუწყდა: მხოლოდ პირს აღებდა, თუმცა ეგონა, რომ ჩემი კვილი ქვეყანას ესმისო.

პირველ თოვლს ჯერ კიდევ ადამიანის კვალი არ აჩნდა. მხოლოდ ბუნების ამ უეცარი ცვალებადობით გაკვირვებული ძაღლები უხმოდ დარბოდნენ, თავს იყრიდნენ და თამაშობდნენ.

სოლომონი არაფერს არ უცქეროდა, პირდაპირ მიდიოდა. როცა სოფელს განშორდა, ტყეში შეუხვია. თოფი ქამრით გადაიკიდა. მხოლოდ ახლა შენიშნა გაღმა თოვლში ჩაფლული, ვეებერთელა თავშაქარივით აზიდული, თეთრი მწვერვალები, — ფრთადახრილი ხეები.

მწვერვალებზე განთიადის მიმკრთალი შუქი ოდნავ ეფრქვეოდა და ამ სიმკრთალეში, სისპეტაკეში სჩანდა ყველაფერი: სიცოცხლე, სიკვდილი, მწუხარება, სიხარული, მარცხი და გამარჯვება. სოლომონი წელში მოხრილი მიდიოდა და ძირს იყურებოდა.

*

* *

სწორედ იმ დღეს, საღამოხანს, როცა ზეიმს მწუხარება შემოეგება, ბორჯომში ვილაც ახალგაზრდა, თმაშეკრეჭილი და ფერდაკარგული, შეეფეთა პატარა თემურს. თემური შეკრთა, გაქცევა დააპირა, მაგრამ უცნობმა ხელი ჩასჭიდა და შეაჩერა.

— მოიცა, თემურ! ველარ მიცანი? მე შენი ძმა ვარ? ყური დამიგდე...

თემურმა იცნო: მის თვალებსა და სიტყვებში ნოდარი სჩანდა. მაგრამ თემური ახლა უფრო იწევდა, პატარა თვალები უფრო აენთო, გაქცევას ლამობდა.

— გამიშვი, გამიშვი! — ყვიროდა ის. — ახლა გიცანი. შენთან საქმე არა მაქვს! შენ ხომ ყაჩაღი ხარ! შენ ხომ... — კიდევ უნდოდა ეთქვა რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღაც, მაგრამ ნოდარმა ტუჩებზე ხელი მიაფარა, ახლოს მიიზიდა და ჩუმად უთხრა:

— მისმინე, თემურ! დაჩუმდი!

— მაშ შენ ყაჩაღი...

— არა ვარ! მისმინე, ყველაფერს გეტყვი, მოიცა, ძმაო!

თემური შეჩერდა. ოდნავ დამშვიდდა. გაკვირვებით მიაჩერდა ნოდარს და გულში გაივლო: „თითქოს საფლავიდან ახლა წამომდგარა, ნოდარი კი არის?“

— შენ ხომ ნოდარი ხარ? — კვლავ შეეკითხა თემური, — და... შენ ყაჩაღი...

— კი, ჩემო თემუკო! მე ის ნოდარი ვარ, ყოფილი ნოდარი. მაგრამ წამოდი, მინდა გიამბო.

ხელი გამოსდო პატარა თემურს და ისიც გაჰყვა.

ბაღში შევიდნენ, მდინარეს გავიდნენ და ჩანჩქერთან ჩამოსხდნენ.

კარგა ხანს არც ერთი ხმას არ იღებდა. თითქოს ჩანჩქერის ხმაურს უსმენენო, სუნთქვაც კი შეაჩერეს.

ბნელდებოდა. კაცის ხმა არსაიდან არ ისმოდა.

— მე ყაჩაღი ვარ, თემურ, არა? — დაარღვია ნოდარმა სიჩუმე.

— იმ ხალხის სისხლი ახლაც მეჩვენება... მძარცველთა მეთაური...

— იმ ხალხის სისხლი!?

— დღეს რომ დახოცეთ, ყველგან შენი სახელი ისმის.

— რას ამბობ, თემურ?! დღეს რომ დავხოცეთ? ვინ გითხრა, თემუკო? მძარცველთა მეთაურიო. ვინ მოჰკლეს დღეს? — შესძახა თავზარდაცემულმა ნოდარმა და გული აუტოკდა.

— თითქოს არ იცოდე! ეს არის ახლა ჩამოვედი. ჩვენი სოფელი აფორიაქდა. მოკლული მწყემსი მოასვენეს. რატომ დაეცი, ნოდარ? უბედურო! ჩემი ძმა იყავი და ძაღლი გახდი. რატომ დაეცი, არ მიპასუხებ?

— დახოცეს, მოჰკლეს!? — დაიყვირა ნოდარმა და ახლა მისთვის ყველაფერი ცხადი გახდა. ზეზე წამოიჭრა. ჯიბეზე ხელი მოისვა, კარგად გაისინჯა და კვლავ დაიყვირა: — მოჰკლეს?! დახოცეს!? ახლა კი ჩემი გადარჩენა შემთხვევასაც აღარ შეუძლია! აი, აქ არის, ხუთი ტყვია კიდევაა შიგ! მშვიდობით, თემურ! შეერთდეს ძმაო, ყველა გრიგალები, რაც დედამიწას დღემდე უნახავს! ციდან ვარსკვლავები ციცინათელებივით მიწას დააფრქვიოს! მე არ მეშინია! ახლა წავალ, მშვიდობით ძმაო!

თემურს ხელი მოხვია და შუბლზე აკოცა. წასვლისას უთხრა:

— ქალაქიდან რომ მოვდიოდი, გზაში ავად გავხდი. რამდენიმე თვეს მთაში ვიწექი, სიკვდილს ვებრძოდი, ტიფი, თემუკო... მეგობარმა მიშველა. სახლში მოსვლა მინდოდა, თემუკო, ახლა მოვდიოდი, იქვე ჩავჯდებოდი, სადაც ვიჯექი. ყოველგვარ სასჯელს ვიკისრებდი. ასე მერჩია. ვცდებოდი. ამხანაგსაც კი გავურბოდი. შენ კი, აი წიგნი, თემუკო, ყველა-

ფერი ჩავსწერე აქ. ჩემი სიმართლე, უსამართლობა, ყველაფერი არის აქ, წაიღე თან. შენ ხომ ჩემი პატარა ძმა ხარ. ვიცი, ველარ შეხვდებით. ჩემს ამბავს მე ვერ დავასრულებ. წაიკითხე და რაც შემცდარია, აუკეთ-ეკარო, დაილუპები. ძალიან მცირე კმარა, თემუკო, ოდნავი ბურუსი — დაილუპები! მშვიდობით! — ერთხელ კიდევ აკოცა შუბლზე პატარა თემუკოს, ტყისკენ მიმავალი გზით გაიქცა და ელვის სისწრაფით სიბნელეში მიიმალა.

— ნოდარ, ნოდარ! — ყვიროდა თემურ, რომელსაც ჯერ კიდევ კარგად ვერ გაეგო ნოდარის მღელვარე სიტყვების შინაარსი. იგი გაშეშდა. ძახილი შესწყვიტა, რაღაც სასტიკმა აზრმა გაუელვა და ხმამაღალი ტირილი მორთო.

თავი მეთექვსმეტე

სოლომონის სოფლიდან წასვლა იმავე დილით თითქმის მთელმა სოფელმა გაიგო. ხალხი გროვდებოდა. ჭორის მოყვარულმა ძველმა ოსტატებმა საქმე იშოვნეს:

— ყაჩაღად, მაშ! გავიდა ყაჩაღად!..

— შვილმა მამას მიბაძა, მამამ კი შვილს!

— მაგათი სინსილა კი გაწყდეს, აი!

უმრავლესობას ეს მაინც არა სჯეროდა და სრულიად საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამდა.

და ასე დაუსრულებლად გრძელდებოდა კამათი ყველა მოსახვევში და ოჯახში.

სოლომონის ეზოში კარგაძალი ხალხი შეყრილიყო. სახლის ღია კარები და აივანი ხალხით იყო გაჭედილი. ლოგინზე იწვა ცოცხალმკვდარი ირინე, თვალები დაეხუჭა და ძლივს გასაგონად, თითქოს თავისთვის, ლაპარაკობდა:

— დილა ადრიან მოვიდა... ნოდარ, შენა ხარ? დედა ვარ, შვილო... მამაშენმა ველარ გიპოვა. შეწუხდა სოფელი. ძლიერ მაღალ ხეზე ასულხარ, შვილო. მიშველეთ, ვიღუპები! იგი დამპალია, ჩამოდი, ჩამოდი!..

ამ დროს რაღაც ხმაურმა ოთახში მყოფი ხალხი შეარხია. ზოგი გარეთ ვავარდა და ჭიშკრისკენ გაიქცა.

თემშარაზე პატარა თემურ, რომელიც სულს ძლივს ითქვამდა, რაღაც ამბავს მოუთხრობდა ტარიელს.

იქვე იდგა შერჩეული ახალგაზრდებისაგან შემდგარი მცირე რაზმი თოფებით და რევოლვერებით. ყველანი არაჩვეულებრივი დაძაბულობით უსმენდნენ ბავშვს, რომელიც სიტყვებს აყრიდა, მაგრამ ამბავს მაინც ვერ ათავებდა. ბოლოს ძლივს დაასრულა:

— გამხდარია. მიწისფერი ადევს. შინ მოდიოდა. სადაც ვიგალეი, იქვე დავჯდებიო, მაგრამ მერე ტყეში გაიქცა. დახოცილია. შესახებ არაფერი იცოდა. როცა გაიგო, კინალამ გაგიჟდა. ხელი ... ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

მეორე განთიადმა შემოხედა დათოვლილ მთებს. ნისლის გუნდები დოლბანდებივით ეხვეოდნენ მთებს, ხოლო ცამდე ასული მწვერვალები უმშვენიერეს ქალწულებივით ყელმოღერებულნი ამაყად იდგნენ და სავსე მკერდით დილის ნათელს ელოდნენ.

არ ისმოდა კაცის ხმა. ბუნების კანონებში ადამიანი არ ერეოდა.

ხანგამოშვებით მთის ფერდობზე და ღრმა ხეობებში გაიქროლებდნენ ფრინველთა გუნდები. სადმე რტო ჩამოტყდებოდა, სადმე მხეცი გაირბენდა — ეს იყო მთის მთელი ცხოვრება.

დაუღალავად უბერავდა ცივი ქარი. თოვლის ფიფქს ხეობაში ჰყრიდა. ოდნავ შეჩერდებოდა, მერე კვლავ ჰქროდა.

ქარს ზოგჯერ შორიდან ჩანჩქერის ხმაც მოჰქონდა.

აი, ერთ მოტიტვლებულ გორაკის კონცხთან გამოჩნდა ჯერ თავი, მერე მთელი ტანი. იგი შესდგა: შორს დანისლულ მთებს მიაჩერდა და ყალიონი გააბოლა. შემდეგ ქვევით დაეშვა, ხევში ჩავიდა და მიეფარა

კარგა ხნის შემდეგ მან ისევ ამოჰყო თავი თოვლით დაძაძულ მთიდან, მეორე მთას მიაღწია და ტყე უკან დასტოვა.

კვლავ შეჩერდა, ძირს დაიხარა, თითქოს რაღაც აღმოაჩინაო, და უფრო სწრაფი ნაბიჯით წავიდა. ძალზე მოღლილი კი არ მიდიოდა, ფეხს მიათრევდა მუხლებზე ეცემოდა, ისევ დგებოდა. ცივ ჰაერს გაძლიერებული ქშენით აბოლებდა. თოვლში კაცის ნაკვალევი შენიშნა. მას გაეცინა. ზოგჯერ იგი გაბრაზებული დათვივით თვალს შეავლებდა ხოლმე მთებსა და ხეობებს. კვლავ თავს წახრიდა და მიდიოდა.

კარგა ხანი გავიდა.

ნისლი გაიფანტა.

ქარი შენელდა.

სოლომონი ისევ შეჩერდა, ოფლი მოიწმინდა და თვალი შეავლო გარინდებულ ქვეყანას, პირველი თოვლით დაფარულ მთებს, მოშავო ზოლად გაწოლილ მდინარეს, ტოტებ-დაღუნულ ნაძვის ხეებს.

რამდენი ხანია აღარა ყოფილა აქ! აი ეს მთები მისი ძველი მეგობრები არიან, და, ალბათ, თავის სიცოცხლეში მეტს ველარ ნახავდნენ ისინი ერთმანეთს. სამუდამოდ დაივიწყებდნენ, რომ ამ ძველ გზაზედ შვილის ფეხი არ დადგმულიყო.

ასე ფიქრობდა მოხუცი, როცა მან გაღმა თოვლში მიმავალი კაცი შენიშნა.

სოლომონს გული აუძგერდა, თვალში სინათლე გამოელია. წუთით ველარაფერს ხედავდა. კინაღამ წაიქცა, მაგრამ მალე ძალა მოიკრიბა, თვალი გაახილა და მთას კარგად მიაჩერდა.

ის არის! ნაცნობი სიარულია, ნაცნობი ტანი და სახე. ხელოვნურია, თოფი არა აქვს, მარტო მიდის და ხშირად გაჰყურებს მახლობელ მთებს.

სოლომონი ძლივს დაიძრა ადგილიდან. სწრაფად მიეფარა მახლობელ ტყეს. მაგრამ კვალს არ ჰკარგავდა. წყურვილი იგრძნო და თოვლს ჭაბა დაუწყო.

როგორ ამძიმებდა გული! შიგ თითქოს ზღაპრული ჯოჯოხეთია. მაგრამ მოხუცი მაინც მიდის.

ისევ აღმართი. თითქოს ქვევით ეშვებოდა ქვეყანა და სოლომონი კი არ ეაღლდებოდა, — მის ფეხქვეშ მთები იძირებოდნენ.

ალბათ, სულ ჩქარა ეს უკანასკნელი მწვერვალიც დაიწევს, მოხუცს დასაყრდენი გამოეცლება და...

მან გააფურთხა, თითქოს ამით იშორებსო საშინელ ფიქრს, ერთის წუთით თვალი დახუჭა, რომ ეს შემზარავი სურათი აღარ დაენახა.

მცირე ხეობასთან ცხენის ნალივით მოიღუნა წინწასული მგზავრის ფეხის ნაკვალევი. სოლომონმა თვალი გაადევნა. ვინ არის? დაეჭვდა. უცებ შესდგა. კარგად დააკვირდა და მთელი სხეულით კანკალი დაიწყო.

წუთით მოხუცი ქანდაკებასავით იდგა თოვლში.

ვინ არის ეს მოკუნტული, სახე-შემჭკნარი და ნაცრისფერი? ტანზე საზაფხულო პალტო აცვია, მთლად გაცრეცილი, გახუნებული. ფეხზე კი წაღები. როგორ გაუძლო? ეს ყაჩაღია? სად გაგონილა ასეთი ყაჩაღი?

— ჰო ვხედავ, ის არის ის!

სოლომონი ხეს მიეფარა, თოფი გადმოიღო და სწრაფად დაუმიზნა. მაგრამ იქ ვეღარავის ხედავდა. მთებსაც ვეღარ ხედავდა ახლა. იქ, სადაც მგზავრი შენიშნა, ბურუსი იდგა, მხოლოდ მისი თვალებიდან წამოსული ბურუსი.

თვალებს მაგრა ისრესდა, იხედებოდა, მაგრამ მაინც ვერავის ხედავდა.

„წახდა ჩემი ძველი ვაჟკაცობა", — გაიფიქრა გულმოკლულმა და თოფს დაეყრდნო. მხედველობა ისევ დაუბრუნდა. გადაიწმინდა. მგზავრის ნაკვალევიც გამოჩნდა, მაგრამ თვით მგზავრი აღარ სჩანდა.

სოლომონი ბრაზით აენთო, საკუთარ თავს მუშტით დაემუქრა და იმავ გზით ქვევით დაეშვა.

გარბოდა, ეცემოდა, ისევ დგებოდა და ისევ გარბოდა.

კარგა მანძილი გაიარა და თვალი შეასწრო მგზავრს, რომელიც კონცხის ძირას შეჩერდა, ის აღმოსავლეთით მდებარე მთას მიაჩერდა, თითქოს იქ რაღაც უჩვეულო განძი შენიშნაო, მერე უეცრად ადგილიდან მოწყდა და პირდაპირ მთისკენ გაიქცა.

სოლომონი იდგა და უცქეროდა, ვერაფერი გაეგო, რას ნიშნავდა ყოველივე ეს.

ისიც მიაჩერდა იმ მთას და ძლივს შეამჩნია დაბურულ ტყეზე გაწოლილი მომწვანო ბოლი.

კვლავ აენთო. ხარის თვალები თოვლით დაფარულ ნიადაგს მიაპყრო და უადგილო აზრმა გაუელვა:

„ჰო, უწინ ამ მთის სპეტაკ ნიადაგს მეფის ჯალათების ჩექმები სვრიდნენ, — ჩვენ დაგვეძებდნენ. ახლა კი, ეს მუნიანი ძაღლები ბილწავენ, — იქ არიან!“.

ერთი კი მოხედა თოვლზე დარჩენილ ნაკვალევს, ქვევით დაშვებულ ტყიან გორაკებს, ნისლით ამოვსებულ ვიწრო ხეობებს, წელში მოიხარა და წინ გაეშურა...

უკვე ახლოა.

როგორი ტყეა!

თითქოს დალამდაო, ისე ჩამობნელდა. ულრანი ტყის ყოველი ხე თეთრ ქოლგასავით იყო გაშლილი და ამ ვეება ტოტებში ცა აღარ მოსჩანდა.

აი, წინ მიმავალი მგზავრის ნაკვალევი. თითქოს ეს მთები პირველად გრძნობდნენ ადამიანის უცხო ნაბიჯებს: ძირს, მიწამდე დახრილი რტოები გაკვირვებულნი იშმუშნებოდნენ და თავზე აყრიდნენ მოხუცს თოვლის ფიფქებს.

სოლომონმა ბოლოს თითქოს სუნი იყნოსა, უცბად შეჩერდა, მისი ძარღვები მღელვარებას ველარ იტევდნენ.

მიმოიხედა, თითქოს საფრთხის სიახლოვე იგრძნოო, თოფს თვალი შეავლო, ძველი დრო მოიგონა, როდესაც ვაჟკაცი იყო. ყველა სხვა ფიქრს თავი წაართვა და გაბედული ნაბიჯით წავიდა წინ.

ცოტა ხნის შემდეგ მოულოდნელად ჩალრმავებულ ტაფობს წააწყდა: იქ თოვლი გატკეპნილი იყო. ჩამტვრეული კბილებივით აჩონჩხილი კლდე. მგზავრი, წინ რომ მიდიოდა, ახლა ხეს მიყრდნობია. სახე თოვლივით გათეთრებია და დიდის სიფრთხილით მისჩერებია ახლოს მდებარე ქვიან კლდეს, საიდანაც ბოლი ამოდის.

სოლომონს თითქოს მეხი დაეცაო, წაბარბაცდა და ფხვიერ თოვლზე წაიჩოქა. მაგრამ ამას ვერ გრძნობდა. მთელის არსებით შვილს შესცქეროდა. მის ყოველ მოძრაობაზე გამოუთქმელ ტკივილებს გრძნობდა, თითქოს გულში ხელი ჩასჭიდეს და ძარღვებს, როგორც ფესვებს, ძირში გლეჯენო. ხელის ფათურით ძლივს მიფორთხდა ქვასთან, გადმოიღო თოფი და შვილს მიუშვირა. კვლავ აუტოკდა მოხუცს ხელები, დაეკარგა თვალის სინათლე...

სული ჩაიდგეს ძველმა, დიდიხნის სურათებმა, სუნთქვა დაიწყეს და, აი, თითქოს აქ იყო ის: პარტიზანი ჩუმად შემოდის. სძინავს ბავშვს, ბავშვის სუნთქვა ნაზად მოისმის. ჰკოცნის, ჰკოცნის! ბავშვი იღვიძებს. მამის ბანჯგვლიან სახეს პატარა თითებს უცაცუნებს და იღიმება, იცინის. ბავშვის ნორჩი თითების შეხება ტკბილი სასმელივით ელამუნება სულს, ავსებს პირამდე, და ბედნიერი წუთები დგება...

ხანმოკლე, მაგრამ ბედნიერი... წამოიჩადრა, რომ გადახედავს, „ვაქ-კაცი შვილო“ — გაიფიქრებს ხოლმე მამა, სიხარულით გული ევსება...

შემდეგ, შემდეგ, შემდეგ...

და ახლა სად არის, სად არის შვილი? მთელი სიცოცხლის, სიხარულის პირველი წყარო?

რაღაც გაუთავებელი, სასტიკი გრუხუნით დაირბინეს მოხუცის გონებაში შვილის პირველი მარცხის შემდგომმა დღეებმა. აი, ეს გმინვა მთაში ამოვიდა, რამდენიმე მწვავე ჭრილობა მიაყენა თავის სოფელს დახესთან შეჩერდა.

სოლომონმა თვალი გაახილა და მაშინვე შვილის ხმამაღალი ძახილი მოესმა:

— ჰეი, გამოდით! აქა ვარ მე!

კლდიდან თოფებით ხელში ოთხიოდე ყაჩაღი გამოვარდა. წუთით შეჩერდნენ, მიმოიხედეს, არავინ სჩანდა.

გიგო წინ წამოვიდა, ფრთხილად მოაბიჯებდა. ორიც სხვა უკან მოსდევდა, მეოთხე კი აღარ სჩანდა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

ამ დროს მარჯვენა ჯიბეში ხელის ფათურით გამოჩნდა ნოდარი, ისევ იყვირა და გიგოს გადაუდგა:

— მე ხომ ყაჩაღების მეთაური ვარ, მე ხომ მძარცველი ვარ, მე ხომ მკვლელი ვარ?!

რაღაც კიდევ სთქვა, რაც სოლომონს არ გაუგონია. ახლა დაყოვნება აღარ შეიძლება და ორივე ხელი ჩასჭიდა თოფს:

ალბათ, ნაძარცვზე იწყება ჩხუბიო, — გაუელვა თავში, მისი გული ისე ფეთქავდა, როგორც ზღვა ძლიერ გრიგალში.

„შვილი? — ჰო, არასოდეს არა მყოლია! მკვდარი ხარ შვილო! მკვდარი ხარ!“ — იყვირა მან.

როდესაც შვილისკენ მიშვერილი ბერდანის გასროლა დააპირა, შენიშნა ყაჩაღი, რომელიც რევოლვერით ხელში ნოდარს ზურგიდან ეპარებოდა. ის იყო ნოდარისთვის უნდა ესროლა, რომ სოლომონმა ვერ მოითმინა და პირველი ტყვია მას გაუგზავნა, მეორეთი კი შვილი დასცა ძირს.

თვით სოლომონიც პირქვე დაემხო.

სანამ მამის თოფიდან გასროლილი ტყვია მოხვდებოდა, ნოდარმა თავის რევოლვერით გიგო უსულოდ დააგდო ძირს, შემდეგ ერთხელ კიდევ გაისროლა და მეორეც მიაწვინა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

თითქოს ჰაერიც კი გაიყინაო: აღარ უბერავდა მთის ცივი ქარი, აღარ ირხეოდნენ თოვლით დატვირთული ნაძვის რტოები.

სოლომონი თითქოს სიზმარში იყო: თოფი დააგდო, პირქვე დამხობილი ორივე ხელს მიწას უცაცუნებდა და შვილის მაგიერ გაყინულ თოვლს მკერდში იკრავდა.

კარგა ხნის შემდეგ თვალი გაახილა, ცას მიაჩერდა და როგორ მიაგონდა, რა ჩაიდინა, ისევ დახუჭა და ველური ქვითინი მორთო.

ბოლოს თავი წამოსწია, ყური დაუგდო: მომაკვდავის ოჯახიდან ხმა-ბოლმა წამოდგა. თითქოს ორი საფლავი ერთმანეთს გამოეხმაურაო, მოესმა სოლომონს:

პირველი ხმა: დედავ, დედავ!.. შენც კვდები, სიდო? ჩემი ტყვია ხომ შენ არ...

მეორე ხმა: ვკვდები.... ა რვიცი... შენთვის უნდა მესროლა ზურგიდან. გეპარებოდი. როცა შენ გიგოს ესროლე, მეც ზურგში მომხვდა. ვინ იყო იქ? ალბათ, ღმერთმა მესროლა ციდან, რადგან ზურგიდან გივლიდი მტერსა.

პირველი ხმა: მოკვდი, ჩაძაღლდი! შენი ამხანაგებიც აქვე არიან. ორივეს სძინავს. ერთი გამექცა. მე ყაჩაღი ვარ? მე მცარცველი ვარ? სთქვი, წამოროშე, ვინ გაავრცელა ჩემზე ეგ ხმები?

მეორე ხმა: გიგომ მოიგონა, ნოდარ! მწყურია, ვკვდები, ნოდარ!

პირველი ხმა: მოკვდი, მეც ვკვდები... მაგრამ არაფერია... ოჰ, ეთერი, ქვეყანა შენს იქით აღარ მეგონა. გვიან გავიგე: შენ თვითონ დარჩი ქვეყნის გარეშე... ეს თეთრი ნაძვები კელაპტრებივით თავს დამყურებენ, თქვენ კი, თქვენ კი... უკვე ჩაგეძინა?.. ჰეი, სიდო!.. სადა ხარ ახლა!?

— შვილო, შვილო! — აღმოხდა სოლომონს და მომაკვდავი შვილის წინ დაემხო.

— მამა, მამა! — შესძახა ნოდარმა და მომაკვდავი თვალებით მიაჩერდა. — ახლა ყველაფერი ვიცი, მამაჩემო, შენ იყავი. მართალი ხარ, ძვირფასო მამა! დამნაშავე ვარ! ყველაფერს გაიგებ, ჩემი სისუსტე იყო ჩემი უბედურება. ერთხელ ფეხი ოდნავ ამიცდა, პირქვე დავეშვი და ბოლოს ასე გადავიჩეხე. ცუდად დასრულდა. კომკავშირელი ვიყავი. გადაეცი ჩემს ამხანაგებს... მწყურია, წყალი, წყალი, მამაჩემო! მაგრამ არა. ცოტა მოიცა. არაფერია. ჩემი საფლავის მიწა, თუკი ოდესღაც ჩაიდგამს სულს, ხმას ამოიღებს, იგი შეცდომას აღარ ჩაიდენს. ახლა კი... — და ხმა გაწყდა. თვალი დახუჭა.

— შვილო, შვილო! — შემზარავად დაიყვირა სოლომონმა შვილს მოეხვია, წამოაყენა და გულში ჩაიკრა, — ოჰ, მე უბედური! მამა ვარ, მამა ვარ, შვილო! შენ ისევ ჩემი ნოდარი ხარ, ჩემი ბიჭი ხარ! იცოცხლე! ქვეყანა შენია! შენ ჩემი, მოხუცი მამის სუნთქვაც შენ გერგოს, წაიღე. იგი შენთვის ვატარე დღემდე, იცოცხლე შვილო!

— კი მამა... კი... — მამას გულში ჩასძახა ნოდარმა, მაგრამ თვალი აღარ გაუღია, აჩქარებით სუნთქავდა მხოლოდ.

მოხუცმა შვილი ხელში აიყვანა, მკერდზე მიიკრა, წამოვიდა და ველური ყვირილი ასტეხა

— ჰااუ! ჰااუ! — და ღრმა ხეობები ამ შემზარავი გმინვით აივსო.

კარგა მანძილი გაიარა. შეჩერდა. ხელში თითქოს სიცივე ეგრძნო, გული გაეკაწრა. მიხვდა, რომ აღარ სუნთქავდა. უფრო საშიში გმინვა გაისმა, უბედური მოხუცი თვით დაეცა ქვიან ნიადაგზე და ხმა ჩაუწყდა.

ჰქროდა მთის ცივი ნიავი და შორს მიჰქონდა ეს მძიმე წუთები... კარგა ხანი გავიდა კიდევ, ღამის სიახლოვე დაეტყო ცას, როცა ამ ულრან ტყესა და მთებს ადამიანთა ხმები მოესმა...

მალე ხმები უფრო გახშირდა, ზევით ამოვიდა და მიწაზე დაცემული მამაშვილის გარშემო შეიკრიბა.

— ეს რა ამბავია?! — დაიძახა ტარიელმა — მიშველეთ, ბიჭებო! ავწიოთ!..

წამოაყენეს. თავგახეთქილმა სოლომონმა თვალი გაახილა.

— ჰო, ჩემო ძმებო, შვილებო, ამხანაგებო! — სთქვა ეს და ისევ დახუჭა თვალები.

მამა-შვილი მალლა ასწიეს და წამოვიდნენ.

— გასწი, გაიარე! — შესძახა კოტემ შეპყრობილ ყაჩაღს. ველარ მოითმინა ფერდში მაგრად ჩასცა კონდახი და წინ გაიგდო.

უკვე ღამდებოდა, მაგრამ მთა თვალს არ ხუჭავდა. არ იძინებდა, კვლავ მეტყველებდა და გუგუნებდა.

თავი მეჩვიდმეტე

გაზაფხულის პირველი სხივები ოქროს სიმებად ეხვეოდნენ შუამთის მთებს.

თბებოდა მთები, თბებოდა ტყე, თბებოდა ზამთრის სუსხისაგან ჩაყინული მიწის წიალი.

წვიმებით ტანგაბანილი დედამიწა ქალწულური სურნელებით იქლინთებოდა.

სპეტაკ მკერდიდან გაზაფხული პირველ ყვავილთა ღილებს აჩენდა.

თავს იშვებდნენ და საზეიმო ხმაურით ზევით იწეოდნენ თოვლისაგან შებორკილი ნაძვისა და ფიჭვის რტოები. და ეს ხმაური აფრთხობდა ჩიტებს, რომელთა დაუსრულებლად გრძელი მწკრივები თავისებური სიტყვებითა და სიმღერებით მთებიდან მთებზე გადადიოდა.

ბღაოდნენ ძროხები, პეტელებდნენ ბატკნები, ყეფდნენ ძაღლები, — და ყოველივე ამის შინაარსი გაზაფხული იყო.

გაზაფხული, ისევ გაზაფხული, ტყეში, ველში, მდინარეში, — ყველგან და ყველაფერში!

ახლად გაშლილი ატმისა და ვაშლის ყვავილები უნაზესი, თბილი ღიმილით შესცქეროდნენ ერთმანეთს.

სოფელმაც თითქოს დაივიწყა მწვავე დღეები: დარჩა მხოლოდ სიცილ-ხარხარი, აღტყინებული შრომის სურვილი, სიყვარული.

ჭრიალით მიდიოდნენ გზაზე ურმები, დინჯათ მიაბიჯებდნენ, — ოცხნებოდნენ ხარები, ხიდთან ხვდებოდნენ ქალთა გუნდები, ყველა ისინი ილიმებოდნენ და შვებით სუთქავდნენ.

შემოუბერავდა გრილი ნიავი, დამძრალ ყვავილთა ბური დგებოდა, ფერად ფიფქებად ცას ეფინებოდა, სოფლის თავზე დანავარდობდა და შარაგზებზე ხავერდოვან ნოხებს აგებდა, რომ გაზაფხულმა უფრო რბილად გაისეირნოს...

რკინის გზის სადგურზე მატარებლის გუგუნი მოისმა. უჩვეულო ხმაური ატყდა. უამრავი ხალხი ირეოდა. შუაგულში წვეტიანი ხიშტები მოჩანდა. ხალხი დაიძრა, სოფლისაკენ გაემართა, და ხიშტებში მომწყვდეული რამდენიმე თავდახრილი ადამიანი გამოჩნდა.

ენაჩავარდნილი მიდიოდნენ ისინი. ცნობისმოყვარე ხალხის დაუსრულებელი ლაპარაკი ესმოდათ, არც კი სურდათ ხალხის დანახვა, და უიმედო ცივი თვალებით მიწას დაჰყურებდნენ.

სოფლის ბავშვები, როგორც ჩიტები, შეკრებილიყვნენ მცირე გუნდებად, მილიციის სახლისაკენ მიმავალ ხალხს წინ მიუძღოდნენ, გარბიგამორბოდნენ და მთელს სოფელს ხმაურით ავსებდნენ:

— ცხვირ გაჩეხილი პავლია შარაძე!

— აქეთ, აქეთ!

— მოდით, ბიჭებო!

— ყველანი აქ არიან!

— გაუმარჯოს უცხო სტუმრებს!

— რამდენი ხანია აღარ გვინახავს!

მიაღწიეს მილიციის სახლს, შეჩერდნენ და ტუსაღები შიგ შეიყვანეს. ხალხის ჩოჩქოლი კვლავ გრძელდებოდა.

ამ დროს გამოჩნდა ზევიდან მომავალი გიორგი. ჯოხით ხელში აჩქარებით მოაბიჯებდა, შეგროვილ ხალს მიუახლოვდა.

— მე ვამბობ, რომა... — მიმართა მან ხალხს, — სამუშაო ხომ არ დაგავიწყდათ? აქ რას უდგეხართ?

ლაპარაკი შეწყდა. ყველანი გიორგის მიუბრუნდნენ. ერთი მათგანი წინ გამოვიდა:

— ეს როგორ მოხდა, გიორგი? ხალხი გავასახლეთ და ისევ აქ მორეკეს?

— ნუთუ ვერ გაიგეთ? — ხმამაღლა დაიძახა გიორგიმ, — იმიტომ გავასახლეთ, რომ კულაკები იყვნენ. იმიტომ მოვიყვანეთ, რომ აქაურ ცოდვებზე პასუხი აქვე გაგვცენ. ხალხნო! ხვალ გამსვლელი სესია გვექნება... გაიგეთ! ახლა გვეყოფა, წავიდეთ და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ახლა ეზოები გამოცოხლდა, დიდი და პატარა, კაცი და ქალი, მომავალ გასამართლებაზე ლაპარაკობდა.

სდუმდა მხოლოდ სოლომონის პატარა სახლი, პატარა ეზოს სახლი, გვერდში ჩასაფრებული პატარა ბაღი.

სოლომონი პირაღმა იწვა და ღია თვალებით ჭერს შესცქეროდა. იგი არ იძროდა. არ კვნესოდა.

სადღაც იქ, წერტილი იყო, რომელიც თითქოს ყველაფერს საზღვარს უდებდა და რომლის იქით გადასულთა კვალი არ სჩანდა.

დიდხანს უცქეროდა იმ წერტილს, სუნთქვაც კი უჩერდებოდა. მან ჩაახველა, გვერდზე გადაბრუნდა, — ღია ფანჯრიდან გაზაფხულის სუნთქვა მოესმა.

სოლომონმა ველარ მოითმინა, თავი ასწია და ლოგინზე წამოჯდა. გრილი ნიავი შეეპკურა მოხუცის გამხდარ, უფერულ სახეს. უფრო გათამამდა, ზეზე წამოდგა, ტანთ ჩაიცვა და ძლივს წვალებით ფანჯარასთან მივიდა.

ჩამოჯდა.

აი, ქვეყანა: იგივე მთები, იგივე ტყეები, თეთრი ბაღები, ადამიანთა შეძახილი, სიმღერა... ეს ხომ მთელი ოკეანეა, რომლის სიღრმეს და სიდიდეს კაცი ვერ მისწვდება, რომლის საიდუმლოს ადამიანი მთელის სისრულით ჯერ კიდევ ვერ ხედავს.

სოლომონმა ფანჯრის თაროზე თვალი მოჰკრა შავკანიან რვეულს. ხელში აიღო: „დღიურის ასლი“ — „ჩემი სამბავი“, — ამოიკითხა. დღეს უკვე მეასეჯერ ფურცლავდა რვეულს და კითხულობდა. სულ ბოლოს თემურის მიერ მიწერილი იყო „ჩემი დამატება“. იგი სწერდა, თუ როგორი იყო ამ ამბის გაგრძელება.

სოლომონს რვეული ხელიდან გაუვარდა. თითები ნერვიულად შეუთამაშდა, საკუთარი უძლურებისა თვითონ შეეშინდა, ფანჯარაზე შუბლით მიეყრდნო...

მოულოდნელად ოთახში შემოვიდნენ გიორგი და ტარიელი. ლოგინს მიაჩერდნენ. არავინ იყო. და როცა ფანჯარასთან სოლომონი დაინახეს, სიხარულის სხივებით აივსო მათი თვალები.

მივიდნენ და მომღიმარი სახეებით უხმოდ ჩამოჯდნენ.

— ვაჟკაცი იყავი, სოლომონ! შენ ისევ ჩვენი ხარ. ხომ ხედავ, გარეთ რა ხდება? შეხედე!..

სოლომონმა თავი მძიმედ ასწია.

მეგობრის იმედიანმა სიტყვებმა გამოაფხიზლეს, ძალა შემატეს.

— ჰო, თქვენა ხართ? გმადლობთ. მე უთქვენოდა რაღა ვიქნები?!

— შენ ხომ იცი, — სოლომონ, — ჩაერია გიორგიც, — რომ ჩვენ ქვეყნის საქმეს ვაკეთებთ. ქვეყანას ვაშენებთ. აი, შეხე, ესეც ხომ შენი შვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია, მეორე შვილი? — და მან ლია კარიდან წიგნებითა[illegible]ულ პატარა თემურისკენ თითი გაიშვირა.

უკვე მოდის? — სთქვა სოლომონმა და სახე გაეხსნა, — სკოლის შემდეგ აღარ მშორდება. დიახ, ეგეც შვილია.

— მოდი, თემურ! აქა ვართ ჩვენც! — ღიმილით უთხრა ტარიელმა ოთახში შემოსულ ყმაწვილს. თემურმა გაიღიმა.

გიორგი წამოდგა, მეორე ოთახის კარი შეაღო და შიგ შეიხედა: იქ არავინ არ იყო, ისევ შემობრუნდა, სოლომონს ჰკითხა:

— სად დაიკარგა? სად არის იგი?

სოლომონი მიხვდა, ვის დაეძებდა გიორგი, და მოკლედ მიუგო:

— ნულარ დაეძებთ... ხმას აღარ იღებს. ნულარ დაეძებთ.

— არა, მოვძებნით. მე ვამბობ, რომ აგრე არ იქნება! — ეს სთქვა, სახლის უკანა კარი გააღო და გარეთ გავიდა.

მალე თავდახრილი ირინე შემოიყვანა და სთქვა:

— ღობესთან იჯდა და მიწას ჩაჰყურებდა. კაცნი ვართ, უნდა ვიცოცხლოთ...

— ჩხირივით გამხდარი დედაბერი ტახტზე ჩამოჯდა, იატაკს თვალი მიაშტერა და ძლივს დაიწყო:

— მე რა მიჭირს, მე ხომ... — და სიტყვა გაუწყდა.

— ხომ არ გაგიჟდით, — შესძახა აღელვებულმა ტარიელმა და ზეზე წამოდგა. — მაშ დაიხოცეთ, გათავდით ყველანი! რამდენჯერ უნდა გაგიმეოროთ: ეს იყო უკანასკნელი ტკივილების ძახილი მთაში, ახლა მხოლოდ სიხარულის ძახილი გვესმის, გაიგეთ, რომ იგი ქალაქშია, საავადმყოფოში, იქ მეორეჯერ გაუკეთეს ოპერაცია. აი, მორჩი და თვითონ წაგიყვანთ. შენ თითონ ნახავ, ახლა კი მშვიდობით!

— ჰო, მოიცა, ტარიელ! — თითქოს ამ შეპირებამ ძალა შემატაო, — შეაჩერა იგი სოლომონმა. — წამიყვანეთ, თქვენთან წამოვალ, ტარიელ! — და ღონემიხდილი. წელში მოხრილი მოხუცი ზეზე წამოდგა, გაშლილი ხელებით მეგობარს მივარდა.

— სოლომონ! — თითქმის ერთხმად შესძახეს მეგობრებმა და სახე გაუბრწყინდათ.

— აქ არ შემიძლია, წამიყვანეთ, ძმებო! თქვენთან წამოვალ, თქვენთან სიკვდილიც უფრო ტკბილია, ჰო, დამიჯერეთ, წამოვალ, ძმებო!

— კარგი, წავიდეთ. ჩემო სოლომონ! წავიდეთ! — სთქვა ტარიელმა, ხელი მოხვია და წავიდნენ.

ეზო გაიარეს, თემშარაზე გავიდნენ და ქვევით დაეშვნენ.

სოლომონი აქამდე თითქოს ჭურში იყო და ზევით ამოვიდაო, მის გაფითრებულ და გამხდარ სახეს ნიავის ფრთები ებმებოდა.

აი მივიდნენ.

მდინარის მახლობლად გარღვეული მიწა მზეზე თბებოდა, იქ ასამდე კაცი მუშაობდა, მიწას ასწორებდნენ, თხრილებს იღებდნენ და მომავალი თეატრის საძირკველს ჰყრიდნენ...

იქ იყო მთელი სოფელი, გენოც კი, რომლის სიზარმაცესაც ხალხის ძალამ ბოლო მოუღო. ის გააფთრებით ურტყამდა ბარს და თითქოს ცოცხლად მიწაში მიძვრებაო, თავს არ იღებდა.

სოლომონი ახლოს მივიდა, ერთ ახალგაზრდას ბარი გამოართვა და სახეგანათებულმა სთქვა:

— ჰო, მეც მინდა ერთი ქვა ამოვთხარო იმ ნიადაგში, რომელზედაც ჩემი შვილები, თქვენთვის უფრო დიდი მომავალი შენდება.

ეს სთქვა და მიწა მოთხარა, შორს გადისროლა.

...ცა ჩამობნელდა.

ხალხი დაიშალა.

და კვლავ სამნი ერთად წავიდნენ.

შუაში სოლომონი მიაბიჯებდა.

ახლადაგებული წისქვილი ნახეს. ვეებერთელა, თეთრი დოლაბები ერთად გრიალებდა. მეწისქვილე ონოფრეც ახლა იქ იყო: იჯდა თავისთვის გალაქულ ტახტზე და სიამით უსმენდა დოლაბების გრიალს, როგორც სიცოცხლის გამაძლიერებელ, განმაახლებელ მუსიკას. წვერს ისწორებდა, თბებოდა.

ახლა ზევით წავიდნენ.

გუჯარეთის ახლადაგებულ ჰიდროელსადგურიდან მიღებული დენით განათებულ სოფელს დააცქერდნენ. ტყის პირას დაინახეს ქალების ჯგუფი, ქალებს ნაყანევი ველი გაეწმინდათ, ხმელი ჩალისაგან ვებერთელა კოცონი დაენთოთ, ირგვლივ უვლიდნენ, კისკისებდნენ და ნაირ-ნაირ სიმღერას ცეცხლს ჩასძახოდნენ.

ეს სამი მეგობარი, ვით მთის სამი არწივი, ერთ ვეებერთელა ქვაზე ჩამოჯდა. ორმა ჩიბუხი თამბაქოთი გატენა, ხოლო ტარიელმა ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო, ცეცხლს მოუკიდეს და გააბოლეს. არცერთი მათგანი არაფერს ამბობდა, თითქოს ყველაფერი თავისთავად ლაპარაკობსო, და მოხუცმა სოლომონმა ახლა გაიგო, ეს სანახევროდ მოხუჭული, ბებერი თვალები ისევ სიცოცხლის გზატკეცილზე რომ ანათებდნენ.

დიდ სიჩუმეს არაფერი არ არღვევდა, მადიანად სწევდნენ თამბაქოს და ლურჯი ბოლის ხვეული ფერმკრთალ ცისკენ მიიკლაკნებოდა.

პირველი წიგნის დასასრული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკოფ აკოფიანი

შირაკანალი

მოვსულვარ!
მოვსულვარ, რომ ერთის სუნთქვით გიმღერო
ის წკრიალა სიმღერა,
რომელიც ჩაგოასხეს შენმა პოეტებმა —
შვიდას შვიდ დღეში...
მოვსულვარ, რომ სალამი მივცე
იმ მშვენიერ ადგილებს,
სადაც წლის წლობამდის მხოლოდ ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ.
მოვსულვარ!
მოვსულვარ, ვეამბორო იმ დედამიწას,
საიდანაც რძე და თაფლი უხვად მომდინარებს.
შირაკის არხო!
დაიხსომე, რომ შენ წარმოგშვა
ათასი ადამიანის ოფლმა
და ეს მდინარედ ქცეული ოფლი — სიმბოლოა შრომისა.
შირაკის არხო!
შენ მოგისმენია ათი-ათასების მიერ დარტყმული წერაქვის სიმღერა.
სიუხვის ჰიმნი ქუჩებზე დაგციმციმებს
და საძირკველს უგდებს ახალ ცხოვრებას.
შენის მინდვრებიდან მომაქვს დიდი სალამი,
სამხიარულო ჰანგები;
მე მომაქვს აღტაცება ყველა ერისა და...
მთელი ქვეყნის პოეტებისა.

1

ბოლშევიკია შირკანალი ბრგე და ზღაპრული,
ის არფაჩაის სათავიდან წყალს სვამს გემრიელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი ჩაურგავს გამარჯვებულ ცივ მდინარეში,
კუდით მიჰკვრია კაპსის[1]) უბეს, შორს ისვრის ტალღებს.
ო, დიადია შირკანალი ნაზი, მხიბლავი;
ჩაჰხუტებია შირაკის ველს ორივე თათით,
ვით შეყვარებულს ბევრი ნატვრა უგორავს გულში,
ტრფობა და შური უნატვრია ათას წელიწადს.
მის შინასკნელში საიდუმლო ღელვაა მხოლოდ.
სხეული ვნებით უცახცახებს, მტკიცედ ზღვაურად, —
და ვისაც ჰხედავს თავის სვლაში, უცნობს თუ ნაცნობს,
ყველას წანწკარით ესალმება: „ჩემი სალამი“!

2

ბოლშევიკია შირკანალი... ეს მწირი ველი,
რომელიც ოდით ქვრივად იყო შიშველ-ტიტველი,
დღეს პატარძალს ჰგავს შეყვარებულს და მორთულია
ხასით, ხავერდით, აბრეშუმით, ზარით, ზარბაბით.
მომხიბლავ რხევით და ვერცხლისფერ ზოლის მიზიდვით
შორს გაწეულა ეს ქსელები შირკანალისა.
ისე ჩაჰკვრია და ისე სწოვს მიწის ტუჩს ხარბად,
რომ მისი კოცნით მთელი მიწა იძვრის, ზანზარებს.
არც ერთი დაბა და სოფელი მიწა, მინდორი
ამიერიდან გვალვისაგან აღარ იკვნესებს.

3

ბოლშევიკია შირკანალი... ამ დროის გმირი...
ვისაც ეს გმირი არ უნახავს, მოდით და ნახეთ.
აფეთქებული იერიშის ნაღმებისაგან
სჭექს არაფშაის თვალშეუდგამ მწვერვალებიდან,
სჭექს გვირაბებით შენავთული კიდით-კიდემდე,
შრომის გმირებმა ასე უთხრეს შირაკის არხსა:
„საითაც ხელი გაიწვდინო — გაჩნდეს სოფელი,
საცა გამოჩნდე — გაგიმრავლდეს ნორჩი თაობა,
მწყურვალემ შეგსვას, იარამაზს[2]) კუჭი გაუძღე“.
ასეთი გახლავთ შირკანალი, გუმბრელი ბიჭი,

---

[1]) კაპსი — სოფელია შირაკის ახლო.

[2]) იარამაზი — აქ ღარიბ-ღატაკად იგულისხმება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმართმოყვარე, დარდიმანდი, გულგადაშლილი.
მოსიყვარულე, მოქეიფე, ამოხმიანი.

4

ბოლშევიკია ქედფიცხელი შირაკის არხი,
ირგვლივ სოფლები ჩაუკვრია მთრთოლავ უბეში.
შემოულობავს სისხლმჩქეფარე ძარღვების დენით;
უნდა იზრუნოს ერთმა კაცმა ათასებისთვის
და ათასებმა ერთისათვის იზრუნოს უნდა,
ჰა! კაპსი მთაზე წამომდგარი მწყემსივით ჰკივის:
„ყური დამიგდეთ ჩემი წყლის ხმა მანდ თქვენსკენ მოდის!“
და პოლიგონი ქალწულივით გაჩერებულა,
ელის, კისკისებს, რომ მოვიდნენ და შეიყვარონ.
წინამასწარა ორთაქლისას უღელავს გული,
სიხარულისგან სუნთქვა ეკვრის, არ ესმის უპუ.
ცელქობს თოფარლვა, თვალს ჩაუკრავს მაღალ ყონაღრანს
და ცნობიერი ქაჯნაზარა უხმობს მეზობლებს [1])
ასე სოფლები ხმას აძლევენ ერთიმეორეს
დუზაქიანდი, ქაფანაკას ეხმაურება,
ილხიაბის ხმას თაფდოლაღი ლხენით იტაცებს.
ასე, ერთმანეთს ესიტყვება მთები შორიდან:
გზა! წამოვიდა ძარღვმაგარი შირაკის არხი,
გზა! წამოვიდა შირკანალი, სომხეთის გმირი!

5

მერე რა ფაჰმი, რა სანთი [2]) აქვს ამ გმირს, ბოლშევიკს,
შირაკის წელი შემოუკრავს კაპსით ნალივით.
უნდა ჩანჩქერი დაიფანტოს არაფჩაიში,
რომ ჰიდროფიკაცს გამოჰგლიჯოს ბრძოლით ძალღონე.
ვინ არის იგი, ვისაც ღონე უქია ძველად?
შირაკის არხი ლომს ჩამოჰგავს ძალით ძლიერით,
რომელსაც მთვარის ფაფარი აქვს, ქაფის ხავერდი.
სინათლის ფრთებით, უნდა მორთოს ყველა სოფელი,
ძილი დაუფრთხოს დინამოს ხმით წყვდიად ქოხმახებს.
დე, ამ ელექტროს ნემსებმა სთქვან, რომ სოფლისათვის
უნდა გაკეთდეს კვლავ ბევრი რამ ალალი შრომით.

---

[1]) კაპსი, პოლიგონი, ორთაქლისა, თოფარლვა, ყონაღრანი, ქაჯნაზარა, დუზაქიანი, ქაფანაკი, თაფდოლაღი, ილნიაბის — შირაკის ირგვლივ მდებარე სოფლებია.

[2]) ფაჰმი და სანთი — შნო, უნარი, მოხერხება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შირ! ლომისავით მოღრიალე ახალგაზრდაა,
ოგი მომავალ სომხეთისთვის სინათლეს აფრქვევს.

6

შირაკის არხი, შნოიანი, ღირსებით სავსე,
ვით მეჯინიბეს ხელთ უჭირავს შუქის აღვირი,
რომ ააღელვოს ნათესების ფხა პოხიერი,
ფაბრიკები და წისქვილები აამოძრაოს.
და დედამიწა ნიადაგად გაქვავებული
უნდა ამღერდეს შრომის მძლავრი აგუგუნებით.
ო, ბევრი ცრემლი დაუღვრია შირაკს თვის დროზე,
დღეს სავსე ფილტვით უნდა მაგრად ილაპარაკოს,
ო, ბევრი ჭირი განუცდია უცხო წნეხის ქვეშ,
მაგრამ დღეიდან უნდა შექმნას თავის ცხოვრება.
ვინ იცის კიდევ რაოდენ ცრემლს უნდა ჩაევლო,
ვინ იცის კიდევ როგორ უნდა დატანჯულიყო,
რომ მის გასაჭირს თავის დროზე არ მოსწრებოდა —
შირაკის არხი, ეს სომხეთის ბრგე ბოლშევიკი.

ეპილოგი

ვენაცვალე მე იმ დღეს, ვენაცვალე იმ საათს,
როცა კიდევ ველირსე შირკანალთან მასლაათს,
ვნახე მისი ტკივილი, როს პირველად გათხარეს.
ეხლა რა შეედრება ამ ბაღებს და ამ მხარეს!
ირგვლივ ყვავილნარია, ხეივნები საამო,
და სინათლის ეკლებსა დაუცხრილავს საღამო.
ვარსკვლავების ჯადოწრეს ცაში გააქვთ თარეში,
თითქოს გადავინაცვლე სადღაც ზღაპრულ მხარეში.
აქ ქარხნების მილები მხიარულად ჰკივიან,
აქ ალისფერ ალების ცეცხლია და სხივია.
ტყე ირხევა საამოდ სიოს ნაზი შებერვით,
სიჯეელეს შეიგრძნობს თვით მიხრწნილი ბებერი.
შირკანალი სომხეთის გმირი ბოლშევიკია, —
და მე, მისი მგოსანი, ვაქებ, როგორც მიქია.

სომხურით თარგმნილი
ი. გრიშაშვილის მიერ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლ. მაიაკოვსკი

საუბარი ფინინსპექტორთან პოეზიაზე

ფინინსპექტორო!
მაპატიეთ რომ შეგაწუხეთ.
ო, მადლობთ, მადლობთ...
არ დავჯდები...
ხელს ხო არ გიშლით?..
ერთ დელიკატურ
შეკითხვაზე
გთხოვთ მიპასუხოთ.
რა ადგილი აქვს
ნეტავ პოეტს,
მუშების რიგში.
ვისაც საკუთრად
გააჩნია
დუქანი, ბახჩა,
მეც იმათ შორის
დაბეგრილი ერთი კაცი ვარ.
ითხოვ ექვს თვეში
გადვიხადო
ხუთასი ნაღდათ
და ოცდახუთი
რომ არ მოგეც დეკლარაცია.
როგორც სხვა, ისე
შრომობს
ჩემი აზრი,
მარჯვენი.
გამოიკვლიეთ რა დავკარგე,
რა რიგ გამცალეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემ წარმოებას
რანაირი
მოსდევს ხარჯები,
და ან რამდენი
დასჭირდება კიდევ მასალას.
გეცოდინებათ,
უეჭველად,
მოვლენა—„რითმის“.
ვთქვათ,
რომ ბოლოში
სტრიქონს უზის
ეს სიტყვა—„დასცა“
სტრიქონში შემდეგ
კიდევ ბევრი
მარცვალი ითქმის
ბოლოს კი უნდა
ვნახოთ რამე
„ლამცადრი—ცაცა“.
და თქვენებურად რომ ვთქვათ
რითმა—
არის ვექსელი,
სტრიქონის შემდეგ
განაღდებას რომ მუდამ უცდის,
საჭირო მარცვლის მოპოებას
ტყვილა ეცდები,
გრამატიკული
მიმოხვრების
ცალიერ ყუთში.
აიღებ სუტყვას,
სდებ სტრიქონში,
ის გარბის განზე,
აღარ ეტევა, ხელში ტყდება,
თუმც ასე გიყვარს,
ფინინსპექტორო,
პატიოსან მე სიტყვას გაძლევ,
რომ ყოველ პოეტს
„ოთუსბირად“ უჯდება სიტყვა.
და ჩვენებურად—
რითმა დენთით
სავსე კასრია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასაფეთქებლად
ანთებული
ზონარი—ბწკარი.
დაიწვის ბწკარი,
აფეთქებით უცებ დაცლიან.
და როგორც ტაეპს
ქალაქებსაც
წაიღებს ქარი.
რომელ ტარიფით, სად შეიძენთ,
რითმა აღარ სჩანს,
დამიზნებით, რომ ჰკლავდეს
მისი ნატყორცნი ელვა.
ჯერ არ ნახული,
მხოლოდ ხუთი
რითმა თუ დარჩა,
და ისიც სადმე
ვენეცუელას.
ყინულეთში და
მზისკენ მინდა
გზების გაგნება,
ავანსების და სესხის ქსელი
თუმც დამეწია
ბილეთის ფასი
აღმირიცხე, ამხანაგებო!
უცნობ მხარეში ხეტიალად
ვთვლი პოეზიას.
და რადიუმის გრამიანი
რომ ჰპოვო ხრეში,
წელიწადების შრომას ითხოვს
ეს მცირე წონა.
ასევე სიტყვა
შესაფერი
რომ იგდო ხელში
სიტყვიერ მადნის იხარჯება
ათასი ტონა.
დამფერფლავია
მაგიერად
ეს სიტყვა მწველი
და ნედლეული—სიტყვა
იმას რაღას გაუძლებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი სიტყვა ამოძრავებს
ათასი წელი
მილიონ გულებს.
ერთურთს არ ჰგვანან,
პოეტები სხვანაირია,
მრავალი არის მსუბუქად რომ
ლექსებს იგონებს,
და ჯამბაზივით
ამოიღებს
უცებ პირიდან,
როგორც მოპარულს,
ისე თავის იოლს სტრიქონებს.
სიტყვად არა ღირს
ლირიკული ცვედნების ჯარი
ჩადებს სხვის სტრიქონს
ბედნიერი,
ეძლევა ლხენას.
ჩვეულებრივი
ეს ქურდობა,
გაფლანგვა არის
ჩვენ ქვეყანას რომ
მოსდებია
საშინელ სენად.
და ეს ლექსებით
და ოდებით მრავალთა გარჯა.
დღეს ტაშის ცემით
და ბღავილით ნაქები ჯორმა,
ეს დააწვება
მომავალში
ზედნადებ ხარჯად
მას, რაც შევქმენით
სამმა თუ ორმა.
უნდა იგემო,
რომ იტყვიან,
ფუთი მარილი
და გააბოლო
პაპიროსის ასეულები,
რომ მო-პოვოთ
ეს ძვირფასი, სიტყვა ფარული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არტეზიანულ წიაღიდან
ხალხის გულებში.
გადასახადი
არ იქნება
მაშინ ასეთი,
ნოლის ბორბლების
საჭიროა
ახლა დახევა.
პაპიროსი ღირს ასეული—
ორი მანეთი
მარილში კიდევ
თხოულობენ მანეთნახევარს.
ბევრ კითხვიანი
ეს ანკეტა
სწორი ვერ არი
მკითხავ: სად ვიყავ?
ან რამდენ ხანს ვიჯექი სახლში?
მაშინ რას იტყვი,
თუ დავლუპე
ათი მერანი
ამ უკანასკნელ
15 წლის
განმავლობაში.
ერთი მომხედეთ,
მოისმინეთ ჩემი ხმაურიც.
თქვენ სულ
ფარეშის
და ქონების კითხულობთ განხრით.
და მაშინ რაღა,
თუ მე ხალხის ვარ მეთაური
და ერთდროულად
მსახური ხალხის?
კლასი
ღალადებს ჩვენი პირით
და არ გაძინებს,
ვმუშაობთ კალმით,
იარაღი
კალამი არი;
მანქანა სულის
იცვითება
დროთა მანძილზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიფიტე—
გიყვირიან—
ჩაბარდი არქივს!
სულ უფრო ნაკლებ
უყვარს გულს და ნაკლებსაც ვბედავ,
რა დაუნდობლად
ამსხვრევს ამ შუბლს
დროება რთული
ამორტიზაცია საშინელი
რომ მოდის ვხედავ
ამორტიზაცია
სულის და გულის.
მსუქან ბურვაკად
როს დადგება
მნათობი ცაზე
და არ იქნება
დავრდომილი
და გლახის ჩვრები,
მაშინ დამპალი
მე ვეგდები
ყორესთან სადმე
და გვერდზე იქვე
ათეული
კოლეგა ჩემი.
სიკვდილის შემდეგ
შეაჯამეთ
ბალანსი სწორი,
მე ვამბობ მართალს—
დარწმუნდება ყველანი მაშინ,
რომ გაიძვერა
და საქმოსან
მუშაკთა შორის
ერთი ვიქნები
ჩავარდნილი
ყელამდე ვალში.
საყვირის ხმებით
არემარეს უნდა
მოვედვათ
მეშჩანურ ბურუსს
გრიგალების დაურთოთ წიხლი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნის წინაშე
მოვალეა
მუდამ პოეტი,
სევდაზე იგი
სარგებელს და
ჯარიმას
ვალში ვარ იხდის.
თქვენთან,
ბროდვეისის ლამპიონიავ,
და თქვენთან კიდევ,
მოწმენდილო, ბაღდათის ზეცავ,
წითელ არმიავ,
ალუბლებო იაპონიის
და მისი რაც ჯერ
ვერ შევძელი
რომ დამეწერა.
იკითხავთ იქნებ,
რად დაგჭირდათ
ასეთი ხვედრი?
რითმის მიზნება,
ან რიტმები რისთვის არისო?
პოეტის სიტყვა
არის თქვენი აღდგომა მკვდრეთით
და უკვდავება
მოქალაქე კანცელარისტო.
საუკუნენი წავა,
მაგრამ ეს ნუ გაშინებს,
აი, ეს ბწკარი
დააბრუნებს ამ წლებსაც ელვით,
ფინინსპექტორით
გაცოცხლდება
ეს დღე მაშინვე,
სასწაულების ელვარება
და სუნი მელნის.
დღევანდელ დღესა,
ერთი სინჯეთ და დაეხსენით,
„ენკაპეესში“
უკვდავების
მიიღებთ ბილეთს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იანვარიშეთ მოქმედება
ჩემი ლექსების
და სამას წელზე
ჩემი ქირა გაანაწილეთ.
პოეტის ძალა განა მარტო
ამაში ითქვა,
რომ მოგონება
დავ-წყებას
სლოკინით დახევს,
არა, ამ წუთშიც
პოეტური
რიტმი და რითმა
არის ალერსი
და ლოზუნგი,
ხიშტი და სახრე.
ფინინსპექტორო, ხუთს გადვიხდი
ბუგინდ ამ დილით,
მხოლოდ ამ ციფრეფს
მოაცილეთ
ნოლების რგოლი,
სრული უფლებით
მეც მეკუთვნის
მცირე ადგილი
ამ ულარიბეს
მუშების და
გლეხების შორის...
თუ თქვენ
გგონიათ ეს ქმედობა
და ჩვენი საქმე
სხვისი სიტყვების
ხარჯვაა თითქოს.
ამხანაგებო,
მე დაგითმობთ
ამ ჩემ შტილს აქვე
კეთილ ინებეთ,
დასწერეთ
თვითონ!

მთარგმნელი **მიქელ პატარიძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. ჭუთათელი

პირისპირ

ისევ აივანი და სალაყბო [1])

„ცხოვრება რასელ-სკვერზე, ბლუ სბერში მიმდინარეობდა ისე, თითქო ევროპაში სრულიად არაფერი არ მომხდარიყოს. ლეიციგიდან დახევას არავითარი ცვლილება არ შეუტანია იმ ნაირკერძთა რაოდენობაში, რომელიც მისტერ სუმბოს მოჰქონდა ბუფეტიდან. მოკავშირენი საფრანგეთში შეიჭრნენ, მაგრამ ხუთ საათზე, სადილისათვის მიჩნეულ ზარს რეკდნენ სრულიად ისევე. როგორც ჩვეულებრივ“...

ულიამ მეიკპსის ტეკერეი: „ამაოების ბაზრობა“. ტ. I, თ. 11.

ტერეზა, იონა, კორნელი და მაყაშვილები აივანზე ისხდნენ. ჩაის სვამდნენ და ზემოიმერულ ხაჭაპურებს სვამდნენ. ძალიან მოსწონდა ვარდოს ხაჭაპური, ტერეზას ეხვეწებოდა: როგორ აკეთებ, მასწავლეო.

— რთველის შემდეგ ტფილისში ჩამოვალ. პურის ფქვილი და უმარილო ყველი თუ ვიშოვე, ხაჭაპურს არ მოგაკლებთ.

— ფქვილსა და ყველს როგორ ვერ ვიშოვით?

— თქვენებური ყველი არ გამოდგება. ჩვენებური ყველი უნდა...

— ბაზარზე იმერეთიდან ჩამოტანილ ყველს, ქათმებს და სამტრედიის გოჭსაც ვიშოვნით.

— ვერ წარმოიდგენთ, ქალბატონო ტერაზა, რამდენად სჯობია იმერული ქათამი და გოჭი კახურს. — ჩაერია ქალთა საუბარში ესტატე.

— თქვენ ქერს აჭმევთ ფრინველს, ჩვენ კი სიმინდს და იმიტომ სჯობია, ბატონო ესტატე!

---

[1]) დასაწყისი იხ. „მნათობი“ №№ 4, 6-7, 8-9, 10

— ვითომ ეგ არი მიზეზი?

— საქმე კვებაშია, რაღა თქმა უნდა! სასუქ ინდოურს ჩვენ ცალკე ვამწყვდევთ. ჭადის ცომს და ნიგოზს ვაძლევთ, ვაყლაპიებთ, და ქალთ ვატენით ხახაში. ასეთნაირად გასუქებული ინდოური მინახავს: ცარიელი ქონი ყოფილა. აი, ასეთი ინდოურის საცივი უნდა ნახოთ როგორია, — აუხსნა ტერეზამ ესტატეს.

— განა მარტოკა საცივი! შეკაზმისა და შეჭამანდის მხრივ აღმოსავლეთი საქართველო ვერ შეედრება დასავლეთს, — შენიშნა ესტატემ.

— რატომ? განა ხინკალი და ბოზბაში ნაკლები საჭმელია? — არ დაეთანხმა ვარდო, ნერწყვი მოადგა და მსუქან ტუჩებზე ვარდისფერი ენა მოისვა.

— ლუარსაბივით არ გავჭირვეულდები, მაგრამ მე მგონი ხინკალს მაინც საცივი სჯობია, ჩემო დარეჯან!

— ხინკალს გააჩნია, — შეედავა ვარდო. — თუშური ხინკალი გიჭამია? განა არ გახსოვს, დედაჩემი როგორ ხინკალს აკეთებდა? დედაჩემის ხინკალი თვით ილია ჭავჭავაძეს უჭამია თელავში და უთქვამს: უკეთესი არსად მინახავსო. მე თითონ მახსოვს: დაჯდებოდა და სიცილით ეტყოდა დედაჩემს: დღეს ორმოცი ცალი ხინკალი უნდა შევჭამოო.

— ილია გინახავთ, ქალბატონო ვარდო? — შეეკითხა ილიას მათაყვანებელი იონა აღტაცებით ვარდოს და უცნაური, უცნობი წვრილმანი ილიას მიერ ხინკალის მოწონების შესახებ მცხოვანი მწერლის სხვა თვისებათა აღნიშვნით შეიცვალა, რომლის უეჭველობაში ჩვენ პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებთ.

— როგორ თუ მინახავს? ილია ჩვენი ნათესავი: მამაჩემის ბიძაშვილი იყო. ძლიერ უყვარდა ჩვენსა მოსვლა. მახსოვს, ჩვენს დარბაზში ხშირად იმართებოდა კარტის თამაში. მამაჩემი შეძლებული თავადი იყო და ნასწავლი კაცი. ტფილისიდან ჩამოსდიოდა სტუმრები. ილია მუხლზე დამისვამდა, მეფერებოდა, დედაჩემს ეხვეწებოდა: ვარდოს მშობლიური ენა არ დაავიწყოო.

— ამბობენ, ილია დედაშენს ეაშიკებოდაო! დედაშენი მეტად ლამაზი ქალი ყოფილა, — გაეხუმრა ცოლს ესტატე.

— რას მიჰქარავ! — იწყინა ვარდომ — ილია ჩვენს სახლს თუ ეტანებოდა, ეს იმიტომ, რომ დედაჩემი მისი ნათესავი, სტუმართმოყვარე და განათლებული ქალი ბრძანდებოდა, საფრანგეთში ნამყოფი, მწიგნობარი, მოწინავე იდეების მიმდევარი. იგი კარგად იცნობდა ვოლტერს, რუსოს, განმანათლებლებს. თავისუფალი სიყვარულის და ქალთა უფლებების დამცველი იყო და ამის გამო მამასთან დავა და უკმაყოფილება ჰქონდა.

რადგან ვარდო დედისა და მამის — თამარ და სანდრო მამაცაშვილების ქებას მოჰყვა, ამიტომ ტერეზამაც გამოიდო თავი, თავი არ დააჩაგვრინა ვარდოს და მანაც მოიგონა თავისი მშობლები: დარეჯან და არჩილ

მდივნები. დედაჩემი სოლომონ მეფის სარდლის პაპუნა წერეთლის შვილიშვილი იყო... მზეთუნახავი და მწიგნობარიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაპართა და მშობელთა ქება-დიდება, მათი სილამაზისა, სიმტკიცისა და გმირობის, სიბრძნისა და სულიერ თვისებათა ზღაპრული გაზვიადება თავად-აზნაურთა უკურნებელი სენი იყო. როგორც ჩვენი ქვეყნის ციხე-სიმაგრეები და უმნიშვნელო კოშკებიც კი თამარ მეფის სახელთან არის დაკავშირებული, ასევე ყოველი თავადი და აზნაური უთუოდ მეფეთა და წარჩინებულ პირთა შთამომავლად ასაღებდა თავის თავს. ამიტომ გასაკვირი არაა თუ ვარდო ერეკლე მეფისა და ჩვენი ქვეყნის მცხოვანი მწერლის ილია ჭავჭავაძის ნათესავი აღმოჩნდა, ტერეზა — სოლომონ მეფისა, ხოლო პლატონ მოგველაძე — გაბრიელ ეპისკოპოზისა...

ჩაის შემდეგ აგოიამ შემწვარი სიმინდი მოიტანა, ჩხირზე წამოგებული, ორი ყველაზე დიდი და ჩინებული ტარო კი ზურგს უკან დაემალნა და კორნელის და ნინოს მისცა. ტერეზამ გაიცინა:

— აგოია კორნელის და ნინოს პარტიისაა! ჩვენ ხალხი არა ვართ, ბიჭო!

აგოია შეხტა და გაიქცა. სიმინდს ჭაში ჩაცივებული, ტკბილ-წვენიანი მსხალი — გულაბი მოაყოლა. ნინომ ყუნწი ამოსწია. ყუნწი ტკაცანით ამოვარდა. ამ დროს ბაღში მალაღურები ჩაფრინდნენ, და კორნელის მოაგონდა პირველი შაშხანის გასროლა ბაზარში, თავზე რომ ზუზუნით გადაუარა ტყვიამ. მაშინ ასეთი მზიანი ამინდი იყო, მყუდრო და მშვიდი. ასე ისხდნენ აივანზე ვარდო, ნინო, ტერეზა და მალაღურებიც სწორედ ასევე ესეოდნენ ხის კენწეროებს, მსხალსა და მწიფე კორკიმელს. ასე იყო მოწმენდილი ცის ტატნობი და მაშინაც ასე მშვიდად იდგნენ უდნობი თოვლით გადალესილი შორეული ქედები, თითქო მუზარადი დაუხურავთ თავზე, ცას შეჰკედლებიან და დაბლა მიწაზე მომხდარი ამბავი, ბრძოლა-ჭიდილი მათ არ შეეხებათო. მოაგონდა კორნელის და მაშინვე სარკოიას მიმართულებით, მაღალ მთიდან ზარბაზანის გრიალი გაისმა. ტერეზა შეკრთა. დომენტი ხვედელიძემ მთას გაჰხედა და იყვირა:

— სოფელ მაღალგორას ესვრიან.

— აღარ გათავდა ეს უბედურება! — შენიშნა იონამ.

ქალები შეშინდნენ:

„ვაი, თუ ისევ ამოჰყონ თავი აჯანყებულებმა!“

— ეს უკანასკნელი გაბრძოლებაა. მაღალგორასთან საქართველოს საზღვარიც თავდება, — უპასუხა დომენტიმ და უიმედოდ ჩაიქნია ხელი. ზარბაზნების გრიალი გახშირდა. კორნელი სტუმრებს უხსნიდა:

— რიგრიგობით ისვრიან. ეხლა დაშენაზე გადავიდნენ!

მაღალ მთებიდან ისმოდა დახშული გუგუნი, თითქო ავდარმა გადაიარა, ღრუბლები ქედების იქით გადასულან და ქუხილის შორეული გრიალი მოისმისო.

— წარმოიდგინეთ ასი ზარბაზნიდან ერთად რომ ისროდნენ, როგორი წარღვნა დადგებოდა ამ გარესკნელზე! ერთმა მეგობარმა, ძალიან ომის ოსტატმა ოფიცერმა მიამბო: ზარბაზნების ქაოტიშაბალ ... ხლის წინამე უკუქცეული ჯარისკაცები დღეში სამოც კილომეტრს გადიბოლნენ და რაკეთისგან ფეხის ქუსლით დაბეგვილი საჯდომი დ. დანს სტკიოდათო.

იონამ გადიხარხარა და პლატონს შეეკითხა:

— საჯდომი რისთვის სტკიოდათ?

პლატონი დღეს ცუდ გუნებაზე იყო. შერცხვა. მაგრამ რადგანაც სალონური საუბარი ერთხელავე დაარღვია, ამიტომ გაჯიუტდა და იონას უპასუხა:

— როცა კაცი სწრაფად და დიდხანს გარბის, ფეხის ქუსლი საჯდომს სწვდება!

ეხლა ესტეტეს, კორნელის და ქალებს გაეცინათ.

— შე კაცო, რამდენჯერ გავქცეულვართ, მაგრამ საჯდომი არ აგვტკივებია. რა უზრდელ სიტყვებს ლაპარაკობ ამ დილით, ჩვენო ოქროპირო და ესთეტიკოსო? მე მეცინის ვაჟბატონი, ცინიკოსიაო! — შენიშნა იონამ და გააფრთხილა: — ასე სჯობია, ჩემო პლატონ: დროა ციდან დედამიწაზე დაეშვა. დარწმუნდი: საჯდომი ისეთივე აუცილებელი, მნიშვნელოვანი და განუყოელი ნაწილია ჩვენი სხეულისა, როგორც ლოყა, ცხვირი და თვალი...

— თვალის მსგავსი ადამიანს არა ვაჩნია რა! ქვეყანას, რომელსაც ვხედავთ, ვერ აღვიქვამდით და შევიცნობდით უმისოდ. თვალის საშუალებით გადავცემთ ხოლმე ერთმანეთს ჩვენს განცდას, აზრს, სიყვარულის გრძნობას. თვალის საშუალებით ვწვდებით სილამაზეს. გოეთე ერთ თავის ელეგიაში ამბობს: „განა ყველაზე უკეთ მაშინ არ ვწვდები სილამაზეს, როდესაც ლამაზი ასულის აღნაგობას თვალხილული ხელით ვსინჯავ!?“

— არა, არა, ბიძია, — იყვირა იონამ, — თუ გინდა, ისე დარწმუნდი ნინოს სილამაზეში. არ გაბრიყვდე, ნინო, მახინჯიაო კიდეც რომ სთქვას შენზე პლატონმა, ხელი მაინც არ ახლებინო!

სუფრაზე სიცილ-ხარხარი ატყდა.

— რა აუტანელი ხარ, იონა! — იწყინა პლატონმა, — მე ესთეტიურ საკითხებზე, სილამაზის ცნებაზე მოგახსენებ, შენ კი ყველაფერი სიმახინჯემდე, უკბილო, იმერულ ჰუმორამდე დაგყავს!

ზარბაზნების გრიალი შეწყდა. ცოტახნის დუმილის შემდეგ იონამ უპასუხა პლატონს:

— ის, რაც შენ სიმახინჯედ მიგაჩნია, შესაძლოა ესთეტიკის საგანს შეადგენდეს.

პლატონს გაუკვირდა იონასაგან ასეთი პასუხი. არ მოელოდა და შეეკითხა:

— მაინც?

— მაგალითად: როდესაც შენ ამ დილით ბუნებრივ[illegible]-სათვის ტყიპირად არწივივით დაჯექი და ნიავი გეთამაშებოდა, განა ეს სიმახინჯე იყო?

იონას შეჩვეული ჰყავდა უკვე სტუმრები გადამლაშებულ თავის ოხუნჯობას და სარცხვენელ სიტყვებს.

— შეუძლებელია, ღმერთს გეფიცებით, იონა! — გაბრაზდა პლატონი. ქედებს გაჰხედა ბრძნულის გამომეტყველებით, სახის კუნთები შესტეხა მსახიობივით და თვალები აღანთო.

ქალები სიცილს იკავებდნენ. ტერეზა პლატონს დააცქერდა, მერე იონას თვალი უყო და ანიშნა: სირცხვილია, სტუმარს ნუ აწყენინებო. მაგრამ იონა, რომელიც ამდენხანს იკავებდა თავს და თითქო სერიოზულად ედავებოდა პლატონს, სიცილით გაიგუდა:

— არ გეწყინოს, პლატონ, მე განზრახ ვლაპარაკობ ასე. მინდა, როგორც გითხარი, ციდან დედამიწაზე დაეშვა, სადაც ტალახიც შეგხვდება, კამეჩის განავალიც, ნეხვიც, მაგრამ იცი პლატონ, ის ნეხვი სოფლად მომუშაველებს ხანდახან ოქროს ფასად გვიღირს.

— ვინ მოგახსენათ, რომ მე დედამიწას გაურბი? პირიქით, მე დედამიწის სჯულს და მის ძალას ვქადაგებ და არა ევროპის რაფინირებულ კულტურას, ცივილიზაციას. მე გავექეცი ქალაქს იმისათვის, რომ თავი შეიაფარო სოფელს. მე შევაქე ერთი მახინჯი, ჯუჯა პოეტი ტფილისში. რომელსაც სიმართლე წამოსცდა.

— რა სიმართლე?

— მან დასწერა:

„მე ძლიერ მიყვარდა იმ წიგნის გადაშლა,
რომელსაც დავარქვი „მარო“,
ნეტავი ხეები ყველა გაავაშლა,
რომ მეტის ხალისით თავი შევაფარო“.

— ძალიან მიგიქარავს, ეს ლექსი თუ შეაქე.

— რატომ? აქ იგრძნობა დედამიწის პირველყოფილი სინედლე, თანამედროვე კულტურის უარყოფა. აი, თქვენი კულტურა! — დაიძახა პლატონმა და ამ დროს ატეხილ ზარბაზნების გრიალზე შეაჩერა დამსწრეთა ყურადღება. — ხალხი ერთმანეთს ანადგურებს. მე არც ერთ მათგანის მხარეზე არა ვარ, ვინაიდან ისინიც და ესენიც თანამედროვე მატერიალური კულტურის გადალაგებისათვის ზრუნავენ და იბრძვიან და არა მისი უარყოფისათვის და ადამიანში უკვე დაკარგული სულის აღდგენისათვის. მე კი სულ სხვა ყოფას და ხანას შევნატრი.

— მაინც?

ოქროპირმა მთვრალივით გადააქანა თვალები და ასე დაიწყო:

— უძველეს ხანას, ბედნიერსა და ნეტარს, როდესაც ხალხი ცხოვრობდა თემური საზოგადო ყოფით, როდესაც არ იცოდნენ სიტყვები „ჩემი და შენი", ერთად ხნავდნენ და ერთად მკიდნენ ყველასათვის საერთო მიწას, როდესაც არ იყო ცათამწვდენები, მანქანები, ასფალტი, რკინაბეტონი, ოქრო. ცხოვრობდნენ მიწურში, ხნავდნენ პირველყოფილი კავით ყველასათვის სამყოფ დედამიწას, ხელით რთავდნენ და ქსოვდნენ ცხვრის მატყლისაგან შალს, ნადირობდნენ ჯანსაღნი და ლაღნი ბუნების შეილნი შვილდისრით. მაშინ მიჯნურობაც მაღალი და ზნეობრივი იყო. სამიჯნურო საგანიც — ქალი ჯანსაღი, გულწრფელი, უბრალო და სადა იყო. იგი დიდად განირჩეოდა თანამედროვე ევროპის კულტურით წარყვნილ ქალისაგან, კრეპდეშინებით და ფაიდეშინებით განებივრებულ, სისხლნაკლულ, უსაქმო, ანგარიან, ცბიერ და მოღალატე დიაცისაგან. იმ უძველესი ეპოქის ადამიანს და ქალს არ რცხვენოდა პირველყოფილი ტანშიშვლობისა, რადგან იგი გულუბრყვილო და წმინდა იყო ისე, ვით ბუნება. ასეთი პირველყოფილი და წმინდა სიტიტვლე ახლავს სახელგანთქმულ ფრანგ მხატვრის პოლ გოგენის ტაიტელ ქალებს, რომლებიც თავიანთ ბუნებრივ ყოფაში წარმტაცად გამოიყურებიან. გოგენის ტაიტელები ახალი მადონები არიან. ევროპის ცივილიზებული ქალის სიტიტვლეს კი უსირცხვილობის ბეჭედი აზის. და თუ ის ლამაზია, უფრო უარესი: მაშინ იგი წყაროა ბოროტებისა და ტანჯვისა, როგორც იგივე გოგენი ამბობს თავის „ნოა-ნოაში". მაგონდება უიტმანის სიტყვები:

„ოხ, გავსწიო იქ, სადაც საკმაო არეა და ჰაერი!

განვთავისუფლდე ბორკილებისა და პირობითობისგან!"

ჩემი ოცნება ფშავ-ხევსურეთი და სვანეთია!

— არა, გენაცვალე, თქვენ იქ ვერ გასძლებთ! ჩვენ ხშირად ვაბრუნებინებდით სვანებს სავენახე მიწას. ნადირთა ტყავის ტყაპუჭებიან, პაჭიჭებიან და ჩულიან სვანებში თქვენ როგორ გასძლებთ! — არ სჯეროდა ტერეზას.

— გზა მშვიდობისა! ვნახოთ, როგორ გასძლებს ევროპის კულტურაზე და ცივილიზაციაზე აღზრდილი ვაჟბატონი იქ! — განაცხადა იონამ.

— თქვენ სათანადოდ ვერ მიცნობთ მე, იონა. განა ვაჟა არ გაექცა თქვენს ევროპულ კულტურას და ცივილიზაციას? ეს გაქცევა ტრაგიკულია მეტად, — შენიშნა ოქროპირმა.

— სწორედ რომ ვსთქვათ, ვაჟა იგივე ფშაველი იყო. ფშავთა თვალებით ხედავდა, ფშავთა ყურებით ისმენდა და მაინცდამაინც დიდი კულტურა მას არ სტანჯავდა, — შეედავა ესტატე.

— ვაჟას უკულტურობა ზღაპარია! ნუ გაიწყდებათ: იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის მსმენელი იყო, კუნო-ფიშერის, ნიცშეს, გოეთეს და

სხვათა მცოდნე. მისი ჩოხა და ფარხმალი ისეთივე საცნაურია, როგორც ტოლსტოის გლეხური ჩექმა, ხალათი, კავი და ცელი. იგი ფშაველის სიბრძნით სუნთქავდა, ხოლო ტოლსტოი ადამიანის ბედნიერებად სოფლიდა ცივილიზაციისგან თავისუფალი რუსეთის გლეხის პირველყოფილებას.

— პაპა და მამაშენიც გლეხები იყვნენ: სწავლა და ცოდნა სწყუროდათ. ტყუილა არ გაუვლია კაცობრიობას ეს გზა. ეს გზა არც გლეხობას ასცილდება. კულტურის ეს ჩირაღდანი მალე შეანათებს ფშავ-ხევსურეთსა და სვანეთშიაც, — მიუგო იონამ.

ამ დროს ისევ ზარბაზნების გრიალი ატყდა. ტერეზა ლოცულობდა და ღმერთს სთხოვდა: გამარჯვება მიენიჭებინა მთავრობის ჯარებისათვის. ესტატე შიშობდა:

— როგორც სჩანს სერიოზული ძალა შემოუკრებნიათ ბოლშევიკებს, თუ მაღალ გორაზე ასეთ წინააღმდეგობას უწევენ მთავრობის ჯარს?

იონა ვერ ისვენებდა: ბაზარში წასვლა და ამბის გაგება აიჩემა. ვარდომ და ტერეზამ გააფრთხილეს: ასეთი არეულობის დროს შინ ჯდომა სჯობიაო.

— ქვეყანა ინგრევა და შინ რა გამაძლებინებს! — უპასუხა იონამ.

ნაშუადღევს ზარბაზნების გრიალი აღარ ისმოდა მაღალგორიდან. მყუდრო საღამო იყო...

ცდუნების ადგილი

ჩაის შემდეგ ეზოში სეირნობა დაიწყეს. ნინო და კორნელი სასტუმრო ოთახში ისხდნენ. ნინო მაგიდაზე გაშლილ გაზეთს „სახალხო საქმეს" ჰკითხულობდა. პოეტის გრიგოლ ცაგურიშვილის ლექსს ამახინჯებდა: მახვილს და რიტმს ურევდა. ნინომ ცუდად იცოდა ქართული. ბავშვივით არბილებდა ასოებს. კორნელი ქართულს უსწორებდა. მაგიდის ქვეშ გამართული მისი ფეხი ნელა მიეჭრა ნინოს ფეხთან, მიეჭრა, მიეკარა და გაინაბა. ტკბილი სითბო იგრძნო მიკარებისაგან. თითქო შიშველი ფეხებით შეეხნენ ერთმანეთსო. ჭაღში ჩასმულ ლამფის შუქზე ისედაც ძნელი საკითხავი იყო გაზეთი, ხოლო კორნელის ფეხის შეხების შემდეგ სულმთლად აირია ერთურთში ლექსის ასოები და ნინომ დარცხვენით და მუდარით შეხედა კორნელის.

კორნელი ადგა, მაგიდას შემოუარა და მის გვერდით გაჩერდა. ისე დაიხარა მაგიდაზე, რომ ნინოს თმას შეეხო. ტანთ გააჟრჟოლა და სახეზე წამოწითლდა. ხმა აუკანკალდა. თმის შეხება, თმის საამო სურნელი და ნინოს ლოყის ალმური ათრობდა და აღგზნებდა. კიდევ უფრო დაიხარა და ეხლა ნინოს ლოყას შეეხო სახით. საამური სითბო და სიტკბოება იგრძნო. ქალს თავი არ გაუწევია, მღელვარებისაგან გაფითრდა, თვალები აემღვრა. სიტყვა ჩაუწყდა და გაინაბა, თითქო ჯადოსნურ ბადეში გააბესო.

ხშირად და ღრმად სუნთქავდა. სდუმდნენ. დილამდე იქნებოდა კორნელი ნინოს ენაზეა და უჩვილეა ლოყასთან ასე ტკბილად, განაბული, რომ აგოია არ აძოსულიყო აივანზე. კორნელი გასწორდა: [illegible], უთხრა ნინოს. ეზოში გავიდნენ, დედამ ნება დართო და შვილი ოთახში შევიდა ფეხსაცმელის გამოსაცვლელად. სანამ ნინო მოვიდოდა, იონამ ლობისაკენ გაიხმო კორნელი და უთხრა:

— ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა. მერე ბევრს ინანებ, მაგრამ გვიანლა იქნება. ჩემს ეზოში შეიყვანე შუკიდან. ვენახის ბოლოს, თხილნარში კაცი ვერ დაგინახავთ...

სხვა დროს კორნელი ითაკილებდა იონას ასეთ სიტყვებს და შეურაცხყოფილი დარჩებოდა, მაგრამ ეხლა რატომღაც გაუყუჩდა. თვალებში ჩახედა და გააფრთხილა:

— ვფიცავ მამის საფლავს და ჩემს საყვარელ მეგობრის გრიგოლ ცაგურიშვილის ხსოვნას, თუ შენ არ შესწყვიტე ჩემი ქირდეა, დაცინვა და ის, რაც ეხლა მითხარ სიადუმლოდ, არ შეინახე, — სამაგიეროს გადაგიხდი: რაც გუშინ მიამბე — გავაცხადებ, არასოდეს ხმას არ გაგცემ და ჩემთვის სამუდამოდ დაიკარგები!

ეს ისეთის გადაწყვეტილებით და დინჯად განუცხადა კორნელიმ, რომ იონამ შეეშინა არავისთვის გაემხილა. იონას უყვარდა კორნელი, თავის მესაიდუმლედ სთვლიდა. აი, რა უამბო გუშინ:

„რასაც ეხლა გეუბნები, კორნელი, ეს ყველაზე უფრო დიდი საიდუმლოა ჩემი ცხოვრების გზაზე და გლოვის საგანი. როცა ეს ამბავი მოხდა მაშინ მამა ჩემთან ვცხოვრობდი. სამი ან ოთხი წლით უფროსი თუ ვიქნებოდი შენზე. მამას უამრავი მოჯამაგირე და გოგო-ბიჭი ჰყავდა და მათ შორის სალომეს სიტურფით ვიყავი დამწვარი. ერთმა საღამომ გადასწყვიტა მისი ბედი. ჩვიდმეტი წლის გოგო სალომე ჭიდან ოწინარით წყალს იღებდა. შევჩერდი და როდესაც მხარზე სავსე კოკა აიდგა და გაჭიმული ტანით, აწეული კაბით და თეთრი, შიშველი კანჭებით ჩემკენ წამოვიდა, ჭკუა კინაღამ დავკარგე, გზა გადავუჭერი და ვუთხარი: თუ არ შემიბრალო და ნაიახშმევს ვენახის ბოლოში, თხილნართან არ მოხვიდე, შენი ქალობა დაიწვეს მეთქი. გადაჭრილი მუხის ძირზე დავჯექი, სავსე მთვარეს მივაჩერდი და სიმინდისა და ვაზების შრიალს ყურს ვუგდებდი. ასე ვუცდიდი სალომეს და ბოლოს ბარდით ამწვანებული ლობის სარი შერყა და ბაღიდან ქალი გადმოხტა, გახიულ უბიდან ქლიავი გადმოუცვივდა. წარმტაცი გულმკერდი ჰქონდა. მივედი, ვაკოცე და შევეეედრე: ან მომეცი იმედი, ან შენი ხელით სამარე გამითხარე მეთქი. სალომემ ნაღვლიანად მიპასუხა: შენი ჭირიმე, იონა. მე ვინ მაღირსებს გლეხის ქალს. შენს ცოლობასო. თხილნარში შევიყვანე... როდესაც დიდაჩემმა მოიღელი შეატყო და ჩემზე ეჭვი აიღო, ფეხმძიმე სალომე სასწრაფოდ მიათხოვა მხეიძეების ყოფილ ყმა-გლეხს ჯაჯანა მენჟავიძის შვილს: თავის მონათ-

ლულ ლუკაიას... ჰო, ის გოგო ქეთუა, შენ რომ მოგეწონა, ნამდვილად ჩემი შვილია... ყელი არ გამომჭრა, კორნელი, და არსად არ წამოგცდეს ეგ საიდუმლო. რაღა ცხოვრება ეკნება მერე საწყალობელ ლუკაიას, და თვით იმ ბავშვს ქეთუას? მე მინდოდა ცოლად შემეერთო სალომე: თუ შენ, გლეხის გენძეხაის ქალი, შეგირთო მამა ჩემმა, რატომ მე არ შემიძლია სალომე შევირთო მეთქი, ვეუბნებოდი დედას, მაგრამ დედამამა ჩაერია ამ საქმეში და ხელი შემიშალეს. მახსოვს, წასვლის წინ, გარიჟრაჟზე მოადგა სალომე ჩემი ოთახის ღია სარკმელს, ხელი შემახო, გამაღვიძა, აცრემლებული მომეხვია, სახე დამიკოცნა და უკანასკნელად მითხრა თავისი სამდურავი: ჩემო, ირონა, რისთვის დამღუპეო... გატყობ, კორნელი, გეყინა. გარწმუნებ, მეც მეძნელება ამ შემთხვევის მოგონება. დიდხანს ვიდექი სალომეს წასვლის შემდეგ სარკმელთან სასომიხდილი, ცრემლით სავსე თვალებით და შორს მამლის ყივილი და ჩვენი მდინარის გრიალი მესმოდა... მას შემდეგ დიდხანს ვცხოვრობდი განდეგილივით და სალომე გულიდან ვერ ამოვიღე".

აი, რა საიდუმლო უამბო ირონამ კორნელის. ეს საიდუმლო მხოლოდ ირონას მშობლებმა და ჯაჯანა მენჟავიძემ იცოდა, რომელიც დიდი მზითვის სიხარბით, დასთანხმდა შეერთო მის შვილს ლუკაიას ფეხმძიმე ქალი.

კორნელიმ ჭიშკარი გააღო და ნინო მდინარისკენ წაიყვანა.

გზაზე რიყის ქვები ეყარა და ნინო მესტებიან ფეხის ცერებით ფრთხილად მიდიოდა. კორნელიმ მკლავში გაუყარა ხელი. ცხელი იყო ნინოს იღლია, მდუღარესავით. ორძელზე ვარჯიშობისაგან მკლავი გამსხვილებოდა და ზედ კუნთები გამაგრებოდა.

მდინარის მაღალ ნაპირს მიადგნენ. ცოტა ქვემოთ ხიდი იყო და ზედ კარის მერეთელი ქალვაჟნი სეირნობდნენ. შორს, აჯამეთის ტყის იქით, ცის დასავალზე ჯერ კიდევ შესამჩნევი იყო წითელი ზოლივით გაწოლილი, უკვე დამცხრალი ხანძარი. შუბანის წვერს მდუმარედ გადმოადგა სავსე მთვარე. კორნელი დააცქერდა ლოდებზე გრიალით მარბენალ მთის ანკარა მდინარეს. სდუმდა არემარე, მხოლოდ მდინარის იქით, გვიმბრით დაფარულ ნაპირიდან ბავშვთა სიმღერა ისმოდა. წკრიალა ხმით მღეროდნენ სოფლის უდარდელი ბავშვები. კორნელი ყურს უგდებდა მათ.

— რაზე ჩაფიქრდი? — შეეკითხა ნინო და მთვარით განათებული დიდრონი და სველი თვალები მიაპყრო.

— შენზე! — უპასუხა კორნელიმ.

— რას ფიქრობ ჩემზე? — კვლავ შეეკითხა ნინო და ხელი ხელზე დააღო.

— რომ უშენოდ ცხოვრება არ შიმიძლია, რომ უშენოდ გამოსაიალი ერთი მაქვს: ტყვია — გადასცა დარწმუნებით, უცნაურ და მხნე სახით თვისი გადაწყვეტილება კორნელიმ.

ნინომ უფრო მძაფრად გაუყარა ვაჟს თვალში თვალი. მერე გაფეთრდა. ტუჩზე იკბინა და საიდუმლო გაუმხილა:

— კორნელი... რა მემართება, არ ვიცი. შიგნით გულლვიძლი მეწვის. ცეცხლი მეკიდება. მე ჯერ არ განმიცდია ასეთი გრძნობა. მე... მე თანახმა ვარ გავხდე შენი... — სიტყვა ჩაუწყდა. ჰღელავდა. ტუჩი ისევ მოიკვნიტა, თავი დარცხვენით ჩაჰკიდა და კორნელის ზურგი შეაქცია.

— ძვირფასო ნინო! — დაიძახა აღტაცებით კორნელიმ. ხელი მოჰხვია და თავნაყარ სიმინდისაკენ წაიყვანა. ალაგეზე გადავიდნენ. იონას ვენახის უკან, თხილნარში შევიდნენ და გადაჭრილ მუხის ძირზე დასხდნენ. კორნელიმ მიიხედ-მოიხედა, წამით მოაგონდა იონა და სალომე. გაიფიქრა: „აი, ის ადგილი, მუხის ძირი და თხილნარი". სავსე მთვარე მაღლა იწევდა. ვენახის იქით შრიალებდა თავნაყარი სიმინდი. ნინოს ჩუმი ხმა გაისმა:

— კორნელი, შინ არავის უთხრა, რაც დღეს გითხარი. მე არ მინდა ვინმემ იცოდეს, გესმის? მე მრცხვენია...

— მესმის შენი გულის თქმა! შოთაც ამას გვასწავლიდა: მიჯნური იგია, ვინც თავის ხვაშიადს არავის გაუმჟღავნებსო. ჩვენი გრძნობა ჩვენივე საქმეა. სხვას რა ხელი აქვს, ჩემო ნინო, ჩემო თვალის სინათლევ! — უთხრა ჩუმად კორნელიმ. შუბლში და ორთავ თვალში აკოცა.

ნინომ ხელი მოჰხვია კისერზე და თავი მკერდზე მიაყრდნო. კორნელიმ აიტაცა ასული, მუხლებზე დაისვა და როდესაც ხელი შეავლო მაგარსა და პატარა მოძრავს ძუძუს, ქალმა თვალები დახუჭა. ქანცმილეული იწვა კორნელის მუხლებზე და მკლავზე. თითქო თაფლის სანთელივით გადნაო, სახსრები და კუნთები მოეშალა. კოფტის გულისპირი დაეშვა და მთვარე ნათელით უვსებდა ბროლივით თეთრ გულმკერდს. კორნელიმ ვნებიანად დაუწყო კოცნა. მერე დაცვარულ მოლზე დასდო მოცელილი...

გავიდა ხანი, კორნელი წამოჯდა. ქალს დახუჭული ჰქონდა თვალი, თითქოს ტკბილად სძინავსო.

სიყვარულის სიტკბოებით გამაძღარი კორნელი ეხლა დამშვიდებული იჯდა. რაღაც გამოუთქმელ სიცალიერეს გრძნობდა. გათავდა: სასურველ მიჯნას მიაღწია. წინ აღარაფერი ესახებოდა. უკან რაღა დარჩა მიჯნურობის გრძნობისაგან? თითქო აღარასფერი. კაეშანი შემოაწვა. მიწაზე უმოძრაოდ მოკაკული ქალის ფერმკრთალი სახე დაინახა, დაუძახა და ხელი შეახო. ქალი ხმას არ იღებდა. კორნელი შეშინდა: რა მეშველება, რომ რაიმე მოუვიდესო. რა წამს ეს გაიფიქრა, ფერმკრთალი და თვალდახუჭული ქალი მკვდრად ეჩვენა. გულისძგერა აუვარდა. წამოდგა და სახლისაკენ გაიხედა. სარკმელიდან ჭურდულად ბჟუტავდა ლამპა. მთასა და ყანებზე გაშტერებული და უაზრო მთვარის ნათელი გადმომდგარიყო. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ ღობესთან მაღალი სანთელივით ცამდე აწვდილი და ვერცხლისფრად განათებული ალვის ხის ფოთ-

ლები ცახცახებდნენ და შრიალებდნენ საახალუხე ფარჩის მაგასად. ჩირგვში რაღაცამ გაიფაჩუნა. კორნელი შეკრთა, მაგრამ ფაჩუნი მაშინვე შესწყდა. შიშისგან თავი ასტკივდა. ღობის სარზე გასულ ბალიანზე ქალისა და ასკილის ცივი და ცვარიანი ფოთოლი მოსწყვიტა. გახურებულ შუბლსა და საფეთქელზე მიიკრა. ცოტა ხნის შემდეგ ქალი შეირხა. კორნელიმ მოიშორა ფოთოლი, მივარდა და ნინო მუდარით ააყენა. თვალები ნამტირალევი ჰქონდა. რისთვის სტიროდა — არ უთხრა კორნელის. მთვარეულივით გაეშურა შინისაკენ.

გადაჭრილი მუხის ძირთან დარჩა ნაბადივით გათელილი მოლი.

ყანაზე მიდიოდნენ.

კორნელიმ ჭყინტი სიმინდის მოტეხა გადასწყვიტა ეახშმისათვის, რომ დაგვიანების მიზეზად ეს მიეტანა. ნინოს შეაცდევინა და შუა ყანაში შევიდა. სიმინდის ალესილი და მაგარი ფურცელი ყელზე ხანჯალივით ებჯინებოდა. ტაროს შეავლო ხელი და ნინოს მკვრივი და მაგარი ძუძუ მოაგონდა რატომღაც. გაჩერდა და ჭყინტი სიმინდის მარცვალს ფრჩხილი დააჭირა, მარცვალი გასკდა და შხეფი სახესა და ტუჩზე მიესხა. ენა გამოჰყო და შესვა, შეხვრიპა მსუქან რძესავით ტკბილი წვეთები. მერე თავნაყარ სიმინდს ტარო შეატეხა. შეირყა სიმინდის ღერი და გადატეხილ სახსარზე ცრემლივით დააჯდა სისველე.

ნინო უძრავად იდგა ყანაში, თითქო ძალღონე წაერთვათ მისთვის. მკლავები უმწეოდ დაეკიდნა და როდესაც კორნელიმ მკლავში ხელი გაუყარა, ქალი ისევ მთვარეულივით გაჰყვა შინისკენ. ღობესთან შეჩერდა.

— ცუდად ვარ! — ჩაილაპარაკა, დაკოდილი შველის მსგავსი სნეული თვალები მიაპყრო ვაჟს და მთელის ტანით აცახცახდა.

— გამაგრდი, ნინო! თორემ თითონვე გაამჟღავნებ ყოველივეს! — გააფრთხილა კორნელიმ.

— არ შემიძლია! — გაბმით წარმოსთქვა ნინომ, მოწყვეტილი მიეყრდნო კორნელის და მის მკერდზე აქვითინდა.

„უი, ჩემს თავს!“ გაიფიქრა კორნელიმ. ბავშვივით აიყვანა ხელში მაყაშვილთა ასული და ასე გაეშურა შინისაკენ. უგუნებოდ შექმნილმა ნინომ თავის ტკივილი მოიმიზეზა შინ მისვლისას. გაიხადა და მაშინვე დაწვა.

იონამ ისევ გაიხმო ღობისაკენ კორნელი. გაჩერდა. ავხორცი ღიმილით შეხედა და შეეკითხა:

— რა ქენი, ბიჭო, მოკალი ქალი?

კორნელიმ ხმა არ გასცა, მაგრამ მერე იონამ დიდი ცხვირის დაღრეჩილი ნესტო შეათამაშა, თვალები განაბა და ისეთი რამ გამოჰკითხა, რომ კორნელი აენთო; „სატანაო“ — უთხრა. თვალები დაუბრიალა და ბრაზმორეული მოშორდა. ზურგს უკან იონას დამცინავი, ჩუმი ხითხითი შემოესმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლატონის მონოლოგი

„... ჩემის აზრით, ბამაო, ეს ... დასწვათ ცეცხლზე სხვა წიგნებთან ერთად. ვინაიდან შესაძლოა ჩემმა ბიძამ სენიორმა, თავის რაინდულ სნეულებისაგან განკურნვის შემდეგ, ხელი მიჰყოს ლექსების კითხვას ან თითონვე გახდეს პოეტი, რაც კიდევ უფრო უარესია, ვინაიდან, ამბობენ, ეს სენი აბეზარი და განუკურნებელიაო“.

სერვანტესი: „დონ კიხოტი“. ტ. I, თავი IV.

კორნელი ფეხაკრეფით შევიდა დარბაზში. პლატონისათვის ტახტზე გაეშალნათ ლოგინი. სასთუმლის ახლოს, პატარა მაგიდაზე ლამპა იდგა. პლატონმა ჩემოდანი გახსნა და წიგნები ამოიღო. ძილის წინ წიგნის კითხვა უყვარდა. ერთზე ეწერა „Die Welt als Wille und Vorstelung“, მეორეზე: „Aesthetik“. პლატონმა კორნელის დაუძახა. წიგნი გაშალა და უთხრა: აბა, თუ გადათარგმნიო? კორნელიმ შეუცდომლად გადათარგმნა ერთი აბზაცი. პლატონს გაუკვირდა და ხელოვნების ფილოსოფიაზე ჩამოუგდო საუბარი. მაგრამ კორნელის მასთან საუბრის თავი არა ჰქონდა, ბით უმეტეს ფილოსოფიაზე! არ დაერიდა და ტანისამოსის გახდა დაიწყო. პლატონმაც გაიძრო პიჯაკი და შარვალი. ათასნაირად დაკეცა, ხელით გასწორა და სკამის ზურგზე გადაჰკიდა. მერე პერანგი და მისი ამხანაგიც გაიძრო. დედაკაცივით დონდლო სხეული ჰქონია. გრძელი, საყამური პერანგი ჩაიცვა. პერანგის ქვემოთ გამხდარი წვივები გამოუჩნდა. კორნელის შეეხვეწა: ცოტახანს კედლისკენ გადაბრუნდიო. კორნელიმ ვერ მოითმინა და თვალი შეასწრო. პლატონმა თმაში წაივლო ხელი და პარიკი მოიძრო. კორნელი განცვიფრებული მისჩერებოდა მელოტ კაცს, რომელმაც თითქო ნიღაბი ჩამოიხსნაო. კათოლიკე მღვდელთა ქუდის მსგავსი რამ ჩამოიფხატა თავზე. აბრეშუმის საბანი გადასწია, დაწვა და გერმანული წიგნი აიღო ხელში. გადაფურცლა და კითხვა დაიწყო. დაღარული სახე მსახობივით დაძაბა, ჰაშიშით მთვრალის მსგავსი თვალები მიაპყრო სტრიქონებს. ცოტა ხნის შემდეგ კორნელის წაუკითხა:

— ირანელი პოეტი ნიზამი მოგვითხრობს: „ერთხელ ქრისტე მიდიოდა გზაზე, რომელზედაც მკვდარი ძაღლი ეგდო. ყველამ ზიზღით აუქცია ლეშს გვერდი. მხოლოდ ქრისტემ შეხედა და შეამჩნია მისი მარგალიტივით კრიალა კბილები“.

პლატონმა გაიღიმა და დასძინა:

— საცნაურია მეტად ქრისტეს მიერ სილამაზის განსჯვრეტა ყოველ ქმნილში და სიყვარული ყოველი არსისა, ლეშისაც კი, ასეთი ქრისტეანული გაგებით არის დაწერილი ბოდლერის „ლეშიც“:

„და ამ დამპალ ჩონჩხს, ისე, როგორც ვარდს,
უცქერდა ზეცა ლურჯი ალერსით...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე ეს იწილბიწილოს მომაგონებს, ჩემო კორნელი. ვერც ქრისტეს დიდი სიყვარული და ვერც დოსტოევსკის ცოცხალი ფიქრი ... ლის და გადაარჩენს ქვეყანას. რელიგიები, ფილოსოფიური სისტემები, მეცნიერებანი, — ვერც ერთი ამათგანი ვერ იხსნიან ადამიანს სიკვდილისაგან და ქვეყანას დალუპვისაგან. იბადებიან აურიცხველი პლანეტები, თავს აწყვეტენ ვულკანურ ხანას და ცხრებიან. ამის შემდეგ მათზე ორგანიული ცხოვრება ჩნდება და ბოლოს ისევ ბერდებიან, კვდებიან და უზარმაზარ გაცივებულ გროვად იქცევიან. ჩვენი დედამიწის ბედიც ასეთია. ყველაზე უკეთ დაიტირა ეს დედამიწა არტურ რემბომ, რომელიც ტრაგიკულში ეძიებდა ადამიანის გამოსავალს ამ ქვეყნად.

და პლატონმა წაიკითხა „მთვრალი ხომალდის" უკანასკნელი სტრიქონები. ეხლა კი ლოგინზე იჯდა. მსი თვალები შეშლილი ადამიანის თვალებივით ბრიალებდნენ. მისი უცნაური ქუდიც ძლიერ ჰგავდა საგიქეთში დამწყვდეულთა ქუდს, და კორნელის ეგონა, პერანგის ამარა დარჩენილი პლატონი შეხტებოდა ტახტზე და დაიძახებდა: „ესპანეთში აღმოჩნდა მეფე და იგი მეფე მე ვარო", მაგრამ პლატონმა, შეშლილის წერილების ნაცვლად, ნიცშეს სიტყვებით დაასრულა თავისი მონოლოგი:

„O, Mensch, gib acht, was schprächt die tiefer Mitternacht!" [1])

ამ დროს ძაღლების ყეფა, ხალხის ყიჟინი ატყდა და ფანჯრები შორეულმა ხანძარმა გაანათა. აივანზე გაცვივდნენ. ამობურთულ წითელ ლრუბლებივით მიჰქროდა მთიდან ბოლი, ფერფლი და აბრიალებული ყავარი. მერე პრიალა სინათლე აციმციმდა. ალი ავარდა, დაიკლაკნა და ცისკენ აღიმართა. ტერეზამ იყვირა:

— ვინ დაიწვა?

— ჯარიკაცის აბესაძის სახლი დაწვეს, იმ დასაქცევმა გვარდიელებმა! — უპასუხა ქალბატონს ყოველის მცოდნე დომენტი ხვედელიძემ.

მთიდან ქალების შემზარავი კივილი მოისმა. რაღაც უცნაურად მოხვდა კორნელის გულზე ქალების კივილი და პლატონს უთხრა:

— ჩვენ ისე დაშორებული ვართ ცხოვრებას, რომ არ გვესმის ამ ღამის ჭეშმარიტი შინაარსი, აზრი და ძახილი.

— ამ ღამის მიუწვდომელ აზრთან შედარებით ეს ხანძარი, ადამიანთა ბრძოლა-ჭიდილი, ამაოებაა მხოლოდ, — შენიშნა პლატონმა.

— კარგი ამაოებაა, შენმა გაზრდამ, ქვეყანა იქცევა! — მიუგო კორნელიმ.

ხოლო იონას გაუკვირდა, რა უნდოდა ამით ეთქვა პლატონსო, და დასძინა:

---

[1]) „ო, სენად იქეც, ადამიანო,
რას ამბობს უკუნი შუალამე!"

— რა უმოწყალოდ აწიოკებენ ხალხს... არა, ხვალვე უნდა ავიდე ზედაზენში პოლკოვნიკ რევაზიშვილის სანახავად. შეუძლებელია ამის მოთმენა. ასე აღამამადხანიც კი არ არბევდა საქართველოს.

და როცა პლატონი დარბაზში შევიდა, კორნელიმ საიტუმლო გაანდო იონას:

— იონა, ჩემის აზრით, პლატონი სრულ ჭკუაზე არ უნდა იყოს, მე ამის უტყუარი საბუთი მაქვს. იგი რეალურ სინამდვილიდან აცდენილ მოაზროვნეთა და მწერალთა საეჭვო იდეებით არის დაავადებული.

— ფილოსოფოსები და პოეტები უმრავლეს შემთხვევაში არანორმალური ადამიანები არიან.

— პლატონი რომ გენიოსი არაა, ამაში ეჭვი ნუ გეპარება.

— მაშ გიჟი ყოფილა.

— ის შოპენჰაუერის, ნიცშეს და სხვათა წიგნებით უნდა იყოს გაგიჟებული.

— შენ მართლა გამაგიჟებ ამალამ. რას ამბობ, კორნელი? როგორ ბრალსა სდებ იმ კაცს? მარტოკა წიგნები როდია საქმე.

— წიგნებიც დიდ როლს თამაშობენ. შედი, გასინჯე მისი წიგნები, მოუსმინე მის მსჯელობას და დარწმუნდები...

იონამ აღარ აცალა. გაიღიმა და ამ სიტყვებით პლატონთან შევიდა:

— მაჩვენეთ ეს დასაწვავი წიგნები.

საღრჩობელა

მენშევიკების გვარდიელები დადიოდნენ დაბეგრილ სოფლებში ურმებით და ჯარისათვის სურსათ-სანოვაგეს აგროვებდნენ. აჯანყებული გლეხების სახლ-კარს ცეცხლს უკიდებდნენ.

სარკოიაში ასოცი წლის მოხუცს თეოდე ტურიაშვილსაც მიადგნენ ისინი ბეგარის მისაღებად. თეოდემ კამათი აუტეხა:

— ათას ხუთასი კაცი და ამდენი ცხენი რანაირად შეინახოს სოფელმა! ღმერთი არ გწამთ ყე?

— ყაჩაღებს ხომ კარგად ინახავდი! — უპასუხა ცხენოსანმა გვარდიელმა და მათრახი გადაუჭირა.

თეოდემ წაიფორხილა და ღობის სარს წაავლო ხელი, თითქოს ზედ აყალო მიწისფერი ჩაბალახით თავწაკრული ბებერი ჭინკა ჩამოეკიდაო.

მოაგონდა ბატონი, ტყის კოდვის დროს რო წაადგა თავზე და თეოდე ბიჭებს გააჯოხინა. ცხენოსანი მენშევიკების გვარდიელი ტყის მცველად მოეჩვენა ამ წუთას, ცულით მკლავი რო მიათალა თეოდემ და ამისთვის ციხეში აკრეკინეს თავი.

— ასოცი წლის ბებერს მათრახს მირტყამ, შე წამხდარო! — შეუტია თეოდემ. წირპლიანი და მოჭუტული თვალები დაახამხამა. [illegible] და ზურგით. ჩანჩხურა ხელებით აღმართა ყავარჯენი [illegible] ღონე რომ აღარ ეყო, შუბივით ჰკრა გვერდში. გაბრაზდა ცხენოსანი: ეს როგორ გამიბედა ამ ბებერმა და მიხრწნილმა ქოფაკმაო. ისევ გადაუჭირა მათრახი. ცხენი მკერდით დააძგერა და თეოდე მოსწყდა ღობეს. მოცელილივით დაეცა სიპზე საფეთქლით.

— რას შობი, შე ურჯულო! — გაისმა მოხუცის გოჯასპირის ბუხუნი ორღობეში. თეოდეს მივარდა. უნდოდა წამოეყენებია, მაგრამ თეოდეს უკვე განეტოვებინა სული. ორჯერ გაიქნია მხოლოდ ვაზის ძირივით დაღვარჭნილი და შემხმარი კანჭები. ქალებმა სიპზე სისხლი დაინახეს და კივილი მორთეს. მეზობლებმა ეზოში შეათრიეს ასოცი წლის მოხუცი თეოდე ტურიაშვილი. ამ დროს შემოიჭრა სოფელში ცხენოსან მენშევიკების გვარდიელთა რაზმი. წინ მეთაური მოუძღოდა. გოჯასპირმა იცნო ოტია მდივნის ცოლის ძმა, დათა ყიფიანი. მეთაურმა ცხენი შეაჩერა და გოჯასპირი შერისხა:

— ეს შენ მიჯანყებ, ბებერო, სოფელს და მთავრობის ჯარის შენახვაზე ხელს აღებიებ!

— სოფელს ჩემი თქმა რათ უნდა! სოფელს რა გააჩნია რომ თქვენ მოქცეს? ჩვენ თქვენგან, მთავრობისგან ველოდით პურისა და სიმინდის შემოტანას და თქვენ ჩვენგან ითხოვთ!? — უპასუხა გოჯასპირმა.

მეთაური გაბრაზდა:

— რატომ ელოდით? რა საქმისთვის ელოდი, შე უცხვირპირო, მთავრობისგან შველას და დახმარებას? ოტია მდივანის და ჩვენი მამულების დატაცებისთვის, სახლკარის დაქცევისთვის? ყაჩაღი შვილის გამოზრდისთვის და შენი სახლის ავაზაკების ბუდეთ გადაქცევისთვის? რატომ ელოდი?! — ყვიროდა მეთაური, მაღალი ჭაბუკი დათა ყიფიანი. წარბებს გველივით ატოკებდა და ყოველი სიტყვის დაძახებისას სახეზე მოწოლილი სისხლით ევსებოდა ზომაზე გრძელი, ღერღეტის მსგავსი კისრის ძარღვები. გიჟივით გადაქანებულ თვალებზე ცეცხლი ეკიდებოდა.

გოჯასპირმა გაიფიქრა: არც მე დამაყრიან კარგ ამბავს ეს კაცი და მისი გვარდიელებიო, მიიხედ-მოიხედა და ღობისკენ დაიხია. ყიფიანმა ნაბიჯი გადაადგმევინა ცხენს მისკენ და დაუძახა:

— რას ფიქრობდა შენი შტერი და ლენგერე შვილი გალაქტიონი, ჩემი დის სახლში რო ყაჩაღები დამასია უიარაღო კაცს? რას ფიქრობდი მდივნების ნაყმევო, გოჯასპირ და ნიკიფორე გელაშვილო, ნესტორ და მარკოზ ტურიაშვილო, თქვენი ყაჩაღი შვილები რომ არ ჩაქოლეთ, თავს დაგვასიეთ და მოთხრა და აოხრება მოგვინდომეთ? რას ფიქრობდით? გათოკეთ! — იღრიალა დათა ყიფიანმა.

მაშინვე ხუთი გვარდიელი ეცა უიარაღო გოჯასპირს, მაგრამ მოხუცმა ჯანიანი ძხარბეჭი შეარხია, მკლავები გააქნია და ხუთივე აქეთ-იქით გადაყარა. გალაქტიონის ცოლმა ასინამ შეჰკივლა. გოჯასპირს გალაქტიონის ბავშვების ტირილი შეეოესმა. აიმღვრა მოხუცი. მეთაურს დათა ყიფიანს შეეედა და მუქარით შესძახა:

— რა ამბავია, ბატონო, ღმერთს შეხედე!

ყიფიანმა ბრაზით გაუყარა თვალში თვალი და ისევ იყვირა: „გათოკეთო!“ გოჯასპირ ღობის სარს სწვდა, მაგრამ იგი მაგარი აღმოჩნდა ოთხმოცი წლის მოხუცისთვის. უცბად ვერ მოჰგლიჯა. გვარდიელი მიეპარა. რევოლვერის ტარი შემოჰკრა თავში. გააბრუა. წაესივნენ და ორღობეში წააქციეს. ასევე გაბოჭეს მისი ძმა ნიკიფორე, რაჟდენის მამა ნესტორ ტურიაშვილი, გოჯასპირის შვილები სევერიანე და ბიჭია და ყველანი კარისმერეთის ციხისაკენ გარეკეს. სოფელში ქალებისა და ბავშვების წივილ-კივილი ისმოდა. გოჯასპირ რატომღაც სოფელში დატოვეს. ოტია მდივნის მამულის ჭიშკართან დასვეს. დათა ყიფიანი ცხენიდან ჩამოვიდა და უთხრა:

— გოჯასპირ, თუ გინდა სიცოცხლე, მითხარი, გალაქტიონი, რაჟდენი, ნიკო და კირილე საით წავიდნენ?

— ამ მთას და ტყეს ხომ ხედავ — ბოლო არ უჩანს. რა ვიცი,—მიუგო მოხუცმა.

მეთაური დაუტკბა:

— სიტყვას გაძლევ, გოჯასპირ, არც ერთს არ დავხვრიტავთ. ყველას რუსეთში გადავასახლებთ. იგემონ ბოლშევიკებმა ბოლშევიკური სამოთხე... — დიდი კამათისა და ვაივაგლახის შემდეგ გოჯასპირ დასთანხმდა:

— მეხსიერება არ მღალატობს... ზეკარის გზით უნდა წასულიყვენ ახალციხეში, — ჩაგუგუნა მოხუცმა, სვანური ქუდი ოთხად მოკეცა და რევოლვერის ტარით გატეხილ კეფაზე დაიდო.

— თუ ტყვილი მითხარი, საშინელ საქმეს წაგკიდებ! — გააფრთხილა მეთაურმა.

ტყიდან ორი ცხენოსანი გამოვიდა. ერთი მათგანი იყო იონა, მეორე— კორნელი. მდინარე გაიარეს და წისქვილთან შეჩერდნენ. ცრემლმორეულმა მეწისქვილემ სოფელ სარკოიას დარბევის ამბავი და გვარდიელების მიერ ასოცი წლის მოხუცის თეოდე ტურიაშვილის მოკვლა უამბო მათ. როდესაც ცხენოსნები ბნელემთის აღმართს შეუდგნენ, იონამ კორნელის უთხრა:

— რა უბედურობაა! ასე მეფის ჯალათი, გენერალი ალიხანოვი და მისი ყაზახებიც კი არ ანადგურებდნენ სოფლებს!

— ადამიანში მხეცური თვისებები და სისასტიკე უფრო მეტი ყოფილა, ვიდრე მეგონა, — უპასუხა გულისტკენით კორნელიმ.

— მე შგოხია, ზედაზენში დაგვხვდება პოლკოვნიკი ... ჩემს გულისწყრომას მოვახსენებ. და თუ არ აიღო ხელი ხალხის აწიოკებაზე, ტფილისში ჩავალ და იქ შევარცხვენ ჟორდანიას.

აღშფოთი რომ აიარეს, სოფელი სარკოია გამოჩნდა. კორნელიმ თვალი შეავლო პიჭია ოტიას მამულის თავში გადაშლილ, გოლიათ მუხას. შეხედა და გაშტერდა. ცხენი შეაჩერა. თვალები მოიფშვნიტა და იონას უთხრა:

— იონა, რა ამბავია ეს? შეხედე: მუხაზე კაცი ჩამოუხრჩვიათ!

— ღმერთმა დალახვროს მაგათი თავი და ტანი! მართლაც კაცი ჰკიდია, — უპასუხა იონამ.

ცხენები ააჩქარეს. თავზარდაცემული და დარბეული სოფელი სარკოია თითქოს აყრილაო. სახლების და ქოხების კარები გამოკეტილი იყო და ეზოში არავინ სჩანდა. ილაჯგაწყვეტილმა ბებერმა ძაღლმა დაიყეფა მაოლოდ და ერთი ტიტლიკანა ბავშვიღა შევარდა ქოხში და კარები სწრაფად მოიხურა. მხედრებმა სოფელს გვერდი აუქციეს და ოტია მდივნის მამულისკენ გასწიეს.

შორს მაღლობზე ტოტებდაგრაგნილი, ასწლოვანი მუხა ირხეოდა მონაბერი ქარისაგან და მის უზარმაზარ ტოტზე ჩოხაგახდილი და საცვლების ამარა ჩამოკიდებული ვილაც მოხუცი ქანაობდა.

— ვინ არის ნეტავ? — იკითხა კორნელიმ შიშით.

— რა ვიცი, — უპასუხა გაოგნებულმა იონამ.

კორნელიმ ცხენს დეზი ჰკრა. სოფლის თავზე განმარტოებით მდგარი მუხა და მის ტოტზე ჩამოკიდებული მოხუცი თანდათან უახლოვდებოდნენ ცხენოსნებს.

ნელა გამოაღო ვილამაც იმ ქოხის უკანა კარი, რომელშიაც ტიტლიკანა ბავშვი შევარდა. ბოსელთან მიირბინა, ყანაში გადავიდა, ლობესთან ჩაცუცქდა და უცხო ცხენოსნებს ჭუჭრუტანიდან გაჰხედა, ვერ იცნო მოხუცი, ევროპული შლიაპით მომავალი და ჭაბუკი რუსული ქუდით. გაუკვირდა ცხენები რო შეაყენეს, თვალები ხელით მოიჩრდილეს და მუხაზე ჩამოკიდებულ კაცს განცვიფრებით შიხედეს. მთავრობის კაცები ხომ არ არიანო.—გაიფიქრა. ისევ ყანისკენ წამოვიდა და მეზობლის ქოხს მიაშურა.

სოფელში სამარისებური სიჩუმე იდგა. არავინ არ სჩანდა, თითქო მოსახლენი მიწაში ჩამძვრალანო. მხოლოდ ბებერი ძაღლი ჰყეფდა ისევ ილაჯგაწყვეტით და ბავშვი კნაოდა ქოხში გულსაკლავად. გლეხთან ქალი გამოიდა და ორივენი ყანაში შეიპარნენ. მეზობლის ეზოში ბოჩქისმაგვარ ხეზე გასულიყო ვილაც და უჩინრად გასცქეროდა უცხო მხედრებს. ხიდან ჩამოვიდა. ვენახში შევიდა. ოტია მდივნის მამულს მიადგა. ეკლი-

ანი ღობე უშლიდა თვალი ედევნებინა მხედრებისათვის. თხრილში ჩაცუ-
ქდა. დაკოჟრებული ხელებით გადაწია წნელი და ღობეშ[illegible]
რა გაიკეთა. მხედრებმა ჭიშკარი შეაღეს და მუხსკენ გა[illegible]
გლეხს: რადგან ვინც ჩამოხრჩობილს მიეკარებოდა და გამოესარჩლებო-
და, მასაც სიკვდილი ელოდა გვარდიელებისაგან. „ან თავზე ხელაღებული
ხალხია, ან მთავრობა ჩამოვიდაო". ასე ფიქრობდნენ ჯაგ-ბუჩქნარში, ვე-
ნახში და ყანაში შემალული განცვიფრებული გლეხები და შორიდან ზვე-
რავდნენ ცხენოსნებს.

ჭაბუკი მხედარი დაწინაურდა, მაგრამ ცხენი შესდგა, კუდი და ფა-
ფარი გაიფოფრა, დაფეთერული თვალები მიაპყრო ჩამოხრჩობილს, ხვი-
ხვინი მორთო, შიშისაგან აცახცახდა და განზე გახტა. ჭაბუკმა შესძახა.
მათრახი გადაუჭირა და ცხენი მოხუცთან მიარბენინა. მოხუცმა და ჭა-
ბუკმა სარზე მიაბეს ცხენები. მუხისაკენ ნელის ნაბიჯით გაემართნენ და
შორიახლო შეჩერდნენ.

ტოტებდაგრაგნილი, გოლიათი მუხა შრიალებდა და მისი შრიალი
მთაში გამეფებულ სამარისებურ სიჩუმეში ზღვის ხმოვანებას მოგაგონებ-
დათ. მოხუცმა ზურგიდან შეხედა ჩოხაგახდილ, საცვლებისამარა ხეზე ჩამო-
კიდებულ დევკაც გლეხს. შლიაპა მოიხადა და თვალი ხელით მოიჩრდი-
ლა. მოიხადა თუ არა შლიაპა, ოტია მდივნის მამულის ღობესთან ჩა-
ცუცქულმა გლეხმა მაშინვე იცნო კარისმერეთის რაიონის მოჭირნახუ-
ლე იონა. იმედი მიეცა და ღია ჭიშკრისაკენ გასწია.

მუხაზე ჩამოკიდებული დევკაცი გლეხი ნელა ქანაობდა მონაბერი
ქარისაგან. პირს ხან აღმოსავლეთისკენ იზამდა და ხან დასავლეთისკენ,
თითქო ლიტანიას უვლისო. იონა ახლო მივიდა და დაიძახა:

— გოჯასპირ! — ბრაზისგან ნიკაპი აუთამაშდა. კორნელი თავზარდა-
ცემული იდგა.

ჩამოხრჩობილს ენა გადმოეგდო. სახე და თავკისერი გასივებოდა, გა-
ლურჯებოდა და ზოგან კუპრისფერი გადაჭკროდა. არყის ხის ქერქისფე-
რი თვალები სისხლით აღვსოდა და ბუდიდან ამოვარდნას ლამობდნენ.
თვალებზე, ენაზე და ლაბშებზე ბუზები ეხვეოდნენ. ხელფეხი გაბოჭ-
ილი ჰქონდა. ჩამოშვეტილ და გაშეშებულ ხელსა და ფეხებზე თითები მოჰ-
კრუნჩხოდა. შრომით დაკოჟრილ ვეება ხელებზე ძარღვები დაზიდული-
ყო. ხელის ზურგზე ახლად მოშუშებული იარა შენიშნა კორნელიმ. მოა-
გონდა წისქვილთან შეხვედრა. გოჯასპირის ხელზე დაზღმურდლული
ძირმაგარა. მოაგონდა გოჯასპირის სიტყვები: „უნდა გენახა, რას გავდა.
ხარის თვალივით მაჯდა. ყურწუმელეის ნეშო დავადევი, დავამწიფე და
მერე დანის წვერით ავხიეო". ქარმა იმძლავრა. წელამდე დაფენილი თეთ-
რი წვერი შეურხია გოჯასპირს და ორად გაუყო. შეურხია ტანჯვით შე-
ტეხილი, გაფანჩული წარბები, კეფაზე ლომის ფაფარივით დაყრილი თმა.

კიდევ უფრო გააქანა ქარმა ჯალათების მიერ ჩამოხრჩობილი ბერიკაცი. ხან მაღალ გორისაკენ აქნევინებდა პირს და ხანაც აჯამეთის ტყისაკენ, თითქო ოთხმოცი წლის მოხუცი გლეხი სამშობლოს ეთხოვებოდეს.

დააცქერდა კორნელი და შეეცოდა. მოაგონდა დედა ტერეზას ნაამბობი გოჯასპირზე. მისი უცნაური არყის ხის ქერქისფერი თვალები. მერე მთას, მაღალ გორასა და აჯამეთის ტყეს გაჰხედა და თითქოს იმ მთიდან და ტყიდან უცქეროდნენ კორნელის არყის ხის ქერქისფერი თვალები. შეძრწუნდა.

ორლობეში თითო-ოროლი კაცი გამოლოდა. ერთი ჭიშკარში შევიდა. მოკრძალებით მიუახლოვდა იონას და კორნელის, ნაბდის ქუდი მოუხადა მათ შიშისგან ზეზეულად გათავებულმა გლეხმა.

— რა ამბავია, ლავროსი, რა უბედურება მომხდარა ეს? — იყვირა იონამ.

— დაგვაქციეს, ბატონო იონა, ამ ურჯულოებმა. სიმინდი და ღვინო გაწიკეს. საქონელი და ფრინველი წაგვართვეს. არაფერი არ შეგვარჩინეს. ბოლშევიკები ხართო და ნახევარი სოფელი დაატუსაღეს. ხალხი ტყეში გახიზნული. ვინც დავრჩით, შიშისაგან სული აღარ გვიდგას. ხომ ხედავ, საწყალობელი გოჯასპირ მის მიერ ნაშრომ და ნაოფლარ ოტიას მამულში ჩამოახრჩვეს, — უპასუხა ლავროსიმ და ტირილი ველარ შეიკავა.

— რას ერჩოდნენ ის ოჯახქორები! — წამოიძახა აღშფოთებულმა იონამ და ისევ შეხედა გოჯასპირს.

— გალაქტიონის მამა ხარ, შენი შვილი საით წევიდა და სად იმალება, რატომ სწორი არ გვითხარიო. ახლა ამას გთხოვთ, ბატონო იონა, ხეზე ნუ დაალპობენ და ყვავყორნებს ნუ შეაჭმევენ ამ ცოდვით სავსე გოჯასპირს.

— როგორ თუ დაალპობენ! რად არ ჩამოხსენით და არ დაასაფლავეთ?

— ვინ მოგვცა, ბატონო იონა, მაგის ნება? ვინც მიეკარება, მასაც ის დღე მოელისო, გამოგვიცხადეს. — უპასუხა ლავროსიმ.

ამ დროს გლეხებმა სათითაოდ იწყეს დენა მამულში. იონას და კორნელის ესალმებოდნენ შიშისგან თავზარდაცემულნი, ჩამოკონკილნი და დაბეჩავებულნი. ზოგი გამოელენჩებია შიშს და ხახა-დაღებული შესცქეროდა და უსმენდა იონას. უფრო გამძლეებს და ყოჩაღებს იმედი ჩაესახათ გულში და გვარდიისა და მენშევიკური მთავრობის მიმართ დაგროვილი ბოღმა ამოანთიხიეს, აღარ დამალეს.

— მოდით, ჩამოვხსნათ!.. — დაუძახა მათ კორნელიმ. მაღალი ჯირკი მიათრია. ზედ შეხტა. თოკს ხელი წაავლო და ჯიბის დანით გადაჭრა. გლეხებმა ნელა დაუშვეს მუხის ქვეშ, ტყის თეთრი ყვავილებით, ენძელა, მაჩიტელა, მთის-ჩადუნა და ბაიით აჭრელებულ მოლზე უზარმაზარი

მოხუცის გოჯასპირის გვამს. ხელფეხზე ბაწარი შეაჭრეს. მუხლი მოიყარეს. საცოდავად ჩაცუცქდნენ, სახე დაელმიჭათ ტირილით და გოჯასპირის განიერსა და ბანჯგლიან მკერდზე ცრემლი დააფრქვიეს. [illegible] ეუჭავდნენ და გაშეშებულ თავფეხს უსწორებდნენ.

ამდენხანს სამარედ ქცეულმა და გარინდებულმა სოფელმა, თითქო გამოიღვიძაო. თითქო მიწიდან ამოვიდა სოროებში მიმალული ხალხი.

მამულში ტერეზასთან ნამსახური, გალაქტიონის ცოლი, ასინა შევარდა კივილით. მკლავზე უმსხოსი ნაწნავების გაშლა ვერ მოესწრო. ხელში შავი თავსაფარი დაეჭირა, რომელსაც ქარი ბაირალივით აფრიალებდა. ქარი აწვებოდა ახალგაზრდა ქალს. ლურჯი ჩითის გახუნებული კაბა შემოეგრაგნა მის გამხდარ ტანზე და წინ აზიდული კალთები ქოლგასავით გაებერა, თითქო აჩქარებდა გოჯასპირისაკენ მარბენალსო. მკერდზე დაეცა მამამთილს გალაქტიონის ცოლი. თავში ხელი წაიშინა. თმას იგლეჯდა. ღაწვებს იხოკავდა, გულსაკლავად სტიროდა:

— გოჯასპირ, რას ხედავს ჩემი სამიწე თვალები, ბაბა?! რა მოგივიდა, ბაბა, ათას კაცში საკითხავო, ჭკვიანო კაცო!? არ გყავდა შენი გალაქტიონი მტრებისთვის გამოეგლიჯა შენი თავი, ლომკაცო ჩემო ბატონო! გოჯასპირ, ჩვენო წარმოსადეგო თავკაცო, ვინ გაგიბედა ხეზე ჩამოხრჩობა ყვავ-ყორნის შესაჭმელად, ბაბა!? ქალი ვარ, ვერ მოვერევი იმ ურჯულოებს, ბატონო! გალაქტიონი მოძებნის ჩვენს დამაქცევრებს, კაი დღეს არ დააყრის, იცოდე, ბაბაა...

ხალხს ოხვრა აღმოხდა და ამ ოხვრის აზრი იყო: შურისძიება.

გულის სილრმემდე სწვდებოდა ასინას მოთქმა კორნელის. შეძრწუნდა და ტანთ გააჟრჟოლა. იცოდა: გალაქტიონი სამაგიეროს გადაუხდიდა მამის მკვლელებს. გლეხები ასინასთან მიიჭრნენ და წამოაყენეს. გასავათებული ასინა ულონოდ კვნესოდა, თითქო სული ამოსდისო. ჩამოკაწრულ ლოყებზე ცრემლი სდიოდა, გლოვით და მუქარით გადახედა დამსწრეთ. ონას და კორნელის მიატირა:

— კორნელი, შეხედე. არ გეცოდება შენი ბაბუა არჩილის და ბებია დარეჯანის ხელში გაზრდილი გოჯასპირ, ძმაო? მე და კორნელი ჯარში ვიყავითო, მეუბნებოდა გალაქტიონი... ერთად ვებრძოლოთ თათარსო, ბიჭო... თათარი არ წაგვკიდებდა ამ ცეცხლსა და გენიას, ბატონოო...

კორნელიმ ცრემლი მოიწმინდა.

ფართოდ გაღებულ ჭიშკარში შავ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალები შემოვიდნენ. ყორნებივით დაირაზმენ ღობის გასწვრივ, თავზარდაცემულნი

და გაკვირვებულნი. თავსაფრები გაისწორეს. ერთმანეთს გადახედეს და მიინაბნენ. ჯერ ერთი დაიძრა მაღლობიდან დალმართზე, და მერე ყველანი გამოემართნენ გოჯასპირისაკენ შავი კაბის კალთების შრიალით. მეწინავე შეჩერდა. უცნაურად გააქანა თავი და დასჩხავლა: გოჯასპირო. ასინამ გველნაკბენივით ააღირა თავი, ხმა გასცა და მერე სოფელი სარკოია ქალთა ტირილმა, მოთქმამ და კივილმა შესზარა.

*
* *

სოფელ ზედაზენისკენ მიმავალ გზაზე იონას და კორნელის ორი ცხენოსანი გვარდიელი წამოეწია.

— რად მოხსენით სახჩობელიდან ის კაცი? — შეეკითხა გვარდიელი.

— ჩვენ პოლკოვნიკ რევაზიშვილთან მივდივართ, რომ დაკრძალვის ნება დართოს ჭირისუფლებს... აღშფოთებული ვარ ამ სისასტიკით! — უპასუხა იონამ.

წვერულვაშიანმა და ჩასუქებულმა გვარდიელმა დამცინავად დაიწყო ღრეჭა და იონას უთხრა:

— როცა ტყეს სჭრიან, ნაფოტი სცვიავაო, ხომ გაგიგონიათ, ბატონო, რუსული ანდაზა!

— თქვენ ნაფოტს კი არა, გოლიათ მუხას, ჩვენს სიამაყეს, ქართველი ხალხის ათასწლოვან ფესვებს სჭრით და აგდებთ დედამიწიდან — ბრაზით შესძახა კორნელიმ.

გვარდიელნი აიმრიზნენ.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — გზაზე გადაუდგნენ.

კორნელიმ სტუდენტურ დიაგანალის შარვალში ხელი ჩაიდო, ნაგანი ამოიტაცა, ჩახმახი ფეხზე შეაყენა და მეთაურივით უყვირა:

— გზა, ჩამომეცალეთ!

გვარდიელები შეშინდნენ, ყანაში გადაიყვანეს ცხენები და გზა მისცეს. იონა დიდხანს იცქირებოდა უკან და კორნელის უწყრებოდა:

— რა ჩხუბის გუნებაზე ხარ? შენი ჭირიანი რევოლვერით აჯობებ ამდენ გვარდიელს?

— ფეხებზე მკიდია მე გვარდია! ისინი საქართველოს ხალხს აწიოკებენ, სტანჯავენ და უნდათ აღგავონ პირისაგან მიწისა! — უპასუხა კორნელიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განშორება

„მიმავალი, ცასა შეიტრეს
ეუბნების, ეტყვის მზესა“.

შ. რუსთაველი.

მაყაშვილები შორაპანში ჩავიდნენ და ტფილისისაკენ მიმავალ მატარებელს გაჰყვნენ. მათთან ერთად გაემგზავრა აგრეთვე აღშფოთებული იონა: უნდოდა შეეტყობინებინა ჟორდანიასთვის გვარდიის მიერ ჩადენილი მხეცობა და უმსგავსოება. ამ დაგვიანებულმა ხალხოსანმა და მეოცნებე კაცმა როდი იცოდა, რომ მენშევიკური გვარდია და ჯარი სწორედ იმავ ჟორდანიას კარნახით მოქმედებდა ასე სასტიკად და უმოწყალოდ. პლატონ მოგველაძე ადრევე წასულიყო თავის სამშობლო სოფელში.

მატარებლის წასვლის შემდეგ, როდესაც ვაგონის ფანჯარაში გადმომდგარი ნინოს სახე მიიმალა, კორნელი უგუნებოდ შეიქნა. გვერდით პაჭიჭებიანი და ჩაბალახით თავწაკრული დომენტი ედგა.

— გაფრინდა შენი ოქროს ჩიტი! — უთხრა კორნელის ტანმორჩილმა და ჯმუხმა მოჯამაგირემ და მორიდებით შეაპარა ქალბატონის შვილს კამეჩის თვალის ოდენა კრიალა თვალი. კორნელიმ სახეზე ღიმილი შეამჩნია:

— გაფრინდა, ჩემო დომენტი! დამცინი განა?

— არა, შე კაცო! შევარდენი თუ ვარგა, კაკაბი სად წაუვა? კაი ქალია, კუტალია, მარა ქალაქის ქალი ქალბატონს სოფელში არ გამოადგება.

— მოგწონს?

— შარშან ქალბატონმა ქუთაისში გამაგზავნა. იონა შემხვდა და ხალხით სავსე ერთ დიდ ოთახში შემიყვანა. დააბნელეს. თეთრ ზეწარზე ლამაზი ქალი თამაშობდა, თხელი და სუსტი, სულ გამოხოხებული ნინო იყო. — დომენტიმ თვალი ხელით მოიჩრდილა და სიცილით შენიშნა: — მაგი გაგიჩერდება ქალბატონთან სოფელში! მაგი გიოჯახებს და გიზილავს ჩვენი ორღობის ტალახს? გაგიგონია! უბედოა ქალბატონი, არც ერთი რძალი არ გამოადგა!

კორნელიმ ნაძალადევად გაიღიმა. დააცქერდა და გაიფიქრა: „ნეტავ იცოდეს დომენტიმ, თუ რა სატანჯველია საყვარელ არსებასთან განშორება“. დომენტი თითქო მიუხვდა გულისთქმას:

— რამ ჩაგაფიქრა, კორნელი? ნუ გეშინია, შენც მალე წახვალ ქალაქში.

— ამ თვის დამლევს წავალ. მაგრამ როგორ ჩავიდე ქალაქში, შვებულებას დიდი ხანია გაუვიდა ვადა!

— აბა, რავა იზამ? — შეწუხდა დომენტი. ტერეზას მიერ ნაჩუქარი რკინის კოლოფი ამოიღო ჯიბიდან. კოლოფზე ეწერა: „მონპასიე“. თუთუნი გაზეთის ქაღალდში გახვია და კორნელის მიაჩერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაუვიდეს ვადა, ამის პატრონის ქვეყანაც აღარ იყოს! ტყუილია: ჯარში აღარ დავბრუნდები! თუ უცხოეთში არ მოხერხდა ჩემი წასვლა, ტფილისის უნივერსიტეტში შევალ. მაგრამ უნივერსიტეტში ვინ გამაჩერებს, თუკი დეზერტირად გამომაცხადეს? — დაეჭვდა კორნელი.

— მაგის ჯავრი ნუ გაქვს: ევგენი ვერ გაგანთავისუფლებს ჯარიდან? — დააიმედა დომენტიმ.

კორნელიმ აღრენილად უპასუხა:

— ისღა მაკლია, დაუსრულებლად ვიყანყალო ჯარში და აყროლებულ ყაზარმაში ვიცხოვრო. ფუქსავატ ოფიცრებს ველრიჯო, გაბუძგულ და რეგვენ იოკიმე აბულაძეს, ილია ტრაპაიძეს და ფოფხაძეს ვემსახურო. ღმერთმა დასწყევლოს მაგათ მიერ აშენებული ქვეყანა!

— მაგენის აშენებული ქვეყანა არც მე მომწონს, მაგრამ რას იზამ... — შენიშნა დომენტიმ.

სადგურზე სოფლელები შეგროვდნენ. ყურს უგდებდნენ კორნელის. უნდოდათ გაეგოთ, ეს ნასწავლი კაცი რას ელაპარაკებოდა კარისმერეთელ გლეხს დომენტი ხვედელიძეს. მაგრამ კორნელის არ სურდა მოესმინათ მისი საუბარი და წასვლა დააპირა. დომენტიმ აგოიას დაუძახა. ივი პირდაღებული მისჩერებოდა ორთქლმავალს, ბორბლებსა და მქშინავ ქვაბს.

კორნელი და აგოია ცხენებზე შესხდნენ. დომენტი კი ურემზე დაჯდა. ალმართს შეუდგნენ. ტყეზე იარეს, როდესაც გაივაკეს, აგოიამ კორნელი შეაქეზა. ცხენები გავაჭენოთ, აბა, რომელი გავასწრებთო. კორნელის აღარ ჰქონდა ცხენის ჭენების თავი. ნინოს წასვლის შემდეგ კაეშანი შემოაწვა. უხალისოდ ეგდო უნაგირზე და ასე გასცქეროდა მთიდან რიონის ველს. მზე სწვავდა უმოწყალოდ და მოაგონდა საყვარელ არსებასთან გაყრილ ავთანდილის „ლექსთა საბრალოთა“ სიმღერა, მნათობებისადმი მიმართული: „მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა“... პირველად ჩაწვდა ასე მძაფრად ამ ლექსის სწორუპოვრობას, სიდიადეს, მიჯნურობის, დიდი მეგობრობის გრძნობას და საგმირო საქმეებს: განსაკუთრებით აოცებდა მზიური ხატოვანებით ამღერებული თქმა:

„მოდი მარიხო, უწყალოდ დამსჭერ ლახვრითა შენითა,
მეცამღებე და შემსვარე წითლად სისხლისა დენითა“.

შოთას ლექსის მუსიკალობის, ავთანდილის დამწველი გრძნობისა და მზიური ვნებების შემდეგ ისევ ნინო მოაგონდა და ასეთი ფიქრი დაიწყო: „თუ მიჯნურობა ჩემი მაღალია და უზადო, მაშინ საჭიროა მეც ვუჩვენო საყვარელს „საქმენი საგმირონია“. მაგრამ როგორ? რა დარგში?

რა საგმირო საქმე უნდა შეესრულო უბრალო სტუდენტმა, ჯარისკაცმა პიროვნებისათვის ულმობელ და მკაცრ საუკუნეში? რაინდობის ხანა მოკვდა, გადავიდა შოთას მიერ გაგებული მიჯნურობა, გმირობა და მეგობრობაც. მაგრამ მეცხრამეტე და ძეოცე საუკუნეს განა არ წარმოუშვია გმირები? განა ნაპოლეონი არტილერიის უბრალო ჯარისკაცი და ოფიცერი არ იყო? განა ბალზაკი ღარიბი სტუდენტი არ იყო, ასე გულმოდგინეთ რომ ლამობდა კალმით შეესრულებია ის დიდი საქმე, რომელსაც ნაპოლეონმა ვერ მიაღწია ხმლით? თვითეული მათგანი თავისებურად იმკვიდრებდა ადგილს საზოგადოებაში. მაგრამ მე პოლიტიკოსი არა ვარ. ვერც ხმალით მოვიპოვებ გამარჯვებას. კალამიც არ მიცდია. იქნებ მხატვრობამ მომიპოვოს სახელი".

სანამ პატივმოყვარე და სახელის მოხვეჭით გატაცებული სტუდენტი ასეთ რამეებზე ფიქრობდა, აგოია მამას გაეწკეპლა: ცხენს რისთვის აწვალებო. აქაფებული ცხენი ურმის ჭალზე მიება და ასე მოდიოდა კორნელისაგან კარგა მანძილზე ჩამორჩენილი მეურმე. აუტანლად ცხელოდა. კორნელიმ ჩრდილში დააყენა ცხენი და დომენტის დაუცადა. აგოია ქვეითად მოსდევდა ურემს.

წ ა ლ დ ი

კარისმერეთიც გამოჩნდა. იგი მთის ძირშია გაშენებული. მხეიძეების, დეკანოზ ერასტი მაჭავარიანის და სხვა აზნაურთა სახლები კი უფრო მაღლა მთის კალთაზე გადმომსხდარან. სოფლის მოშორებით, ჭალის პირად გამოიცქირებიან პატარა ეზოებში ჩამდგარი ისლით დახურული ქოხები. ერთ ასეთ ქოხში ცხოვრობს კორნელის ამხანაგის გიგოს მამა, ნალბანდი კალისტრატე თავაძე. კორნელის სახლის აივნიდან კარგად მოსჩანს კალისტრატეს ისლით დახურული ქოხი და ერთი ქცევა ეზო, რომელიც დეკანოზის, აზნაურ ერასტი მაჭავარიანის საყანე ადგილების გვერდით მდებარეობს. თვალისჩინივით უფრთხილდებოდა კალისტრატე ეზოში დათესილ სიმინდს. სხვა საყანე ადგილი მას არ გააჩნდა და ვერც საზიაროდ აიღებდა დეკანოზისაგან, რადგან სამჭედლოში და ამავ დროს ყანაშიც მუშაობას ვერ აუვიდოდა მოხუცი და წელში გატეხილი გლეხი. არც სამჭედლო იძლეოდა ამ ბოლო ხანს ისეთ შემოსავალს, რომ ყანის მუშა დაექირავებინა. ვერც გურიასა და სამეგრელოში გათხოვილი მისი ორი ქალიშვილი შველოდა გაჭირვებულს. წელს კალისტრატემ თვითონ გაამოროდა სიმინდი. წელში მოხრილი მამის საცოდაობით დაიწვა მისი შვილი — სტუდენტი გიგო. იკადრა და გვერდში ამოუდგა.

სამოყიანმა თოხმა მკლავები დააგლიჯა გავარვარებულ მზის ქვეშ თავწაღუნულ და ფეხშიშველა სტუდენტს. როცა მწუხრის ჟამს ოფლში ამოვლებული პერანგი გასწურა, მტვრიანი, შეხურებული ფეხები ცივ

წყალში ჩასდო და გამგელებულმა მჭადი ლობიოში ამოუსვა, — მხოლოდ მაშინ მიხვდა ყანაში მუშაობის სიმძიმეს, დასვენებისა [illegible] სიამეს. მერე როცა თავნაყარი სიმინდი გვალვამ შეაწუხა [illegible] ყვითლე შეეპარა, — ისიც მამის მსგავსად სჩიოდა: თუ ყანა არ მოირწყა, ამდენი შრომა წყალში ჩაგვიცვივა და ამაოდ ჩაგვივლისო.

თოხი მხარზე გაიდო და დაკარწახებული გაჰყვა მამას არხისაკენ. სათავე მოსძებნეს და დიდი შრომისა და ჯაფის შემდეგ გადმოგდებული წყალი მოწყენილ და დამჭნარ ყანაში მიუშვეს. მამა-შვილი სიმინდში მურმალობდნენ, თოხით ხოხნიდენ მიწას, რუს ანტოტებდნენ და გზას უკვლევდნენ. ერთ ადგილას ტბორი დადგა. თაკარა მზით და გვალვით გამხმარი, დამსკდარი და დაბზარული მიწა ისრუტავდა არხიდან მოდენილ წყალს. ზედაპირზე ბუშტები ამოდიოდა, თითქო დედამიწა დახარბებული ტუჩებით ხვრეპს და იშრობს წყალსო. სიმინდის ძირებში სისველე ჩადგა და თითქო გრილი ნიავიც მოვარდა. დახრილი სიმინდი ტანს იღებდა, ჩამოშვებული და დამჭკნარი ფურცელი ოდნავ აშრიალდა და გამოცოცხლდა: აწი აღარ დაგველუპება წლის სარჩო, — გაიფიქრეს მამა-შვილმა, მაგრამ მალე წყალი ჩამოიშრიტა მთავარ ნაკვალევში და მერე ერთბაშად გაქრა.

— რა ამბავია? — დაიძახა კალისტრატემ და მეზობლის ბიჭი აფრინა არხისაკენ.

— ვინ ეშმაკი შემოგვიჩნდა? — შეაწია ხმა გიგომაც.

— თუ დღეს და ხვალ წყალი დაგვიკეტეს, მშვიდობით მერე: ყანას ველარაფერი უშველის! — უპასუხა უსასოოდ კალისტრატემ.

გიგომ ერთი გადახედა ოფლში გაწურულ, ფეხშიშველ და ტალახში ჩამდგარ მამას და შეეცოდა წლებით გატეხილი მოხუცი. ასე შრომობს ბერიკაცი და იმის მაგიერ, რომ მოსწრებული შვილი, სტუდენტი იქით ეხმარებოდეს, ჯერაც მისი ხელის შემყურეა, და ყოველ წელს მშობელმა უნდა უგზავნოს დამშეულ ტფილისში თავისი ნაოფლარ-ნასისხლარი სიმინდის ფქვილი, კვერცხი და ვაივაგლახით გამოზრდილი ღორის შაშხი. მართალია, გიგო მოწაფეებს ამზადებდა გიმნაზიისათვის არა ფულზე, არამედ ნატურით: სიმინდზე, ლობიოზე, მაგრამ ამ შიმშილიანობის ჟამს ლობიო და სიმინდიც ძვირად თუ ვისმე მოეძებნებოდა. თოხის ტარზე დაყრდნობილმა გიგომ ნიგვზის კაკლისოდენა ბრაზიანი თვალები მიაპყრო არხიდან რბენით მოსულ, აქელებულ ბიჭს. მეზობლის ბიჭმა განაცხადა:

— სათავე დეკანოზს ერასტი მაჭავარიანს დაუკეტია. თავზე ადგანა მუშებს და ყვირის: ვინ გამბედა წყლის წართმევა, არ იცის იმ უსინდისო კალისტრატემ ყანას რო ვრწყავო! — თვინიერმა, მორწმუნემ და უწყინარმა მოხუცმა გლეხმა კალისტრატემ დამნაშავესავით ჩაჰკიდა თავი, მიწას დააცქერდა და გაუბედავად წაილუღლუღა:

— ჩემი ყანა ყანა არაა თუ?

— ჯერე ჩემი ყანის მორწყვა მაცალოსო. — უპასუხა ბიჭმა.

— მერე რაღა დროს იქნება? ხომ ხედავ, რა დღეშია ყანა! — დაიძახა გიგომ და სახეზე წამოანათა.

— უნდა მოუცადოთ, შვილო, სხვა რა ჯანია? — ურჩია ფიცხ შვილს მამამ.

— თითონ მოიცადოს, არხი მისი საკუთრება არ გახლავს. არხი ხალხისაა, — შეედავა შვილი.

— დეკანოზს ვერ წავართმევთ წყალს, ჩვენი მოძღვარია! — გადასწყვიტა ქრისტეს მორწმუნე გლეხმა. მაგრამ შვილი გულის სილრმემდე იყო შეურაცხყოფილი დეკანოზის აგდებული პასუხით.

— გაჩვენებ, თუ ვერ წავართმევ! — დაიძახა გიგომ. შარვლის ტოტები ჩამოუშვა და არხისაკენ წასასვლელად მოემზადა.

— როგორ თუ წაართმევ? მუშებს ადგას თავზე. დეკანოზი ფიცხი კაცია, ერთს მაგრად დაგაპანღურებენ, — გააფრთხილა კალისტრატემ. ამის საპასუხოდ გიგომ მეზობლის ბიჭს გადახედა, უმოწყალოდ შეჰკივლა:

— წალდი!

მეზობლის მაკვიტმა ბიჭმა მართლაც მოურბენინა ქოხიდან წალდი.

გიგომ წალდი ჰაერში შეაგდო, ტარში ხელი წაავლო და ღობისკენ გაიჭრა. კალისტრატე გაოცდა. პირი დააღო.

სწორედ იმ დროს მიუახლოვდნენ კალისტრატეს ეზოს სადგურიდან მომავალი კორნელი, დომენტი და აგოია.

— წალდი რათ გინდა, ბიჭო? — შეეკითხა განცვიფრებული მამა შვილს.

— თავს წავაგდებიებ!

— ვის წააგდებიებ, ბიჭო თავს?

— ვის და შენს დეკანოზს.

კალისტრატეს შერცხვა კორნელის, ღობეზე მომდგარ მეზობლებისა და შვილი დატუქსა:

— რაო? რას ამბობ? ეპისკოპოსის ტოლ კაცს თავს წააგდებიებ, შე წამხდარო? გაჩუმდი! — დაუცაცხანა მამამ და ღობეზე შემხტარ შვილისაკენ გაიწია.

— ეპისკოპოსს კი... თავზე! მისი დედა... — ილრიალა გიგომ. აღარავისთვის არ მიუქცევია ყურადღება, ღობეზე გადახტა და არხისაკენ მოჰკურცხლა.

კალისტრატე გაშტერდა. მიიხედ-მოიხედა. ქოხს მიაჩერდა. თოხი მიწაზე დააგდო. შუბლზე ხელი იტკიცა და დაიძახა:

— მიშველეთ, შვილი გადამერია!

დომენტიმ ურემი გააჩერა და გადასძახა:

— რა მოგივიდა კალისტრატე?

— შვილი გადამერია, დომენტი, ნამდვილად გადამერია! — უპასუხა კალისტრატემ. მერე ქოხში შეევარდა და წიგნებით სავსე ყუთი ამოიღო.

— რას შობი, შენ მართლა გადარეულო? — შესძახა ცოლმა, ბუა. ცეცხლთან მოფუსფუსემ და ჩილივით დამჭკნარმა მოხუცმა მართამ.

— წიგნებმა გამიგიჟა. სუყველა უნდა დავწვა! — იყვირა ჯუჯა ტანის მოხუცმა ნალბანდმა და წიგნებს შუაცეცხლისაკენ გადაუძახა.

— არც ერთს არ დავტოვებ. ღმერთზე და ხატზე ამ წიგნებმა ააღებინეს ხელი შენს გატუტუცებულ შვილს, — ყვიროდა კალისტრატე და სათითაოდ ისროდა ცეცხლში კაუცკის, ოტო ბაუერის, გილფერდინგის და პლეხანოვის წიგნებს...

თავსაფრიანი და დამჭკნარი მართა კარში გავარდა, მეზობლის ბიჭს სწვდა და გაჯოხა:

— შენი ბრალია, შე უკულმართ დღეზე გაჩენილო, წალდს რას მიარბენიებდი?!

წალდით შეიარაღებული გიგო არხისაკენ გარბოდა. კორნელი, დომენტი და აგოიაც იქითკენ წავიდნენ.

თეთრწვერა დეკანოზი, აზნაური ერასტი მაჭავარიანი გამხდარი და მალალი კაცი იყო. სასულიერო აკადემია ჰქონდა დამთავრებული კიევში. რევოლუციამდე ქუთაისის გიმნაზიაში ასწავლიდა სამღვთისჯულს. რევოლუციის შემდეგ კი სოფელში გადასახლდა. თხელი შალის ანაფორა ეცვა. თავზე ადგა მუშებს, განკარგულებას აძლევდა და კრიალოსანს მარცვლავდა. მშვიდი და ლამაზი სახე ჰქონდა, მაგრამ ამ „წმინდანის“ ნიღაბის მიღმა პატივმოყვარე, გრძნეული და ენამწარე იეზუიტი იმალებოდა. იგი მდიდარი და ცოლშვილით ჩაპარკული კაცი იყო. იცნობ გლეხურად დაკარწახებული სტუდენტი — ნალბანდის კალისტრატე თავაძის შვილი. გიგო მიუახლოვდა მუშებს და შესძახა.

— აუშვით სათავე!

— როგორ თუ აუშვან? — გაუკვირდა დეკანოზს.

— ისე. ყანა მაქვს მოსარწყავი. წყალი მჭირია! — უპასუხა ბრაზისგან გაფითრებულმა გიგომ.

— მე არ მჭირია? — გაიფოფრა მამალი ინდოურივით დეკანოზი.

— ამ არხის წყალი შენც გეყოფა და მეც.

— მერე, კალისტრატე თავაძეს უცადოს ერასტი მაჭავარიანმა? — დასცინა დეკანოზმა.

— არხი ერასტი მაჭავარიანის არ გახლავს. არხი საქვეყნოა. — შეუტია გიგომ.

გლეხს თოხი გამოსტაცა და გარღვეულ სათავიდან დაუწყო წყალს ნაკვალევში გადაყვანა.

— გააგდეთ, ეს უცხვირპირო! — დაიღრიალა დეკანოზმა.

— იქით — შეუტია გლეხს გიგომ და წალდი მოიმარჯვა.

— ეს გასწავლე, ბიჭო, მე შენ გიმნაზიაში? ამას უნდა მიბედავდე ჩულიანი ყაზახის კალისტრატე თავაძის შვილი?

— ღარიბის ოჯახი დაიქცეს და მდიდრის აშენდესო, ხომ არ სწერია იმ დასაწვავ სალმთოსჯულში, შე ქვეყნის მატყუარა?! — აგდებულად უპასუხა გიგომ. მუშებს ღიმილი შენიშნა დეკანოზმა. აღელდა და გიგოს შესძახა:

— რას ტლიკინობ, შე მათხოვრის შვილო?

თავზე ხელაღებულ ვაჟკაცს — იასონ ჯანჯღავას აპატია გიგომ ეს დამამცირებელი სიტყვები სამკითხველოსთან, მაგრამ მის მიერ ათვალისწუნებულ სასულიერო წოდების პირს კი აღარ მოუთმინა. თოვლივით თეთრ წვერში ეაავლო ხელი, გრძელი წვერით დაითრია დეკანოზი, წალდი აღმართა, გასისხლიანებული თვალები მიანათა და დაუყვირა:

— თავს წაგაგდებიებ, შე ბნელეთის მოციქულო!

დომენტი მივარდა და გიგო შერისხა:

— არ გაბედო! რას შობი?

დეკანოზი განზე გადახტა. ანაფორა დაიკარწახა და შინისაკენ მოუსვა.

კორნელიმ გულიანად გადიხარხარა. იგი ცხენზე იჯდა. გიგომ ჯერ დეკანოზს გააყოლა თვალი, მერე კორნელის აჰხედა და მოულოდნელად მანაც გაიცინა.

— დეკანოზს თავს სჭრიდი, შე ცეცხლმოკიდებულო? — შეეკითხა დომენტი სიცილით. აგოიამ, ყველა იცინისო, იფიქრა, და მანაც გადიჭიხვინა. დეკანოზმა გულღვარძლიანად მოიხედა.

კამათი

— შენი ყანა დაიღუპოს, რას დავეძებ, ფეხებზე მკიდია, თქვე მათხოვრებო! ხედავ რა მითხრა? აბა, შენ თუ გაგიბედავდა? — შეეკითხა გიგო კორნელის. ისევ დარცხვენით დაიხედა შიშველ ფეხებზე და დახეულ ტანსაცმელზე. მორიდებით შეხედა კორნელის. კვლავ იგრძნო მის წინაშე სიბრალე და უთხრა: — ღმერთმა დასწყევლოს ბეჩავი და ღარიბი კაცის გაჩენის დღე! რა მამაჩემის შვილის საქმეა უნივერსიტეტი და მეცნიერება.

დომენტი თავზე დაადგა:

— სანამდის კუჭი არ მოიწვა ამ ეაჟბატონს, სხვანაირად გალობდა. ახლა თავი კინაღამ არ წააგდებია დეკანოზს.

— მდგომარეობა ქმნის შეგნებასო, ნათქვამია, ჩემო დომენტი! — წამოსცდა კორნელის.

ეს ფორმულა სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის რომ კამათი დაწყებულიყო.

— ეხლა ხომ დარწმუნდი, კორნელი, მაგ სიტყვების სისწორეში?

— შენმა საქციელმა დამარწმუნა, — მიუგო კორნელიმ.

თავმოყვარე გიგომ დაცინვად მიიღო ამხანაგის სიტყვები და ბრაზისგან ბალბისამებრ ენამწარედ დაიწყო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი საქციელი რა შუაშია? ომმა და გაჭირვებამ მშრომელი ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანა. თვითმპყრობელობა დაამხო, რევოლუციამ ქვეყანა შეაზანზარა და ნუთუ ეს საკმარისი არ იყო შენთვის დარწმუნებულიყავ, რომ სწორედ მდგომარეობა ქმნის შეგნებას?

— ზოგი გაჭირვებული ყოფისა და სიღარიბის გამო მიდის გარკვეულ შეგნებამდე და რევოლუციის აუცილებლობამდე, ზოგიც თავისი მრწამსის გამო ილაშქრებს ძველი წყობილების წინააღმდეგ, — შენიშნა კორნელიმ.

რადგან გიგოს ყველაზე უფრო მცოდნე მარქსისტად მიაჩნდა თავისი თავი, არა მარტო კარისმერეთში და ქუთაისში, არამედ ტფილისშიაც და კამათში არა ერთი მოწინააღმდეგე დაუმარცხებია, ამიტომ გაიღიმა და შეეკითხა:

— როგორია ეგ შენი მრწამსი?

— ჩემი საფიქრებელი საგანი არის პიროვნების თავისუფლება! — უპასუხა კორნელიმ.

გიგომ ისევ გაიღიმა, რადგან, მისი აზრით, ეს საკითხი ძლიერ კარგად იცოდა და ასე განუმარტა:

— პიროვნების თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ ისეთ საზოგადოებრივ წყობილებაში, სადაც მოსპობილია სოციალური უთანასწორობა და ძლიერის მიერ სუსტის ჩაგვრა.

— ეს არა ერთხელ უთქვამს ჩემთვის სკოლის ამხანაგებს ნახუცრიშვილსა და მახათაძეს, მაგრამ მათი მსჯელობა პიროვნების თავისუფლების საკითხს ნათელს ვერა ჰფენს.

— იმათ დღესავე სურთ სოციალური უთანასწორობის მოსპობა და ვერ შეუგნიათ, რომ მათი სურვილები აქ არაფერ შუაშია. მე გათხოვებ ერთ შესანიშნავ შრომას, რომელიც ამომწურავად არკვევს პიროვნების და საზოგადოების ურთიერთობის საკითხს, ეს შრომა დაგარწმუნებს, რომ ისტორიის განვითარება, მისი მსვლელობა დამოკიდებულია არა ამა თუ იმ პირის სურვილზე და იდეებზე არამედ საზოგადოების მოწინავე ფენის ეკონომიურ ინტერესებზე. ჯერჯერობით საზოგადოების ასეთი მოწინავე ფენა ბურჟუაზიაა და არა პროლეტარიატი.

— ვიცი, ესეც არა ერთხელ გამიგონია და წამიკითხავს, მაგრამ მიპასუხე: პიროვნების თავისუფლება, რომელიც სოციალისტურ საზოგადოებაშია მხოლოდ შესაძლებელი, როდის უნდა დამყარდეს შენის აზრით?

რადგან თავაძე მენშევიკი იყო, პასუხიც შესაფერი გასცა:

— სოციალიზმის დამყარებას ათეული წლები და შესაძლოა საუკუნეც დასჭირდეს.

— მაგ ხანას თქვენ უცადეთ. როდესაც მე არ ვიჭამენ, ბოროტების თავისუფლება და საზოგადოებრივი ჰარმონია შენთვის დამითმია. დოსტოევსკის გმირი ივანე კარამაზოვი ამბობს: მოკრძალებით გიბრუნებთ მაგ სამოთხეში შესასვლელ ბილეთსო, — შენიშნა კორნელიმ.

გიგომ ღვარძლიანად დაიწყო:

— კაცი თუ საზოგადოების განვითარების კანონებს, ეკონომიურ მოძღვრებას, ისტორიას და სოციოლოგიას არ იცნობს, მარტოკა მხატვრული ლიტერატურის კითხვა ვერას უშველის და მაინც უვიცი დარჩება. მართალი გითხრა, ამიტომ არაფერი მჯერა მე პოეტებისა და ბელეტრისტებისა.

— ჰომიროსი, შესპირი, სერვანტესი, ბალზაკი და ტოლსტოი გაცილებით უფრო ნათელ სურათს გვიშლიან ამათუიმ ეპოქის და ხალხთა ცხოვრების შესახებ, ვიდრე სტატისტიკა და მშრალი ისტორიული დოკუმენტები, — მიუგო კორნელიმ და ასე შეეცადა თავიდან აეცდინა გიგოს გესლიანი შენიშნვა უვიცობის შესახებ. თანაც გაბრაზდა, მრისხანედ შეხედა ამხანაგს და წყენით უთხრა: — უვიცი ჩვენ შორის რომელი აღმოჩნდება, ამას მომავალი დაგვანახვებს.

გიგო შეშინდა. იცოდა პატივმოყვარე კორნელის სიფიცხე და ავადმყოფური თავმოყვარეობა: შეურაცხყოფას იგი არავის აპატიებდა. ჯარში გაგრია-კოკოს, ხოლო ბირჟაზე პავლია-მეეტლეს რომ სცემა, ეს პატივმოყვარეობით და თავისი ღირსების დაცვით იყო გამოწვეული. საკმარისი იყო ოდნავ გადაბრუნებული სიტყვა ეთქვა ვისმე და იგი მუშტიკრივსა და იარაღსაც კი მიჰმართავდა. კორნელის გაზვიადებული პატივმოყვარეობა, უმიზეზოდ წყენა, თავისი ღირსების უადგილოდ დაცვა, ამპარტავნობა, — ყოველივე ეს წარსულ დროებათაგან მომდინარე, თავადაზნაურთა ყალბი რაინდობის გამოძახილს შეადგენდა. გიგოსთვის უცხო იყო თავადაზნაურთა ეს უნიადაგო და დაგვიანებული „რაინდობა", მათი ქცევა, ცერემონიები და სიყალბე. ნაძალადევად თუ უწოდებდა ვისმე ბატონოს" და გააბამდა მასთან „თქვენობით" საუბარს. არ მოსწონდა თავადაზნაურთა ოჯახებიდან გამოსული ამხანაგების და ნაცნობების გაზვიადებული პატივმოყვარეობა, სიფიცხე, ტრაბახი და გაუმართლებელი წარმოდგენა თავის თავზე, ისინი პირში აქებდნენ ერთმანეთს, ხოლო ზურგს უკან საფლავს უთხრიდნენ. თუმცა, უნდა ითქვას მართალი, ნაწილობრივ გიგოსაც გადაედო ეგ სენი, მაგრამ კორნელში იგი უფრო ნათლად ხედავდა დრომოჭმულ რაინდობიდან მომდინარე თვისებებს. მაგალითად, როდესაც კორნელის კამათისათვის საჭირო ცოდნის მარაგი შემოაკლდებოდა, საარგუმენტაციოდ ხანდახან ლანძღვა-გინებას და მუშტს მიჰმართავდა. გიგო, ამ გარემოების გამო, ზურგს უკან კორნელის „კუდაბზიკა-

აზნაურს“ უწოდებდა და ამხანაგებს ეუბნებოდა: მასთან კამათი შეუძლებელიაო. ამიტომ დაუტკბა:

— შენ კარგად იცი, თუ ვინ მყავდა მე მხედველობაში. გარდა ამისა, მე ბუმბერაზებზე არ ვლაპარაკობდი. ბალზაკი თავისი დროინდელი საზოგადოების ისტორიკოსიც და სოციოლოგიც იყო. ამიტომ დაგვიხატა მან პარიზის, ბურჟუაზიული საზოგადოების წარმტაცი და ამომწურავი სურათი!

სტუდენტებმა კიდევ დიდხანს იკამათეს და გიგოს მხოლოდ მაშინ მოაგონდა მიტოვებული ყანა, როდესაც მეზობლის ბიჭი დაინახა. წასვლის წინ კორნელი გიგოს შეეკითხა:

— ზაფხული თავდება, როდის აპირობ ტფილისში წასვლას?

— ტფილისში პური და არც სხვა რამე იშოვებაო, დამაშინეს. სოფლიდან მარაგი თუ არ წავიღე, ტფილისში ისე რა გამაძლებინებს? — მიუგო გიგომ.

კორნელიმ იცოდა, თუ რა რიგ მორიდებული და მორცხვი კაცი იყო მისი ამხანაგი და ამიტომ უთხრა:

— ჩვენები ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. ამოდი ჩვენსა: მოვილაპარაკოთ.

— თუ მარტო ხარ, ამოვალ. იმ შრომასაც ამოგიტან, რომ გითხარი.

ამ დროს მეზობლის ბიჭი მოვიდა და გიგოს საიდუმლო გაუმხილა: გიგო უშველე, კალისტრატე შენ წიგნებს წვავსო.

გიგოს თვალები კინაღამ ბუდიდან არ გადმოსცვივდა. კორნელის გამოემშვიდობა და შინისაკენ მოჰკურხცლა, რათა ცეცხლზე დაწვისაგან გადაერჩინა თვისი ბიბლიოთეკა.

თავი-ესარა

კორნელი, დომენტი და აგოია მდინარეზე გადავიდნენ და წისქვილთან შეჩერდნენ. მეწისქვილე ხარიტონი მიესალმა კორნელის და დომენტის. დომენტიმ უთხრა:

— ჩემი საფქვავი თუ ჩამოათავე, მომეცი. აგერ ავიტან ურმით.

— შენი კი არა, თუ კი ვინმეს საფქვავი მქონდა, ყველა გაწიკეს.

— ვინ გაწიკა?

— ჯარმა.

— ესაა სამართალი და კანონი?

— სამართალს და კანონს ნუ ეძებ! — უპასუხა ხარიტონმა დომენტის.

— რანაირად უთხრა ახლა ეს ქალბატონს, არ მომკლავს?

კორნელი აღრენილ გუნებაზე იყო და წამოსცდა:

— ამდენ ხანს სულ გლეხებს გართმევდნენ, ერთხელ ბატონებსაც წაართვან, არა უშავს რა.

დომენტიმ თვალები დააჭყიტა. იგი არა ერთხელ დაწერილა ქალბატონისა და იონას ჩხუბს გლეხებისათვის ზოგიერთი მეწყალობეს [illegible] თაობაზე და კორნელის შენიშნა:

— შენი იმედი მიეცა ქალბატონს. იონას გაუმარჯოს.

— ჩემი და იონას იმედი დიდი ხანია დაკარგა დედამ, — მიუგო კორნელიმ და როცა ხარიტონს გამოემშვიდობენ და შინისაკენ გასწიეს, უკან მოიხედა.

წისქვილის გალმა ამართული ბებერი მუხა შრიალებდა. კორნელის მოაგონდა გოჯასპირთან აქ შეხვედრა. გოჯასპირის ვეება ხელის ზურგზე დაზმურდლული ძირმაგარა, „ხარის თვალივით რომ აჯდა გოჯასპირს, ყურწუმელის ნეშო რომ დაიდო ძირმაგარაზე, დაამწიფა და დანის წვერით აახია“. მთასა და ტყეს გაჰხედა და იმ მთიდან და ტყიდან თითქო ისევ იხედებოდნენ ოთხმოცი წლის მოხუცის გოჯასპირის არყის ხის ქერქისფერი თვალები. სახრჩობელამ წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა კორნელიზე. მოაგონდა გოჯასპირის შვილის გალაქტიონის ცოლი ასინა, ასინას სიტყვები: გალაქტიონმა მითხრა: მე და კორნელი ერთად ვიბძოდით. ეს მაინც ჯარისკაცმა სთქვა ჯარისკაცზე გზაზე მიმავალი ფიქრობდა თუ რა ცეცხლი დატრიალდებოდა გალაქტიონის გულში, როდესაც მამის, გოჯასპირის ჩამოხრჩობას გაიგებდა. „სად წაუვა ნოდარ ყიფიანი, იოკიმე აბულაძე და ტრაპაიძე? ისიც ისე ჩააძალლებს მათ, როგორც ელბაქიძემ ბოქაული ბაქრაძე მიტინგზე. ეს ბრძოლა ასე მალე არ დასრულდება. დიდი შუღლი ჩამოვარდა. როგორი ზღვარი ყოფილა გათხრილი მდიდრებსა და ღარიბებს შორის, ამდენხანს სათანადოთ არ ვიცოდი. ბეჩავ კალისტრატეს შვილმა დეკანოზს ცულით თავი კინაღამ რომ წააგდებინა, ესეც იმ შუღლისა და ზღვარის შედეგია“, — ფიქრობდა კორნელი. მერე დომენტის მიუბრუნდა და უთხრა:

— როგორი ღარიბი მოსახლე ყოფილა კალისტრატე.

— ჩემზე ღარიბი მაინც არ არის, — უპასუხა დომენტიმ და ამოიოხრა.

— ვიცი, ძალიან გაჭირვებულად ცხოვრობ,—შენიშნა კორნელიმ. დომენტიმ ჩაახველა და უპასუხა:

— ღარიბი კაცის საშველი მართლაც არ ყოფილა! მართალი თქვა კალისტრატეს იმ თავგასივებულმა შვილმა.

— თქვენ თვითონ უნდა უშველოთ თქვენ თავს.

— ჩვენი ძალა სხვამ დაძალა, ჩემო კორნელი.

— არ დაძლევდა, ერთი პირი რო გქონდეთ! — გაუსწორა კორნელიმ ჩაფიქრებულ გლეხს.

დომენტიმ მიუგო:

— ერთი პირი არც შეიკრება. ყველას ერთნაირად კი არ უჭირს! რომც უჭირდეს რა უნდა გააწყო? სახლის ნაცვლად [illegible] ეზო თქვენი ტალავარის ხელაა, მაგრამ მე ვერ გავბედავ [illegible] ერე სხვისი ტყე გამეჭრა და სხვისი მიწა მიმეზომა. ისე აბა, მეც გავთლიდი საძირკველს და ფიცარს, ერთ პატარა სახლს მეც დავიდგამდი და ერთ ქცევა საეზოვეს მეც ვიშოვნიდი სადმე.

— უნდა ყველას გაგებედათ.

დომენტიმ გაიფიქრა: რა ახირებულად ლაპარაკობს დღეს ქალბატონის შვილი, ხომ არ მცდისო, და მიუგო:

— ვინც გაბედა, რა ხეირი ნახა. ხომ ხედავ, რა დღე დააყარეს?!

დომენტი ისევ ჩაფიქრდა. მერე მოკრძალებით შეხედა კორნელის და უთხრა:

— წართმევას გვიშლიან. თავის ნებით კი მიწას არავინ იძლევა. ის კი არა, დედაშენს შეევედრე: ხომ ხედავ რანაირად ვცხოვრობ, ნახევარი ქცევა მიწა, ხუთი ძირი მუხა დამითმე, ქალბატონო, და სიკვდილამდე გემსახურები-თქვა.

დომენტი შეჩერდა, შერცხვა და ხარებს სახრე გადაუჭირა.

— მერე რა გიპასუხა?

— ეწყინა. ხმა არ გამცა და იყუჩა.

— ახლა უთხარი. ხმას შეგაწევ.

— მიშველე, კორნელი, რამე.

— გიშველი, როგორც კაცი.

მეურმეს სიხარულისაგან თვალი გაუბრწყინდა, კარისმერეთს გაჰხედა, ხარები ისევ ააჩქარა. იმედი მიეცა: იქნებ ეს ღვთისნიერი ადამიანი დამეხმაროს, ქალბატონს ნახევარი ქცევა სამოსახლო მიწა და ხის მასალა მოაცემინოს ჩემთვისო. ხან ეჭვი მოიცავდა: „ტერეზა რა ჯიუტი, კერპი და ხელმოჭერილი ქალია, შვილმა იქნება არც კი იცისო“.

ალმართი რომ აიარეს, გახარებულმა მეურმემ ხარები შეაჩერა. ურმის ჭალს ცული მოხსნა და მთის კალთაზე მიფენილ ჯაგებში შევიდა. ბუჩქა ბალახის მსგავს დაბალ ჯაგებს გახევებული, მწვანე ფოთოლი ესხა, ბზის ფოთლისმაგვარი, და იმას დაუწყო კაფვა.

— რათ გინდა ეს ჯაგია თუ ბალახი? — შეეკითხა კორნელი.

აგოიამ წამოიძახა:

— ბალახი კი არა თაგვ-ისარაა!

ხვალ ქალბატონის ჭურები უნდა გამოვრეცხო, და გამოვხეხო, — უთხრა დომენტიმ კორნელის. ცდილობდა როგორმე მოეგო ქალბატონის გული. თანაც დასძინა: — ამისთანა გვალვები თუ დაიჭირა, ვენახს რაღა გადაარჩენს. ათ ჩაფსაც ვერ ჩავუსხამ ჭურში ქალბატონს.

— დომენტი, გაანებე თავი მაგ თაგვ-ისარას. მზემ დამწვა, — დაუძახა კორნელიმ.

— შენისთანა გულშემატკივარი ნუ მოეშალოს ქალბატონს, — უპასუხა სიცილით დომენტიმ. ქვევრის სარეცხად და სახეხად მოგრილი, ოგვისარა შეაქუჩა, მიწისფერი წუღა ზედ დააბიჯა, წნელიდ[illegible] [illegible] [illegible] [

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გააჭირენ საქმე პოლიტიკაზე ლაპარაკით! — იყვირა ანტუშამ.

— რა გააკეთეს მერე? — აგდებულად ჰკითხა იასონმა.

— ის გლახის შვილი გიგო თავაძე რა დიდ გულზეა, იცი! ბრძენი ჰგონია თავისი თავი!! — აიჩეჩა გაკვირვების ნიშნად ანტუშამ მხრები.

— გიგო მომზადებული ახალგაზრდაა, — არ დაეთანხმა კორნელი.

— იყოს მერე! ჩემთან რა უნდა იმ მკვდარ-ძაღლს? ანტუშა სპეკულანტი არისო! გაანძრიოს იმ უპატრონომ ხელი და იშოვოს იმ მათხოვარმაც ფული! — ოხუნჯობდა ანტუშა.

იასონ ჯანჯღავამ ხელი მაღლა აღაპყრო და ღმერთს შეჰვედრა:

— ღმერთო, წმინდა ილორის ძალავ და მადლო, ღარიბის და მათხოვრის საშველი მაინც არ ყოფილა და ასე დაუქციე სახლკარი ყველა დაქცეულს, გაჭირვებულს და მოგვასვენე!

ამ სიტყვებზე იასონმა ჭიქას თავი წაუქცია. პურზე ცვარცვარად დაღვარა ღვინო. მერე იატაკზე დაუშვა და დააქცია. ხარხარი ატყდა. ანტუშა მუცელზე იჭერდა ხელს. თვალთაგან ცრემლი სდიოდა. ხახას ისევ ერთ მტკაველზე აღებდა, ენის კლიტე ერხეოდა და სიცილისაგან გაგუდული იძახდა:

— კაი, გაჩერდი, გაჩერდი, იასონ! მოვკვდი. ოხ, ოხ, რა თქვა, რა თქვა ეს, ამ ცეცხლმოკიდებულმა!

კორნელის ტანთ გააჟრჟოლა სპეკულანტის ანტუშა ნიორაძის სიცილზე. ეს სიცილი ადამიანურ ღირსებათა შეურაცხმყოფელი იყო. ეწყინა. კიდევ უფრო ნათელი გახდა მისთვის გიგო თავაძის უპირატესობა ამ სალახანა ხალხის წინაშე. მოაგონდა ამხანაგის გიგოს სიტყვები: „ღმერთმა დასწყევლოს ბეჩავი და ღარიბი კაცის გაჩენის დღე. რა მამაჩემის შვილის საქმეა უნივერსიტეტი და მეცნიერებაო“. იასონ ჯანჯღავამაც ხომ დაახლოვებით ეს განაცხადა, მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობა და აზრი ენიჭებოდა სასოწარკვეთილობის ჟამს თქმულს სტუდენტის სიტყვებს საკუთარ თავზე.

ანტუშა ნიორაძემ დიდის ამბით ადღეგრძელა მიმინოსავით მხრებაწეული იასონ ჯანჯღავა. იასონს მაღალი ცხვირი, ქერა ულვაშები და წყლისფერი, ჭროღა თვალები ჰქონდა. წერწეტ წელზე ვერცხლით მოსევადებული ქამარხანჯალი ერტყა და მაუზერი ეკიდა. ჩოხის სახელო აეკაპიწნა. ბუდიდან ამოვარდნილ და გალოთებულ სტუდენტებს ესახელებოდათ ყაჩაღთან — იასონ ჯანჯღავასთან ქეიფი.

გაისმა არღნის ხმა. დაოთხილი ცხენები ბაზარში შემოიჭრნენ. მიკიტანმა რაჟდენ გენძეხაძემ წინსაფარი გაისწორა და კარებზე მიძუნძულდა: იქნებ ჩემს დუქანში შემოვიტყუო მოქეიფე ბიჭებიო. სხვებიც ცნობისმოყვარეობას წაეღო. მოჰქროდა ფოჩებით და ეჟვნებით მორთული პავლიას ეტლი. ფარნების ალაგას სიმინდის ღერები და მუხის შტოები ჩაერჭოთ. ეტლში საკინძემოხსნილი და მკერდგაღეღილი ავარები ისხდ-

ნენ. მტაცებლები და მგლეჯელები. მთვრალებს შავი სატინის ხალათები და ბათუმში ნაყიდი ხავერდის ბერძნული შალვრები ეცვათ, წითელყელიანი წინდები და მესტები. ირწეოდნენ. წელს ვერ იმაგრებდნენ. აოლანზე დამღეროდნენ „დუმ-ბა, დუმ-ბაო“ და ხანაც საოცრად შეჰკივლებდნენ „ე-ჰეო“. ბირჟის წინ გაიელვეს ავაზაკების თვალებმა.

— ქოცო! — დაიძახა მეეტლე კანიამ.

— მუზელა, ცვარია, ნიავი! — უპასუხეს ბუკიამ და მისმა ამხანაგებმა.

ნიავმა ნაგანი იძრო და ააჭახჭახა.

მიჰქროდნენ ეტლით თავზეხელაღებული და ნაკიმბირალი ძმაკაცები. მიკიტანმა რაჟდენ გენძეხაძემ იცოდა, რომ ამათ დიდძალი ფული ჰქონდათ ბათომიდან ჩამოტანილი და ამიტომ მიეგება ხელგაშლილი. ულიმოდა და ლიმილში იყო თქმული: თქვენ გენაცვალოს, ბიჭებო, ჩემი თავიო. ხელის ტუჩზე მიდებით ანიშნებდა პირზე კოცნას. მიუხედავად ამისა, ისინი შეჩერდნენ არა რაჟდენ გენძეხაძის, არამედ ამბაკო კუჭაიძის სამიკიტნოში. იასონი, ანტუშა და ვანიკო ლოლაბერიძე იქ გადიპატიჟეს. პირში ჩალა-გამოვლებული მიკიტანი რაჟდენი მოშორდა კარებს. ფეხებში მოჯამაგირე ბიჭი წამოებლანდა: გაბრაზდა .და ისეთი პანღური ამოჰკრა, რომ თავით კედელს დაატაკა.

გაგრძელება იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიზმარი

I

ჩვენი ცხოვრება ორმხრივია: ძილს თავის მხარე
საზღვრად დაუდევს სიცოცხლესა და სიკვდილს შორის —
შეცდომით ეგრეთ წოდებულთა — ძილს თავის მხარე
გადაუშლია სინამდვილის უცხო ქვეყანად.
განვითარებას სიზმრებისას აქვს თვისი სუნთქვა,
თვისი ცრემლები, წამებანი და სიხარული.
სიზმრები მძიმედ აწვებიან სიცხადის ფიქრებს,
სიზმრები შრომას სიცხადისას სიმძიმეს ხსნიან,
ჰყოფენ არსებას, იქცევიან ჩვენი სიცოცხლის
და გაყოფილი ჩვენი არსის მჭიდრო ნაწილად;
მარადისობის შიკრიკებად გვევლინებიან,
როგორც წარსულის აჩრდილები მიდიან ჩვენს წინ,
ვით სიბილანი, მომავალზე ლაპარაკობენ
და ფლობენ ძალას ტანჯვისა და ბედნიერების;
გადაგვაქცევენ მათ, სურვილი რისაც მოუვლით,
გვაცახცახებენ გარდასულის ხილვის წინაშე
ან და გამქრალი აჩრდილების საშინელებით.
განა წარსული ერთი ჩრდილი არ არის მთელი?
რა არს სიზმარი? დიდი სულის შემოქმედება?
სულს აქვს უნარი შესძლოს შეჰქმნას ნივთიერება
და დაასახლოს ცთომილები უცხო ქმნილებით,
უსულო საგნებს უკვდავების შთაბეროს სული.
მოვინდომებდი ერთი ხილვა, სიზმრად ნახული,
მომგონებოდა, რადგან აზრი საკუთარ არსში
— მთვლემარე აზრი—წლებს შეიცავს და მთელ ცხოვრებას
ერთი საათის ამბად იტყვის გრძლად გადმოსაცემს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

მე ვნახე ორნი, სიჭაბუკის ბრწყინვით მოსილნი,
იდგნენ მწვანე და დაქანებულ ბორცვის მწვერვალზე,
უერთდებოდა მათი კონცხი მთის სხვა გრეხილებს,
და კონცხის კალთებს არ რეცხავდენ ზვირთები ზღვისა.
გადაშლილიყო მთის წინ ცოცხლად ვრცელი სურათი:
ტყისა და მინდვრის მღელვარ ზღვაში აქა-იქ სჩანდნენ
ადამიანთა სადგურების სახურავები
და სოფლურ ბანში ამოსული ხუჭუჭა კვამლი.
ის ბორცვი ხეთა დიადემით იყო შემკული,
რკალად რომ ერტყა ჩამორგული ბორცვსა გარშემო
ადამიანის ხელის მიერ—არა ბუნებრივ.
ორნი — ქალწული და ჭაბუკი — იდგნენ იქ ერთად
და უმზეროდნენ: ერთი დაბლა გაშლილ მიდამოს
მისებრ მშვენიერს, მეორე კი — ქალწულის სახეს.
ახალგაზრდანი იყვნენ. ქალი ლამაზი იყო
და უთანაბროდ ახალგაზრდა იყვნენ ორნივე.
როგორც მთოვარე ცის კიდურზე ახლად ასული,
ქალწული იგი დაქალების იდგა მიჯნაზე.
მასზე უმცროსი იყო ვაჟი, თუმც ვაჟის გულმა
წლებს გადაუსწრო და მის თვალებს ამ ქვეყნად ერთი
გააჩნდათ სახე მოკამკამე და სათაყვანო.
მას უმზეროდა იგი ისე, რომ ქვეყანაზე
ველარ ხედავდა ველარაფერს იმის გარეშე.
სუნთქავდა მისით, მასში ჰქონდა ცხოვრების არსი,
თუმც არასოდეს ქალთან ის არ ლაპარაკობდა,
მაგრამ ქალის ხმა მას საოცარს უტეხდა ცახცახს.
ქალის თვალებით უცქეროდა იგი ყველაფერს,
შეღებილიყო ყველაფერი ქალის თვალებით.
მან საკუთარი არსებობა შესწყვიტა თვითონ,
ქალი სიცოცხლე იყო მისი, ის ოკეანე,
მისი ფიქრების მდინარებას რომ იერთებდა.
საკმაო იყო ერთი სიტყვა, ერთი შეხება,
რომ მასში სისხლის მიმოქცევა გამოეწვია,
რომ მისი ლაწვნი ქარიშხალით შეფერილიყვნენ
და გულს დაეწყო აუხსნელი მიზეზით ღელვა.
ქალწულს ამ წმინდა სიყვარულში არ ედო წილი.
ამ ჭაბუკისთვის არ ოხვრიდა. ქალისთვის იგი
არ იყო ძმაზე უფრო მეტი. ეს ბევრიც იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან ძმის სახელს ბავშობითვე უძმოდ გაზრდილი
უწოდებდა მას და მიაჩნდა იგი ძმის დარად.
ჭაბუკი იყო ძველი გვარის შთამომავალი
და ძმის სახელი მას მოსწონდა და არც მოსწონდა...
რატომ? იღბალმა მას ასწავლა მკაცრი პასუხი
როდესაც ქალმა ძმის მაგიერ სხვა შეიყვარა...
ქალს სხვა უყვარდა და ლოდინში ამ მწვერვალიდან
ის გასცქეროდა შორეულ გზას: არსად მოჰქრისო
მის ოცნებათა შესახვედრად მიჯნურის ცხენი?

III

ჩემი სიზმარის შეიცვალა აქ მდინარება.
მე ვნახე ძველი ციხე-კოშკი, რომლის კედლებთან
გამზადებული იდგა ცხენი რახტით მორთული.
იგივ ჭაბუკი მარტოდ მყოფი კოშკის დარბაზში
ფერდაკარგული წინ და უკან მიმოდიოდა.
უცებ ჩამოჯდა, კალამს შმაგად წაავლო ხელი
და იწყო წერა... რის შესახებ, ეს მე არ ვიცი.
შემდეგ დააყრდნო თავი ხელებს და მთელი ტანით
იწყო ცახცახი, ვით ციებით გამხდარმა ავად.
შემდეგ კვლავ ადგა და კბილებით და მოცახცახე
ხელით დახია, რასაც წეღან მწუხარედ სწერდა.
არ უტირია, შეიკავა თავი. სიმშვიდე
დაატყო სახეს. და სანამდის ის იდგა წყნარად,
საგანმა მისი ტრფიალისა შეაღო კარი.
ქალს უდარდელი ღიმი ჰქონდა გადაფენილი,
თუმცა იცოდა ტრფიალების მანაც ამბავი;
იცოდა, — რადგან ადვილია ამის გაგება, —
რომ ვაჟის გული დაეჩრდილა ქალის სიყვარულს,
რომ უბედური იყო იგი, — იცოდა მხოლოდ
და ვერ ხედავდა ის ყველაფერს. ჭაბუკი ადგა
მივიდა ქალთან, ჩამოართვა მას ხელი ცივად
და მეგობრულად. და სახეზე გამოუთქმელმა
ბნელმა ფიქრებმა ჩრდილებივით გადაუარეს,
გადაიარეს და მსწრაფლ გაჰქრნენ უხმოდ მოსულნი.
ვაჟმა გაუშვა ქალის ხელი. აუჩქარებლად
გავიდა გარედ, თითქოს არც კი გამოეთხოვა.
ასე ღიმილით ჩამოშორდნენ ურთერთს ისინი.
ძველის-ძველ კოშკის მძიმე ჭიშკარს გადასცდა ვაჟი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხენს შემოაჯდა და იმ კოშკის ჭალარა კარებს
იგი უკანვე აღარასდროს გადმოსცდენია.

IV

ჩემი სიზმარის შეიცვალა აქ მდინარება.
ჭაბუკი უკვე დავაჟკაცდა. ცხელი ქვეყნების
უდაბნოებში გაიჩინა მან თვისი კერა.
იქ მისი სული დაეწაფა მზის მხურვალებას.
გარშემორტყმული უცნაური ბნელი ბუნებით
ისიც სრულიად და საოცრად გამოიცვალა:
ზღვაზე და ხმელზე მიჰყო ხელი მოგზაურობას.
მრავალი სახე და სურათი ტალღების მსგავსი
შემომეხვია. ის თვით იყო მათი ნაწილი.
უკანასკნელად იგი ვნახე ნანგრევთა შორის
მარტოდ მწოლარე ისვენებდა შუადღის სიცხით
ღონე-მიხდილი დაცემული სვეტების ჩრდილში,
აღმშენებელთა სახელები რომ მოინელეს.
მძინრის გვერდით იქვე ახლოს აქლემნი სძოვდნენ
და შადრევანთან რამდენიმე დაებათ ცხენი.
მათ სდარაჯობდა გრძელი კაბით მოსილი მცველი
და მისი ტომის სხვა მცველები სთვლემდნენ გარშემო.
მტრედისფერი ცა დასდგომოდა მძინარეთ თავზე.
ულრუბლო, სუფთა და ისეთი სიწმ ნდით მშვენი,
რომ მის სილრმეში თვითონ ღმერთი მოსჩანდა მარტოდ.

V

ჩემი სიზმარის შეიცვალა აქ მდინარება.
ჭაბუკის სატრფო გამხდარიყო მეუღლე სხვისა,
რომელსაც მისებრ არ უყვარდა იგი. ოჯახში,
მისგან შორს მყოფი, თვის მშობლიურ ციხე-დარბაზში
გარშემორტყმული სილამაზის პირმშო შვილებით
ცხოვრობდა სატრფო. მაგრამ ხედავთ! მის სახეს სევდის
ღრმა ნაკვალევი როგორ ცოცხლად შეუნახია —
მარადიული შინაგანი ბრძოლის აჩრდილი.
მოუსვენარნი დაშვებულან ძირს წამწამები
თითქოს დაუღვრელ ცრემლთა დიდი სიმძიმისაგან.
რათ მწუხარებდა? მას ხომ ჰქონდა, რაც კი ისურვა
და ისიც, ვისაც ის უყვარდა, მისგან შორს იყო:
არ აწუხებდა იმედებით, ავი სურვილით
და ცუდათ ნამალ მწუხარებით უწმინდეს ფიქრთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად მწუხარებდა? ის არ იყო მისთვის ძვირფასი,
იგი წარსულის ლანდი იყო და არ შეეძლო
ყოფნა ნაწილად მისი, რაც მის გულს აწუხებდა.

VI

ჩემი სიზმარის შეიცვალა კვლავ მდინარება.
მოხეტიალე შინ დაბრუნდა. საკურთხეველის
წინაშე მდგარი ვნახე იგი სასძლოსთან ერთად.
უმანკოებით და მშვენებით სავსე ის სასძლო
არ იყო იგი, ვინც მის სიყრმეს ადგა ვარსკვლავად.
და აქ უეცრად საკურთხევლის კარის წინაშე
ვაჟის სახეზე კვლავ გამოჩნდნენ იგივ ლანდები,
როგორც იქ, კოშკის ძველ დარბაზში. ისევ ცახცახმა
შეიპყრო იგი და სახეზე გამოუთქმელმა
ბნელმა ფიქრებმა ჩრდილებივით გადაუარეს.
გადაიარეს და მსწრაფლ გაჰქრნენ უხმოდ მოსულნი.
ის იდგა მშვიდი, ფიცის სიტყვებს იმეორებდა
და არ ესმოდა გონ-დაკარგულს ხმა საკუთარი.
თითქოს გარშემო დატრიალდნენ ყველა საგნები.
ის არ ხედავდა მას, რაც იყო, რაც უნდა იყოს —
და მხოლოდ ძველი ციხე-კოშკი, ძველი დარბაზი,
მოსაგონარი ოთახები, ადგილი ძველი,
დღე და საათი, მზის ნათელი და მზის ჩრდილები,
იმ ადგილისა და წუთების საგნები ყველა
და ის, ვინც მისი ბედიწწერა ყოფილა თურმე —
ყველანი ჩადგნენ მზის შუქსა და მის თვალებს შორის:
რა აზრი ჰქონდა მათ მოვლენას ასე უდროოდ?

VII

ჩემი სიზმარის შეიცვალა კვლავ მდინარება:
ჭაბუკის სატრფო უცნაურად გამოიცვალა,
სული იმისი დაავადდა, მისმა გონებამ
დასტოვა იგი და თვალებმა კვლავინდებური
დაჰკარგეს ბრწყინვა, ამ ქვეყნიურ შუქს აღარ სცემდნენ.
ის გარდაიქცა ფანტასტიურ ქვეყნის დედოფლად.
მისი აზრები უკავშირო საგნების გროვად
და შეერთებად გადაიქცნენ და სხვებისათვის
ხორცშეუსხმელი, უხილავი მოჩვენებანი
ჩვეულებრივი გახდნენ მისთვის სანახაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას სიგიჟეს უწოდებენ, მაგრამ სიგიჟე
ბრძენთათვის უფრო მეტი სიღრმის დამტევი არი:
ეს საშინელი ნიჭი თითქოს ჭოგრიტის მსგავსად
მელანქოლიის თვალით განსჭვრეტს ჭეშმარიტებას.
იგი სამყაროს სივრცეს აგლეჯს ილუზიათა
მოკაზმულობას და ცხოვრებას შიშვლად გვაჩვენებს,
ის სინამდვილეს კიდევ უფრო ხდის სინამდვილეთ!

VIII

ჩემი სიზმარის შეიცვალა კვლავ მდინარება.
მოხეტიალე, როგორც წინად, კვლავ მარტოდ იყო,
ყოველი მისი მახლობელი გაჰქრა სრულიად
ან გაემიჯნა და მტრად ექცა. ცილისწამების
და ბოროტების გადაიქცა იგი სანიშნოდ
სიძულვილისა და მტრობისგან მარად დევნილი.
იმდენი ტანჯვა და ტკივილი გადაიტანა
რომ, როგორც პონტოს ძველი მეფე უხსოვარ დროში
ისიც საშინელს საწამლავით იკვებებოდა,
მაგრამ საწამლავს მასზე უკვე არ ჰქონდა ძალა.
ის განიცდიდა, რასაც სხვისთვის ჰქვიან სიკვდილი.
ის ვარსკვლავებთან და სამყაროს ზეშთაგონებულ
სულთან მართავდა ბაასს. იგი სწავლობდა მათგან
მისტერიათა ჯადოქრობას და ღამის წიგნი
მის წინ განივრად იდო ფართოდ გადაფურცვლილი,
ღრმა უფსკრულიდან იდუმალი ამოძახილნი
მას აუწყებდნენ სასწაულებს. — დე, იყოს აგრე!

XI

ჩემი სიზმარი გაჰქრა; იგი აღარ შეცვლილა.
მაგრამ ერთი რამ უცნაური იყო: ორივე
მან ამ ქმნილებას ბედის-წერა გამოუსახა
თითქმის ისე, ვით სინამდვილე: ერთს აღსასრული
შეშლილობაში და ორივეს — მარადი სევდა.

ინგლისურიდან სთარგმნა: **გივი გაჩეჩილაძემ**.

ხალხური ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაწერილი **ია კარგარეთელის** მიერ

1

შენი თათბირის ენითა
შევიქენ დაკარგულები,
ავდექ და წაველ არაბეთს
ხმალ და ხმალ ჩაკიდულები;

ფრანგული ავაალმასე,
მტერსა დავმართე წყლულები,
ციხე-ქალაქი ცეცხლს მივეც
პიტალოს აგებულები.

ტყვეები ბევრი მოგართვი
ხელი-ხელს გადაბმულები,
თავი ცოცხალი რათ მინდა,
თუ ჩემათ არ მეგულები.

2

ხმალმა სთქვა: პირი დამჟანგდა,
ჯაბანმა ვინმემ ჩამიგო,
ნეტავი ვაჟ-კაცს შემყარა, —
პირიდან სისხლი ამიღო;

მაელვარებდეს მტრის კარსა,
ქარქაშით გარე გამიღო,
მაჯა მაგრობდეს ბეფთარით,
პირი ვადამდე ჩამიღო.

3

— ხმალო, გაგყიდი პატრონი,
ვაჭარი ამიჩენია,
კედელს პირქუშად გაჰკვრიხარ
პირს ჟანგი დაგიმჩნევია.
— რაზედ გამყიდი, პატრონო,
რა ცუდი შეგიმჩნევია!
ბეფთარით მაგარ მაჯასთან
უკან არ დამიხევია,
ომშიგან ათალ-ჩათალით
სირცხვილი არ მიჭმევია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომიკლავს შენი მომკვლელი,
იარა დამიმჩნევია.

4

ბიჭი ეტყვის:

წავალ, წავალ, თან წავიღებ
სურვილს ლამაზ ქალისასა, —
წამამყე, ნუ დამალონებ,
ჯავრს ნუ მაჭმევ მტერისასა,
ქისტეთში გადავვარდები,
სახელად ვიტყვი წიქარა,
ჩავიცვამ ჩოხა-ახალუხს
ლეგ-ლუგა ქისტებისასა.

ქალი უპასუხებს:

ბიჭო, მე არ მემეტები,
ბიჭო, ნუ ხარჯავ ბრიყვადა;
ეგ რომ გაგიგოს ჩემ ქმარმა, —
დაგადებს თავის ნიშანსა,
მეც ბატკანივით თავს მომჭრის, —
სისხლი არ უმძიმს მიწასა.

ბიჭი ეტყვის:

ციხეზედ მივაკვრევინებ
მარჯვენას შენის ქრმისასა,
ჩამოდიოდეს ნაწვეთი,
ლიბოს ადნობდეს ქვისასა.
კოშკსა მაღალსა აგიგებ,
სულ მარმარილოს ქვისასა,
გავკიდებ შიგ ყაჭ-აბრეშუმს,
საჩდილობელსა მზისასა.

6

ქალი ეუბნება:

რათ გვიწყრებოდი წეღანა?
რათ გვაწბილებდი დათაო?
ვაჰმე, რა ძაან დავწუხდი,
გავხედავ მალ-მალ გზასაო, —
თოვლი მოვიდა ტიალი,
ველარ გადმოხვალ მთასაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ მოხვალ, ჩვენც მოგვესალმე,
აგრემც დაჰმარხავ დასაო.

ბიჭი უპასუხებს:

ა, იმ მთაზედა დავკვნიტე
შენი ჩაყრილი თხილია,
წამოველ შარა ხეკ-ხუვით,
გზას უსწორ-მასწორ ვტირია,
ნეტავი კიდევ მანახვა
შენი ლამაზი პირია.

7

ხან შესმა უნდა ღვინოსა,
ხანდახან შემღერებანი,
ხან ომი უნდა ძლიერი,
ხანდახან შესვენებანი.

8

ერთმა პირქუშმა ვაჟკაცმა
ცხენ-ხეთქით ჩამომიარა,
ხელი გამიკრა გუთანსა
ზღვას გალმა გამისრიალა,
ღიმი ქნა, კბილი გამოჩნდა,
შუქმა მთა გადისრიალა.

9

შაე კლდეში ორბი ნადირობს.
შავი კლდის თავზედ არწივი,
ორბი შესძახის — ამიშვი!
— არ ამოგიშვებ! — არწივი.
ერთ-ურთის სისხლსა ნუ დავღვრით,
ნებისად მივცეთ ადგილი.

10

ბიჭმა დაიკვეხა:

ბიჭმა სთქვა: წუხელ სიზმარში
ბალში ვაშლის ძირს მეძინა,
ქვეშ მეგო დიბა ატლასი,
გილანს შალი მეფინა,
გვერდთ მიწვა ქალი ლამაზი,
მკლავი მკლავს გადაგვეხვევნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი ეუბნება:

ბიჭო, რას სტყუი, რას სტყუი,
საღორის კარზედ გეძინა,
ქვეშ გეგო ჩალა-ჩალუნი,
ძველი ფრასტი რამ გეფინა,
გვერდთ გიწვა შავი ნაგაზი,
ზედ მკლავი გადაგეხვივნა.

11

ვინა ხარ, ვინ იარები,
ლალო, მაგ ლალის ცხენითა,
შენ ჩემო დიდო იმედო,
მზევ მოფენილო დილითა;
უკვდავებისა წყარო ხარ,
ნადენი ოქროს მილითა,
შენთანამც ყოფნით გამაძღო,
შენთანამც წოლა-ძილითა.

12

თუშ-ბიჭებს შემოუთვლიათ
ლეკის-ბიჭებთან ქადილი, —
თუ მოხვალთ, მალე ჩამოდით,
თუ არ, — მოგწყინდა ლოდინი;
კარ-წინ გვიდგანან ცხენები
დატყვრიმეს ლაგამთ რგვალები,
ჩვენც, თქვენსა მოლოდინშია,
აღარ მოგვწონან ხმალები.

13

თვალ-ჟუჟუნავ, წარბით ხშირო,
წამწმის ჯარო, კალმახურო,
პირო ბროლო, მინანქრულო,
მუშკის ხელო, ამბრი გულო;
ათნო თითნო, დახატულნო.
სანთელივით ჩამოსხმულნო;
როდის იყოს სათამაშოდ
ერთად ვისხდეთ ნარდისათვის;
სამძიმრისა თვალსა ცრემლი
მოგდიოდეს გაყრისათვის,
სიხარული, ტუჩს ღიმილი
გესახოდეს ნახვისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟან ჟიონო

დიდი ფარა

ნაწილი მესამე *)

ვერდენი

ტყე ღიღინებდა ლამეში. წვიმა წამოვიდა, მკვდარ ფოთლებსა და წუმპეებს დაუშინა, შემდეგ ფურცლოვან რკინაზე მოჰყვა ჩხარუნს.

—

— აქეთ, ჩემო კაპიტანო, — სთქვა ადამიანმა, — ფრთხილად, ტოტია.

ფეხით ნიადაგი მოსინჯა, მაგარი აღმოჩნდა.

— აქ გზაა, — დაუმატა მან.

იქიდან, წვრილი ტყიდან კაპიტნის ხმა მოისმოდა. ამ ხმაზე ეტყობოდა, რომ სქელი, აქლოშინებული კაცი იყო.

— წავიდეთ, — ეუბნებოდა ის, — დაისვენებ. გზას მივაგენით.

გზაზე გამოვიდა. უკან მომავალი ყოველ ქვაზე ბორძიკობდა. მოსვლისათანავე სველ ბალახში გაიშხლართა. ეძინა. არ ინძრეოდა. გაღებული პირით ღრმად ისუნთქავდა ჰაერს, ხოლო ამოსუნთქვისას ავადმყოფი ნადირივით ოდნავ კვნესოდა.

— ცოტა ხანს უნდა ვაცალოთ, — სთქვა კაპიტანმა, — შენ კი არ დაიღალე?

— დავიღალე.

— მე კი, — სთქვა კაპიტანმა, — შემწვარი ერბოკვერცხი მომინდა, გარშემო ქაფმოდებული. ეჰ!

სქელი ულვაშებიდან ჰაერი ჩაისუნთქა.

— ჰო, — სთქვა მეორემ, — მეც შევჭამდი, ოღონდ ცხელს.

— რომელი ოცეულიდანა ხარ? — ჰკითხა კაპიტანმა.

— მეოთხედან.

---

*) დასასრული. იხ. „მნათობი“ №№ 1-2, 6-7 და 8-9.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაპიტანმა ორჯერ-სამჯერ ღრმად ჩაისუნთქა.

— რამდენი დარჩით?

— ორნი: მე და ის.

— ვინ?

— მე და ის, რომელსაც სძინავს. არ ვიცი, ვინ არის. უნტეროფიცერი შეცვლის დროს მოჰკლეს ტყვიამფრქვევთა ორმოში. სწორედ იმ დროს ამოვხტი და თქვენს გვერდით დავეცი.

— რა გქვია?

— ოლივიე შაბრანი.

წვიმა ტყის სიღრმეში ხმაურობდა.

— მაშ მეოთხე ასეულიდან, — სთქვა კაპიტანმა: — ორნი დარჩით, შენ და ის. მე მესამე ვარ. თორმეტი პირველი ასეულიდან — ეს ხუთმეტი; ოთხი მესამედან — ეს ცხრამეტი: არც ერთი არ გადარჩენილა მეორედან, მაშ აგივე ცხრამეტი რჩება. თუ ველოსიპედისტმა მაშინვე ჩვენს შემდეგ მოახერხა გვირაბში დამალვა, სულ ოცი იქნება... უნდა გავსწიოთ, თორემ მეც უკვე მძინავს.

ოლივიემ ბალახში მწოლარე შეანჯღრია.

— ჰო, რა იყო?

— მივდივართ.

მოახლოვებული ცხენის ფეხის ხმა მოისმა.

— ეი! — შესძახა კაპიტანმა. მერე დაუმატა: — კაპიტანი ვირონი ას ორმოცდამეცხრამეტედან.

ცხენოსანი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა მათ. არტილერისტი უნდა ყოფილიყო.

— თუ პირდაპირ ივლით, — სთქვა მან, — ყაზარმებს გაჰყვებით, ვერდენისაკენ გახვალთ. ბელრუპტის გზა კი, ტყეს რომ გასცილდებით, მარცხნივ არის. რაც შეეხება ერბოკვერცხს, სწორედ გზის პირას, ასმეორმოცდაათე ბატარიის შემდეგ, სახლი დგას. იქ ქალები ცხოვრობენ. მაგრამ ბატარიასთან ჩქარა გაიარეთ.

გზა მოკირწყლული არ იყო. წინ კაპიტანი მიდიოდა, შემდეგ ფეხზე მძინარე ჯარისკაცი, მას კი ოლივიე მისდევდა.

ხანდახან ფეხზე მძინარეს ოღროჩოღრო ადგილებში მუხლები ეკეცებოდა. ოლივიე ფალასკის ღვედით აკავებდა.

— თავი შეიმაგრე! — ეუბნებოდა იგი.

რამდენჯერაც ოლივიე ამ განიერ ზურგს შეეხებოდა, თავს ეკითხებოდა:

— ვინ უნდა იყოს? რეგოტაზი, ვერნე, პუარონი?

მაგრამ მაშინვე იგონებდა:

— არა, ვერნე არ არის, არც პუარონი, მაშ რეგოტაზი? ვინ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველზე დაეშვნენ. ნაკადულს ჩხრიალი მოისმა. ლერწამში წყლის ხმაურობა ყურსა და გულს სიამოვნებას გვრიდა. სისხლმა უფრო სწრაფად იწყო დენა.

დროგამოშვებით ოლივიე სახეზე ხელს ისვამდა.

— მე ვარ! — ამბობდა.

გაშლილ თითებს ჩამოისვამდა სახეზე, ცხვირზე, თვალის კაკლებზე, ტუჩებზე, კისერზე. ხელებს და სხეულს ისინჯავდა. მე ვარ!

თავის მარცხენა ხელს შეეხო. იდაყვთან ფარაჯის ხაოს კაკლისოდენა რაღაც სველი და რბილი მიჰკროდა. მოიგლიჯა და ტალახში გადაისროლა. სახელო გაისინჯა — ხელს რაღაც წებოვანი მოხვდა.

— ეს უნდა იყოს ის სახლი, — სთქვა კაპიტანმა.

გზისპირას რაღაც ღამეზე უფრო შავი მოსჩანდა.

— ეს უნდა იყოს ის სახლი, — გაიმეორა კაპიტანმა.

კარს რამდენჯერმე ფეხი ჰკრა, რის გამოც შიგნით კარდალებმა და ქვაბებმა ზრიალი მორთეს.

ზემო ოთახში სკამები მისწი-მოსწიეს. დარაბა გაიღო.

— რა გინდათ? — გაისმა ქალის ხმა.

— კაპიტანი ვირონი ასორმოცდამეცხრამეტედან. დასვენება გვინდა.

— მოვდივარ. ახლავე გავაღებ, — სთქვა ქალმა.

მოხუცი ქალი იყო, ღამის პერანგში. სანთელს ხელს აფარებდა.

— ჩქარა შემოდით, კარში სინათლე გადის.

შიგნით თბილოდა. ამონასუნთქი ჰაერი მოხედათ ცხვირში. სარეცხისა და სამზარეულოს ბაკანის სუნი იდგა. ქალის ჭაღარა თმისა და უხეში კანის სუნი იგრძნეს. დიასახლისს წყლისაგან გათეთრებული, მრეცხავის ხელები ჰქონდა.

კაპიტანმა ხელები გაშალა.

— ოჰ! — ამოიოხრა.

— სულ ესა ხართ? — ჰკითხა ქალმა და ორ ჯარისკაცს გადახედა.

— სულ, — უპასუხა კაპიტანმა. შემდეგ დაუმატა: — კვერცხი არა გაქვს?

— რასაკვირველია, მაქვს.

— იქნებ ერბოკვერცხი გაგვიკეთო.

— კარგი, — უთხრა ქალმა, — თუმცა გვიან არის.

სანთელი მაგიდაზე დასდო. ოლივიემ ამხანაგს შეხედა.

— არა, რეგოტაზი არ არის.

სანთლის შუქი თრთოდა.

ჯარისკაცს ტალახით დაფარული სახე და დიდი, არეული თვალები ჰქონდა.

— ეს ხომ ლაპულია?

— ძილი! — სთქვა ლაპულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხრაკული კვერცხი ერბოში დაცურავდა და სქლად იდო განიერ ყვითელ საიხზე. მაგიდაზედაც კი შუშხუნებდა. ორთქლი სანთელს აქრობდა. იატაკზე გაჭიმულ ლაპულს ეძინა.

— რა გაქვს ეგ? — ჰკითხა კაპიტანმა.

ოლივიემ მარცხენა სახელოზე დაიხედა.

— სისხლია. დაჭრილი ხარ?

— არა, — უთხრა ოლივიემ, — ეს იქ, გვირაბში, მოხდა. მარუა ზედ დამეცა. ნახევარი თავი ჩამოცლილი ჰქონდა.

— გაიხადე ფარაჯა.

კაპიტანი დაიხარა ერბოკვერცხის დასაყნოსად და კინაღამ ულვაშები შიგ არ ჩაჰყო.

— სანთელს კოლოფი ააფარეთ, — სთქვა ქალმა, — თორემ ხანდახან დარაბების ჭუჭრუტანებში სინათლე გადის. ისე დადეთ, რომ დარაბებისკენ ბნელოდეს.

კაპიტანმა თვალი ჩაუკრა.

— არაყი ხომ არ გექნება?

— ქლიავის სასმელი მაქვს, თუ გინდა?

— მოიტა!

ქალმა სურა მოუტანა.

— თუ ამას სულ დალევ...

ქალი ფეხშიშველა იყო და ცივ ფილებზე მალ-მალ ინაცვლებდა ფეხებს.

— მეტი არაფერი გინდა? ტახტზე მივწვები, ჩემს ქალიშვილთან, მარტოკა სცივა. მოეწყე როგორც გინდა.

ოლივიე სკამის ზურგს მიეყრდნო და ხმამაღლა დააბოყინა. პირი გამოვსებული ჰქონდა ერბოს და მოხრაკული მწვანილის სუნით. ახლა, ამ სიმშვიდეში მომაგრებული და დამძიმებული, კარგად გრძნობდა თავს. კაპიტანმა მაგიდის ქვეშ ფეხები გაჭიმა.

— ცოტა კიდევ არაყი, — მიმართა ოლივიეს.

— არა, აღარ მინდა, — მიუგო ოლივიემ.

ქორფა მწვანილის გემოთი პირს იტკბარუნებდა, ყელამდე ივსებოდა.

— მეძინება! — სთქვა ოლივიემ.

— შაბრან! — ჩაილაპარაკა კაპიტანმა, — რა კარგია, ახალგაზრდა რომ ხარ, ვერც კი გრძნობ შენს ბედნიერებას. დაიძინე, ბიჭუნავ.

კაპიტანი შესცქეროდა და ალერსიანად უღიმოდა ოლივიეს, რომელიც ფარაჯას ისწორებდა. ფარაჯის მარცხენა გვერდი დამძიმებულიყო, სახელო გაშეშებოდა. ოლივიე ლაპულის გვერდით იატაკზე გაწვა. ზურგი შეაქცია. გრძნობდა, როგორ სუნთქავდა მის გვერდით ლაპული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რეგოტაზი! — გაიფიქრა მან, — და სხვები...“

ფარაჯის გაშეშებული სახელო ფრთხილად განზე გასწია.

გაელვიძა. კაპიტანი ისევ მაგიდასთან იჯდა. სანთელი დალეულიყო. კოლოფს, ბოთლს, სურას, სკამის ზურგს დიდი მთრთოლვარე ჩრდილები აღემართათ.

კაპტანი ლაპარაკობდა. მოშვებული მარჯვენა ხელი მძიმედ ასწია ანგარიშმიუცემლად ვილაცას სამხედრო სალამი მისცა.

— ორი მეოთხე ასეულიდან და მე მესამე, ჩემო პოლკოვნიკო, სულ ოცი, აი მთელი ასეული!

დაღლილობისა და ალკოჰოლისაგან დამძიმებული ხელით ცარიელ ოთახსა და დიდ ჩრდილებზე მიუთითა.

ბებერი ცხენის გვერდით

სად დაიმალოს, სად დაიმალოს? ქალი გარბის, ყველაფერი მის წინააღმდეგ ამხედრებულა. მისი ფეხი ველარ არჩევს ვერც კალოს, ვეოც ეზოს ქვაფენილს, ვერც წყაროს ბილიკს, ვერც მინდორს, ვერაფერს. ყველაფერი ეღობება, ქვებზე ბორძიკობს, კაბა ფეხებში ებლანდება.

ველარ იტანს, ველარც ამ მოხუც ჟერომს, როცა ის ტირის და თავის ხელებს დაჰყურებს, ვერც სიბერისა და განცდილი ტანჯვისაგან დანაოჭებულ, მღვრიე მსხვილი ცრემლებით დასველებულ მის მიწისფერ სახეს, ვერც მის მთრთოლვარე ტუჩებსა და დაშვებულ ნიკაპს, რომლის ზევით აწევა აღარ შეუძლია, რომ პირში შეაჩეროს გათავებული ადამიანის ნერწყვი, ტირილი და ჩივილი. მერე და, მარტო ეს რომ იყოს! მაგრამ მტირალი ჟერომი დასცქერის სიბერისაგან მოკრუნჩხულ თავის მარჯვენა ხელს.

ველარ იტანს, ველარ. იულია სახეზე წინსაფარს იფარებდა და თვითონაც ტიროდა, მაგრამ უეცრად იგრძნო, რომ ეს უკვე შეუძლებელია. არა, უნდა წავიდეს, უნდა დაიმალოს, სადმე კუთხეში ნადირივით მიეგდოს, მიწაზე დაგორდეს, ორმოში მოიკრუნჩხოს და იქ დარჩეს, დამალოს თავისი სხეული, ცრემლები, მწუხარება და ყველაფერი.

იულია საჯინიბოს კარს შეაღებს. ბებერი ცხენი თავს მისკენ მიიბრუნებს. თივის მიცემის დრო არ არის. ქალს უცქერის.

— გზა მომეც! — ეუბნება იულია.

ცხენის გვერდით გაძვრება, სილრმეში მიდის, ბაგის ქვეშ. იქ გაწვება, ჩალაზე, სითბოში, ამ ჩრდილის, ამ სუნის, ამ ცხელი სუნთქვის მყუდროებაში. იქ, ბებერი ცხენის მახლობლად ესმის ჯაჭვის ჩუმი ჩხარუნი და ჩლიქის რბილი კაკუნი ჩალაზე.

„მაშ ასე, ჟოზეფს ხელი მოსჭრეს! მარჯვენა ხელი. საფრთხე აღარ მოელის. მომხდარი ამბავია. წირილში სწერია. უკვე მოხდაო, ხელი, თითები, მტევანი—მთელი ხელი მოსჭრეს! განა შესაძლებელია ეს? როგორ

ჩაიდინეს? რატომ იტანჯებოდა? ოჰ, ჟოზეფ, ჩემო საბრალოვ! მაშ ახლა ცალ მხარეზე აღარაფერი აღარა გაქვს? აღარ არის ხელიდან ... ხანგრძლივი დუმილის მიზეზი. აი რატომ არ მოვიდა წერილი სამი კვირისა და მეტი ხნის განმავლობაში. თითქოს მოსპეს, წაშალეს ქაღალდზე — აღარ არის ჟოზეფი, ჰაერში აორთქლდა. ამასობაში ხელი მოსჭრეს. სად? იდაყვში? ცოტა დაუტოვეს, თუ სულ ჩამოაცალეს? აჰ! ჩემო საბრალოვ!..

— ოო, ბიჟუ! — ამბობს იულია.

ბებერმა ცხენმა თავი დაბლა დახარა ქალისაკენ. ყნოსავს. ცხენის მძიმე სუნთქვა ნესტოებიდან ორ ნაკადად ხვდება იულიას.

— შენ ბედნიერი ხარ, ბედნიერი!

ცხენის დიდი და კეთილი თვალები მწვანედ და ოქროსფრად ბზინავენ, რადგან მთელი თავისი სიცოცხლე იგი მიწასა და ხეებს შეჰყურებს.

მის თვალებში ასახულია წარსული დღეების მრავალი სასიხარულო ამბავი.

იულიაც იყო ბედნიერი... ოო, საცეკვაო დარბაზი იქ, სოფელში, რომელსაც კვირაობით ბზისა და მუხის ტოტებით ამკობდნენ. მხარზე გარმონ-ჩამოკიდებული ერემია გორაკებიდან ჩამოდიოდა, ხოლო მერსიე გაპრიალებული კორნეტ-ა-პისტონით დერეფნიდან გამოდიოდა. დღის პირველი საათიდან ქალიშვილებს უკვე დაკავებული ჰქონდათ სკამები. იულია ეზოებს უვლიდა და მიდიოდა ვაშლის ხეებამდე, საიდანაც მოსჩანდა გზის დაღმართი. იქ კი უკვე ფრიალებდა მადლენას ცისფერი კაბა. მადლენა მოდიოდა მზე-მოკიდებული, მაგრამ თვალთა ელვარებისაგან მთლად გაბრწყინვებული.

— ბოდის, — ამბობდა მადლენა, — თავისი სადღესასწაულო ქუდი დაიხურა.

და ბირბოდნენ ხეხილის ბაღზე საცეკვაო ადგილისაკენ. ისინი ძლივს ასწრებდნენ სკამის ბოლოში, კარებთან, დაჯდომას, რომ შედიოდა ჟოზეფი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი, შავი ფართო არეებიანი ქუდით, რომლის ერთი მხარე მტრედის ფრთასავით კოხტად იყო აწეული.

ცხენი იულიას მხარზე შუბლს ადებს.

— ჰო, ბიჟუ, ჰო, ჩემო ცხენო!

ჟოზეფი იულიას უცბად შეუყვარდა. შეუყვარდა მთელი თავისი არსებით, თავდავიწყებით. მისთვის არაფერი არა შურდა, არც ტანი, არც სხვა რამ. ერთის ნახვით დაიმონა მისმა სიარულმა, მოძრაობის დროს მხრების ქანაობამ, ტანადობამ და სიჯანსაღემ, რომელიც მის თაფლისფერ თვალებში გამოსჭვიოდა. ერემია გარმონს სჭიმავდა, ხოლო ახალგაზრდა მერსიე დაიძახებდა: „ერთი, ორი“ და კორნეტ-ა-პისტონს ტუჩებზე მიიდებდა. მაშინ ჟოზეფი თავის დიდ მკლავს შემოხვევდა.

— ოჰ, ჩემო საბრალოვ! ჩემო ჟოზეფ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს ხელი, ეს მკლავი მოსპრეს! ჩემი მკლავი, ის მკლავი, რომელიც ვალსის ცეკვის დროს წელზე მეხვეოდა—თბილი, მაგარი, საიმედო მკლავი! ის მკლავი, რომელიც ასე დამაქროლებდა.

ამ ხელით შემეხო პირველად, შეეხო ჩემს ლოყებს, თვალებს, ტუჩებს. ეს მოხდა სათივეში. მრგვალ სარკმელში შეიდ საათზე საღამო ქლიავისფრად მოსჩანდა. მოთელილი თივის სუნი იდგა, რადგან ჩვენ მთელი ტანის სიმძიმით დავეშვით ზედ, დავმძიმდით ბედნიერებისაგან, დავთვერით სიხარულით. ტკბილი თრთოლვა მთელ სხეულს ედებოდა. პირველად აი იმ ხელით შემეხო. იგი აქ, ლოყას მოუახლოვდა, მთელ ლოყას შეეხო, ტუჩებს, თვალებს... იმ ხელით გამიცინო, და...

— ჟოზეფ! ჩემო საბრალოვ! მაშ ახლა ასე განახევრებული ივლი ცხოვრებაში. მაშ ახლა იმ ხელით ველარ შემეხები? იმ ხელით, რომელიც ცეცხლივით მედებოდა ტანზე, რომელიც პატარა მხეცივით დახტოდა და ჩემი სხეულის ყოველ ნაწილს ეწყობოდა! მაშ არასოდეს, მითხარი? რატომ, მითხარი? რა ცოტახანს იყო ეს ხელი ჩემი! მაშ ახლა ჩემთან ალერსი შენს მეორე ხელს უნდა შეასწავლო...

იულია ჩალაზე ზის. ცხენს თავი დაუხრია, ენის წვერი გამოუყვია, სცდილობს იულიას ლოყა გაულოკოს. არ შეუძლია, სადავე მეტად მოკლეა.

— იულია! — ესმის მამაკაცის ხმა.

ჟეროშია.

— ჰო, — გამოეხმაურება იულია.

ბაგის ქვეშიდან გამოდის.

— დაგეძებ, შვილო. შიშმა ამიტანა. დაგინახე მიმავალი, ფოთოლივით რომ თრთოდი. გონზე მოდი...

პირისპირ დგანან. აღარაფერს ამბობენ. ორივეს ფართოდ დაღებული თვალებიდან ცრემლის ღვარი სდის.

— ოჰ! — წამოიძახებს ბოლოს ჟეროშია და ხელს ასწევს, — როგორ შესძლებს თესვას ან სხვა რამეს? ჩემო შვილო!..

გადმოვარდა ზეციდ ვარსკვლავი დიდი და დავარდა წყალთა ზედა

კაპიტანი ოთახიდან აღარ გამოდიოდა. ცხოვრობდა ძელურ სახლში. ფანჯრის ჭუჭყიან მინებში მოსჩანდა, როგორ იჯდა იგი შიგნით, მაგიდასთან, უტუნიკო, როგორ გადაეკეცა პერანგის სახელოები მსხვილ მკლავებზე. შარვლის ასაწევი მოეშვა, აღარ იცვამდა აღარც ტყავის გეტრებს, აღარც ფეხსაცმელს. ლაპულმა ფლოსტები უყიდა და კაპიტანი აღარ იბნევდა წვივებზე რეიტუზებს. მაუდს პირი დაეღო და ბალნიანი წვივები მოუჩანდა, თითქოს ტალახი მიჰკრობიაო.

ფართოდ გაშლილი წყნარი ტყე თავისი მწვანე ფოთლებით და წყალთა ხმაურით გარს ერტყა მეექვსე ასეულის ბანაკს. მაგრამ [illegible] ზე, ხეებს შორის, ზარბაზნებს კისრები დაეგრძელებინათ და ყრუდ ჰყეფდნენ.

კაპიტანი ფანჯარას აღებდა და იძახოდა:

— კამემბერ!

ტყის მინდვრის მეორე მხარეს, პურის სახმობის ზღურბლზე მჯდომი ლაპული დგებოდა და ჩანთაში რაღაცას დაეძებდა, შემდეგ ყველის კოლოფით ხელში ბუჩქებს შორის მიეშურებოდა.

ხანდახან კაპიტანი დაუსტვენდა. მაშინ ლაპული ველოსიპედს მონახავდა, ბილიკით დაეშვებოდა, პედალს ღონივრად დააჭერდა და სოფლისაკენ მიჰქროდა.

ასეთ შემთხვევაში ლაპული საღამოთი საძნე ფარდულში აღარ ბრუნდებოდა. ოლივიე მარტო რჩებოდა. მაშველი რაზმი არსად სჩანდა. ოლივიე სანთელს აირწინალის კოლოფზე აწებებდა. წვებოდა. ჩალა, რომელზედაც ის იწვა, მიწასავით დაბეკნილი იყო. ოლივიე ცდილობდა საკუთარი სისხლით გამთბარიყო და დავიწყებას მისცემოდა. სანთელს აქრობდა.

მარუა, დოში, რეგოტაზი, პატარა კაპრალი ქალიშვილის ლოყებით და ის, შუბლზე კულულს რომ იკეთებდა, — მთელი ჩალა გარშემო აჩრდილების ქვეშსაგებად გადაიქცა.

ესმოდა, როგორ ხვრინავდა მარუა და როგორ ლაპარაკობდა ძილში დოში, თანაც როგორ იქნევდა ხელებს პურის სალეწი კეტებივით.

ოლივიე იღვიძებდა. საძნე ფარდულის კედლები ზანზარებდნენ, თითქოს გარედან ქეჩის დიდ მუშტს უშენენო. ნამდვილად კი ჰაუბიცს ისროდნენ ბელრუპტიდან. ჭერიდან ლესილი ცვივოდა.

ოლივიე თავს იბრუნებდა. მარჯვენა ლოყით ჩალას ეკვრებოდა.

სუსხიანი ამინდი დადგა.

შემპარავი ყინვა ბუჩქებს ხელს უჭერდა. შიშველ ტოტებს ტკაცანი გაჰქონდათ.

— რეგოტაზ! — ხმადაბლა ეძახდა ოლივიე.

პატარა ჭრელ არყის ხეზე დახრილს ჰხედავდა მას. ხის მწვანე ჭრილობებს თითებით ფრთხილად სინჯავდა, ობლად დარჩენილი თავისუფალი ტყე მთვარისა და ყინვის სიმძიმის ქვეშ კვნესოდა.

კარის ზღურბლზე ჩრდილი გამოჩნდა.

—

— შაბრან, აქა ხარ? — ჰკითხა ლაპულმა.

— აქა ვარ, — უპასუხა ოლივიემ, რომელსაც სანთელი ჩაექრო.

— სადა ხარ?

— ვწევარ. ფრთხილად გამოიარე. აი აქა ვარ.

ლაპული მის ახლოს ჩაცუცქდა.

— მოხუცის შეკავება აღარ შემიძლიან. უნდა წამოხვიდეთ ჩემ-ნი სიმშვიდით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

—

ძელურ სახლთან ლაპულმა საფხეკით თავისი სქელი ფეხსაცმელი გაიწმიხდა.

— ჯერ შენ შედი, — უთხრა ლაპულმა.

ოთახის ერთ-ერთ განათებას ბუხრის ცეცხლი შეადგენდა. კაპიტანი ოთახის შუა ალაგას იდგა. მსხვილი ფეხები განზე გაედგა. ბარბაცებდა, თითქოს ქარი უბერავსო. ასევე ქანაობდა მის წინ მისივე საკუთარი ჩრდილი.

— პასუხს აგებ ამისთვის, არამზადავ! — ამბობდა კაპიტანი.

თავის ჩრდილს უყვიროდა. ჩრდილი ხან უკან იხევდა, ხან ისევ კაპიტანს მივარდებოდა მხეცივით, რომელიც მეორე ცოცხალ მხეცს შეჭმას უპირებს. კაპიტანი ძლივს იდგა ფეხზე, თან მძიმე ხელს მაგიდის კუთხეს ურტყამდა.

— არამზადავ!

— ჩემო კაპიტანო, — მიმართა ოლივიემ წყნარი ხმით.

კაპიტანმა ტახის მსგავსი ტანი მიიბრუნა და ოლივიეს გადახედა.

— ოჰ, შენა ხარ, ბიჭუნავ?

ორი ნაბიჯი გადადგა მისკენ ბარბაცით, მაგიდისა და კარადის დაუხმარებლად.

— შაბრან, — უთხრა, — მომეცი ხელი. აი აქ ჩამიდევი, ჩემო ბიჭიკო.

და გაუწოდა თავისი უზარმაზარი, ფართოდ გაშლილი, ბანჯგვლიანი, მსხვილი ძარღვებით დასერილი თათი. ოლივიემ ხელი შიგ ჩაუდო.

— ბიჭიკო, ბიჭიკო! — სთქვა კაპიტანმა, — შემომხედე, მიყვარს, როცა მიცქერი. შენი თვალები დამანახვე. ძილი იცი, შაბრან? იძინე, სულელო! ცხვრის თვალები გაქვს. შემომხედე. მითხარი, ბიჭიკო: რის გაკეთება შეიძლება იმით, რაც ჩვენ დაგვრჩა! რის გაკეთებას მოახერხებ ამით მაშინ, როდესაც არ გეძინება?

იგი მალიმალ სახეს იბრუნებდა, რომ დაენახა ზურგს უკან მიმალული, არამზადა ჩრდილი.

— დარჩენილი სიცოცხლის სახელით, შაბრან, შენ, რომელსაც მუდამ გძინავს, გიბრძანებ...

— ჩემო კაპიტანო, — უთხრა ოლივიემ, — უნდა მოისვენოთ.

ხელი მოჰკიდა და რკინის საწოლთან მიიყვანა.

— დაბრძანდით.

კაპიტანი ლოგინზე ჩამოჯდა. ოლივიემ ფლოსტები გახადა. კაპიტანმა შარვალი გაიხსნა. ოლვიემ ჯერ ერთი, მერე მეორე ფეხი აუწია და შარვალი გააძრო, შემდეგ კაპიტანი ლოგინზე მიაწვინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპული ფეხაკრეფით შევიდა. ფეხთ გაიხადა. წელში მოხრილი, ბნელ კუთხემდე მივიდა. წყნარად გააღო ბოთლებიანი გაჯინი.

— ბიჭუნავ, —ამბობდა კაპიტანი, — ჩემაკენ მობრუნდი. შენი ნათელი თვალები დამანახვე, მთელი სახით დამენახვე. დამანახვე შენი ლოყები, ხორცი ძვლებზე. კანქვეშ სისხლი მოგიჩანს. რა მშვენიერია სისხლი, როდესაც კანქვეშ მოსჩანს, როდესაც სისხლი თავის ადგილას არის. მესმის სისხლის ჩქრიალი შენს თითებში. შემახედე შენთვის, ცოცხლისთვის.

ოლივიეს გაშტერებული მისჩერებოდა. თავის ლონიერი ხელი მაგრა ჩაეჭიდა ოლივიეს მკლავისთვის.

— ყველა ერთნაირია, — სთქვა წყნარად კაპიტანმა, — როგორც ერთი პეშვი მარილი.

წამოდგომა სცადა.

— მაგრამ იმით, რაც დაგვრჩა, რის გაკეთების უფლება გვაქვს? უფლება, გესმის, ბიჭუნა, უფლება? იმ სიცოცხლით, რაც ჩვენ დაგვრჩა?

ლაპულმა იქ, ოთახის სილრმეში, ოდნავ დაუსტვინა. შემდეგ ოლივიეს კარი უჩვენა.

— მოიცა, — ტუჩებში ჩაილაპარაკა ოლივიემ.

შემდეგ კაპიტანს ჰკითხა:

— უფლება?

კაპიტანი იძინებდა. ლოგინზე ისე ბორგავდა, თითქოს ბორკილებისაგან თავს ინთავისუფლებსო.

— ჰო, უფლება, — წაიჩურჩულა კაპიტანმა.

სიტყვა ღია პირში შერჩა. ხელი ჩამოუვარდა. უკვე ხვრინავდა.

— ცეცხლი უნდა ჩავაქროთ, — სთქვა ოლივიემ.

—

თითის წვერებით გავიდნენ.

— რას ჩაგვაცივდა იმ თავის უფლებით — იკითხა ლაპულმა, როგორც კი გარეთ გავიდნენ.

ოლივიემ პასუხი არ გასცა. თვალწინ ედგა ღამე ცარიელ საძნე ფარდულში, რეგოტაზი და სხვები, გასისხლიანებულნი, უთვალონი, ჩალის ქვეშ მწოლარენი, და ეს მაშინ, როდესაც ისმის ხეებისა და ვარსკვლავების მშვენიერი ხავერდისებური შრიალი, როდესაც ყინვისაგან მინდორი ბზინავს.

ლაპულმა ფარაჯის ქვეშ დამალული ბოთლი გამოიღო.

— სენ-ჯემსია! ჩალის წნულით ერთბაშად ვიცანი. მოიტა შენი ტოლჩა.

— . —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშველი რაზმი მოვიდა. კაპრალს ახალი უბის წიგნაკი ჰქონდა, რომლის ყოველ ფურცელქვეშ ამოდებული იყო გამტარი ქაღალდი. გარდა ამისა, ჰქონდა ფანქრის სათლელი და კარგად წამახვილებული ფახქარი.

— რა გქვიან? — ჰკითხა მან ოლივიეს, — შენ? — მიმართა მერე ლაპულს. თქვენ რაზმში ხართ ჩარიცხული.

ახალგაზრდა ლეიტენანტს წვივებზე მშვენივრად გამოყვანილი რეიტუზები ეცვა. მან იკითხა:

— კაპიტანი მიჩვენეთ, სად ცხოვრობს კაპიტანი?

სალოკი თითით აბრეშუმის ზონარგაყრილ სასტვენს ათამაშებდა.

ახალმოსულნი დაბეკნილ ჩალაზე დადიოდნენ მათ დაიკავეს დოშისა და მარუას ადგილები. თავიანთი საუცხოო, ახალთ-ახალი და ჭრიჭინა ფეხსაცმელით სულ გასთელეს აჩრდილები. მალ-მალ ეძახდნენ ერთმანეთს:

— ჟოლივე!

— მუშერ!

— ბელეფ!

ეცვათ ახალი ფარაჯები, ახალთ-ახალი იყო ტყავეული, ქამარზე მიმაგრებული ბრტყელი ფალასკები. ღვედებით გზინავდნენ მიწაზე დაყრილი, ერთმანეთში არეული პირლია ჩანთები. ჯარისკაცებს ამშვენებდა ხაოდახუჭუჭებული მშვენიერი ცისფერი მაუდი. მათ სახეს მშვიდი ცხოვრების იერი დაჰკრავდა. ყველაფერი ეს იხატებოდა მათ თვალებში, ტანზე, ტუჩებზე, წვერზე, და წვრილ ულვაშებზე. სახეზე აღბეჭდოდათ ყველაფერი ის, რაც გორაკებს იქით დარჩენილიყო: ცხოვრების მთელი ბარაქა, სიჯანსაღე, სიცოცხლის ძალა, ჩასუქებული, გულკეთილი უფროსი დაი, რომელიც საკუჭნაოში მიდის ღორის ქონისათვის, დედა, რომელიც ყურს უკან ჭალარა თმას ისწორებს, პატარა მოწაფე გოგონა, რომელიც „ტრალა-ლას“ მღერის, ცოლი, რომელიც ლოგინში გაწოლილა, როგორც მწვანე ბალახში მორაკრაკე ნაკადი.

ყოველივე ეს იხატებოდა მათს სახეზე, და გულს ბოლმით ავსებდა ახლად მოზღვავებული უდიდესი სიმწვავე. ახალი თოფები ჰქონდათ, უკან კი ვაზნებით დატვირთული საბარგო ავტომობილები გუგუნებდნენ.

...წყალთა წყარო გამწარდა

ქარი ალპებს ღმუილით ახტება. ერთის წუთით ჩერდება იგი გაოცებული გორაკებისა და მათ ძირში გაშლილ მწვანე სივრცის წინაშე. მერე ყალყზე შედგება და ისევ გაიჭროლებს.

ქარის ყოველ დაბერვაზე ფერმა იკრუნჩხებოდა ქვისა და კრამიტის ნაჭუჭში. საძნე ფარდულში ჩამოკიდებული ნამგლები ძირს ეცემა. მიწიდან მოისმის ნუშის ხეების სუსტი კვნესა. ფიჭვის ძირები კლდეს ჰკბენენ და ბუზღუნებენ. გზად მიმავალი ქალი გააფთრებული ებრძვის კაბის კალ-

თებს, თითქოს ნადირისაგან თავს იცავსო. ძლივს მიაბიჯებს ორად მოკეცილი კაცი, რომელსაც ქარი სახეში სცემს.

სანადირო ძაღლი მინდვრის მიჯნას მისდგომია. ცხვირი ქარისთვის მიუშვერია. ყნოსავს, თვალებს ხუჭავს, ყურებს ძირს უშვებს, თავს იქნევს. ბას ტანზე გადაურბენს გორაკიდან მონადენი ნადირთა სუნი. ქარს მოაქვს სისხლისა და სასიცოცხლო წვენის მთელი სურნელება. ყველაფერი ეს ძაღლის წინ ირევა: ტახების, დედალი კურდღლების, გხოლების, მწყერების, მსხვილი გველხოკერების, ხვლიკების, კამის, უსუპის, ფუტკრის, ჭრიჭინას სუნი: ყველაფერი ეს ძაღლის ტანზე მისცურავს, ცხვირში ეშხეფება, როგორც ნაკადულის ქაფი.

ოლივიე ქვის სკამზე ზის, სახლის წინ, გარდეტის მისავალთან. ქარისთვის მიუშვერია გამხდარი და უკვე მიწისფერი სახე. ჰაერს ღრმად ისუნთქავს.

დედა ორჯერ გამოვიდა შვილის დასახედად. თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა... არავინ იცის, ნამდვილად რა უთხრა, არავინ იცის, ის უთხრა თუ არა, რის თქმაც უნდოდა, რადგან დედაც ამ მაცოცხლებელ ქარს ჰყლაპავდა და შვილის მიწისფერ ლოყებს შესცქეროდა. ჰკითხა:

— არა გცივა?

— არა, — უპასუხა ოლივიემ.

უკვე სამი დღეა, რაც ოლივიე აქ არის, და მხოლოდ ერთი სურვილი აქვს, დაეწაფოს ცხოვრებას, როგორც წყაროს, და სულმოუთქმელად ხვრიპოს იგი.

გუშინ სალეწ მანქანასთან ოლივიე თვალს ადევნებდა კვერცხიდან ახლად გამოჩეკილ, უკვე სრულიად მწვანე ხვლიკს, — ხვლიკი ვერა ძღებოდა მზით.

ოლივიე იას დაეძებდა ბალახის ძირში, ღრმად, იქ, სადაც თბილა და ბნელა, და ამ სიბნელეში უცბად იელვებდა ხოლმე ყვავილი.

ისუნთქე ქარო, ისუნთქე მზეო, ისუნთქე ფოთოლთა მბზინაო ზღვაო. ისუნთქე კვლიავის სურნელებავ, რომელიც როგორც კი ცხვირს მოხვდება, ტვინს ისარივით ჩაესობა. ისუნთქე მოწმენდილო დიდო, მსუბუქო ცაო.

ქარმა ფოთლები მოიტანა და ქერის ყანაში მიმოფანტა.

ოლივიე სიცოცხლეს დაუბრუნდა. სული ეხუთება, ძლივს სუნთქავს. სურნელებანი სხეულში თავიანთი ძველი ღარებით შეიჭრნენ, ხმაურობა კვლავ იკვლევს გზას და ოლივიეს გულისკენ მიექანება... ისუნთქე სიცოცხლევ!

ოლივიე უხვ დღეს კბილებს ჩაასობს, სიცოცხლეს ამოჰგლეჯს და თავდახრილი ღეჭავს, როგორც მოპარულ თივას.

— ბაბუა.

იგი მიდის პაპასთან, რომელიც რთველისთვის ახალ კალათას ძირს უწნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბაბუა, იქ ჟანდარმები არიან.

— ერთ ბრალელ ბიჭს დაეძებენ, — ეუბნება ბაბუა.

იგი ათავებს დაწყებული მარყუჟის გამონასკვნას.

— დაეძებენ ბრალელ ბიჭს, იგი შვებულებაში იყო და ამ ბრალელ ბიჭს უსაქმოდ ატარებდა. პატარა მოწაფეებთან თამაშობდა. და აი სანადირო თოფი აიღო და სთქვა: „კეთილი. მე ვიცი, რატომაო“, და ჰუბაკში წავიდა. დეზერტირი გახდა.

ოლივიე ლეღვის ყლორტის ბოლოს ღეჭავს: ბავშვობის გატაცება გაანუახლდა. თავისი პატარა ხელების ძველებური მოძრაობა გაიხსენა. რძიანი ყლორტი დაღეჭა, და ცხოვრება უსაზღვრო მოეჩვენა. ავიწყდება, ქორფა, რძით სავსე ყლორტს კბილს უჭერს და მწარე წვენს სწუწნის.

— ჭურჭელი უკვე მიალაგე? — ეკითხება იულია.

— მივალაგე.

მადლენა წითლდება და სამუშაო კალათაში რალაცის ძებნას იწყებს.

— სალაფავიც მიეცი ღორებს?

მადლენა თავს ასწევს. სახეზე ცეცხლი ედება. ლოყები სისხლისფრად უწითლდება. ამ სიწთლიდან ალერსიანად გამოიცქირებიან მისი თვალები.

ფერმის მთავარი საქმეები უკვე მოთავებულია. ყველაფერი დაწმენდილია, გაპრიალებული და დარეცხილი. ფილები სველი ტყავით არის გაწმენდილი. სკამები კედლებთან აწყვია. მაგიდა ქვასაღით პრიალებს.

— ძალიან ადრე მოათავე, — ეუბნება იულია.

იგი მიდის და თავის დარგვალებულ თეძოებს მიარხევს. კარის მიხურვის დროს მადლენას გადახედავს. მადლენა თავის სამუშაო კალათაში რალაცას დაეძებს.

იულიას ოთახში სანახევროდ ბნელა, რადგან დარაბები მიხურულია. გარედან, დარაბების ჭუჭრუტანებთან, ფუტკრების ბზუილი ისმის. ქარი კედლებს თითქოს გაშლილი ხელით უტლაშუნებს.

იულია დგას ამ სიბნელეში, სიგრილეში, ლერწმის ხარიხებზე გასახმობად ჩამოკიდული ყურძნისა და ჭერამის სურნელებაში.

მაშ ასე, სულ მარტოდ ყოფნა ამ ხმაურობაში, ამ ნაზი ხილის გარემოცვაში. ცხოვრებასთან მარტოკა ყოფნა. ცხოვრებისაგან ტუჩები დახრუკული აქვს. მშვენიერ ენას ტუჩებზე მოისვამს. იულიას სისხლი წიხადაც აემღვრეოდა ხოლმე, მაგრამ მაშინ ჟოზეფი მასთან იყო ტიტველი მკლავებით, ვერძის ზურგივით ბანჯგვლიანი მკერდით. ყველგან მიწას მისი ფეხისა და წალის ლურსმნის კვალი ჰქონდა დაჩნეული.

ქვემოთ კარმა წყნარად დაიჭრიჭინა. იულია დარაბას გააღებს და გაიხედავს. მადლენაა. სახლიდან გადის, სწორედ იმ დროს, რა დროსაც გუშინ გავიდა. სახე-აღგზნებული სადღაც მიდის. ქარი ზურგში სცემს.

მიწა ბრძანებლობს.

— ნამდვილი თაბაშირის ქრისტეა... თაბაშირის ქრისტესა ჰგავს, ოლივიე, ოლივიე!

მადლენა ვენახზე მირბის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდაბური და გაშიშვლებული ცა თავისი მახვილი კიდით გორაკებიან ჰორიზონტს ებჯინება. ზეგანზე ქარს გარდა არაფერია. ხეები თავიანთი ჩრდილების გარშემო დაბმული თხებივით ხტიან.

დღის ფერზე ატყობს, რომ ოლივიე უკვე იქ ელის, ელის მთელი თავისი ვაჟკაცური ტანით, მადლენასადმი სასოებით აღვსილი, შავთავათი დაფარულ ფერდობზე, მიწის მკერდზე ბალახის ლოგინში.

ოჰ, ეს ქარი, ეს სურვილი, ეს მოთხოვნილება — დანებდეს ამ დიდ მორჩილებას — მადლენას სუნთქვას უშლის.

ჩამოსვლის პირველ დღესვე, შემოდგომის გრძელ საღამოს, რომლის მეწამული ფერი ქარის ამოვარდნას მოასწავებდა, ექვს საათზე ოლივიემ დაუსტვინა. დაუსტვინა და მადლენა მისკენ გაიქრა. ხელში შერჩა ჭურჭლის შესამშრალებელი ტილო.

— ოლივიე, ჩემო სიყვარულო! ამდენი ხანი! ამდენ ხანს ეკვდებოდი აქ შენზე ფიქრით!

ოლივიემ გულში ჩაიკრა, წყნარად კრუტუნებდა.

თაბაშირის ქრისტესა ჰგავს...

ოჰ, რა არ დასთმო, რა არ გაიმეტა!

არა, ნებაყოფლობით, სრული თანხმობით გაიმეტა ყველაფერი. დიდი სიხარულით იმეტებ ყველაფერს, რაც გაბადია, იმისთვის, ვინც გიყვარს. მორჩილება! მაგრამ კვლავ აღარა სურს მადლენას ნახოს ის, რაც პირველ პაემანზე ნახა: ნაცემი ცხენივით მთრთოლვარე ოლივიე. მშიერ-მწყურვალი, ომით და ადამიანის სიკვდილით გაწამებული ოლივიე.

მადლენა მისი პური იყო. შემჭამეო, უთხრა. თითონ მივიდა და კბილებთან თავისი ცხელი ტუჩებით და გაღეღილი ტანით. პურია მადლენა, რბილ-გულიანი და ქერქიანი, მსუბუქი და მძიმე. დეე გაითქვიფოს მასში, შეუერთდეს მთელი არსებით, დაამშვიდოს, დააპუროს იგი თავისი მკერდით, ახალგაზრდა ქალის მკერდით, მოაწოვოს მშვიდობიანობისა და სიხარულის რძე, დანებდეს, რაკი მადლენა პურია მამაკაცთა ამ დიდ შიმშილობისთვის და განაწამები სულისთვის.

როდესაც დღისით ამაზე ფიქრობს, სახეზე ალი ედება. მაგრამ მოახლოვდა სანატრელი წამი. ოლივიე ელოდება. ის იქ არის, ბალახის სარეცელზე. ელოდება, რომ მადლენა მივიდეს, გვერდში მოუწვეს.

გუშინ მადლენა ოლივიეს დედის სანახავად წავიდა.

— პირველ ღამეებში,—უთხრა დედამ:—ეშმაკივით ხტოდა ლოგინში ავდექი, რომ საბანი დამეხურა და მასთან მესაუბრა. არაფერი არ ესმოდა. კრიჭა-შეკრული ჭშინავდა. იდაყვებს ისე იქნევდა, რომ კინაღამ სანა-

თი ხელიდან გამაგდებინა. ახლა პატარა წმინდანივით მშვიდად სხედავს: აღარ ხმაურობს, გეგონება თაბაშირის ქრისტეაო.

უკან მიუხედავად გარბის მადლენა ვენახში, თან ხელებით გამობერილ კაბას იმაგრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—

— ზედმეტი სისხლი მაქვს, — ამბობს იულია.

ამ აკვიატებული ფიქრით მძიმე სამუშაოს ეტანება, თავს ძალზე იღლის, რომ სხეული დაქანცოს. დღეს მთელ დღეს ქარში ყურძენს ჰკრეფდა და ამან თავი გაუბრუა. ახლა სამზარეულოში მუხლები უკანკალებს.

— ქარისაგან არის, — ამბობს იულია, — მეზღვაურივით მთვრალი ვარ.

უნდა გაეღიმა, მაგრამ უეცრად იგრძნო, როგორ აშფოთდა სისხლი მის ტანში, თითქოს დაჭერილი გველი იკლაკნებაო.

იულიამ სთქვა:

— ბალის დანა დამავიწყდა.

და ზეგანისაკენ გაემართა. ფართოდ აბიჯებდა.

ნუშ.ს ჭალა გადასჭრა, ფერდობზე დაეშვა, ანშოს გორაკს შემოუარა.

ღამდებოდა. ცივ ჰუბაკში მოხვდა, გარეული ღორების ამ ბუნაგში, უეცრად მის ფეხებთან რაღაც შავი წამოიჭრა და ნადირივით განზე გადახტა.

იგი შესდგა, მობრუნდა. მამაკაცი იყო. ავი ძაღლივით ღრინება. ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს კბილებით სურს დაგლიჯოს ყველაფერიო. იგი თოფს მოიმარჯვებს. სასწრაფოდ საკეტს ხელს მოავლებს, მაგრამ გაახსენდება, რომ ეს სამხედრო თოფი არ იყო, ჩახმახს ცერს დაადებს.

ამ დროს დაინახავს, რომ მის წინ მხოლოდ ქალი დგას. კაცი აღარ იძვრის, ქალს შესცქერის. დიდი, მარცხენა ხელი თოფის ლულაში აქვს ჩავლებული.

იულიამაც დაინახა მამაკაცი. მას უცბად ღონე წაერთვა. ბალახს დააცქერდა: ბალახი მუდამ მწვანეა.

„ის არის, ბრალელი“, — გაიფიქრა.

კაცმა ქალისაკენ ნაბიჯი გადასდგა.

თმა ისე გაზრდია, რომ ველარ იცნობ. თვალებზედაც კი ველარ იცნობ.

„ვინ უნდა იყოს? ყველას ვიცნობ. ფოკი? კლოდომირი?“

— იულია ხარ? — ჰკითხა კაცმა.

— მე ვარ, უპასუხა ქალმა. — შენ ვინლა ხარ?

— ტუანი.

— ტუანი? ქრისტე ღმერთო! შენა ხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ის ტუანია, რომელიც თვალდახუჭული ცეკვავდა ვალსს, ამასთან უკულმა და ერთ ადგილზე. თეფშისოდენა ადგილზე ათამაშებდა ფეხებს. ისეთი ალერსიანი იყო, რომ ტუანეტს ეძახდნენ.

— მე ვარ, — სთქვა კაცმა და თოფი ძირს დაუშვა.

კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ. და ამ ნაბიჯის გადადგმის დროს გამოააშკარავა ნადირის სიმარდე და მოქნილობა.

— ჟანდარმები ხომ არ გინახავს?

— ნუ გეშინიან, ისინი იქ, რუსესთან არიან. ენახე.

იულია სახეზე დააცქერდება. სწრაფად გაიელვებს ამ სახეზე წარსულის სურათები: ბალი გირლიანდებში, ვაფლის გამყიდველი ქალი, გარმონი, მემუსიკის ფეხი, რომელსაც მუდამ ტაქტი გამოჰყავდა ფიცრის იატაკზე. მაგრამ ამ კაცის გამოხედვაში რაღაც ახალია, — შიმშილი, სურვილი და მამაკაცური ძალა...

„ტუანეტი!“ — ამბობს თავისთვის იულია.

რაღაც უხეში და დაუნდობელი შეიპყრობს.

— იქნებ გინდა რამე: პური, მარილი, ღვინო? — ეკითხება ქალი.

— არა.

იულია ერთი ნაბიჯით უკან დაიხევს.

— თუ გჭირდება...

იულიას აღარ ახსოვს, მიღარდა მამაკაცი, დააწვა ლოდივით ზედ ოუ... თვითონაც არ იცის. იგრძნო მაგარი ხელი წელზე, ცხელი ტვირთი, რომელიც მკერდს აწვებოდა. იგი პირალმა გადაეშვა. ქარის, ხეების და ადამიანის ძალის ამ აბობოქრებულ სტიქიონში პირველი თვითონ იულია დააკვდა თავისი ტუჩებით ტუანის ტუჩებს და თანხმობის კვნესა აღმოხდა...

— . —

მთელ დღეს რთველი ჰქონდათ ბუისონადში. ქვემო ზეგანის ვენახში ყურძენის კრეფა მოათავეს და ურემი გოდრებით დატვირთეს. შემდეგ ფელისი კოფოზე დაჯდა, პატარა პოლი ფეხებთან დაისვა და ოლრო-ჩოლრო გზით შინისკენ გასწია.

ტყვეს ცხენი აღვირით მიჰყავს.

ქარიანი დღეა და ცხენი აღტყინებულია. ჩრდილებს ველარა სცნობს. ჩრდილის დანახვაზე ისე შეხტება ხოლმე, თითქოს ცხელი რკინა უჩხვლიტესო. საბედნიეროდ, იქვეა მამაკაცის ხელი. მას ცხენი მაგრა უჭირავს. ტყვეს თავზე პატარა ქუდი ჰხურავს, მწვანე ხალათი აცვია, ზურგზე თეთრი ასოები აწერია: პ და გ. ფელისი შესცქერის მამაკაცის ხელს, რომელსაც აღვირი უჭირავს. საიმედო ხელია, იცის, რას აკეთებს.

მერმა უთხრა ფელისს:

— შენ ომმა დაგაქვრივა და უფლება გაქვს ტყვე იყოლიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ურემი ძალზე იწყებს ქანაობას, ტყვე პირს შიბრუნებს და ღიმილით თავის დიასახლისს შეხედავს ხოლმე.

— არა უშავ რა, გასწი, — ეუბნება ფელისი.

პატარა პოლი ყურძნის ტკბილი წვენით არის მოთხუპნული. მტევანს მარცვლებს აცლის, ხელის გულზე აგროვებს და მერე ერთბაშად პირში იყრის. თუ ამ დროს ურემი შეინძრევა, მარცვლებს ლოყაზე იშყლეტს. მაშინ ბავშვი ენას გამოჰყოფს და მოთხუპნულ ტუჩებს ილოკავს.

ბუისონადში ღამე მივიდნენ... ყურძნის გოდრები დააბინავეს. საჭმლის მომზადების დრო გადასული იყო. თხის ყველი სამად გაჰყვეს, სახლის წინ ქვის სკამზე ჩამოჯდნენ და ჭამას შეუდგნენ. წელში წახრილი, იდაყვებით მუხლებზე დაყრდნობილი ფელისი უხმოდ სჭამს, მხოლოდ ზოგჯერ თითებს ატოკებს, რომ პური მოიტეხოს.

პოლმა გადასწყვიტა მუხლები გაიმართოს, ტყვესთან მივიდა და გაეთამაშა.

—მოდი, გილიტინებ, — ეუბნება პოლი.

ტყვეს ვითომ შეეშინდა:

— ვაი, ვაი!

შემდეგ ბიჭუნას ხელს სტაცებს და მართლაც დაუწყებს ლიტინს.

მშვენიერი ღამეა. ქარი უეცრად ჩადგა. ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. ფელისი ფეხზე დგება.

— პოლ, უთხარი „ღამე მშვიდობისა“.

— ღამე მშვიდობისა, — გაიმეორა პატარამ.

— ღამე მშვიდობისა, — სთქვა ფელისმაც.

მამაკაცი დგება. მოისმის მისი ქუსლების ხმა ბალახში.

ფელისი სამზარეულოში სანთელს მოუკიდებს. მიდი-მოდის. სინათლეზე მოსჩანს მისი სახე, თმა, სამზარეულოს კუთხე, ჩამოკიდებული კარდალა, საყავე ბუხარზე, კედელზე მიმაგრებული ნაკურთხი ბზის ტოტი.

მამაკაცი ღრმად ამოიოხრებს, სევდიანად.

მან ფერმას შემოუარა. ცხენი მაგრა არის დაბმული. თხებს ყველაფერი აქვთ, რაც საჭიროა. ქათმები თავიანთ ადგილას არიან. ნამწვრის სუნი არ არის. ყველაფერი რიგზეა. ტყვე ჩალაზე წვება. ცოტა ხანს კიდევ ყურს მიუგდებს, რათა დარწმუნდეს, რომ ყველაფერი თავის ადგილზეა. რომ არავითარი ხიფათი არ არის მოსალოდნელი.

— · —

როდესაც იულია დარწმუნდა, არავინ არ მიყურებსო, განჯინასთან მივიდა და პეშვზე ზეთი დაისხა.

— ღამე მშვიდობისა! — სთქვა მან და კიბეს აჰყვა. ზეთი ფრთხილად მიჰქონდა, რომ არ დაეღვარა.

თავის ოთახთან რომ მივიდა, დააყურა, შემდეგ კარი გააღო და ორივე მხარეს ანჯამებს ზეთი წაუსვა.

თითს ზეთში ასველებს და ანჯამებს უსღამს, თანაც მაგრა აჭერს თითს, რომ სახსრებში ზეთი კარგად ჩავიდეს. ბოლოს სიბნელეში კოს რამდენჯერმე აღებს და ხურავს: ხმაური კატის ფეხის ხმაზე, მეტად, არ ისმოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა ნ ტ ე რ ი

— ახლა რაც მოესურვებათ, იმას გვიზამენ, — სთქვა ჟოლივემ.

ლაპულმა შეაჩერა წვიმის წუმპეში ფურთხვა. მისმა ნაფურთხმა გზამდე მიაღწია. რაც უნდა ცდილიყო, ამაზე უფრო შორს ვერ გადააფურთხებდა. ღია საძნე ფარდულისკენ მიტრიალდა:

— ვინ? — იკითხა მან, — ვინ მოახერხებს ჩვენ აღებას?

დღე დღეს მისდევდა, დასასრული არ უჩანდა, ისინი კი ისევ ზღვასავით ტალღოვან სანტერზე იყვნენ. ამ თვალუწვდენელ სივრცეზე თავს ისე გრძნობდნენ, თითქოს შუაზღვაში ყოფილიყვნენ. იქ ყველაფერი წაშლილი იყო: ვერდენის წამებაც, ძველი ამხანაგების სიკვდილიც და ლავანოსის ორი წვეთით დანამულ პატარა ცხვირსახოცში ჩარჩენილი მადლენას სურნელებაც.

— მღვდელი, — სთქვა ჟოლივემ, — პოლკის მღვდელი, გეუბნები, ძველო, ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ადამიანთან ყოვლად მოწყალე ღმერთს თავაზიანობა აღარ სჭირდება. როგორც ნებაღს, ისე შეუძლია მობრძანდეს, თავისი სახით დაგვენახოს, და დარწმუნებული იყავ, ველარსად გავექცევით.

სოფლის ნახგრევები დაღუპული გემის ნამსხვრევებივით მიმოფანტული იყო მიწის გრძელ ტალღებზე. საღამოდანვე ყველგან სინათლეს აქრობდნენ. საძნე ფარდულებში მაშინ ადამიანის მძიმე სუნი დგებოდა, საბედნიეროდ.

მთელ დღეს სქლად ჩამოწოლილი თეთრი, ფქვილის მსგავსი ცა ყველაფერს ხუთავდა. სიტყვები კი არ გამოხტოდნენ, ძალაგამოლეულნი ნერწყვივით გადმოდიოდნენ პირიდან.

მიმავალ ფურგუნებს ხედავდნენ, მაგრამ მათი ხმა არ ესმოდათ. მოტიტვლებული გორაკების თხემს მიჰყვებოდნენ. ცხენები ორთქლში გახვეულ ფეხებს მაბიჯებდნენ. დანაოჭებულ მიწაზე საზიდავები მისრიალებდნენ, როგორც ნაფოტები ტალღებზე. ხმაურობა გზას ვერ იკვლევდა, იქვე რჩებოდა, ურმის თვლებთან, ადამიანთა და პირუტყვთა გვერდით. ცისკენ ასვლას ვერ ბედავდა.

ლაპულმა პირში კარგა ბლომა ფურთხი დაიგროვა და სცადა მისი უფრო შორს გადაფურთხება, გზაზე დაგდება.

— . —

სოფელი სდუმდა. ნაადრევი ყინვებისაგან ჰაერი ამწკლარტებულიყო. ეზოში ცეცხლს ანთებდნენ, ფიცრებს სწვავდნენ, მაგრამ არ ღვივდებო-

და. უალო, თითქმის მხურვალებას მოკლებულ შეშას წითელი ფერი ედებოდა, შემდეგ იფშვნებოდა, ნაცრად ცვ ვოდა. ირგვლივ შემოუხვევდნენ, ხელებსა და მუხლებს მიუშვერდნენ, ღუმელის აგურებივით ერთმანეთს ეკვროდნენ. მაშინ ცეცხლს თითქოს სიმტკიცე ეძლეოდა. ზოგჯერ პატარა ალსაც აუშვებდა.

უეცრად აუტანელი სუნის ტალღაში ეხვეოდნენ. ეს სუნი საშინელი ძალით მოვარდებოდა და იჭრებოდა ცხვირში, როგორც დამპალი ხორცის სუნი. ეს სიმყრალე რომ გაივლიდა, ისინი სიამოვნებით ისუნთქავდნენ ჰაერს, რომელსაც მწკლარტე ფქვილის სუნი უდიოდა.

ხანდახან ტალახითა და წვიმით ამოვსებულ ქუჩას ყრუ გმინვა, რაღაც დიდი, სევდიანი სიტყვა აღმოხდებოდა. ამას ჰაერის ოდნავი მოძრაობა გამოაქროლებდა ხოლმე, — ჰაერის, რომელსაც სველ ხელზედაც ვერ იგრძნობდა ადამიანი. ეს ხმა ჭირიან საძნე ფარდულიდან მოდიოდა. იქ შესვლა აკრძალული იყო. ფართოდ გაღებული კარის წინ სარი დაესოთ, ზედ დაფა მიეკრათ, რომელზედაც ნახშირით ეწერა: „ქოთაო“. მის უკან, სილრმეში, მოსჩანდა მთლად დახვრეტილი ფიცრების ჩონჩხი და მოტიტვლებული მიწა, რომელზედაც კედლის ნაფლეთები ლპებოდა.

აქ, გრძელი წითური დიუნის გვერდით, წინად დაბანაკებულთ ცხენის თავლა მიუტოვებიათ. იგი წარმოადგენდა ღია სწორკუთხედს. შივ ათიოდე ცხენი და ორი კაცი დარჩენილიყო. თავლაში ცხენები ცალცალკე იდგნენ: ერთი აქ, მეორე იქ, მესამე უფრო შორს. ეს ორი კაციც ერთმანეთს თავს არიდებდა. ისინი არც სოფელს ეკარებოდნენ. მოსჩანდა, როგორ მიდი-მოდიოდნენ. შემთხვევით ერთმანეთის მახლობლად რომ აღმოჩნდებოდნენ, ერთი მათგანი შეჩერდებოდა, მეორე შორიდან მოუვლიდა და თავის საქმეზე გასწევდა. თეთრი, სქელი ხელთათმანები ეცვათ. ხანდახან თავზე თეთრ კაპუშონს ჩამოიცვამდნენ, რომელსაც თვალებისთვის ორი საჭვრეტი ჰქონდა დატოვებული. ბოცებს იღებდნენ, რაღაც სითხეს როფებში ასხამდნენ, ჯოხებით ურევდნენ და ვედრებით ცხენებს გავაზე ასხამდნენ. დიუნიდან ეთერისა და ფენოლის მძიმე სუნი მოდიოდა. საღამოობით ცხენები ერთმანეთს გასჭიხვინებდნენ. ღამის მოახლოვებას ცხენები ჯერ კიდევ მაშინ გრძნობდნენ, როდესაც იგი აღმოსავლეთის ლეგა ნისლში იყო მიმალული. ხმა სუსტი, მთრთოლვარე ჰქონდათ. ამ ხმის გამოსაცემად ნერვებისა და მკერდის საშინელი დაძაბვა უხდებოდათ. ეს იყო მათი ტკივილის ამოძახილი. მაგრამ ეს ხმა ფრინველის კვნესასავით სუსტი იყო, ცხენ დან ცხენამდე ძლივს აღწევდა ღამის წყვდიადში. ასე უზიარებდნენ ერთმანეთს გულის ნადებს.

ღამისით ისინი ფიცრებზე ცხვირ-მიბჯენილნი იდგნენ. ერთი თეთრი ცხენი განუწყვეტლივ, დაუღალავად ერთსა და იმავე ადგილს სტკეპნიდა. პირველად ის მოკვდა. ორი მომვლელი ორმოს სთხრიდა, ცალცალკე, სხვადასხვა მხრიდან.

— ჯანდაბას ყველაფერი!—დაამთავრა რა თავისი ფიქრები, წამოიძახა ლაპულმა. — ისეც საკმაო სისაძაგლეა. აღარა ღირს ამაზე ფიქრი.

მას შემდეგ, რაც მეორე ასეულს შეემთხვა, ცარიელ საძნე ფარდულში ერიდებიან.

რეინი შვებულებიდან დაბრუნდა. ღამით მოვიდა. სადგურიდან სოფლამდე მთელი ტალღოვანი გრძელი გზა ფეხით გაიარა. დაღლილობას, ღამესა და არაყს დაეთრო. საძნე ფარდულში მოეწყო.

ორი დღის შემდეგ ამხანაგებს შორის დადიოდა და გაკვირვებული თვალებით ნაცრისფერს ცას მისჩერებოდა, თითქოს იქ უნდოდა ამოეკითხა ყველაფრის პასუხი. დამძიმებული ხელები ჰერანგის საყელოსთან მიიტანა და ნელა შემოიხია, რათა კისერი გაენთავისუფლებინა. იდგა ასე, გაოცებული, პირდაღებული. ლაპარაკი აღარ შეეძლო.

შფოთვა დაიწყო, და ორი სანიტარი მიუყენეს. თავიდან ფეხებამდე გაბაწრეს.

— ასეთ მდგომარეობაში კაცი მეტ ლონეს იჩენს, —სთქვა ლაპულმა.

რეინი ურიკაზე დასვეს და მინდვრები გადაატარეს. ამ ორ სანიტარში ერთს ყველა კარგად იცნობდა. ის პატარა ფლეიტაზე უკრავდა. ხან ცხვირზე ხელს მიიჭერდა და ვიოლინს ბაძავდა. ამნაირად ასრულებდა ნაწყვეტებს „ტოსკა"-დან.

ისა და მეორე სანიტარი დაბრუნდნენ. მათ ჰკითხეს:

— რა ჰქენით?

— რა უნდა გვექნა, — უპასუხეს.

მეორე დღეს ფლეიტის დამკვრელი მარტოკა წავიდა გრძელ დიუნიაკენ, სადაც ცხენები ება...

იმ დღეს კაპიტანმა ჰკითხა ლაპულს:

— ჩემი რევოლვერი ხომ არ გინახავს? აი აქ იყო ჩამოკიდებული.

— მეე? არა, — სთქვა ლაპულმა.

ველოსიპედისტი გზაზე აღარ დადიოდა, იქ მუხლამდე ტალახი იდგა, მინდვრებს მისდევდა, სადაც ბალახი რბილად ეფინა.

— მკვდარ კაცს წაეწყდი, — სთქვა ველოსიპედისტმა დაბრუნებისას.

მკვდარი სანიტარი აღმოჩნდა. ტყვიით შუბლი გაეგმირა. მარჯვენა მკლავზე იწვა, იდაყვი მოეხარა და სახე შიგ ჩაემალა. რევოლვერი სისხლში იყო ამოსვრილი.

კაპიტანი მივიდა. რევოლვერი თავისი ცხვირსახოცით გასწმინდა. საღამოთი ლაპულს უბრძანა, დაეშალა და ზეთი წაესვა.

— ღარში კარგად ჩაასხი ზეთი, — უთხრა კაპიტანმა, — მანდ მუდამ რაღაც ედება.

კაპიტანმა გაუტენავი იარაღი გასინჯა: დოლურა ტრიალებდა, ჩახმახი სცემდა, კარგად იყო რევოლვერი გამართული. ბუდეში ჩასდო და სასთუმალთან დაიკიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსიპედისტი ერთხელ კიდევ მოვიდა ახალი ამბებით. ფეხი მიწაზე ჩამოდგა.

— წინა ხაზზე იერიშისთვის ემზადებიან, — სთქვა ...

დღისით კავშირგაბმულობის ჯარისკაცები წავიდნენ იმის გასაგებათ, თუ სად იდგა ჯარი. ცივი საუზმე და ერთი მათარა ღვინო გაატანეს. მიწინავე ხაზები სოფლიდან შორს იყო. უიარაღონი გავიდნენ, ხელში მხოლოდ სამგზავრო ჯოხები ეჭირათ.

მეორე დღეს გარიჟრაჟზე დაბრუნდნენ. კაპიტანი კარის წინ უცდიდა. ტუნიკა ეცვა, რომელზედაც ქამარი მაგრა შემოეჭირა. ახალ ყაიდაზე გალამაზებულიყო: წვერს აღარ იპარსავდა, უფრო პრაქტიკული საშუალება გამონახა — წვერს ძირში მაკრატლით იკრეჭდა, რაც დათვს ამსგავსებდა. უფრო გასქელდა. ტანით მთელ კარს ავსებდა.

უკვე თენდებოდა, როდესაც ჟურა პირველ საგუშაგოდან დაბრუნდა. ოლივიეს ესმოდა, როგორ მიდიოდა ის ძმობის სახელობის საფარით, რომელიც სწორედ სანგრის ამოსასვლელის პირდაპირ იყო.

— სძინავთ, — სთქვა ჟურამ შესვლისას.

ისინი მხოლოდ აპირებდნენ ძილს. ეს ერთი ხანია უცნაური ხმაურით რაღაც საგნები აღწევენ მათ საფარამდე: თითქოს მიწის გოროხები ეცემაო, თითქოს რაღაც რბილმა ჩაიქროლაო.

— რა ამბავია იქ?

— სიწყნარეა, — სთქვა ჟურამ, — სიწყნარე, სიწყნარე, — გაიმეორა და ტოლჩაში ცივი ყავა ჩაისხა.

ყავის სმას შეუდგა.

— ყველაფერი დაინახე? — ჰკითხა კამუმ.

— რას ყალთაბანდობ! — უპასუხა ჟურამ, — რაც გარშემო იყო მხოლოდ ის დავინახე, და ესეც საკმარისია ჩემთვის. გეუბნები იმას, რაც დავინახე და რასაც მივხვდი. ვატყობ, დიდი საზიზღრობა მოგველის, ნახავ.

გრძელი, მეტად გრძელი დღე იყო... დაჩაჩანაკებული ცა უფროდაუფრო თეთრდებოდა, უფრო ძირს ეშვებოდა. უკვე მიეჩვივნენ სანგრებიდან თავის ამოყოფას. საფრთხეს აღარ მოელოდნენ. ახალი აღარაფერი იყო: სანტერის ტალღოვანი მოხაზულობა, ნისლისაგან ობმოკიდებული ორმოებიანი ქვეყანა. განსაზღვრულ საათებში მოისმოდა, როგორ მივორავდნენ შორს სასურსათო საბარგულები. შუადღისას ჰაერი უფრო იხუთებოდა. სანგრებს ყორანი გადაუვლიდა, თითქოს მუდამ ერთი და იგივე.

— ჩემი არ არის? — ჰკითხა ოლივიემ ლაპულს, რომელმაც წვნიანი ვედრო მოიტანა.

— მხოლოდ შაბრანისაა, — უპასუხა ლაპულმა.

— ჩემი? — გაიმეორა ოლივიემ. — გეუბნები მეც ველი წერილს... აი უკვე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფეხი ნუ დამადგი, — წამოიძახა ლაპულმა. — წერილი რომ ყოფილიყო, შენც მოგიტანდი. ეს კი შაბრანისაა.

— მიჩვენე, — სთქვა ჟოლივემ.

— ეჰ, შე ბატის ტვინო! — ამოიოხრა ლაპულმა.

ხალათის ჯიბიდან წერილი ამოიღო.

ჟოლივემ წერილი გამოართვა. ერხთანს ხელში ისე ეჭირა, არც კი დაუხედნია, შემდეგ მისამართი წაიკითხა.

— „ოლივიე შაბრანს“.. ჰო, — სთქვა მან.

ნაშუადღევს მუდამ წყნარი სიჩუმე იდგა და ისმოდა, როგორ ეცემოდა მორების ნახეთქებიდან წყლის წვეთები კიბეზე.

— ეი! — ხმადაბლა გასძახა ჟოლივემ.

ოლივიემ თავი მიიბრუნა.

— წერილი მიიღე?

— მივიღე.

ჟოლივემ ოლივიესკენ მიიწია. ოლივიეს არ უყურებდა. იგი უყურებდა ჯარისკაცებს, რომელნიც სანთლის შუქზე ბანქოს თამაშობდნენ.

— ერთ წუთს წერილი მომეცი, — მიმართა ოლივიეს, — შენს პირად საქმეებზე არაფერს წავიკითხავ. მხოლოდ საალერსო სიტყვებს წავიკითხავ.

ოლივიემ ხელი ჯიბეში ჩაიყო. ჟოლივემ შეაჩერა.

— არა, იყოს, — სთქვა, — შეინახე, ბოლოს ხომ უნდა მომწეროს იმ საძაგელმა!..

და იგი განშორდა და კიბის ზემო საფეხურზე ჩამოჯდა, თეთრი ღლის ცივი დისკოს ფონზე.

— . —

კაეშარგაბმულობის ჯარისკაცი ყოველდღე მიდიოდა. მარჯვნივ მეშვიდე ასეულისკენ გაუხვევდა. შემდეგ ისმოდა, როგორ ხვდებოდა დირეებს მისი აირწინაღის კოლოფი; იგი ბრუნდებოდა.

ერთხელ საღამოთი დაიძახა:

— წამოდით ჩემთან, ნახეთ იქ...

გაიარეს ზუავების სანგარი, შემდეგ ლურჯი თხრილი, გადასჭრეს ქვის სატეხი და მივიდნენ. ყრილი ახალი ჩამონგრეული იყო. მოსჩანდა ერთმანეთში არეული ტალახი და მაუდის ნაფლეთები. ქვის სატეხში თითქოს სასულე ამოუჭრიათო. იქიდან ამოშვერილი იყო თითებ-მოკრუნჩხული კაცის ხელი. მიუახლოვდნენ. მკვდრების დიდი ორმო იყო. შიგნიდან რაღაც შხაპუნი მოისმოდა, თითქოს წყალიაო.

— . —

ღამის განმავლობაში ყოველთვის გამოერეოდა ისეთი ვინმე, რომელიც საგუშაგოს ჩუმად დასტოვებდა, სანგრის ჩასასვლელთან მივიდოდა

და ამხანაგების ხვრინვას, სუნთქვას და ბოლოს ყურს უგდებდა. გაციებული კაცივით იქცეოდა, რომელიც ცეცხლთან მიდგა ...

ყოველთვის ღერ იძინებდნენ სანგარში. ხშირად რაღაც-გაგონილ იპყრობდა მათ. მოუსვენრობა მათ სხეულში ავი სენივით იბერებოდა.

— ყური დაუგდეთ! — სთქვა ჟურამ, რომელიც სანგრის სილრმეში იწვა.

შუალამე იყო. ისმოდა, როგორ ეხახუნებოდა ნისლი მიწას იქ ზემოთ.

— ყური დაუგდეთ!

სანგარში თანაბარზომიერად მეორდებოდა მსუბუქი, ნემსივით მჩხვლეტავი ხმაური.

— გესმის?

— მესმის.

ის ხმაური სიცოცხლესავით თანაბარზომიერი იყო, ჰქონდა მიზანი, ლტოლვა, მისწრაფება. ის ოდნავ ისმოდა, მაგრამ თავისი წვეტიანი პატარა ხმაურით მთელ სანგარს ავსებდა.

— აქ, შიგნით, არის!

— სანთელი!

— შარლ, სანთელი!

— გაინძერი.

— სანთია!

— სანთია, შენი სანთია!

სანთიას ცერი ჩამოჰკრა. პატარა ალი ავარდა. შუქზე ადამიანთა უძრავი სახეები გამოჩნდა. ყურს უგდებდნენ, თვალსაც კი არ ახამხამებდნენ.

ხმაური აქ, მათ შორის იყო.

— სანთელს მოუკიდე!

ლაპულმა სანთელი აანთო. ალი ზევით არ იწევდა, ფოთოლივით თრთოდა. ლაპულმა გარშემო მიმოიხედა.

— ჰო, — სთქვა მან. — საათია.

საათი ეკიდა ფიცარში ჩაჭედილ ლურსმანზე.

საათი პატრონს ჩვეულებრივად თან მიჰქონდა საგუშაგოზე.

მეორე დღეს საათის პატრონს უთხრეს:

— საათი არ დაგავიწყდეს.

— არა, — სთქვა მან, — აქა ვტოვებ. სიცივე აფუჭებს.

ჟურა მაშინვე წამოდგა, საათი ჩამოხსნა და მიწაზე დასდო. ხმა ნაკლებად მოისმოდა.

ეს შეწუხება ზედმეტმა ყურადღებამ გამოიწვია. მაშინაც კი, როცა კაშუს საათი თან მიჰქონდა, კარგად ესმოდათ დროს მსვლელობა.

— . —

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად არის ჩემი საათი? — იკითხა კამუმ.

დახედა ლურსმანს და ტანი მოისინჯა. სანგარში ყველამ ბევრი მოიმძინარა.

— თუ დავიჭირე ვაჟბატონი... — სთქვა კამუმ.

დაწვა. ყველას ზურგი შეაქცია.

ჟურა თვალღია იწვა. საბნიდან ხელი გამოიღო, წვერი მოიფხანა, ლურსმანს შეხედა.

შუალამისას აქლოშინებული მოვარდა კავშირგაბმულობის ჯარისკაცი. სიბნელეში ხელის ფათურით შეუდგა მძინარეთა გაღვიძებას.

— ეი, ეი, ადექით!

სანთია აანთო.

—არა, მაცალეთ, — სთქვა მან, — სად არის თქვენი სანთელი?

ცდილობდა როგორმე თავისი ნერწყვი გადაეყლაპა, მაგრამ ვერ ახერხებდა, იგი ზემოთ იწევდა.

— რა იყო, რა დაგემართა?

ბოლოს, როგორც იყო, ამოაფურთხა.

— მითხარი, — ჰკითხა მან ლაპულს, როცა კაცი ჭკუიდან შეიშლება, თვითონ მიხვდება ამას თუ არა?

გარედ ზანტად კაკანებდა ტყვიამფრქვევი.

— ჰო-და, თვითონ დავინახე, — სთქვა კავშირგაბმულობის ჯარისკაცმა. — ჩემმა ხელმა გაჰკვეთა. მე ხომ გიჟი არა ვარ! გეუბნები, იქ იყო მეთქი, დავინახე, თვალები მაქვს. გამოცდილი კაცი ვარ... იმ ხვრელიდან უნდა გამოსულიყო. ის იყო იქ გაეიარე. მეშვიდე ასეულიდან ვბრუნდებოდი. იმ კუთხემდე მივედი. სანგარი უკვე შავად მოსჩანდა. ის იქ იყო. ჩემთვის ვთქვი: შეიძლება კაპიტანია მეთქი, და ჩუმად დავუძახე: „ჩემო კაპიტანო!“ არ მიპასუხა. შემდეგ შევნიშნე, რომ ის უფრო გამხდარი იყო, მოსასხამი ამსხვილებდა. მოსასხამი კარგად გავარჩიე, ისეთი იყო, როგორც ჩვენი მსროლელის მოსასხამი... აი, ხომ ხედავთ, ამის საწინააღმდეგოს ვერაფერს იტყვით. შევძახე: „ეი!“ და ხელი მოვუქნიე.

— ერთხელ მეც ვნახე, — სთქვა ლაპულმა. — კარი უნდა დაიხშოს. კარვის ტილო მაინც ჩამოეფარებინათ. ის ფელდფებელია. იგი ჩვენიანი არ არის, და ეს უფრო ცუდია.

— ჰო, — სთქვა ჟურამ, — მართალია: ფელდფებელია, წუხელ მეც ვნახე. არაფერი არ მითქვამს. ჩაიარა. კუთხეს მოვეფარე და კონდახი მაგრა ჩავცხე სახეში.

— ნუთუ? — ჰკითხა ლაპულმა.

— სწორედ, — სთქვა ჟურამ.

— მერე?

— მერე და არაფერი.

— . —

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამუ მოვიდა, ხელში საათის ნამსხვრევები ეჭირა.

— აი რას გეტყვით,— სთქვა მან: — თუ ის ბინძური, ...ეს ჩაიდინა, ხელში ჩამივარდა, პირობას გაძლევთ, სულ ცოტა ხუთ წუთს გაცინებთ!

ჟურა წამოდგა:

— მოვდივარ, — სთქვა და სათითაოდ ყველას გადახედა. — ფრთხილად, — მიმართა ჩაცუცქებულ ოლივიეს, როცა წინ ჩაუარა. — ნახვამდის!

ძმობის საფარით გაემართა.

ჟურა საღამოთი არ დაბრუნებულა. კარდალით წვენი მოუტანეს.

— ხორცი ამოიღე, ხუფზე დასდე, — სთქვა ჟოლიევემ, — წვენში ჩატოვებული ხორცი არ უყვარს.

ბოლოს, რაკი ჟურა აღარ დაბრუნებულა, ჟოლიევემ ხორცი ისევ წვენში ჩააგდო და კარდალას ხუფი დაახურა.

— წვენი მაინც ცივი იქნება, — სთქვა კამუმ.

— გავაცხელებთ, — უთხრა ჟოლიევემ.

მეორე დღეს ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ჟურა ცოცხალი აღარ იყო.

კარდალა ისევ მაგიდაზე იდგა. ოდნავ მისწიეს და იქვე მახლობლად ჭამას შეუდგნენ. ხუფზე სანთელი დაამაგრეს. ბოლოს ჟოლიევემ კარდალა დასცალა, რადგან წვენი გამჟავდა, ხორცს კი ობი მოეკიდა.

— · —

„დეზინტერიის" გვერდით მოუხდათ მუშაობა. ასე ეწოდებოდა ტალახის ტბას, რომელიც ნალმის აფეთქებისაგან გამსკდარ მიწაში ჩამდგარიყო.

ისინი ეკლიანი მავთულისა და ხის პალოების საწყობში წაიყვანეს. გზას ჰკრავდნენ „ზღარბებს" ახვევდნენ. მუშაობდნენ პლაცდარმის მსგავს ადგილზე, საიდანაც მოსჩანდა ტალახის ტბა, აგრეთვე ამ ველური, უდაბური ქვეყნის დიდი ნაწილი, რომელიც ცის კიდეს სწვდებოდა.

კამუმ მუშაობა შესწყვიტა. შორს სივრცეს გახედა.

— აი იქ ტყეა, — სთქვა მან.

ეს იყო ლანდების თამაში. ლანდები მათ თვალწინ დღისითაც კი დასცურავდნენ.

— ტყეა!

ჯარისკაცები ლაჟვარდ ცას შესცქეროდნენ, რომლის ფერიც მათ გაოცებულ თვალებს ლურჯად ხვდებოდა.

— რა კარგი იქნება, იქ შვლის ნუკრს მახე დაუგო.

გამოცდილი ბრაკონიერის თითები ეკლიანი მავთულისაგან უულფს ძარდად აკეთებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სრიალა, გაკრიალებული მავთული რომ მომცა, ისეთ ხაფანგს დავაგებ, რომ კაცს დაიჭერს.

— აბა, მიჩვენე, — უთხრა ჟოლიევემ, — მე მოგიტან მავთულს.

— აი უყურე, — უხსნიდა კამუ, — მავთულს ასე დააბვევ, ისე გამონასკვავ, როგორც ფეხსაცმლის ზონარს, მაგრამ არ მოუჭერ. ბოლოს გაუყრი კვანძში და მოსწევ აი ასე.

— შენ ამბობ, რომ ეს კაცს დაიჭერს?

— ამ მავთულით? ეს რვანახევარი მილიმეტრი იქნება, ამით კაცს გააკავებ.

ახლა ტყეს ყველა ხედავდა. იგი ისე ახლო იყო, თითქოს მათ ლოყებს ფოთოლი ეხებაო.

— ფიჭვებია, — სთქვა ოლივიემ.

— ხომ არ გაგიჟდი! — წამოიძახა კამუმ, — განა ეს ფიჭვებია? წიფელაა. ასეთ სიმწვანეს მიწა მხოლოდ წიფლნარში ამოხეთქავს ხოლმე. რაც ტყესა და მის სურნელებას შეეხება, იქ ნუ ეჩხირები, ვერ გამიტოლდები.

ლაპულმა თავი ასწია და ტყეს შეხედა. ის გამქრალიყო. მათ წინ ფქვილისა და წყლის ფერი ცა იყო.

— სოკოები, — ინატრა მან. — ნაკვერცხალზე შემწვარი ერბოთი და კამით.

— ჰო, კარგია, — სთქვა კამუმ.

მაგრამ უცბად კბილები დააკაწკაწა და სიტყვა შუაზე შესწყვიტა: ორმოს კიდეზე ჩამომჯდარი საღამო აჩრდილის დიდი თვალებით შეჰყურებდა მათ.

— . —

იქ, უკან, ჩამორჩნენ ყოველნაირი ხეები, მდინარეები, წყნარი და გადარეული, ფართო ვაკეები აქოჩრილი ჭალებით და არყის ხეებს უკან ალმართული შავი სამრეკლოებით; ჯაგები, ბორცვები; დიდი თეთრი ხარი; და ის, ვინცა ნახა იგი, ხელს იქნევდა ჰაერში, თითქოს ზარს აწკარუნებსო, თითქოს ბაზარზე მშვენიერი საჯიშე ბუღა ხარი მოეყვანოს.

ადამიანებს თან მოჰქონდათ ეს ზმანებანი სანგრებში, და ლანდები შარიშურით გარს ეხვეოდნენ, თითქოს ნისლიაო. ეს იყო უკან დარჩენილი შორეული ცხოვრების სალამი.

— როგორ გაებმება შელის ნუკრი? — ჰკითხა ჟოლიევემ.

— თავს შეჰყოფს, — სთქვა კამუმ, — მოსწევს. მაშინ მავთული ყანყრატოში მოუჭერს. დაიწყებს თავის ქნევას, ფართხალს. რაც უფრო ფართხალებს და ეწევა, მით უფრო მოეჭირება ყულფი.

კამუ თავს გადახრის და გრძელ ენას გამოჰყოფს:

— აი ასე, ამასთან პირი დუჟით აევსება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადამიანებსაც მაგრე ემართებათ? — ჰკითხა ჟოლიევემ.

— სწორედ ასევე, — მიუგო კამუმ.

— . —

კაპრალი მემონი და ლაპული ბანქოს თამაშობდნენ. ოლივიე უყურებდა. ჟოლიევე თითებით სპილენძის ფულს აპრიალებდა, რომ ბისგაი საათიას დასახური გაეკეთებინა. კამუ სიღრმეში იჯდა, სიბნელეში.

— ჟოლიევე, — წამოიძახა კამუმ, — ის ცხოველები, მე რომ გითხარი, ზოგჯერ მთელ ღამეს წვალობენ, არ იხოცებიან, მთელ ღამეს იკრუნჩხებიან, დუჟი ჩამოსდით, სიმწარისაგან მიწას ღრღნიან. შიგნით ფილტვები უშავდებათ.

— მე შენთვის მაგაზე არ მიკითხავს, — უთხრა ჟოლიევემ.

— მე მაინც გეუბნები, — უპასუხა კამუმ.

ბანქოს თამაშს მშვიდად განაგრძობდნენ.

— ადამიანებსაც ასე ემართებათ — დაუმატა კამუმ.

ჟოლიევე განაგრძობდა სპილენძის ფულის პრიალს.

— გესმის?

— მესმის, მერე რა?

— მურტალი ხარ, — უთხრა კამუმ, და მოისმა როგორ აჭრიჭინდა საწოლი მის ქვეშ: კამუ დგებოდა.

— ეი! — წამოიძახა კაპრალმა, — ნუ ხმაურობთ! რას აყვირდით? თუ ერთმანეთის ლანძღვა გინდათ, გარეთ გაბრძანდით, სიმშვიდეს ნუ გვირღვევთ.

— მურტალია! — ყვიროდა კამუ, — უკანასკნელი მურტალი. ადამიანის დასაჭერი მავთულის ხაფანგი გამაკეთებინა, მერე მითხრა: მომეცით. ორკაპქვეშ ამოსდო. მერე მინდორში დასდგამენ. ხაფანგი ადამიანს დაიჭერს, აღარ გაუშვებს, და ეს რკინის მავთული გაგუდავს. ადამიანი შეიძლება მთელ ღამეს სიკვდილის მოლოდინში იყოს, პირიდან დუჟი სდიოდეს, მიწას ღრღნიდეს, ბოლოს მოჰკლავს რკინის მავთული, რომელიც ჩემმა თითებმა გამონასკვეს. ადამიანი, ეჰ!

— რას ამბობს? — ჰკითხა ლაპულმა.

— დიახ! — სთქვა კამუმ.

იგი ხარივით ქშინავდა.

ჟოლიევე განაგრძობდა თითებით სპილენძის ფულის პრიალს.

— მართალს ამბობს? — ჰკითხა კაპრალმა.

ჟოლიევე უსტვენდა, პასუხს არ აძლევდა.

კაპრალი წამოდგა.

— ჟოლიევე, შენ გეკითხები!

— შესაძლებელია, — სთქვა ჟოლიევემ.

— მიპასუხე ჰო, ან არა.

— ჰო, — სთქვა ჟოლიევემ, — მერე რა?

— კისერს მოვუგრეხ მაგას, — წამოიძახა კამუმ.

— ჟოლიევ, — უთხრა კაპრალმა, — ახლავე წახვალ ემ, რკინის მავთულის ასაღებად, გესმის? თუ არ წახვალ, სანგარში გაგიყვანთ და სასოფლო-სამეურნეო ... ხელით დაგახრჩობ.

უცბად ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ სანთლის ალის ტკაცანი ისმოდა. ჟოლიევმა ამხანაგებს გადახედა. მას სევდიანი, მშვიდი, დიდი თვალები ჰქონდა.

— წადი, — წყნარად უთხრა ოლივიემ და იგრძნო, როგორ გაიტკაცუნა მის მკერდზე მადლენას წერილმა, რომელშიაც იყო მშვიდი სიტყვები, მეგობრობის დიდი საზრდო, მადლენას ალერსიანი სიტყვები: „ჩემო მშვენიერო", „მიყვარხარ".

— წადი!

ჟოლიევ წამოდგა და გავიდა.

— განვაგრძოთ თამაში, — სთქვა კაპრალმა, — მით უმეტეს, დაუმატა ცოტა ხნის შემდეგ, — შეიძლება ვინმე ჩვენგანიც გაბმულიყო.

— იმათგანიც და ჩვენგანიც, — სთქვა ლაპულმა.

— . —

კაპიტანი ოლივიეს და ლაპულის დასაძახებლად მოვიდა.

სანგრის შესავალს მიუახლოვდა და დაუსტვინა. ლაპულმა თავისი შარვლის ნაკერებში მკბენარების ხოცვას თავი მიანება, სწრაფად ჩაიცვა და ზევით ავიდა. ცოტა ხნის შემდეგ დაიძახა:

— შაბრან!

— აი, რა, — სთქვა კაპიტანმა, — ორივენი მჭირდებით. ყოველ ღამე ჩემს კარებთან უნდა იდარაჯოთ, ნახევარ-ნახევარი ღამე თითოეულმა. განთავისუფლებთ მოწინავე ხაზისაგან, შეშის, ფიჩხის, წვენისა და სხვა რამეების ზიდვისაგან.

სირმიანი მკლავი ასწია და ამით ერთი დაკვრით შეამსუბუქა ცხოვრება.

— . —

ოლივიე პირველი დაბრუნდა ყარაულობიდან.

— დროა!

ლაპული სანთლის შუქზე სწერდა. სხვებს ეძინათ.

— რა ამბავია გარედ?

— ბნელა.

— ცივა?

— საბანი წაიღე.

— რა სიბნელეა! — სთქვა ლაპულმა, როდესაც სანგრის ზღურბლთან მივიდა. ჩაჩქანით მორს დაეტაკა.

სანთელი თითქმის რკინის მავთულამდე დამწვარიყო.

მისი მსუქანი ცრემლები ჟურას მიერ განთავისუფლებულ ადგილზე მიტოვებულ ფარაჯას ეცემოდა. მემონი არა ხერინავდა. ამ ღამეს არაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმაური არ ისმოდა, მხოლოდ უფრო სწრაფად წვეთავდა წყალი, რომელიც ფიცრებიდან ჟონავდა.

ყველას ეძინა. მაგრა მიეცათ თავი ძილისთვის.

ოლივიე საბნისქვეშ გაიჭიმა. ცოტა ხანს უძრავად იწვა, რომ გამთბარიყო. მერე გასათბობად მხრები შეიშმუშნა, თვალები დახუჭა.

სანგრის კიბეზე ფეხის ხმა მოისმა.

„ბრუნდება? უკვე დროა? უკვე ოთხი საათია, თუ რა მოხდა?".

სანთელს შეხედა. იგი წინანდებურად რკინის მავთულის დონემდე იყო დასული. ეს არ იყო ლაპულის ფეხის ხმა ან რომელიმე სხვა კაცისა: ხამი კაცის ნაბიჯი იყო, რომელიც საფეხურებს დაეძებდა.

— ვინა ხართ მანდ? — დაიძახა დაბალი ხმით მან.

მკლავები, ალბათ, აქეთ-იქით გაუშვერია! ორივე ხელს მორებს აყოლებს, გზას ფათურით იგნებს.

ორად მოკაკული შემოვიდა. ისე მაღალი იყო, რომ მიწურის კარში ვერ შემოტეულიყო. წელში გაიმართა. სანთლის ალი ახალმოსულის შემონაყოლ ჰაერისკენ გადაიხარა.

რეგოტაზი!

რეგოტაზი იყო.

მთლად თბილი, ნათელი, დარბაისელი, თავისი კეთილი, ფართო მკვრივი ხელებით, რომლებითაც ახლა ის სანთლის ალის დაწყნარებას ცდილობდა.

ოლივიე იდაყვს დაეყრდნო.

მაშ ის რალა იყო — ადამიანის სისხლისაგან გაშეშებული ფარაჯის სახელო, იდაყვის ნაოჭის ხაოზე მიკრული ტვინის ნაგლეჯი, რომელიც მოიძრო და ტალახში გადაისროლა? ხომ ახლაც ეზიზღებოდა ის თითები, რომლებითაც რეგოტაზის ტიტველ ტვინს შეეხო?

— ეი, თქვენ! — ხმადაბლა დაიძახა რეგოტაზმა, თან მძინარეთ გადახედა.

— ოო! — გამოეხმაურა ოლივიე.

— შენ აქა ხარ? — გაიკვირვა რეგოტაზმა.

რეგოტაზი მიუახლოვდა. ენა-გაწვდილი სანთელი ხარბად ლოკავდა ზორბა ვაჟკაცის ნაკვალევს.

— აქა ხარ? — კვლავ ჩაეკითხა. — დაგეძებდი.

საბან-ქვეშ მთელი ტანი მოუსინჯა ოლივიეს.

— მაშ აქა ხარ?

თავისი მძიმე ხელი ფეხებზე დაადო ოლივიეს.

— ..დიდი ხანია დაგეძებ.

ოლივიე იდაყვით უფრო მაგრა დაეყრდნო საწოლს.

— ნუ დგები, — უთხრა რეგოტაზმა.

— როგორ მოხდა? როგორ მოხდა, რომ დაბრუნდი? — ჰკითხა ოლივიემ, — მითხარი, სადა ხარ? ისევ აქა ხარ?

იქ, სილრმეში, კაპრალმა ღრმად ამოიოხრა ძილში და ფესვები შეანძრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგოტაზს სიტყვა პირში შერჩა.

— სძინავთ! მე კი ძალიან ხმამაღლა დავილაპარაკე.

— არა, მაგრამ...

— ჰო-და...

ოლივიესკენ დაიხარა. სანთელს ზურგი შეაქცია. თვალები და წვერი ძაინც მოუჩანდა. თითქოს შუქი მოჰფენიაო, მის წვერებში სველი ტუჩები მშვიდად ანათებდნენ.

— ამის მოტანა მინდოდა შენთვის.

ძებნა დაიწყო და ჯიბიდან რაღაც ღრაჭუნა ამოიღო.

ფიჭვის გირჩი იყო.

— აი ეს მინდოდა მომეტანა შენთვის. ამაზე დიდხანს ვფიქრობდი. გემრიელი მარცვალი აქვს. ამორჩევა ვიცი. გულში ვთქვი: ეს აუცილებლად გაახარებს-მეთქი. ამასთან ღრაჭუნებს, ყური დაუგდე.

მკლავი ნელა გაშალა და ფიჭვის გირჩი ოლივიეს ყურთან გააღრაჭუნა.

— გესმის: ხე, ციყვი... ყური დაუგდე ამ ხმაურს...

ოლივიემ სუნთქვა შეიკავა. ყური დაუგდო. ეს ხმაური მოციმციმე ნაკადულივით დადიოდა მის ტანში, გულში ტყესავით შრიალებდა, ტუჩებზე მიწას გრძნობდა, ქარი მის თმას ეთამაშებოდა.

— საიდან?.. — ჰკითხა ოლივიემ, — სწორედ გუშინ ვფიქრობდი მაგაზე. ძალიან მომინდა... ამანათი მიიღე?

— ხეზე მოვწყვიტე.

— შეებულებიდან ბრუნდები?

რეგოტაზს მთელი ტანი ბოლივით აუთრთოლდა.

— მთვრალი ხარ? — ჩუმად კითხა ოლივიემ.

სველი ტუჩები წვერებში უბრწყინავდა. რკინის მავთულზე სანთელი შიშინებდა. ამ ხმაურის ჩასაჩუმებლად რეგოტაზმა ხელი ნელა ასწია. ღრმა სიჩუმე ჩამოვარდა.

— შენთვის კიდევ გველის წიწილის მოყვანა მინდოდა. მაგრამ ვერ გავბედე — ვაი თუ შეეშინდეს-მეთქი.

— რაო? — კითხა ოლივიემ. უნდოდა კი ეთქვა: გაიმეორეო.

გაიგონა, მაგრამ მეორედ და უფრო გარკვევით უნდოდა გაეგონა.

რეგოტაზი კი განაგრძობდა. სწორი, უცვლელი ხმით ლაპარაკობდა. დარწმუნებას არ ცდილობდა.

— პატარა ხვლიკი? ის ხვლიკი, რომელიც კალოზე ბალახში დასრიალებდა, სალეწის ლილვთან. პაწაწა ხვლიკი, ახალგამოჩეკილი. მთლად მწვანე, ქერცდანამული. შემდეგ იები და სქელი ბალახის სიბნელე იქ,

სადაც ია იყო მიმალული... გველის წიწილა, რომელიც შუა ნაკადულში ცურაობდა! გველის წიწილის მოღერილი ყელი, მისი მბეჯითი, პატარა ძოისხახება რომ დაგეახა, იტყოდი: წყლის ჩიტია, ... ვსტაცე ხელი. ორივე ბოლოს ხელზე მიტკაცუნებდა.

— რეგოტაზ, რეგოტაზ! — დაბალი ხმით წამოიძახა ოლივიემ: — ეგ ხომ ძე შემემთხვა, ძე ჩვენს ნაკადულში! ის გველი მე დავიჭირე. ჩიტსა ჰგავდა. მწვანე კუდს ფრთასავით იქნევდა. ძე, ძე ვქენი, რეგოტაზ! მაგრამ, მაგრამ...

რეგოტაზს ხელი ისევ ოლივიეს ფეხზე ედო.

ოლივიემ ამოახველა.

— მაგრამ სადა ხარ ახლა, მეშვიდეში?

— მეშვიდეში, — გაიმეორა რეგოტაზმა.

— ქვემოდან მოხვედი?

— ქვემოდან.

— დიდი ხანია აღარ მინახავხარ.

— დიდი ხანია შენი ნახვა მინდა.

ხმაც რეგოტაზს ბოლივით უთრთოდა, როგორც სველი ტყის ფოთლებში მიმცურავი სქელი ნისლის მსუბუქი ხმაური.

— დიდი ხანია, შენი ნახვა მინდა. ისე მომინდა შენთან ყოფნა, როგორც არყის ხესთან. „ჰო", — ეუპასუხებდი... „ჰო, რეგოტაზ", მესმოდა. „ჰო, აქა ვარ, რა გინდა, ჩემო კარგო?" — „რეგოტაზ, რეგოტაზ!", „ემილ!" მაშინ ვთქვი: „მოვდივარ-მეთქი!" და აი მოველი შენთან.

მძიმე ხელი ფეხზე გადაუსვა ოლივიეს.

— ჰო, მაგრამ გველი, — ანაზდად სთქვა ოლივიემ, — გველი, ხვლიკი, ია, გირჩი? მთვრალი ხარ ან გიჟი, ან მე არ მესმის... ახლა ხომ ზამთარია!

(ოლივიე ნელა შეეხო სიბრალულისა და სიბრძნისაგან დამძიმებულ კეთილ ხელს).

— მაშ როგორ?..

— როგორ და... — გაიმეორა გაკვირვებულმა რეგოტაზმა და მის ხმაში კითხვის ოდნავი ბგერა ისმოდა.

მარცხენა ხელი კვლავ ასწია, თითქოს მთელი ქვეყნის დამშვიდება უნდოდა. ასე იფიქრებდი, რადგან მისი მოძრაობა ღამის სილრმეში ჩამწდომ სიჩუმეს აჩენდა.

— მუდამ თანა გაქვს ის, ლაიანოსის სურნელების მფრქვევი პატარა ცხვირსახოცი? — ჰკითხა რეგოტაზმა. — მუდამ თანა გაქვს ის წერილი, რომელშიაც ის მოგმართავს: „ჩემო ძვირფასო! ჩემო მშვენიერო! ჩემო სასურვილო ქმარო?".

— ჰო, — უპასუხა ოლივიემ, — ჰო, აქა მაქვს ცხვირსახოცი, წერილიც თანა მაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლივიე შეეხო პერანგის ჯიბეს, ზედ გულთან, და გული ისე ევსებოდა სინაზით, სასოებით და სიმშვენიერით, როგორც მაშინ, როდესაც მაისის ქარს ისუნთქავდა.

გარედ ქარმა ჩაიქროლა და წინ წვიმა გაიგდო.

„მაგრამ, მაგრამ... ის ხომ მოკვდა“, — გაუელვა თავში ოლივიეს.

— მერე რა? — ხმამაღლა წარმოსთქვეს რეგოტაზის ბრწყინავმა ტუჩებმა.

რეგოტაზმა უკან-უკან დახევა იწყო, გასავლისაკენ. ოლივიე აღარა გრძნობდა მისი ხელის სიმძიმეს. გაშლილი ხელებით გზას მიიკვლევდა. ოლივიე თვალს ვერ აშორებდა გულკეთილობით დანამულს, წვერებში ჩამალულ მის ტუჩებს. ერთი წუთით მიიმალა. ოლივიემ თვალი დაახამხამა. მერე ძებნას შეუდგა. ტუჩები იმავე ადგილას იყო: ეს იყო სანთლის შუქის ანარეკლი ბიდონის ამოზნექილ მუცელზე.

— . —

შემოვიდა ლაპული. ოლივიე ისევ იდაყვებზე იყო დაყრდნობილი და სხივთა ანარეკლის ციალს შესცქეროდა.

— შაბრან!

— ჰო.

— წავიდეთ, გაიგონებ, დაინახავ. წავიდეთ!

ოლივიემ საბანი მოიშორა.

— რაღაც დამემართა, — სთქვა მან, — აი აქ, ახლა...

— წავიდეთ! ჩქარა! — უთხრა ლაპულმა, — მერე მიამბობ.

ისეთი სქელი წყვდიადი იყო, თითქოს ცხვირს ეხებაო.

— ეჰ, ჩემო კარგო! — სთქვა ლაპულმა — ეჰ! რომ იცოდე...

— აი ნახავ, — უთხრა ლაპულმა.

მარჯვენა კედელი ხელით მოსინჯა.

— აქ არის. ჩაჩქანი გაიხადე, ჩუმად იყავ. შედი და ყური დაუგდე.

იქ პატარა გადახურული ბაქანი იყო, შემდეგ კიბე, რომელიც კაპიტანთან ჩადიოდა. ქვემოთ საბრალო სინათლის პატარა შუქი თრთოდა. ვიღაც ხმამაღლა ლაპარაკობდა.

— ვინ არის მასთან? — ჩასჩურჩულა ოლივიემ.

— ყური დაუგდე.

ზემოდან მაგიდისა და კაპიტნის ფეხები ერთად მოსჩანდა. კაპიტანი, ალბათ, ხის სავარძელში იჯდა, მის ზურგზე მიყრდნობილი. ფეხები მაგიდის ქვეშ გაეჭიმა. ხელები უსიცოცხლოდ ჩამოეშვა. ხმა აიმაღლა.

— ...არა, ჩემო კარგო, მრუდედ ჰკერავ. ნაკერი გეჭმუჭნება. მუდამ ამბობ: მეჭმუჭნებაო. იმიტომ გიხსნი.

ორი ადამიანი სუნთქვას იკავებს სიბნელეში.

— ლამპას ჩაუწიე! ყოველთვის ზევით იწევს, მოშლილია. პატრუქი თავისით იწევს. ხვალ თუ ხევის ქუჩით მოგიხდეს გავლა, ... შეუტანე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპულმა ოლივიეს მკლავს ხელი მოუჭირა. მიუახლოვდა და ტანზე მიეკრო.

— აქა ხარ? — ჰკითხა — ყური კარგად დაუგდე.

კაპიტანმა ფეხები გაანძრია. ესმოდათ: კაპიტანი მაგიდაზე ხელს აკაკუნებდა და ფიცარს ფხაჭნიდა.

— შეხედე ერთი ამ კატას, — სთქვა კაპიტანმა, — რა ცელქია: შეხედე, ჩემო კარგო, მოესწრები კერვით თვალების გაწყალებას. შეხედე. აცხა! ხომ ხედავ?

ხელის კაკუნი და სიცილი შესწყვიტა.

— დღეს იზაბელასთვის ნება არ მიგიცია ეზოში ეთამაშა? ოდნავ ახველებდა. ვკითხე: გულსა გტკენს მეთქი.

ღრმა დუმილი ჩამოვარდა.

— შენი თვალები აქვს, — სთქვა კაპიტანმა, — თმა კი ჩემი, ნიკაპი, პირი ჩემი.. შუბლი... შუბლი კი შენი აქვს. აგებულება ჩემი ექნება, ერთბაშად ეტყობა. ხელებს შენსავით ამოძრავებს. ფეხები კი ჩემსავით გრძელი აქვს: ხელებიც ჩემი აქვს. ჩემო გოგონავ, თავი მიანებე შენს საკერავს! მოდი, ჩემო ცოლო, მოდი, ჩემო პატარავ!

— ის ხომ მარტოკაა, — წასჩურჩულა ლაპულმა.

— . —

ისინი კარებთან გაწვნენ, იქ, სადაც მათი სადარაჯო იყო. ლაპულს კბილს კბილზე აცემინებდა.

— გცივა? — ჰკითხა ოლივიემ.

— არა... ძალა აღარ შემწევს... წელან რის თქმა გინდოდა, რა მოგივიდა?

— იგივეა, — სთქვა ოლივიემ, — იგივეა, რაც აქ არის. ერთი და იგივეა.

— . —

თეთრი განთიადი ცდილობდა ღამის წყვდიადისა და 34-ტე მაღლობის თხემშუა შემოპარულიყო.

გათენდა. მიწის ამ დაჭრილ გულზე, ცის სიმძიმით გაბრტყელებულ ამ დიდ სანტერზე ყველაფერი გამოჩნდა. კაპიტანის ფეხის ხმა მოისმა: ზევით ამოდიოდა. ორად მოხრილი კარებში გამოძვრა. წელში გაიმართა. უსახელო ტყავის ქურქი ჩაეცვა, ბეწვით გარეთ. ცალ ხელში დიდ დანა ეჭირა, მეორეში თავმოკვეთილი ქაშაყა თევზი. თევზს ღეჭდა.

— გამარჯობათ! — სთქვა კაპიტანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითები პირში ღრმად შეიყო, რომ თევზის გრძელი მოლუნული ძვალი გამოეღო.

— . —

მოულოდნელად გაიგეს, სად იყვნენ მოწინააღმდეგენი. არც ეს დიდ სანტერი, არც ნისლი, არც ჰორიზონტი, რომელიც ნისლს იქით უსაზღვრო მოსჩანდა, ამ საგანზე არავითარ ახსნა-განმარტებას არ იძლეოდა.

ირგვლივ სიწყნარე იყო: ტყვიამფრქვევი ერთხელ-ორჯერ თუ დაიკაკანებდა, ან შორიდან ნასროლი ყუმბარა მაღლა თუ გადაიქროლებდა და თავისთვის გასწევდა. ყველგან სიწყნარე იყო, სიწყნარე, როგორც საყარაულოდან დაბრუნებულმა ჟურამ სთქვა.

და აი უეცრად გაიგეს, სად იყვნენ მოწინააღმდეგეები. საღამოს პირად ნისლში ქარმა გადაიქროლა. ცოტა ხნის შემდეგ ხმაური მოისმა: სიარული, ტალახში ფეხის ტყლაშუნი. მაგრამ ამას საკმაო ყურადღება არ მიაქციეს, რადგან თავს ვერ ართმევდნენ მოგონებებს დაკარგულ ძველ ცხოვრებაზე, რომელიც წამდაუწუმ თვალწინ ედგათ. ანაზდად ქარმა ნისლი გააპო, ვრცელი მიდამო მოატიტვლა, ყველაფერი გამოჩნდა.

— შეხედეთ, შეხედეთ! — დაიძახა კაპრალმა.

სანგრებიდან თავები ამოჰყვეს და გაიხედეს. ისინი ასიოდე მეტრის მანძილზე იყვნენ. მორბოდნენ. ქარმა მოუსწრო. ნისლში შედიოდნენ. სანგრებსზემო, გაშლილ მინდორზე, მწკრივი მწკრივს მისდევდა. ქარი რომ ნისლს გაჰფანტავდა, წელში მოიხრებოდნენ და ისე გარბოდნენ, თოფები ჯოხებივით ეჭირათ. ზოგჯერ ამ ჯოგის შავ მასაში ლაქასავით გამოჩნდებოდა ხოლმე მკრთალი სახე.

— ოღონდა სასანგრო ზარბაზნებმა არ ასტეხონ...

და სასანგრო არტილერიისკენ მიიხედეს. ყუმბარის მტყორცნელებთან მიწიდან ამოშვერილი არტილერისტების თავები მოსჩანდა. ისინიც იცქირებოდნენ.

ოლივიემ ხელი მაღლა ასწია და დაიქნია, რათა ენიშნებინა:

— ყურადღება! წყნარად იყავით!

სერჟანტმა ნიშნითვე გასცა პასუხი:

— ნუ სწუხარ.

— . —

— დიახ, მოხალისევ,—სთქვა ოლივემ.

თვალებში იმდენი მწუხარება ჰქონდა, რომ სახე ჩამოსტიროდა, ლოყები თვალებიდან ტუჩებამდე ღრმა ნაოჭებს დაეღარა.

იმ ღამიდან მოწინავე ხაზზე პატარა ორმოში, მავთულის ღობის წინ, საყარაულოდ იგი მარტოკა იდგა. ორმოში ძლივს ეტეოდა. მოკრუნჩხუ-

ლი იჯდა, რათა მიწას არ ასცილებოდა. ორმოს ნისლი ლოდივით ეხუ-
რებოდა. ამრიგად ჟოლიევე მიწისპირიდან ჰქრებოდა.

— სულ იმიტომ, რომ წერილი აღარ მოსდის, — სთქვა ლაპულმა.

ოლივიემ გაიხსენა ის ჟოლიეე, ჯარის შესავსებად გამოგზავნილი,
ახალი ადამიანი მთელი არსებით, ლოყებ-დარგვალებული, ოდნავ შე-
სამჩნევი, ეშმაკური ღიმილით. თოვლივით თეთრი კბილები ჰქონდა.

ერთ დილას, აი, სწორედ ასე იყო ჟოლიევე თავის ორმოში მოკრუნ-
ჩხული.

— მოსიე! მოსიე!

ხვრელის პირს ადამიანის საცოდავი სახე მიჰკროდა. ჟოლიევემ
თოფს სტაცა ხელი.

— ამხანაგო! — წამოიძახა ადამიანმა მთელი ძალღონით, რაც კი მის
საცოდავ ტანს გააჩნდა, და ამ წამოძახებაზე იმდენი ძალა დახარჯა, რომ
დაყვირების შემდეგ თითქოს დაცარიელდა, პირი დააღო, თვალები და-
ხუჭა. იგი ნისლზე უფრო თეთრი იყო, მის ღიად დარჩენილ პირიდან
გადმონადენ ქაფმოდებულ ნერწყვზე უფრო თეთრი იყო.

— ეი, ადამიანო! — გასცა ხმა ჟოლიევემ.

ხალათის საყელოში ხელი ჩაავლო და ხვრელისკენ დაითრია. ახლად
მოსულმა ხვრელში შესაძრომად მუხლები და იდაყვები მოიშველა.
სწორედ იმ მხრიდან, საიდანაც ის მოვიდა, ტყვიამფრქვევის სამმა ტყვი-
ამ გაიზუზუნა.

— აქ იყავ, — უთხრა ჟოლიევემ, — დაწექი.

თავისი სიტყვები ხელით ანიშნა. მოსული ორმოში გაწვა, ცხვირპირი
მიწაში ჩარგო. მერე თავი გვერდზე მიიბრუნა და შეხედა ამ ზორბა შაე-
გვრემან ვაჟკაცს, რომელიც თოფმომარჯვებული მოწინავე ხაზს ყარაუ-
ლობდა.

ტყვიამფრქვევი შეჩერდა და ტყვიის ზუზუნი ნისლის სხვა მხარეს გა-
დაიტანა.

— ადექი! — უთხრა ჟოლიევემ.

ჯერ თვითონ წამოდგა, აჩვენა, რომ წამოდგომა შესაძლებელიაო.
თოფი კეტივით ეჭირა.

— ადექი!

მის წინ უბადრუკი ადამიანი იდგა. თავისი განიერი ტანისამოსისთვის
მეტად პატარა იყო. საყელოში კისერი ფანჭარივით გაეჩხირა. მხრებიდან
ჩამოცურებულ ტანისამოსს სახელოები ძალზე დაეგრძელებინა. რაც შე-
ეხება მის სახეს, ამ სახის გასაგებად საკმაო იყო ჟოლიევეს შეეხედა ცხოვ-
რების კლანჭებით დადაღული საკუთარი სახისთვის, საიდანაც მწუხარე-
ბა სანათის შუქივით გამოკრთოდა. მოსულმა ჩაჩქანი მოიხადა. მისი კვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი წითელ ზოლად აღბეჭდილიყო მთელ შუბლზე, თითქოს ეკლისგვირგვინის კვალიაო.

— ჰეი, ადამიანო, — დაუძახა ჟოლივემ.

— ჰო, მოსიე! — ძლივს სთქვა მეორემ და ოდნავ გაიღიმა. ამ ღიმილში მთელი თავისი არსება გამოხატა. ღიმილმა სწრაფად გაუარა და ისევ მღელვარებამ მოიცვა.

— გასწი, კაპიტანთან წაგიყვან.

ჟოლივემ ხელით ანიშნა. ტყვე წინ მიდიოდა. დროგამოშვებით თავს მბრუნებდა და თვალებით ეკითხებოდა ჟოლივეს.

— ჰო, სულ პირდაპირ, — ეუბნებოდა ჟოლივე, გულში კი სხვას ფიქრობდა: „როსკიპი, როსკიპი, არაფერსა მწერს! ერთ სიტყვასაც. როსკიპი! ძუკნა ძაღლივით დაეხეტება, ალბათ“.

— შესდეგ!

ჟოლივე კიბეზე დაიხარა. იქ, დაბლა, მხოლოდ სანთლის მკრთალი შუქი მოსჩანდა. დაიძახა:

— ჩემო კაპიტანო!

ფიცრების ხანგრძლივი ჭრიალი მოისმა, შემდეგ ბურდღუნი.

„ეტყობა, ხასიათზე არ არის, — გაიფიქრა ჟოლივემ, — ცუდად მოვიქეცი, რომ ეს ტიპი მასთან მოვიყვანე“.

— ტყვე მოვიყვანე, ჩემო კაპიტანო!

— ჩამოიყვანე, — მოისმა ქვემოდან.

„ჰო, ცუდად მოვიქეცი“, — გაიფიქრა ჟოლივემ.

— აბა გასწი! ჩადი ქვევით! — უთხრა წყნარად ტყვეს.

ტყვე, როგორც კი დაბლა ჩავიდა, გაშეშდა, თითქოს მარყუჟი მოსდებიაო. კისერი დაუგრძელდა, ნიკაპი მაღლა აეწია, გახევდა, თეძოებს მიკრული თითები დაეკრუნჩხა.

შიგნით არაფერი არ მოსჩანდა, გარდა ზორბა ტანისა ხის სავარძელში.

— . —

კაპიტანი წამოდგა, კინაღამ სავარძელი დაამსხვრია. ერთი ნაბიჯი გადადგა წინ. თავმიუბრუნებლად ტყვემ ჟოლივესკენ გაიხედა. და მის ბეჩავ თვალებში, ლურჯ, ნოვრიე წყლით ამოვსებულ ორმოებში, ერთბაშად ყველაფერი აღიბეჭდა: დიდი დაფარული ძრწოლა, სასოწარკვეთილება, გულის განგმირვა. ცოლი, პატარა შვილები, სული და ხორცი, სიხარული, ქვეყანა, მთელი სიცოცხლე. ბატონებო, ნუ მომკლავთ, ნუ მომკლავთ, ბატონებო!..

ჟოლივემ თოფს ხელი მოუჭირა. კაპიტანს შეხედა.

„თუ ტყვეს შეეხო, — გაიფიქრა, — თუ თავისდა საუბედუროდ შეეხო, ამ კონდახს შიგ სახეში ჩავცხებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტანმა თავისი ზორბა ტანით მაგიდას მარდად შემოუარა.

„თუ შეეხო, მოვკლავ“ — ფიქრობდა ჟოლივე.

თოფის კონდახი იატაკს განშორდა.

მეტად სწრაფად მოხდა ყოველივე. კაპიტანმა ტყვის ხელი თავის ხელებში ჩაიდო და ზედ წყნარად მოუთათუნა.

ახლა უკვე სჩანდა მისი მშვენიერი სახე. მშვიდად, გულღიად იცინოდა და ეს სიცილი წყნარად ანათებდა ყველაფერს ირგვლივ.

ფურ-ირემმა თავისი ნუკრი მიატოვა, რადგან ალარ იყო გალახი...

რვა დღეა უკვე, რაც ეს გრძელდება.

იულია სამზარეულოში შედის. დარაბები დახურულია, არავინ არის. კარდალის ხუფქვეშ წვენი შიშინებს. თითქოს არავინ არის, მაგრამ თუ იულია ერთი წუთით უძრავად გაჩერდება, წვენის შიშინში ვილაცის შეკვნესებული, ჩუმი ქვითინი მოისმის, და ეს მადლენა სტირის.

რვა დღეა! სახე დაუსივდა, თვალები საგნებს მიღმა იცქირებიან, კანქვეშ სილურჯე უჩანს, თითქოს სისხლი ეხრწნებაო. როცა მადლენა სულ პატარა იყო, მთელი სახე ჭორფლით ჰქონდა დაფარული. შემდეგ კანს სიხარული და ახალგაზრდული სინაზე მოეფინა, ჭერამის კანს დაემსგავსა. ახლა ჭორფლი ისევ გაუჩნდა, მთელ შუბლზე და თვალებს ირგვლივ გამოაყარა.

„რა ემართება ამ გოგოს?“

იულია ფანჯარასთან მიდის და დარაბას აღებს. მადლენა მაგიდის წინ დაჩოქილა, ხელი მაგიდაზე დაუდვია, ისპანახსა და გასაწმენდად მომზადებულ ჭიქებს შორის. თავს მკლავში მალავს, ტირის.

— ო, მადლონ! — ამბობს იულია.

ფოთოლივით ქორფა ხელს მადლენას თავზე დაადებს, გაშლილ თითებს ნაზად გადაუსვამს.

— რა დაგემართა, მადლონ, მითხარი? ხომ იცი, ყველაფერი შეგიძლია მითხრა მე. ერთი ხანია...

იულიას თითები გრძნობენ, როგორ თრთის და სკდება მადლენას თავის კანი ამდენი დღის დაუსრულებელი ტირილით. მადლენა მარჯვენა ხელით იულიას მაგარ ფეხს შემოეხვევა, იულია კი პატარა ქალის თმას ეალერსება.

— მამა! — უცბად წამოიძახებს იულია და მადლენას ხელიდან ფეხს გაინთავისუფლებს.

მადლენა წამოდგება და თავს ისე დაიჭერს, თითქოს კედელზე ჩამოკიდებული ტილოთი ჭიქებს სწმენდავსო. მანამდე მაინც მოასწრებს ხანგრძლივი გამოხედვით გაუზიაროს იულიას ცრემლებისაგან დამწვარი თვალების მთელი მწუხარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა სახლში არ შევიდა. ღია ფანჯრის წინ სკამზე ჩამოჯდა. ტესტ მარტენი იყო მასთან.

— ქალი ავად იყო, — უამბობდა ტესტი, — პირს აღებინებდა.

— ზორბა აგებულებისა არაა ოდეს არ ყოფილა. ექიმი მოიყვანეს. სინჯავს. ქალი კატასავით შეჰყურებს. მუცელს უსინჯავს, ხელს დაუსვამს. ვუყურებდი და ვფიქრობდი: როგორ გასუქებულა მეთქი. არა უშავს რაო, — სთქვა ექიმმა, — მხოლოდ აკვანი უნდა მოამზადოთო. ხელები ჩამომივარდა. ქალი ხომ თექვსმეტი წლისაა მეთქი. ექიმმა მიპასუხა: როგორ გგონია, თექვსმეტი წელი საკმაო არ არის, აი დამამტკიცებელი საბუთიო. მიშონის ვაჟისაგან არის. ჩვენს ბედზე, ჯერ არ წასულა. კარგი ბიჭია. ყოველ შემთხვევაში, კარგი რომ არ იყოს, ალბათ, მომატყუებდა. ჰო-და, მივედი და ვუთხარი...

მადლენამ ხელი ზურგისაკენ წაიღო, არცკი მიუხედია, ისე დადგა ჭიქა მაგიდაზე. მერე ფეხებმა უსუსტა და კედელს მიყრდნობილი დაცურდა, კედელმა ლოყა გაუფხაჭნა.

— მადლონ, მადლონ! — ჩუმად ჰკვნესის მადლენას თავზე დახრილი იულია.

— . —

საღამოთი იულია მადლენას ოთახში შევიდა. პატარა ქალი სარკის წინ დგას და პერანგ-აწეული მუცელს დასცქერის. პერანგი დაუშვა და ქვითინი აღმოხდა მკერდიდან.

— სუ, — უთხრა იულიამ და თითი ტუჩებზე მიიდო. შემდეგ დაუმატა: — დაწექი, მადლონ, ახლავე რაღაცას მოგიტან.

ისმოდა: იულია რაღაცას დაეძებდა განჯინაში ჩუმად, თითქოს თითები დაბამბული აქვსო. მაგრამ ხანდახან ბოთლს ან კოლოფს მაინც დაარაჩხუნებდა, მადლენამ კარგად იცოდა, რა ჰქონდათ სამზარეულოში, და მიხვდა, რომ იულიამ აიღო სპირტქურა, ბოთლი ძველი არყით და თეთრი თუნუქის პატარა კოლოფი, სწორედ ის, რომელიც ერთხელ იულიამ განჯინის სიღრმეში შესდო და უთხრა: ამას ხელ არ ახლო, თაგვის წამალიაო.

შემდეგ იულიამ საჩეხი დანა აიღო და რაღაცას კეპვა დაუწყო, თან ცდილობდა ხმაურობა არ აეტეხა. მერე რაღაც თეთრეული გახია. ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. არაფერი არ ისმოდა, გარდა მამის ხვრინვისა დერეფანში. მამას ის-ის იყო შეეშინდა საკუთარი ხვრინვისა.

— დაიჭი, — უთხრა იულიამ მადლენას შესვლისათანავე, — მაგრამ მოიცა, სანთელი ღამის მაგიდას მოაფარე. თუ მამამ გაიღვიძოს, სინათლეს ვერ დაინახავს.

იულიას გაშლილ მარცხენა ხელზე დიდი მწვანე სალბუნი უდევს. არყიანი ბოთლი იღლიაში აქვს ამოდებული. მარჯვენა ხელის სალოკი

თითი ფინჯნის ხელში აქვს გაყრილი და ასე უჭირავს. სქელი წამლის ნახარშით სავსე ფინჯანი ბოლავს. მარჯვენა ხელში ეჭიროს ალოფი აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოიცა.

სალბუნს კომოდის მარმარილოზე სდებს. ხელს ინთავისუფლებს.

— ეს ფეხებ-შუა უნდა დაიდო და მაგრა მიიკრა, რომ დაგაცხუნოს. თუ შეგაწუხებს, გაუმაგრდი. საბანი გადაიხადე, მე თითონ გაგიკეთებ.

ცხელი წამალი ძალზე სწვავს. თავისი სიმჟავით იგი ერთბაშად ჩააკვდება მადლენას სხეულის იმ ადგილებს, რომლებიც ყველაზე უფრო ნაზია. პატარა ქალი კბილს კბილზე აჭერს. დაავადებული ნადირივით სუნთქავს. თავი ბალიშზე აქვს გადაგდებული.

— არაფერია. — ეუბნება იულია, — გაგივლის.

დაძინებულ დიდ ფერმას ყრუ ტკაცა-ტკუცი გააქვს ამ ორი ქალის გარშემო. ბოსელში ბატკანი ტირის. ჭაკი ცხენი ფეხებს აბაკუნებს, რადგან კვიცი მაგრა სწოვს ძუძუს.

— ახლა ეს დალიე.

იულია ხელით თავს აუწევს მადლენას, ტუჩებთან ფინჯანს მიუტანს, რომელსაც კამისა და ანისის, აბსენტისა და საზარელი ქუჩის, მიწის შავი წყვდიადის სუნი ასდის.

წამლის ნახარშიდან, რომელსაც იულია კოვზით ურევს, ამოვარდება მათრობელას საძაგელი სუნი და უეცრად ჩაახშობს კამის სუნს.

— დალიე, ძალა დაატანე თავს, პირს, ხახას. უნდა ძალა დაატანო თავს, მადლენა.

იქ, ქვემოთ, დედალი ცხვარი აკანკალებული ხმით ეძახის თავის ბატკანს.

მადლენას გულს აზიდებს. იულია პატარა ქალს პირზე ხელს დაადებს.

— თავს ძალა დაატანე, დელონ, ძალა დაატანე. წამალი მუცელში ჩაუშვი, იქ იმოქმედებს. თავს ძალა დაატანე.

— არ შემიძლია, — კვნესის ბალიშზე თავგადაგდებული მადლენა.

— პირი დამუწე, არ გააღო, თავს ძალა დაატანე.

მუცლიდან წამოსული ტალღა ძალზე შეაზანზარებს პატარა ქალის მკერდს. კბილს კბილზე აჭერს. ცხვირს მაგრა დააცემინებს. ნახარში ორწებოვან ნაკადად გადმოსდის ცხვირიდან. იულია ხელით მოსწმენდს.

— რა თქმა უნდა, — ამბობს ის, — ეს ბუნებრივი არ არის, ბუნებას ეწინააღმდეგება. ამიტომ აუცილებლად თავს ძალა უნდა დაატანო, მადლონ. რას იზამ, ასეთი დროა. თავს ძალა დაატანე, შენ ხომ ქალი ხარ?

მადლენა წამლის მთელ ნახარშს პირში ისხამს, თავს შეაქანებს და ერთბაშად გადაყლაპავს.

— . —

— იულია! — ისმის კაცის ხმა დერეფნიდან.

იულია პასუხს არ აძლევს. სანთელს ჩააქრობს. მამაა. ეჯმეს ოლგერ მოდის დერეფანში ფეხ-შიშველა. ხელის ფათურით იულიას ოთახის კარს დაეძებს. ეძახის:

— იულია!

— ნუ გეშინია, — ჩურჩულით ამბობს იულია.

მამა უახლოვდება. კარის სახელურს ხელს დაადებს. აღებს.

— მადლენა... — ამბობს მოხუცი.

სიბნელეში იულია ღრმა, მშვიდ ძილში მყოფ ადამიანის ხანგრძლივ და მძიმე სუნთქვას ბაძავს.

მამა დააყურებს. მერე კარს გაიხურავს და გავა.

იულია მაშინვე ხელის ფათურით შანდალს მოსძებნის და სანთელს მოუკიდებს.

მადლენა ლოგინზე ზის თვალებ-დახუჭული. პირს აღებინებს. პერანგი ლაქებით აქვს აჭრელებული. მკერდი მოსვრილია წამლის ნახარშით. პირის კუთხეში იისფერი ნერწყვი უჩანს.

— საცვალს გამოგიცვლი, — ეუბნება იულია, — ცოტა მაინც ხომ ჩაგრჩა?

სულ გაატიტვლა. იულიამ დახედა უკვე ამობურთულს, სიცოცხლით სავსე მუცელს.

— აი ახლა სუფთა ხარ... კარგად მიდის საქმე, დაწექი, ჩემო პატარავ. დაწექი. მიიწი, მეც შენთან დავწვები. დაგიფარავ. ნუ გეშინია, სულ მოგაშორებ, აი ნახავ.

ჩემო სიყვარულო

ჟერომი გაუბედავად კარის ზღურბლზე დგას.

— იულია, — ეძახის, — მოდი, ერთი შეხედე, ვინ მოდის იქ, გზაზე.

იულიას გული აუტოკდება. მადლენას ნემსი ჰაერში აშვერილი დარჩება. უქერქო ტოტივით ფერმკრთალსა და დანამულს უეცრად ყრუ კვნესა აღმოხდება, თითქოს თავში მაგრა ჩაარტყესო. ჟოზეფი! იულია შეხედავს და იტყვის.

— არა!

ყავარჯენებით მოდის, ცალფეხა.

— ეი! მასპინძელო, — იძახის სტუმარი, თან იცინის.

ხმაზე და სიცილზე იცნეს.

— ეს ხომ კაზიმირია!

— ყავა დადგი, — ამბობს მამა.

ოთახში შეიყვანეს, დასვეს.

— გიშველო? — ჰკითხა იულიამ და ხელები ყავარჯნებისკენ წაიღო.

— მივეჩვიე, — უპასუხა კაზიმირმა.

კაზიმირი გასუქებულა. გასუქებულია, მაგრამ ფერმკრთალი. სიმსუქნისაგან გათეთრებულა და ფამფალებს. თვალები ძლივს მოუჩანს.

. სტუმარი და მასპინძელი ერთმანეთს ეკითხებიან ამაზე, იმაზე. კაზიმირი მალ-მალე ხელს ურტყამდა ჟერომს მუხლებზე, ჟერომმაც ასწია ხელი, უნდოდა მიებაძა მისთვის, მაგრამ თავი შეიკავა, შეეშინდა ცარიელ ადგილს არ მოვახვედრო ხელიო, უზრდელობად ჩამომართმევსო.

— ეი, იულია, — ამბობს კაზიმირი, — მომიახლოვდი, რას დასტრიალებ მაქ ქუჩას? მომიახლოვდი, ახალი ამბები მაქვს შენს ქმარზე.

— ყავას გიმზადებ.

— ყავას თავი გაანებე, მოდი, გიამბობ ქმარზე. ხომ იცი, ძალიან დარდობს! მითხრა, იულია ინახულეო. იმ დილას, მე რომ წამოვედი, ფანჯარაში გადმოიხარა და დამიძახა, იულია ინახულეო.

— როგორ არის? — ჰკითხა იულიამ.

— კარგად არის. ჩირქი აღარ სდის ხელიდან: მიჩვენა. სულ პატარა ჭრილობაღა დარჩა. მოუშუშდება. ერთ თვეში აღარ ექნება. მასთან ხშირად დავდიოდი სამზარეულოდან. ამზიდს სურსათის საწყობში ავყავდი. გესმის, ჟოზეფი მესამე სართულშია, მე კი დაბლა ვიყავი. დაზიანებული ფეხით კიბეზე ასვლა მიძნელდებოდა. სამზარეულოში მივდიოდი და მოწყალების დას ვეუბნებოდი: ჩემო დაო, ამიტანეთ ზევით. როგორც ხორცი აგაქვთ-მეთქი. ქალი იცინოდა და მეუბნებოდა: მუდამ ხუმარა უნდა იყო. აბა, შედი. ამზიდი მაგიდის ტოლა გალიაა. მოკრუნჩხული ვიდექი შიგ. „შეხვედით?“ „შევედი“. ფოლაქს ხელს დააჭერდა და მესამე სართულზე ავდიოდი. „ჰო! კაზიმირ!“ მეუბნებოდა ჟოზეფი. საწოლზე ვჯდებოდი. და ამ დროს, ალბათ, ყურები გიწოდათ: ჟოზეფი იწყებდა ლაპარაკს შენზე, მამაზე, სახლკარზე, შენზედაც, მადლენა. სად არი მადლენა.

— აქა ვარ, — ამბობს მადლენა, მაგრამ საკერავიდან თავს არ იღებს.

ღია კარებიდან მოისმის ფაშატის ფეხის ხმა, მოსჩანს, როგორ ეთამაშება თავის კვიცს, როგორ ხტის კვიცი მზეზე, როგორ ერთობა, ისე მაღლა ხტება, რომ თვითონვე უკვირს და ფეხებს ისუნავს.

— როცა დავბრუნდები, — ამბობს კაზიმირი, — რკინის ფეხს გამიკეთებენ, მუხლთან სახსარი ექნება. ნამდვილი ფეხივით იქნება.

— მაშ, — ეკითხება ჟერომი, — კარგად არის?

— კარგად არის, როგორც მე, — უპასუხებს კაზიმირი, — ჩემსავით მსუქნად.

იულია შეჰყურებს ამ ფერმკრთალსა და დონდლო ადამიანს. კაზიმირს დაკარგული აქვს მზეზე მომუშავე ადამიანის წითური ფერი. მას იმ ადამიანის თეთრი და ფუნჩულა ხელები აქვს, რომელსაც აწუხებენ მხოლოდ პირის გაღებისათვის, რომ შიგ წვენი ჩაუსხან, და რომელიც სკამზე

ჯდომისაგან ტომარასავით გაბერილა. წინად კაზიმირი კარგი მიწის მუშა იყო, როგორც გამომშრალი და მაგარი ძველი ცერცვი.

— კარგად ჰკვებავენ, — განაგრძობს კაზიმირი: — ათ საათზე ორი კერძი, საღამოთიც ორი კერძი და წვენი. მე კიდევ, გარდა ამისა, სამზარეულოში მივდიოდი. კარს ვაკაკუნებდი და ვეუბნებოდი: „ჩემო დაიკო, ცოტა ხორცი კიდევ". „აკრძალულია", — მეუბნებოდა. მაგრამ დაველრიჯებოდი და ერთ ნაჭერ ხორცს კიდევ მაძლევდა.

კატამ თავისი მარჯვე მოქნილი ფეხებით ბუზანკალისკენ ისკუპა. ჩაცუცქდა, მწერი კლანჭებში უჭირავს. ღოჯებს გამოაჩენს. მაგარ შავ ფარს გაუხრავს, იგი მწკლარტე თაფლით არის სავსე. პირს ილოკავს, რომ ულვაშებზე შერჩენილი ორი ლურჯი ფრთა მოიშოროს.

— დამერწმუნეთ, ძია ჟერომ, რომ მე და ჟოზეფი უკეთეს ადგილს ვერ მოვხვდებოდით. არის ისეთი საავადმყოფოებიც, სადაც შიგნეულს ამოგარწყევინებენ. ჩვენთან კი სიმშვიდე იყო, ნაზი სიმშვიდე, სამოთხე. ქალაქ გარედ არის, იქ, სადაც რონა უხვევს. დიდი პარკია გადაჭიმული, ბოლოში კი რონაა. რონა აი ასე უხვევს... როდესაც მე ჯერ კიდევ ყაღარჯნებით სიარული არ შემეძლო, აივანზე გამომიყვანდნენ, კუთხეში დამსვამდნენ. გემების სტვენა მესმოდა. ხეებს შორის უეცრად გამოჩნდებოდა ანძა და ზედ ჩამოკიდებული პატარა ბაირაღი, ყველაფერი ეს რონაზე მისრიალებდა. თვალს გავაყოლებდი ხოლმე. გემი პარკს შემოუვლიდა, სულ ბოლოში ერთს დაუსტვენდა და თვალს მიეფარებოდა. ვამბობდი: ვალენსიისაკენ მიდის მეთქი.

— რამდენი ჩაგიყაროთ შაქარი?

— გმადლობთ! ორი ნაჭერი. ხელით ავიღებ.

—აიღე, აგრეც უნდა.

— ჰო-და, მოწყალების დები გვივლიდნენ. მათ შორის ერთი შენა გგავს იულია, როცა შენ ქალიშვილი იყავი. ჟოზეფმა შეამჩნია. ნუ გეშინია, არავითარი საფრთხე არ მოგელის, ის მოწყალების დაა, რომელმაც ყველაფერს ჯვარი დაუსვა. ჩაის კოვზს მომცემ? მერე გაგვანაწილეს. ერთ მხარეს მოგვათავსეს, ვისაც ფეხი აკლდა, მეორე მხარეს — ისინი, ვისაც ხელი არა ჰქონდა, უფრო მოშორებით — სულ უფეხონი, კიდევ იქით — სულ უხელონი; შემდეგ ისინი, ვისაც არც ფეხები ჰქონდა, არც ხელები.

— ღმერთო დიდებულო! — ჩუმად ამოიკვნესებს მადლენა.

კაზიმირი ყავას სვამს...

— იცი, იულია, ყავის გაკეთებაში ვერავინ გჯობნის. ნამდვილი მოკოა! ჰა, ჟერომ, რას იტყვი ყოველივე ამაზე?

— ეჰ, შვილო რა უნდა ვთქვა? ყურს გიგდებ და თქვენს გულში ვიყურები.

— ამ დროს იქ უამრავი ვარდია, ყოველნაირი ფერისა, ყველას თავთავისი სახელი აწერია პატარა ფირფიტებზე. მშვენივრად არიან გამწკრივებული: „მადამ ერიო“, „მადამ პუანკარე“ ლამის „ზეთუნახავი“, „ხავერდის ვარდი“, „საფრანგეთის ვარდი“, „მარნის ბრძოლების ვარდები“. ყოველი ვარდის ბუჩქი პატარა კვადრატულ კვალშია, ყოველ! ჯოხი აქვს შეყენებული და წარწერა აკვრია. ჩემი შერჩენილი ფეხისათვის ვარჯიშობაა საჭირო. გავსწევდი ხოლმე ფოშის ხეივნით, ეოფრის ხეივანში შევუხვევდი, წყლის პირად პეტენის გზას გავყვებოდი, შემდეგ მოკავშირეთა მოედანით შუა პარკში შევიდოდი გარმონის მოსასმენად. ოჰ, ეს ბრმები! ისინიც, ყველანი, პარკის ბოლოში მოათავსეს. ამ გარმონს დიდი ისტორია აქვს. წარმოიდგინეთ უგარმონოდ მუდამ სიბნელეში ყოფნა... სანამ შეიძენდნენ, კინაღამ გაგიჟდნენ. იძულებული გახდნენ რონის ნაპირზე დარაჯები დაეყენებინათ. ისინი რომის პაპსაც კი გამოიყვანდნენ მოთმინებიდან. ერთხელ ერთმა მათგანმა ოთხ სუდ პატარა სალამური აყიდინა. დაუკრა. გული აგიტირდებოდა. მოწყალების უფროსი და მოვიდა: გარმონი იქნებოდა თქვენთვის კარგიო.

— როგორ მიხვდით, დაო? — ჰკითხეს ბრმებმა.

— ისე, გავიფიქრე.

— მე დაკვრა ვიცი, — სთქვა ერთმა.

და აი ქალაქში აღმოჩნდა მდიდარი ქალიშვილი, რომელმაც ბრმებს გარმონი უყიდა. ამის შემდეგ ყველაფერი მოგვარდა: ისინი არაფერს! აღარ ითხოვენ. გარმონს უსმენენ. კვირაობით, როდესაც ისინი ჯგუფ-ჯგუფად ქალაქში მიდიან (ბრმები პატარა ეტლებით უფეხო ამხანაგებს მიაგორებენ), მათ გარმონი თან მიაქვთ. იციან, ქალაქში ვერ დაუკრავენ— აკრძალულია, მაგრამ გარმონი მაინც მიაქვთ, და დროგამოშვებით ეკითნებიან, ვისაც გარმონი მიაქვს: ხომ თანა გაქვს? თანა მაქვსო, — უპასუხებს ისიც.

სახილეში ატმებს ბუზები დაბზუვიან. ბალახში მზე მისცურავს, მილივლივებს. კარს გორაკის დიდი ლურჯი კუზი ეფარება. იქ, ნუშნარში, ქარი დასეირნობს და მის ტერფქვეშ ფოთლები რუხ ქაფად ქცეულან.

— . —

— ჰო, რაკი ბრმებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, — ამბობს კაზიმირი, — გიამბობთ... ყური დამიგდე, იულია! მოდი აქ, მადლენა! იქ არის მოწყალების და მატილდა, ლამაზი, ნამდვილი მზეთუნახავი. ისეთი ნაზია, რომ მის ლოყაზე კანქვეშ სისხლის მოძრაობა მოსჩანს. ჰო-და, გესმის, იულია? იმ ბრმებს შორის არის ერთი, რომელიც ბრმა კი არა, სრულიად უსახოა. რაც შერჩა, იმისაგან რალაც სახისმაგვარი გაუკეთეს. მას არ შერჩა არც ცხვირი, არც პირი, არაფერი. ყველაფერი ეს ხელახლა გაუკეთეს. ყველაზე უფრო საზარელი უბეებში ჩარჩენილი მისი თვალებია. ბრმაა. იცის-

რომ ბრმებს შორის არის და რომ მას ვერ ხედავენ. მაგრამ საკმაოა ხელი მიიკაროს სახეზე ბუზის მოსაშორებლად ან სხვა რამისთვის, რომ მაშინვე სწრაფად მოაშორებს, თითქოს ხელი დაიწვაო. მოწყალების და მატილდა ბაღში შესვლისთანავე ამ ბრმას მონახავს ხოლმე. იგი ყოველთვის მარტოკა არის, სქელ ბალახში ჩაცუცქული. ქალი მივა და ისიც ძის გვერდით ჩაცუცქდება. ერთხელ მეც იქ ვიყავი. მატილდა მხედავდა, ბრმა კი ვერა. ქალი ნაზად მიღიმოდა. ბრმა ეუბნება:

— ჩემო დაო, ნება მომეცით...

ქალმა ნება მისცა. ბრმამ სახეზე ხელი ჩამოუსვა. ცხვირს შეეხო.

— ცხვირი! — სთქვა მან.

თვალებს შეეხო.

— თვალები! — სთქვა.

პირს შეეხო.

— პირი!

პირის მოხაზულობას თითები შემოავლო.

— მიკბინეთ, თითზე, ჩემო დაო!

ქალმა მსუბუქად უკბინა.

— მაგრა, რომ დამაჩნდეს.

მერე თითი პირისკენ წაიღო, სცდილობდა ტუჩების ნარჩენებით შეხებოდა ნაკბენს.

— · —

როცა კაზიმირი წავიდა, ჟერომმა მოახერხა გომურთან იულიას შეხვედროდა.

— გამიგონე, იულია, მადლენა ნახე? რა დაემართა? ავად არის? ალბათ, ავად არის. სახეს დააკვირდი? ხომ შენიშნე, როგორ იცინოდა მადლენა, როცა კაზიმირი ლაპარაკობდა.

და აი იულიამ ღორებს სალაფავი მისცა და გამობრუნდა, ფიქრით და ბედთან ბრძოლით დაქანცული.

— მადლენა! — დაუძახა იულიამ.

— აქა ვარ.

ღია ფანჯარასთან სდგას მადლენა. მშვენიერი ზეგანი სალამოს ეგებება. იგი იხრება ალმოსავლეთისაკენ, საიდანაც ღამე მოიზლაზნება, იხრება თითქოს იმისთვის, რომ წყვდიადში გადაისროლოს ბრწყინავ ფოთოლთა ტვირთი.

იულია მადლენის წინ ჩაიჩოქებს.

— მაშ ვერ იმოქმედა? — ჰკითხა.

— ვერა.

— ხომ ხედავ, ნახარში მთლად უნდა დაგელია... ყური დამიგდე, წაგიყვან ვინმესთან, თუნდაც ელოიზასთან, მას უფრო დიდი ხნისა მოუშლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მინდა, — ეუბნება მადლენა.

— არ გეტკინება, — ალერსით ეუბნება იულია.

მადლენა თავს აქნევს.

— იმიტომ კი არა, რომ მეტკინება, მინდა ოლივიე შევინარჩუნო. ოლივიე მიყვარს, იულია, მიყვარს. მისგან პატარა ბავშვი მეყოლება, იგი ოლივიე იქნება. ეს ერთად-ერთი საშუალებაა ჩემი ოლივიე შევინარჩუნო. მას ვერავინ წამართმევს. იგი მხოლოდ ჩემი იქნება. მთლიანად, მთლიანად ჩემი! ჩემი სიყვარული! — ყვირის მადლენა.

— დაჩუმდი, დაჩუმდი! — ეუბნება იულია და პირზე ხელს აფარებს.

მარცხენა ხელქვეშ

ქვემოთ კარი სამჯერ დააკაკუნეს, მხოლოდ სამჯერ, მსუბუქად. შემდეგ ფეხის ხმა მოისმა. ოთახის ფანჯარაში შემოსახედად ვიღაცა კალოზე დაყრილ ჩალაზე შედგა. იულიამ ეს გაიგონა და სუნთქვა შეეკრა.

მის გვერდით მწოლარე ჟოზეფს სძინავს. ხუთ საათზე საფოსტო ეტლით მოვიდა. გამხდარი ფეხი იულიასთვის შემოუხვევია.

იულია ფრთხილად ასწევს ჟოზეფის ფეხის ზემო, სქელ ნაწილს, კაუჭს მოიშორებს და ლოგინიდან გადმოძვრება. ჟოზეფი ღრმა ძილშია.

იულია კარს აღებს — არავითარი ხმაური: გუშინ ერთი დიდი ნაჭერი ქონი კიდევ შეალია ანჯამებს. კიბეებზე ჩადის, ისე, რომ ფეხის თითებს ძლივს აკარებს, რადგან ის, ვინც ყურს უგდებს, გაიგონებს ფეხის თითების ქვაზე მიკარებას.

სამზარეულოში იატაკზე მიწის ნამსხვრევები ჰყრია. წეღან ჟოზეფმა ბოთლი ესროლა მადლენას თავში. საბედნიეროდ, მადლენა დაიხარა. კარისკენ გაიქცა. ჟოზეფმა ტოლჩას წამოავლო მარცხენა ხელი, ისიც უნდა ესროლა. ღონიერი აქვს ეს ერთად-ერთი მარცხენა ხელი.

კიდევ ისმის კარის ფრთხილი კაკუნი. იულია გაშლილ ხელებს კარს უფათურებს. კლიტეს ეხება. გასაღებს ხელს არ ჰკიდებს. რაზას ასცილდება. კარის სათვალურს გამოაღებს.

გარედ ნათელი ღამეა. ზედ კართან კაცი დგას. მთელი სახით პატარა სარკმელს მიჰკვრია.

— იულია!

მის დაბალ ხმას აგვისტოს ღამის მწკლარტე ანაორთქლი შემოჰყვება.

— ჰო, — ეუბნება ჩუმად იულია.

— უკვე სამი დღეა, წავიდეთ.

— არ შეიძლება, ჩემი კაცი დაბრუნდა.

— ვინ კაცი!

— ქმარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთ ძვალტყავად ქცეული დიდი სახე მოსჩანს, ნადირივით წყერ-მოშვებული, ვარსკვლავებივით ბრწყინავი თვალებით. დამშეული, ყვავლაფერს მოკლებული პირი ფართოდ დაუღია.

— პური გინდა?

— შენ მინდიხარ!

— თამბაქო?

— შენ, იულია, წამოდი, შენ მინდიხარ, მარტოკა ვარ, მარტოკა! მხოლოდ ერთხელ. მხოლოდ ერთხელ. წამო, იულია!

ერთის წამით სიჩუმე ჩამოვარდება. ისმის, როგორ ცახცახებს კართან მამაკაცის დიდი სხეული.

— გითხარი, ვერ წამოვალ-მეთქი, — ეუბნება იულია.

იულიას სახეს მოხვდება ადამიანის ყრუ ღრმა სუნთქვა, მწვანე ბალახისა და თამბაქოს სუნით გაჟღენთილი.

— პურს მოგცემ, თუ გინდა, და სანადირო ვაზნებს.

— ვაფურთხებ მე შენ პურს!

გაისმა ჭოტის ხმა.

— გაფურთხებ თითონ შენც!

და სათვალურში შეაფურთხებს. იულია დარაბას მიხურავს, გადარაზავს. კაცი მთელი ტანით კარს მიეყრდნობა. იულიას ესმის მისი ძვლების ტკაცუნი, დაქანცული ნადირის მძიმე სუნთქვა. ის მიდის...

იულია ხელით შუბლს მოიწმენდს. ფურთხი ტუჩებამდე ჩამოცურდა.

ჟოზეფს სძინავს. არ გაღვიძებია, არც განძრეულა. ბარძაყის კაუჭი თავის ადგილას არის, თითქოს ცოლის სხეულს ელოდებაო.

ლოგინზე ფრთხილად ადის იულია. ჟოზეფს დახედავს, კარგად ხურავს თუ არა საბანი იქით, მარჯვენა მხარეს. იქიდან მას თავის თავისთვის ველარ უშველია. იულია კაუჭივით მოკაკულ ფეხისქვეშ გაწვება. თავის პერანგს აიკეცავს და ნიკაპთან მიიტანს. ჟოზეფის მარცხენა ხელს აიღებს, თითებს გაუშლის და შიგ ძუძუს ჩაუდებს, და დამშვიდებული ამ მარცხენა ხელქვეშ განაგრძობს სუნთქვას და სიცოცხლეს.

დიდი ფარა

— ეი თქვენ, გაიღვიძეთ მანდ, უკანასკნელ რიგებში!

ვიღაც ოლივიეს ჩაჩქანზე უკაკუნებს.

— რა იყო? — ეკითხება ოლივიე.

ტალახში ფეხი დაუცურდება.

მთელ ნის რიგს მიმავალს ეძინა.

— რა იყო და თქვენი ჯერია.

საბარგულებს წააწყდნენ.

ღამეში მდინარესავით ახმაურებულ გზას მუახლოვდნენ. ბენზინისა და ცხენის ნაკელის სუნი დგას.

იქ, შორს, გორაკების ტალღებზე ელვისაგან დაფლეთილი ღრუბლისაგან იცლება.

— ცხენმა მაინც წიხლი მკრას მუცელში, რომ სული ამოხდეს!.. — ამბობს ლაპული. — სულ ერთია მკვდარი ვარ.

— გაიწი!

— შაბრან!

— აქა ვარ, აქ! — უპასუხებს ოლივიე.

ლაპულს მკლავზე ხელს წაავლებს.

— გათავდა! ყველაფერი გათავდა! — ყვირის ლაპული. — დადგა ჩემი აღსასრულის დღე. ჩვენი ამოჟლეტა სწადიათ.

დასვენების ნიშანი მისცეს.

ქვემოთ საბარგულეები ირევიან. თოფებს ააყუდებენ. ფერდობის ძირში ჯარისკაცები ტალახში სხდებიან.

— ლაპულ!

— ჰო! — მოისმის ყრუდ მიწის პირიდან.

ოლივიე მისკენ დაიხრება. ლაპული მიწაზეა გართხმული.

— არა მიშავს-რა, არა მიშავს-რა, — ამბობს ლაპული, — უკეთ ვარ.

— . —

მწვანე, უსიამოვნო დღე გათენდა. რკინის გზის ფართო, გაუქმებულ ლიანდაგს გადადიან. გადასასვლელზე შლაგბაუმი აღებულია. ცარიელ სადარაჯო ოთახს ჯარისკაცთა ფეხის გადადგმაზე ზრიალი გააქვს. ერთი ფანჯარა ტომრებით არის დაცობილი. ლიანდაგზე ჩალა ჰყრია.

ნისლში ღობე გამოჩნდება, მერე მბრწყინავი კოპიტი, შემდეგ ფართოდ გაშლილი მინდორი. მარცხნივ მინდვრის ნამში თბილი სოფელი ბოლავს. სოფელსა და ბორცვებს იქით გზა, შავი გზა ჯარისკაცთა ტალღას მოაგორებს. ის ნელ-ნელა ეფინება მიწის ყველა ნაოჭს, ფარავს ველებს, ავსებს ხევებს, იჭრება ტყეში. სოფელთან, ხეხილის ცარიელ ბაღში, ჯარისკაცთა დიდ ტბას სძინავს. ამოვსებული გზა მდინარესავით ბიდის ხეებს შორის.

— ლაპულ!

ოლივიე გამხმარ კისერს ცისკენ გაიშვერს. ჰალსტუხს მოიგლეჯს, საყელოს გაიხსნის. უსიცოცხლოდ აღებს პირს და ჰაერის ჩაყლაპვას ცდილობს.

— ლაპულ!

— ხელი მიკიდია.

ლაპულმა ოლივიეს მხარზე ხელი შემოხვია.

— ეი, გასწით მანდ, წინ!

— წამოდი, — ეუბნება ლაპული, — ცოტა ხანს მომეცი შენი თოფი, დამეყრდენ. წამოდი, ერთად ვიაროთ.

ოლივიე მიდის. მკერდზე გადაჯვარადინებულ ლვედებში ხელები გაუყრია. მთელ ძალლონეს იკრებს, რათა მკერდი გაინთავისუფლოს, სული მოითქვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გასწით!

კბილებს აკრაჭუნებს. ტირის. ტუჩები კბილებზე ისე გადასჭიმვია, თითქოს იცინისო.

— გასწით!

— დამეყრდენ!

კამუს ფეხი დაუცდება და პირდაღმა მიწაზე გაიშხლართება. კვლავ წამოდგება. ტალახს, წვინტლსა და სისხლს გამოაფურთხებს.

მაგარ გზაზე გაისმის ნაბიჯის რიტმიული გადადგმა. წინ ოციოდე ჯარისკაცი ინსტინქტიურად აბიჯებს, რადგან ასე მარტოობას აღარ გრძნობენ, ყველას ერთად მიაქვს სხეულისა და ტანჯვის ტვირთი, ასე უფრო ადვილდება სიარული.

კამუ ცდილობს ფეხი ააყოლოს ამხანაგებს. ოლივიე ტკივილს გრძნობს, ცოფს ჰყრის, კბილებს აკრაჭუნებს, მისი თვალები რკინასავით მაგარ ცრემლებს გაუხვრეტია.

— წინ, მეგობარო! — ბუტბუტებს ლაპული. — წინ!

ოლივიე მთელ ძალლონეს იკრებს და ძლივ-ძლივობით ახერხებს ამხანაგების ფეხის აყოლებას. კამუ მარტოკა ებრძვის თავს. კოჭლობას იწყებს.

— ფრთხილად! — იძახის იგი.

გარშემო ამხანაგებს მიმოფანტავს. საერთო ნიაღვარს თავს დააღწევს და გზის ფერდობზე გაიშხლართება. ზურგზე სავსე ტომარა აქვს, მხარზე თოფი ჰკიდია. ასე გდია უძრავად, ფეხებ-გაშხლართული. ლაჯებში შარვალი სისხლისაგან აქვს გაშავებული. განძრევას ვეღარ ბედავს. სერჟანტი მივა მასთან, თითქოს დასაყნოსადო. კამუ ახედავს, ორ-სამ სიტყვას ეტყვის. სერჟანტი თავს ჩაქინდრავს და თავის რიგს გაჰყვება.

გზის პირად, ხეებში ცალთვალა სახლი დგას. დიდი ფერმაა. ეზოს შუაგულში სამჭედლოა. წელამდე ტიტველი არტილერისტი ურითი ებრძვის გავარვარებულ რკინის ნაჭერს, რომელიც ნაპერწკლებს ისვრის. იქვე გვერდით ტალახით დაფარული მსხვილი ზარბაზანი იცდის.

— აქ სოფელია, — ამბობს ლაპული, — აი, ამ სოფელში შევჩერდებით.

სოფელი გაიარეს. გრძლად გაჭიმული ჯარი კედლებს ეხახუნება, გასცქერის საძნე ფარდულებს, საჯინიბოს, მაგრამ იქ, წინ, შორს მინდვრებში ფარის თავი მოძრაობს და წინ ეწევა, მიათრევს ყველას.

კვლავ მინდვრები, მინდვრები, ბორცვები, ტყეები...

შუა დღისას სასურსათო საბარგულეების დიდი ბანაკი გაიარეს. საბარგულეების მთელი ზღვა აქ დაგროვილიყო და ცხენის მოსართავების,

რკინის ჭურჭლის ჟღარუნში, ნელი დუღილის შიშინში სთელემდა. შემდეგ ზარბაზნებითა და ოთხთვალა ურმებით გაჭედილი გზები გადალახეს. სახე, ხელები ტალახით ჰქონდათ მოსვრილი, გული ბოლომდე [illegible]ნით ავსებოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— . —

სოფელში სისხლისფერი საღამო აბოლებულ ნაკელში წევს. კედლებზე წინწილები ჟღარუნებენ. საყვირები. დაქანებულ გზას ნაკელის სითხე მისდევს.

საძნე ფარდულები, შემდეგ მოედანი; გზა უხვევს. მოსახვევში ვილაც კაცი დგას; მაღალი, სქელი, შავ საწვიმარში. თავზე მბრწყინავი კეპი ჰხურავს.

ლამაზი სახლიდან ოფიცერი გამოდის. ხელში სკამი უჭირავს. კაცთან მივა. ჩაჩქანის კიდეზე ხელისშეხებით მიესალმება და სკამს გაუწოდებს. კაცი სკამს გამოართმევს, საწვიმრის კალთებს გადაიწევს და მძიმედ ჯდება მხარბეჭ-განიერი. სკამის ზურგს მთლად დაჰფარავს. ხმალს ფეხებსშუა დაიყუდებს და ხელებითა და ნიკაპით ხმლის ვადას დაეყრდნობა. მიმავალ ადამიანებს თვალს გააყოლებს.

ᲘᲡᲧᲘᲓᲔ ᲘᲡᲬᲐᲠᲐ ᲘᲐᲠᲔᲑᲐᲧ ᲗᲐᲡᲘᲓᲔ ᲓᲘ ᲡᲘ ᲔᲡᲔᲑᲐᲜᲬᲐᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲡ ᲗᲘᲓᲜᲘᲠᲘᲡᲐᲡ ᲡᲔᲒᲐᲠᲐ
-ᲨᲘ ᲘᲐᲠᲬᲔ ᲡᲐᲚᲘᲓᲔᲑᲘᲡᲐᲜ ᲗᲐᲜᲘᲠᲘᲤᲘᲡᲔᲠᲘᲡᲐᲜ ᲗᲐᲠᲘᲤᲘᲡᲐᲛᲔ ᲓᲐᲤᲐᲠᲐᲕᲓᲐ

— . —

არყის ხეებია ჩამწკრივებული. მუზარადები გათეთრებულია თრთვილისაგან. ადამიანებს თავიდან ფეხებამდე ცხენებივით ოხშივარი ასდით. მათ ფეხდაფეხ ორთქლი მისდევს. მთელი ასეული საკუთარი ოხშივრის ნისლშია გახვეული.

შესდგნენ.

— მომე შენი ბიდონი, — ეუბნება ოლივიე, — ყავისთვის წავალ.

როგორც ქარიშხალი გზაზე, გუგუნებენ ზარბაზნები ჰორიზონტზე.

— ეს სადღაც ბაიელთან ისვრიან.

ინგლისელი ჯარისკაცი მარტოდ-მარტო გადასჭრის მინდორს დაბალ, პატარა ფერმისაკენ. თავისი გამხდარი ფეხებით მიწის დიდ გუნდებს მიათრევს. ფერმის კართან მისვლისას ჩანთას მოიხსნის.

ბრუნდება უნტერ-ოფიცერი მიღებული ბრძანებებით.

— მსროლელებო, გამწკრივდით!

ადამიანთა ლარი მინდორზე გაიჭიმება. იმ ფერმასთან ახლომყოფნი, რომელშიაც ინგლისელი შევიდა, ფანჯრიდან შიგნით იცქირებიან. კარებთან ტალახში ჯარისკაცის ჩანთა და თოფი გდია.

— . —

იქ, შორს, გზის გასწვრივ ჩამწკრივებულან ჯერ კიდევ უფოთლო ხეები, მაგრამ ისინი უკვე გახვეულან გაზაფხულის მწვანე ანაორთქლში.

გათენდა. ცალკეულ უბნებად დაყოფილი მოსჩანს მთელი ეს არემარე. ბრტყელი მინდვრები ჭალებს ამოჭფარებიან. მდელოში ფეხი მოსლებამდე სველდება, ადამიანთა გავლის შემდეგ ბალახი დაწოლილი რჩება, თითქოს უზარმაზარი ფოცხის კბილები მოსდებიაო. ქარაფ[illegible] ფოსქვილი ხეებს ზემოდან იცქირება, ფრთებს ფართოდ იქნევს — [illegible] შანს იძლევა — ბალახზე მომავალი ჯარისკაცები ახლოვდებიანო.

ყავახანასთან გზაჯვარედინზე შეისვენეს. ადამიანთა მწკრივი სახლის პირდაპირ შეიკუმშა.

ფანჯრებზე ფარდები აღარ არის. შიგნით ყუთზე შემდგარი პატარა ბიჭი ტანისამოსის ჩამოსაკიდს ხსნის, ლურსმნით ხრახნებს აძრობს. კედლები ცარიელია. დახლი ირიბად დაუდგამთ, რომ იმ კაცისთვის, რომელიც ურიკაში ბოთლებს აწყობდა, გასავლელი გაეფართოებინათ.

— ყველაფერი მიატოვეს, — ამბობს ის, — ყველგან გაქცეულ ინგლისელებს ხედავ. ბოშებმა ერთი დაკვრით გასტეხეს წელში. მიდი ნახე, კემელის მხრიდან ხომ არ ისვრიან?

ფანჯრის ცივ მინებს ზრიალი გააქვს.

ცის იმ მხარეს, სადაც ყუმბარა გრიალით გადადის, შავი ქაფი ედება. ვიღაც კაცი გზაზე ლეიბებით დატვირთულ ურიკას მიაგორებს, კადონზე მწვანილის კალათა ქანაობს. ქალი ნესტიან ხნულს გადადის, შვილები მიჰყავს. ლეიბებიანი კაცი ჩერდება. ქალი ბავშვებს ხელს უშვებს და თმას ისწორებს.

კოჭლი კაცი გარბის და ტალახის შხეფებს მხოლოდ ცალ მხარეს ისვრის. ვიღაც ქალი მკერდზე ქათამს იხუტებს. ურიკას მიაქვს ფეხებაშვერილი კამოდი და ბუფეტი, რომელიც ხტის და მოშლილ კარებს ანჭერევს. მიდის ოთხი ქალი, ჭურჭლის კალათებით დატვირთული. მათ მთელი ქუჩა გაუკავებიათ. სწრაფად მიჰქრის ინგლისელი მოტოციკლისტი ოღრო-ჩოღროიან მოტიტვლებულ მინდორზე.

უდაბნოდქცეულ გრძელ სოფელზე მიდიან. ყველა კარი გაღებულია. რომელიღაც სახლში კედლის საათი რეკავს. კარებთან თავის ძველებურ სავარძელში მოხუცი ქალი ზის.

— ვუცდი, — ამბობს ის.

ფეხებთან პატარა ფუთა უდევს, საიდანაც ტაფის ტარს თავი ამოუყვია.

გენერალური შტაბის ავტო ჯარისკაცებს გაუსწრებს. ავტო ბალიშზე წითურ ფრანგ გენერალს ახტუნებს. გენერალი თავზე კეპს ორივე ხელით იმაგრებს.

სოფელს იქით ღამეს, უდაბნოს და ზარბაზნების გახელებულ გრიალს მიადგნენ. წინ კედელივით იდგა შავი ქაფი. გრძელი ყუმბარა მოჰქრის, ცას გადაივლის და ზღვისაკენ გასწევს. მთელი არემარე — მინდვრები, ჭალები, სოფლები — ბუყბუყებს ადამიანთა ფეხქვეშ.

— კარგ ტლაპოში მოვხვდით, — ამბობს ლაპული, — ამას ემატება სისაძაგლე, ზევიდან რომ მოდის. უკუნეთი სიბნელეა.

ზღვიდან ქარი ჰქრის. სიცივე და წყალმცენარის ცხარე სუნი მოაქვს.

— დასვენება. საჭურველი არ მოიხსნათ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდხანს, დიდხანს იყვნენ ასე. ნელნელა მიწაზე გაყვნენ. იქ, ფერმა იწვის და წყნარად იფერფლება წყვდიადში, თითქოს ყვავილს ფოთლები სცვივათ.

— რა გემართება? — ჰკითხავს ლაპული.

— არაფერი, — უპასუხებს ოლივიე.

ქარს აყვავილებული ცერცვის სუნი მოაქვს.

ლობესთან მარსილიარგი ჩუმად ღიღინებს:

„წავალთ, მოვისმენთ
ოქროსფერ ყანის სიმღერას...“

— ცუდი ამბები მომივიდა შინიდან, — ამბობს ოლივიე.

— . —

გარირიჟრაჟზე, წითელი ცის ფონზე გამოჩნდნენ ჯარისკაცები ყუთებით და პარკებით. ვაზნები, გრანატები, შოკოლადი, ყველი, ხორცის საჭელი დიდი დანები, არყიანი ვედროები.

ტირიფნარიდან მეთაური გამოდის და ბალახში დადის. ეს არის ეხლა შეხვდა იგი თავდაუხურავ ინგლისელ ოფიცერს, რომელსაც ჩაჩქანი ქამარზე ეკიდა... მოხუცი გენერალი, რომელიც გუშინ ავტომობილით მოვიდა, მინდორზე გამორბის. ფრანგი და ინგლისელი მას უცდიან. შემდეგ სამივენი რაღაცაზე მსჯელობენ. ინგლისელი ოფიცერი ხელს გაიშვერს ცის ერთი მხრისაკენ და ჯოხის წვერით მიწაზე ხაზვას იწყებს. მეთაური და გენერალი თავდახრილნი დაჰყურებენ. გენერალი კეპს აიწევს და ხუთივე თითით თავის ქალას მოიფხანს.

ინგლისელმა ოფიცერმა ცისკენ გაიშვირა ხელი. გაწვდილი თითის ბოლოში, იქ, შორს, ბორცვის თავი ბოლავს.

წელში მოხრილი ჯარისკაცები ისევ გასწევენ თოფით ხელში. გზის პირს მიჰყვებიან.

ისვენებენ ერთ დიდ, გამოშიგნულ სოფელთან, რომელმაც თავისი წელები მინდვრებში დაჰკარგა. შუადღეა. გზაზე ვილაც ქალი გარბის. მარცხნივ მოჰქრიან ხის სუსტ წისქვილზე გაცოფებული უზარმაზარი ყუმბარები. სათიბს შიგნავენ, მიწისქვეშ წყლამდე აღწევენ და მის შხეფებს აფეთქების შუქზე ჰფანტავენ. ცხენის ლეშმა ნაკადი დააგუბა.

— . —

ღამეს ელოდებიან. კაპიტანი მძიმე ნაბიჯით პირდაპირ ოლივიესთან და ლაპულთან მივიდა. ოლივიეს ხელში თავისი თეთრი წერილი ეჭირა. კაპიტანი მათ წინ გაჩერდა.

— ბიჭებო, — სთქვა მან.

მეტი არაფერი წარმოუთქვამს წვერებში ჩამალულ მის პირს. დიდხანს შესცქეროდა მათ. კაპიტნის ზურგს უკან ღამე მოდგომოდა გაოცებულ-ვალად. მის სახეს მხოლოდ ზარბაზნების გუგუნის ლითონის შტეკი ანათებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადექით!

და კაპიტანს რკინის ცისქვეშ შეჰყვნენ.

— კემელი!

სადღაც კვამლში შთაინთქა მცენარეულს მოკლებული მიწის ნაკვეთი. ორი ინგლისელი ხელების ქნევით გარბის.

— აქეთ, აქეთ! — ყვირის ლეიტენატი.

სირბილის დროს რაღაც ნიშანს იძლევიან, რაღაც სიტყვებს იძახიან, მაგრამ ზარბაზან-რევოლვერს ისეთი ბათქა-ბუთქი გააქვს კემელის სამრეკლოდან, რომ ყურთა სმენა არ არის.

მათ გრანატები მიჰქონდათ.

— არა, მაითკენ არა! — იძახიან.

— ჩვენ გადავუხვიეთ.

— სოფლიდან გასვლისას, მსროლელებო, გაიშალენით!

ყუმბარამ გადაიარა, მან ხვნეშით გააპო წყვდიადი. მის ქვეშ ბარია, ხეები, პარკი, ტბა, ციხე-კოშკი. მერე ისევ უკუნეთი ღამე, მიწა შთანთქა ღამემ, ტკაცუნი გააქვთ ტოტებს, მღერის სახურავის ფიქალი, ტბა სილას აწნავს მიწას თავისი დიდი ლამიანი ხელით.

— თხარე! — ეუბნება ლაპული.

ისიც ოლივიეს გვერდით გაწვა.

ცეცხლოვანი კეტი საცეხველივით ურახუნებს ზურგში სოფლებსა და მინდვრებს.

მზის სხივებში ღამე ინთქმება.

— იერიშს მოიტანენ, — ამბობს ლაპული.

— არა, — ეუბნება მათ გვერდით გაწოლილი ლეიტენანტი. — ინგლისელები ჯერ კიდევ აკავებენ იქ.

— წინ! — მოისმის სიბნელიდან კაპიტნის ხმა.

ყველანი წამოდგებიან. მუცლით დაბალ ლობეს წააწყდებიან.

— სდექ! — იძახის ლეიტენანტი, — კავშირი!

— არის! — უპასუხებს ბარნუ.

— კაპიტანი?

— წინ წავიდა.

— წადი გაიგე, რა ამბავია იქ!

ბარნუ სირბილით ბრუნდება უკან.

— ჩემო ლეიტენანტო! აქედან ას მეტრზე ინგლისელები არიან. მკითხეს: „ფრენჩ?“ ვუპასუხე: „ჰო!“.

— ამ მხრით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არავინ არის. მავთულებია. გასვლა არ შეიძლება.

— ფრანგები? — ჰკითხულობს ვიღაც ხმა წყვდიადში.

ეს ინგლისელი ოფიცერია. მძიმედ ლაპარაკობს, სიტყვები არ ჰყოფნის:

— მარჯვნივ, სამას მეტრზე, ფრანგთა ბატალიონია.

— მაშ, მარჯვნისკენ!

გზის გვერდობი დახვდებათ.

— მეთაური დუსი.

— ლეიტენანტი რეინო, მეექვსე ასეულიდან.

— იცით, სადა ვართ?

— არა, მეთაურო.

— მაშ რა ვქნათ? საით წავიდეთ? მარჯვნივ, პირდაპირ, მარცხნივ? მოწინავე ხაზი სად არის? აქ? თქვენი კაპიტანი? სად არის თქვენი კაპიტანი? რომელი საათია, ბატონო რეინო?

— ცხრა საათი.

— ეერიში შვიდზე უნდა დაწყებულიყო?

— წინ ცარიელი სანგრებია, — ამბობს ბარნუ.

— რაო? რას ამბობს?! — ჰკითხულობს მეთაური. — მაშ კარგი! წავიდეთ იქით. შეიძლება იქ არის.

— . —

დღე ერთბაშად დადგა. მთა კემელი ნახშირის საწვავ ორმოსავით ყოველი მხრიდან ბოლავს. ტირიფებიან გზას მიჰყვებიან. ეს ის ტირიფებია, რომლებსაც გაზაფხული უკვე შეხებია და კვირტები მშვიდად იშლებიან.

ტოტებს ტყვია ხვდება. ბალახი მთლად დაფლეთილია. ტბა ნელნელა იცლება. მოსჩანს, როგორ ჩადის იგი ორმოებში და მიწაში იკარგება.

ყუმბარები მოჰქრიან, ეცემიან, ხტებიან, ტოტებს გლეჯენ, ღმუიან, იჭრებიან მიწაში, დაგორავენ ტალახში, შემდეგ ბზრიალასავით ტრიალებენ და იქვე მიეგდებიან. ჯარისკაცები მიწას თხრიან ორმოდან ორმომდე. ტბა ფეხებში ებლანდებათ, გზაკვალაბნეული გასავალს დაეძებს, აქეთ-იქით ეხეთქება. ჯარისკაცები ტბას იგერიებენ, იშორებენ, ურტყამენ, იგი ისევ ბრუნდება, კვნესის. ნიჩბებს უშენენ. ყუმბარა მათ მახლობლად ეცემა. ჯარისკაცები ტბაში ჩაწვებიან და წყალი მაშინვე თავისი ცივი ენით ლოკვას დაუწყებს ადამიანის მთელ სხეულს, ფეხებიდან პირისახემდე.

ზემოთ, სამასი მეტრის მანძილზე, წისქვილი მოსჩანს, იქვე მარცხნივ ქვების პატარა გროვაა. იქ სამტრედე იყო.

— აი ის, აი ის! შეხედეთ, შეხედეთ! — ჰყვირის ჟოლიეე (ქვების გროვას ადამიანი ამოჰფარებია, დაინახეს, როგორ წამოდგა. წელამდე გამოჩნდა). პირუტყვი! მომეცი ერთი თოფი, ჭკუა უნდა ვასწავლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი გამოჩნდება. ჟოლიეე ესვრის.
ერთი წუთის შემდეგ ისევ გამოჩნდება.
ჟოლიეე ესვრის.
და კვლავ ერთი წუთის შემდეგ კაცი გამოჩნდება.

— . —

მაშხალის ნიშანზე იერიში მოიტანეს და ფოთლის გროვასავით გადათელეს.

ჟოლიეეს არც კი დაუყვირია. მან ხელი შუბლისკენ სწორედ მაშინ წაიღო, როდესაც მისი ჩაჩქანი ჰაერში ავარდა. იგი დაეცა პირით ქვების გროვისაკენ.

ასპირანტი გრიველო კატასავით მიცოცავს ზევით. ერთ წამს დაიხრეა და ისევ გაიმართება

— უკან! უკან!

ძლიერი დარტყმა მუცელში შუაზე აპობს. ფრთებივით შლის სისხლით შეღებილ ხელებს.

ფლაშა სველი თეთრეულივით ჩაცურდება ორმოში.

— აბა!

გვერდს ისინჯავს.

— დახედე...

— არა, გვერდზე... ხელი დაადე... გაიქეცი!

შარმოლი ღვინოსა და სისხლს ამოანთხევს. ორ ნაბიჯს გადასდგამს. შემდეგ შეჩერდება, რომ დაინახოს, რა ამოანთხია. ტყვიას დაადევნებენ.

— კაპიტანი? კაპიტანი?

ეს კავშირგაბმულობის ჯარისკაცია, მეთაურის მიერ გამოგზავნილი.

— იერიში! იერიში! უბრძანე იერიში მიიტანონ!

ორი ინგლისელი კურდღელივით გარბის სვიისაკენ. აქეთ-იქით უხვევენ. ერთი მათგანი უცბად ეცემა მიწაზე და იქვე რჩება. მეორე გარბის.

— ეხლა მეთაური მე ვარ, ლეიტენანტი რეინო. კაპიტანი მოჰკლეს.

კავშირგაბმულობის ჯარისკაცი არ იძვრის: ჩაცუცქებულა; ხელები და ფეხები არყის ბიდონისთვის მუხრუჭივით შემოუჭერია. თავი გახვრეტილი აქვს. ტუჩებზე ნერწყვისა და სისხლის ძაფი ჰკიდია.

ოლიეე ყუმბარას გადაისვრის.

— უჰ!

— დაწექი!

ორი ტყვიამფრქვევი კლანჭებით ფლეთს ადამიანებსა და მიწას.

— წინ!

ლეიტენანტი თავდახრილი გარბის. მერე თავს მიწაში ჩარგავს და ასე დარჩება. იმ წამსვე მოიკრუნჩხება, მერე გულალმა გაიშხლართება, პირდაღებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოფხვით ახლოვდება კაპრალი.

— შენ ვინა ხარ?

— ბარნუ.

— კარგი, ეხლა მეთაური მე ვარ, შენ ვინღა ხარ?

ჯარისკაცებს შეჭურვილ მკერდზე ხელს უფათურებს.

— ეგენი აქვე ორმოში ჩაიყვანე.

— ესენი მკვდრები არიან.

— წინ!

— . —

ოლივიე აღარ იძვრის. მის გვერდით ტყვიამფრქვევი მიწას სთხრის. ცოტა ხანს მიწყნარდება. ქარს ყვირილი და პეტარდის ტკაცუნი სხვა მხრით მიაქვს.

მარჯვნივ იბრძვიან ისინი, ვინც 140-ე ასეულიდან გადარჩა.

იქ, წინ, ბალახი მოსჩანს. ოლივიე ხელს დაეყრდნობა და ბალახისკენ გაცურდება. იქიდან, თითქოს მთაა, დიდ სხეულს ხედავს: ადამიანის ზურგია.

— ლაპულია?

მთა აღარ სუნთქავს. მიწას ძალიან აშორებია, ალბათ, მკვდარია.

ოლივიე მიფორთხავს. ფარაჯას მოსწევს. ჰო, მკვდარია. სხეული ოლივიეს დაეცემა, პირიდან შედედებული სისხლი გადმოუვარდება. კაპრალია. მისი წვერი უკვე მიწას დამსგავსებია.

ოლივიე მიფოფხავს. ხელით ცივ გვამს დაეყრდნობა. კაპიტანია.

იგი მთლად გამოფატრულია, გამოშიგნული. კბილები მაგრა ჩაუვლია საკუთარი ხელისთვის.

— ოო! — ყვირის ვილაც კაცი, რომელიც შუამინდორში დგას.— ბიჭებო! — დაიძახა მან.

მაღალია, თითქმის ცას სწვდება.

— შაბრან! ადექი, ყველაფერი გათავდა.

ოლივიე ნელა დგება და აქეთ-იქით იყურება.

— როგორ? ყველაფერი გათავდა?

ლაპულს გვერდში ამოუდგება. გვამებზე ხტომით უახლოვდება მათ ერთი ჯარისკაცი კიდევ. ბარნუა.

— . —

დიახ, ყველაფერი გათავდა. დიდი სიჩუმეა. არავითარი ხმაური. უცბად ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ისმის, როგორ მიცოცავს კვამლი მიწაზე.

— რა ამბავია? — კითხულობს ოლივიე.

— აი, — ამბობს ბარნუ და უჩვენებს მიწის ამ ნაკვეთზე, კემელის ქედზე, რომელზედაც ისინი დგანან და რომელიც მთელი თავისი ტვირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თით, მკვდრებით, მშვიდად ბანაობს სხივებში. — გადავრჩით მხოლოდ სამნი.

— ქვემოთ, ველზე, ვიღაც რუხი ადამიანები გარბიან.

— იერიში მოაქვთ.

მათ იერიში მიაქვთ ისე, რომ არაფერი აღარ აკავებთ: აღარც დაბრკოლება, აღარც თოფი, აღარც ტყვიამფრქვევი. მთელი ადგილი მათ წინ დაცარიელებულია.

მხოლოდ მკვდრები, დაფლეთილი მიწა და ცეცხლში გახვეული სოფლებიღა დარჩენილა. სადავეში გახლართული, გაგიჟებული ცხენი მინდორში ცეკვავს.

ყოველი ხვრელიდან, ყოველი ხევიდან გამოჟონილი მოწინააღმდეგის დიდი ფარა მიაქანებს თავის ტალღებს ბაილისაკენ მიმავალ გაშლილ ვაკეზე.

— გზისაკენ! — ჰყვირის ლაპული.

ხანძრების კვამლი მიწას ეფინება. უიარაღო ფრანგი ჯარისკაცი კვამლიდან გამორბის. შიშინით მიჰქრის ჰაერში ნაკვერცხლების გრიგალი.

— ბარნუ!

— შაბრან!

ორმოდან ორმოში ხტებიან. მათ უკან, ორასი მეტრის მანძილზე, რუხი ჯარისკაცების პირველი ტალღა მოგორავს ბალახზე. ისინი დაღლილან. თოფები ძირს დაუშვიათ.

სოფელში შედიან.

— გზისაკენ! — ჰყვირის ბარნუ, — გადავრჩით!

— . —

ასი მეტრის მანძილზე ხეებ-ჩამწკრივებული გზა ჭალიდან ფერმისკენ უხვევს. წვრილი წვიმა მოდის. ღრუბლებში გამოჩნდება შავჯვრიანი ოთხი აეროპლანი. ისინი მერცხლებივით ისე დაბლა ეშვებიან, რომ მუცლით მიწას ეხებიან. ისინი ტყვიამფრქვევებს რამდენჯერმე გაისვრიან.

— სული მოვითქვათ, — ამბობს ლაპული.

საშინელი აფეთქება მათ წინ ღობეს მიწასთან ასწორებს... ყუმბარა გავარდა.

ეს ინგლისელთა ბატარეაა: თვლები, მილების ნატეხები, ვაზნის ცარიელი მასრები, მუხლუხის პარკისებური ყუმბარები; მუცელდაფლეთილი, კისერმოგრეხილი ცხენები, მიწაზე პირქვე დამხობილი ადამიანები, თითქოს ცის საკმენად ზევით მიმართული შავი სახეები, ცალი ფეხი, ფაფადქცეული ადამიანის ხორცი, თვლის ფერსოზე შერჩენილი კაცის ტვინი.

ასეთ ადგილს არის ერთი ზარბაზანი და ისვრის. წელამდე ტიტველი ორი არტილერისტი დასტრიალებს. ოფიცრის გვამზე დადიან. ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყუმბარას იღებენ და ამ დროს ოფიცრის სახეს მძიმე ფეხსაცმელით სთელავენ.

ბატარეის თავზე ყუმბარა გასკდება. ვერავინ შენიშნა მისი მოახლოვება. ბარნუ თავს ჩაჰქინდრავს. თავზე ხელის მოკიდებას ცდილობს, მაგრამ მხარს ზემოთ მკლავს ველარა სწევს, ნელა ეშვება. ბარნუ ოლივიეს დაეცემა.

ტყვიით გახვრეტილ თავიდან სისხლი შაღრევანივით სცემს.

— გზისაკენ!

გზა თითქოს ამომშრალი ნაკადიაო. იგი მოქცეულია დამსხვრეულ ორთვალების, ცხენებისა და ადამიანების ლეშებს ქვეშ. თხრილებში ჰყრია ზარბაზნები, ტყვიამფრქვევები, ნაკუწ-ნაკუწადქცეული ფურცლოვანი რკინა, ლუდის კასრები, გალეტის ყუთები, თამბაქოს ტომრები.

— პირდაპირ მინდორი გადავჭრათ!

ორჯერ შეჩერდა ოლივიე, რათა ფეხებზე დაეხედა. ეს რა ედება ფეხებში, რა მიცურავს ფეხებშუა? და ყველგან, ველზე, ბალახქვეშ თითქოს სარწყავი წყალიაო, ამასთან ისე სქლად, რომ კვალი მოსჩანს. ეს ხომ ვირთაგვებია! ვირთაგვების ტალღა! ცეცხლ-მოდებული კედლების, გამოშიგნული პურის ბეღლების, სხვენის ვირთაგვები, განადგურებული სოფლების ვირთაგვები, ბრძოლის ველისა და მკვდრების ვირთაგვები, გადმობრუნებული მიწის მიერ შავ ნიაღვარად გადმონთხეული ვირთაგვები...

ვირთაგვები აი იქ სათიბიდან გამოდიან, ფერდობს გადადიან და, ფისივით გაპრიალებულნი, ხნულის ყოველ კვალში თრთიან.

გადარეული ოთხთვალა ხტის მინდორში უკაცოდ. მიაქროლებს მას თავის ნებაზე მიშვებული ორი თეთრი ცხენი. ოთხთვალა გადაიხრება, ფიცრის კიდით ბალახს სცელავს, ბოლოს გადაყირავდება და წყლისა და მიწის კვამლს დააყენებს. თვალი მაინც ტრიალებს ჰაერში. ხელნაში გაბმული ცხენები კვლავ განაგრძობენ ცაზე სირბილს. ისინი მთელი თავიანთი ჩლიქებით სთელავენ მას.

— ჰეი! — დაიყვირებს ლაპული და ხელს ასწევს.

ცხენები ჭენებას შესწყვეტენ. სწორედ ამ დროს ცასა და მიწას გრიალი შეაზანზარებს. საზარელი კვამლოვანი და ცეცხლოვანი ხე თავისი ფოთლების უზარმაზარ ჩრდილში გაახვევს ადამიანებს: ინგლისელთა ბატარია აფეთქდა.

იქ, უკან, შორს, გერმანელები სოფლიდან გამოდიან. მათ თავზე ლრუბელი ცეკვავს, როგორც თითებ-გაშლილი ხელი. ეს ხელი აზანზარებს ცას და ნაფლეთებად ჰგლეჯს. ვარსკვლავებივით ცვივა მაშხალები.

— მარცხნივ, მარცხნივ! — ჰყვირის ოლივიე.

სამი ცხენი დარბის მათ წინ ბალახში, გლეხთა სამი გამოქცეული მუშა-ცხენი. პატარა, მოტიტვლებული ჭაკი ცხენი ცეკვით უვლის თავის

კვიცს. იგი ხედავს ადამიანებს, იგი უცდის მათ. ლაპულთან მიდგა, წინ დაუდგება, რათა თავი დაუკანტუროს, გაუცინოს და მის ნაბიჯს გაჰყვეს. კვიცი გვერდიდან მივარდება ოლივიეს.

პირუტყვს დანგრეული ფერმები მიუტოვებია. იგი შეგროვილია ჭალების პირად, ან ტირიფების ქვეშ, ან ხეებში მიმალულა, ან კიდევ ფარდულებს ქვეშ აკანკალებულ ფეხებს აბაკუნებს.

ლაპული, ოლივიე, ჭაკი ცხენი, კვიცი, სამი მუშა-ცხენი სწრაფად მარჯვნივ შეუხვევენ. მთელი პირუტყვი აიშლება და ამ ორი ადამიანისკენ გამორბის.

— წინ შაბრან, წინ!

ოლივიემ ფარაჯა და ხალათი გადააგდო. დახეული პერანგი ფრთებსავით ფრიალებს.

— წინ! წინ! როგორა ხარ?

— არა მიშავს რა.

ყუმბარების თაიგული ღრუბლებს ფლეთს.

— კვიცი, კვიცი! — ყვირის ოლივიე.

იგი მივარდება კვიცს. ორივენი ერთად გაიშხლართებიან.

— ისევ წინ!

— . —

ფერდობზე დიდი ფერმა ამართულა. ზორბა ცხენზე შემჯდარი ლაპული, ცხვრებისა და თხების თანხლებით, ხეებისკენ მიემართება. ოლივიეს ჭაკი ცხენის დაჭერა უნდა. ცხენი მარდად გავას იბრუნებს, გაუსხლტება და ფერმისკენ გაიქცევა. ოლივიე დაედევნება.

უეცრად ჭაკი ცხენი შედგება. ოთხივე ჩლიქით ბალახში ჩაერჭობა, მთელი ტანით უკან იხევს. მიწას ქშენით დასცქერის. ოლივიე ნელა მიიწევს წინ. პატარა ჩარდახიანი ფერმაა. მისი წინა კედელი გლიცინიით არის დაფარული. ჩამოგლეჯილ კარებში ლეიბი მატყლს ანთხევს. კედელთან წევს პირაღმა გაშხლართული, ძუძუებ-გადმოგდებული, ხმლით თავგაჩეხილი ახალგაზრდა ქალი.

ოლივიე თავდახრილი ნელა უახლოვდება. ჭაკი ცხენი მძიმედ ქშინავს. იგი პიტნის ბუჩქს დაჰყურებს. იქვე ღორი მიწას ჩიჩქნის, რაღაცას გლეჯს და სჭამს. დინგი სისხლში აქვს მოსერილი.

— ეი, შენ! — დაუყვირებს ოლივიე ღორს.

ღორი თავს ასწევს. იგი ხორცს ღეჭავს. წვრილი, წითელი თვალებით ოლივიეს შეხედავს, დინგს შეიჭმუხვნის, ავი ძაღლივით დიდ კბილებს გამოაჩენს. ოლივიე ორ ნაბიჯს კიდევ გადასდგამს. ჭაკი ცხენი ბალახში ფეხებს აბაკუნებს.

ღორის ფეხქვეშ მკვდარი ჩვილი ბავშვი გდია, შიშველი. ღორს მისთვის მხარი მოუგლეჯია, მკერდი ამოუჭამია. დინგს პატარა თეთრ მუც-

ლისკენ წაიღებს. კბილებით ჩააკვდება. შემდეგ პირს ატლაშუნებს ბავშვის წელების გადასაყლაპავად.

ოლივიე ჯიბისკენ ხელს წაიღებს. ერთ ნაბიჯს კიდევ გადადგამს. მთელი ტანით თრთის. სოფლურ დანას, პურისა და ყველის ნაჭრიან დანას ამოიღებს. რქის ტარს ხელს მაგრა უჭერს და აღარ კანკალებს.

ღორი შესცქერის. მისკენ ბუზღუნით ნაბიჯს გადასდგამს. ოლივიე მუნჯად დგას. დანას ხელს უჭერს. ღორი მიიწევს მისკენ. კაცი ელოდება. მერე უეცრად მივარდება. ხელს მოუქნევს, დანა მაშინვე ჩაერჭობა. მოკუმშულ თითებს სისხლი შხეფებად სცემს. ღორი თავით ფეხებში დაეტაკება და წააქცევს. მხარში კბილებს ჩაასობს. ოლივიე დანას ამოაძრობს და ყელში ჩაურჭობს. კიდევ და კიდევ ჩასცემს ყელში, თითქოს ბარით მიწას თხრისო. ღორის ხორცი წყალში ჩაგდებული ნაკვერცხალივით შიშინებს. ოლივიე მთელ ძალღონეს იკრებს, ახლა მუცელში ჩაჰკრავს დანას. ოლივიე მთლად სისხლშია მოსვრილი, სისხლისაგან თვალთ დაუბნელდა, ღორის ხრიალმა და ყვირილმა სმენა წაართვა. იგი მაინც რაც ძალი და ღონე აქვს სცემს დანას. სისხლისაგან თვალები ეწებება. მხოლოდ დანის პრიალს ხედავს.

მათ გარშემო ჭაკი ცხენი დახტის, ცეკვაობს, მიწის გუნდებს ისვრის. ბოლოს ოლივიე ორივე ხელით ყანყრატოს გაუხლეჩს ღორს.

ოლივიე ცოტა ხანს მიწაზე წევს და ჰაერს ღმრად ისუნთქავს. ზევით მოსჩანს ცა, ცის პატარა ლაჟვარდი, მსუბუქი ღრუბელი, რომელიც ნელა მისცურავს. სიმშვიდეა.

ოლივიე დგება. მკვდარი ღორი სისხლისაგან იცლება ბალახში. ოლივიე უცქერის გლიცინიას, მკვდარ ქალს, ჭაკ ცხენს. ოლივიე მთლად სისხლშია მოსვრილი. მხარს შეანჯღრევს. არაფერია. მხოლოდ კანი აქვს გადამძვრალი.

ჭაკ ცხენს ეძახის:

— ჩემო პატარავ, ჩემო პატარავ!

ცხენი თრთოლვით მიუახლოვდება. წინ დაუდგება ოლივიეს. ოლივიე ფაფარში ხელს ჩაავლებს და ზურგზე მოახტება. ეზოდან მინდვრისკენ მიდის.

— . —

ლაპული ზორბა შავი ცხენით ბრუნდებოდა. ოლივიე თერთ ჭაკ ცხენს ველზე მიაქროლებს.

— დაჭრილი ხარ? — ეკითხება გაკვირვებული ლაპული.

— არა, — თავით ანიშნებს ოლივიე.

იგი გრძნობს ჭაკი ცხენის მთრთოლვარე სითბოს.

— ღორს შევებრძოლე, ჩვილ ბავშვს სჭამდა.

— მოუჩქაროთ! — ამბობს ლაპული, — ჭენებით გავწიოთ. მათ უკვე რემენჟელესტი გაიარეს. იქ არიან, აგერ იქ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს სამი მხრიდან ცეცხლის ფოჩების არშია აქვს შემოვლებული. უდაბნოდქცეულ ადგილს ოლივიე და ლაპული ცხენებს ... დასცქერიან. ცეცხლში გახვეულ საძნე ფარდულებიდან სქელი წითური კვამლი სისხლივით იღვრება. ცერცვის მინდვრები ქანაობენ, თითქოს უნდათ თავიანთი ყვავილოვანი ტეირთი არხებსა და თხრილებში გადაისროლონ.

ტირიფნარი მიწისაკენ იხრება. სტენვორდი ბოლავს, მოისმის სახლების ნგრევის ხმა. პატარა ქალაქს იქით აქაფებული ნაკადივით მიგორავს მინდვრებზე ლტოლვილ ადამიანთა და ცხოველთა ტალღა.

ერთი აეროპლანი ქანაობით ღრუბლებს აპობს და ფრთებ-გაშლილი ტირიფნარში ვარდება. მარჯვნივ მსხვილი ყუმბარები გაშავებულ მინდორს თხრიან. სტენვორდის სამრეკლო ინგრევა, ზარი ხტის ნანგრევებში და რეკავს.

— ჭენებით!

ცხენებზე გაწოლილნი მიჰქრიან ისინი ხეებში, ცეცხლისა და მიწის შადრევნებში.

სტენვორდს რომ გასცილდნენ, ცხენებიდან ჩამოხტდნენ. ოლივიემ თეთრი ჭაკი სისხლით შეღება.

— გასწი, პატარავ! — უთხრა ცხენს და გავაზე ხელი დაჰკრა.

ჭაკმა ცხენმა თავისი კვიცით მოჰკურცხლა. ზორბა ცხენი ჭაკს გამოუდგა. ღობესთან მიმალული ორი ცხვარი ფეხების ბაკა-ბუკით ცხენებს დაედევნენ.

ოლივიე და ლაპული მინდორზე მიდიან, მონ-კასელის პატარა კუზისკენ. გერმანელები ჯერ კიდევ შორს არიან, სტენვორდს იქით. მთელი ეს ადგილი უპატრონოდ არის მიტოვებული, მთლად მოტიტვლებული.

გზაზე მიდის მღვდელი კედლის საათით ხელში. ჩაიქროლებს ინგლისელთა ზარბაზანი. ცხენებს ფრანგი არტილერისტები მიერეკებიან. უფარაჯოდ და უქუდოდ მიაბიჯებს ბალახში პოლკოვნიკი. მარცხენა ხელში სარდინის გახსნილი კოლოფი უჭირავს. პურს ზეთში აწებს და სჭამს. ინგლისელი ოფიცერი ხეს მოჰფარებია და დახრილი ჩიბუხს უკიდებს. ესენი ყველანი მონ-კასელისკენ მიდიან.

— . —

ოლივიეს და ლაპულს ნაშუადღევის ეს მძიმე საათი ლოდად დასწოლიათ. ყველგან, საითაც მიიხედავ, გერმანელები უბრძოლველად მიიწევენ წინ. ყველაფერი მიწყნარდა, ისმის მხოლოდ ადამიანთა ტალღების მოძრაობა, მიდიან ბალახში, ქვებზე, ხეებს შორის.

— ახლა ყველაფერი დაიმსხვრა, — ამბობს ლაპული.

ოლივიეს ტუჩებზე, მხოლოდ კუთხეებში, მკრთალმა ღიმილმა გაურბინა.

— მით უკეთესი! ოღონოდ გათავდეს!..

უეცრად წითელი კვამლი მოიჭრა, ცა მიწას მოსწყვიტა. კვამლის ქვეშ ხეები იკეცებოდნენ. ყველაფერი ახმაურდა, აპრიალდა, ატკაცუნდა.

— მარცხნივ, მსროლელებო! გამწკრივდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვიის ბოსტნიდან გამოვიდნენ გაკრიალებული, ლოყა-წითელი ალპელი მსროლელები, სრულიად ახალი ძალა. თოფის ლულებზე მათ ხიშტები აქვთ. ჩანთებისაგან განთავისუფლებულთ ქამრებზე, გრანატების მტევნები ჰკიდიათ. მსუბუქად და მხიარულად მიდიან. სველ ბალახში ფეხს მაღლა სწევენ.

— მარცხნივ, გამწკრივდით!

ჯარისკაცთა მეორე ტალღა მინდორში მოგორავს. ყველა ჭალიდან ლურჯი ქვეითი ჯარი გამოვიდა. ოლივიემ ცისკენ აღაპყრო თავისი შიშველი ხელები.

მოჰქრის ას მეტრზე გაშლილი ინგლისელთა დიდი ბატარია. ყველაფერი ახალია: ადამიანები, ზარბაზნები, ცხენები. სამურველით გაწმენდილი ბალანი ბზინავს, თითქოს ზეთი წაუსვიათო.

კასელის თავზე წითელი აეროპლანები თაიგულად იშლებიან ცაში და კვამლში იმალებიან. დოლბანდიანი და შარფებ-აფრიალებული ულანები ტანისამოსის შრიალით ცხენებს ჩააქროლებენ.

— la marmelade! — პირგაუხსნელად ჩაილაპარაკებს ლაპული.

— მარცხნისაკენ!

ჭალიდან გამოდიან ალპელ მსროლელთა მჭიდრო რაზმები. მინდორში გასვლისას მექანიკურად იხსნებიან სახსრებში და გაშლილნი მიიწევენ, ყველაფერს ხვეტენ თავიანთ წინ.

— მარცხნისაკენ!

— ბატარეა! ბატარეა!

— წინ!

— შენ თუ ფიქრობ, რომ ყველაფერი ეს მალე გათავდება... — ამბობს ლაპული.

ნაკელის გროვაზე ზის შოტლანდიელი და ფლეიტას უკრავს.

— რომელი პოლკისა ხართ? — ეკითხება ოლივიეს გვერდზე ჩავლისას მსროლელთა სერჟანტი.

— ას მეორმოცესი.

— მოკლული ბევრია?

— ყველანი.

— ყველანი?

ფლეიტის დამკვრელები ზურგით უკან იხევენ და მერე ინგლისელთა პოლკს წინ გაუძღვებიან. როცა ალვის ხეებს გასცდებიან, რაღაც ნელსა და მძაფრს დაუკრავენ. მუსიკა ჯარისკაცებს შუა-მუცელში, გადაჯვა-

რედინებულ მოსართავებში ჩასჭიდებს ხელს და წინ გააქანებს. თავდა-ხრილები ხარებივით მძიმედ მიდიან, ფეხებს დასცქერიან. როდესაც ჯარისკაცები სრული ნაბიჯით წავლენ, ფლეიტისტები განზე გადგებიან, რაზმს წინ გაუშვებენ და თვითონ უკან მიჰყვებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოლი ერთხმაზე რაკრაკებს წყლის დენასავით. ფერმის კედლებს იქით ბუკს ხაკვერცხალივით ტკაცა-ტკუცი გააქვს. საყვირის ხმა დაბნულ მინდვრებიდან გრძელ ფარაჯიან ბელგიელთა ტალღას წამოშლის. ხეებს იქით ცხენოსანთა მებუკეები ჩაიქროლებენ. ცხენები ჭიხვინებენ. ოლივიეს თეთრი ჭაკი, ლალი და შმაგი, უკან მისდევს ცხენოსნებს, შეუკაზმავი. თვალი ვერ სწვდება, ისე შორს იშლება ბატარეების უზარმაზარი მარაო, რომელშიაც იჭრებიან ველზე მიმოფანტული ხეები, ფერმები.

ტალღის ნაკადივით სქელი ინგლისელთა ქვეითი ჯარი წინ მიისწრაფის. ფრანგ ჯარისკაცთა ლურჯი ფარა ბალახზე მისრიალებს ბორცვებისაკენ, კვამლისაკენ.

— სასაკლაოზე მიჰყავთ! — ამბობს ლაპული.

შორს, ჰორიზონტთან, იქ, სადაც ცა მიწას უერთდება, უკვე შიშხინებენ ტაფაზე დასხმული ზეთივით ზარბაზნები.

კურთხეული ცხოვრება

იულია გარდეტის კართან იდგა, შესვლას ვერ ბედავდა.

განათებულ ოთახიდან ხანგრძლივი კვნესა მოისმა, ხანგრძლივი, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა...

მაშინ იულია ისე შევიდა, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. ხელი გაუწოდა მისასალმებლად, მაგრამ იმავე დროს თავდასაცავად ოლივიესაგან, რომელიც უცბად წამოიჭრა და სკამი წააქცია.

— დამშვიდდი, — უთხრა იულიამ. — ამას ბოლო უნდა მოღებოდა. ჟოზეფი შენზე გონიერი აღმოჩნდა. მითხრა: წადი იქ, რომ ყველაფერს ამას ბოლო მოეღოსო.

— გვიან არის, — სთქვა კრიჭა-შეკრულმა ოლივიემ.

კიბის საფეხურებზე გაბმული კვნესა დაეშვა.

— გამიგონე, — უთხრა იულიამ, — ჯერ კიდევ არ არის გვიან. შეშიშვი...

— შემოდი იულია, — უთხრა მოხუცმა. — კარდალა იქ არის, აი მარილიც. მოამზადე, როგორც საკუთარ სახლში. შენ კი, ბიჭო, დაჯექ. იულია მართალია. პირველად ჟოზეფს კი არა, შენ გმართებდა იქ მისვლა... შაბრანებისათვის უგულობა არავის არასოდეს არ უსაყვედურნია. დაჯექ!

— გმადლობთ, ბაბუა, — უთხრა იულიამ.

იულია კარდალას ჩამოხსნის, კავით დაბლა დაჰკიდებს ცეცხლზე. ცეცხლს ხმელ ტოტებს შეუკეთებს. სულს უბერავს, ალი ავარდება.

— გაჩაღდი, გაჩაღდი, — ამბობს იულია, და რაც ძალა და ღონე აქვს უბერავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იულია, ცოტა ხანს ზევით ადი, — ეუბნება მოხუცი, — ადი, ნახე: დროა თუ არა? მე მელიის მახეს დავხედავ. დიდიხანი არ არის ხავილი მომესმა.

იულია ბრუნდება.

— დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, — ამბობს იგი, — საქმე კარგად მიდის... მადლენა მხნედ არის.

— აბა, ცოტა ხნით გავიქცევი, — ამბობს მოხუცი.

— . —

კერის მეორე მხარეს, ღია ფანჯარასთან, საიდანაც ზაფხულის ღამე იცქირება, კალათაში გოგონა წევს. დიდი თავით ბალიში ჩაუზნექია. საბანი გადაუხდია. ორი წვრილი, უსიცოცხლო ფეხი კალათიდან გადმოკიდებული აქვს. ოლივიე ამ ფეხებს შესცქერის.

— ეს ნიშანი, — ამბობს ის, — მთელ თავის სიცოცხლეში უნდა ატაროს.

— ჩვენი დროის ნიშანი, — ამბობს თავის მხრივ იულია, ცეცხლის პირას დაჩოქებული.

— თქვენი სიბოროტის ნიშანია, — ეუბნება ოლივიე.

იულია წელში გასწორდება მკლავებ-მოწყვეტილი, მოდუნებული იმ ადამიანივით, რომელიც ბედისწერას ებრძვის.

— არა ჩემი სიბოროტისა, — ბუტბუტებს იულია.

— ვიცი, იულია, — ამბობს ოლივიე ცოტა ხნის შემდეგ. — მადლენამ ყველაფერი მიამბო. ვიცი, შენ კეთილი გულით გინდოდა დახმარებოდი, მაგრამ ცუდი გზა აირჩიე, და აი რა მოხდა.

— რა უნდა გვექნა, ოლივიე? სულ დავიბენით. წერილი ვინ მოგწერა?

ოლივიე თავს ასწევს. იულია უყურებს. იულია კი ისე სდგას მის წინაშე, როგორც ბრალდებული.

— გმადლობ, იულია!

ისმის მხოლოდ წყლის დუღილის ხმა კარდალაში.

— გმადლობ. ამ წერილის მეოხებით მე ორივეს გადარჩენა შევძელ. წერილმა იქნებ თქვენი გადარჩენაც შემაძლებინა... შეხედე, იულია!..

მარჯვენა ხელს უჩვენებს. მხოლოდ სამი თითია შერჩენია: ცერი, სალოკი, ნეკი. ხელის გული გამოგლეჯილი აქვს, თითქოს გუთანს გადაუვლიაო.

— ეს ამბავი ღამე მოხდა, კემელის შემდეგ,—უამბობს ოლივიე.— შენ არ იცი, არავინ არ იცის. მხოლოდ შენ გიამბობ. ორნი ვიყავით. კვლავ აირია ყველაფერი. გადაბრუნებულ ოთხთვალას ქვეშ [illegible] ნათლე დავინახეთ. თვლებზე კარვის ტილო გადაეჭიმათ, [illegible] ჩანდა სინათლე. მივუახლოვდით. ლაპარაკი მოგვესმა: „შენი საქმეები როგორ არის?“ „ვერ არის მაინც და მაინც კარგად. წერილი მივიღე. ბავშვს წითელა დამართნია. ცოლი სუსტი ქალია. სხვებს ემსახურება“. „აბა ერთი გადაჭკარ, ყველაფერი გაივლის“. ტილოს ნახვრეტში შევიხედე. იქ მხოლოდ ერთი კაცი იყო. საკუთარ დარდებს ელაპარაკებოდა. ღვინოს ისხამდა.

ოლივიემ თავისი დაობლებული სალოკი თითი ასწია.

— ...ის საკუთარ ბრძოლაში იყო. ეჰ! ირგვლივ უკვე დაიწყო სხვა ბრძოლაც. მაგრამ ის არ იყო ჩვენი ბრძოლა—არც მისი, არც ჩემი, არც არავისი! ჰო-და, იულია, ყური დამიგდე, კარგად დამიგდე ყური. უბრალოდ მოხდა ეს, თავისთავად. ადვილად გასაგებიც არის. ღამე იყო, ამხანაგთან ერთად მივდიოდი. მას ლაპული ერქვა. შენი წერილი მიღებული მქონდა, და ლაპულს ვუთხარი: ორსულად არის და აი მუცელში ფეხებს ურტყამენ-მეთქი. რძალი მწერს. მეც ოთხთვალას ქვეშ მყოფის მდგომარეობაში ვარ-მეთქი. მაშინ, ყური დამიგდე, ამას შენ გეუბნები, მხოლოდ შენ გეცოდინება, ჩემს ხელს შეხედე. ყუმბარისაგან ამოთხრილ ორმოში ჩავედი, თოფიანი ლაპული ყუმბარის მეორე ორმოში ჩაეიდა, ცოტა მოშორებით, ათი მეტრის მანძილზე. სანთიას მოვუკიდე და ორმოს ზევით ხელი ავიშვირე. ამხანაგმა თოფი მესროლა...

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახებს იულია.

— ჰო, ეს საჭირო იყო ყველასათვის...

—.—

— შეხედეთ ერთი, რა დამიტოვა! — შემოდის და ამბობს მოხუცი და მელიის თათს მაგიდაზე დააგდებს. — მელა მახეში გაბმულა, საკუთარი კბილებით ძვალი გადაულრღნია. მახეს თავი მაინც დააღწია. ვაჟკაცობაა!

—.—

სამზარეულოს ცარიელ მაგიდაზე იულიამ კენჭი მარილი დააგროვა: სულ თეთრი, მშრალი მარილი და მაინც ცოცხალი თავის სიმშრალისა და სიმწუთხეში. ამით დაბანენ ახლადდაბადებულ ბავშვს.

ოლივიე დაჰყურებს მარილს. ოდესღაც მის წინ მარილის ასეთი გროვა იმას გამოხატავდა, რაც ადამიანისაგან დარჩენილიყო.

კარებთან ვილაცამ იკითხა:

— აქ ისევ შაბრანჯი ცხოვრობენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისევ, — უპასუხებს სწრაფად კარებისკენ მიბრუნებული მოხუცი.— ისევ ისინი ცხოვრობენ. ვინ კითხულობს?

ვილაც კაცი შემოდის. ქუდს იხდის.

— ვინც ჰკითხულობს, აქაური არ არის, მაგრამ მან შაბრანები გაიხსენა. საღამო მშვიდობისა პატიოსან საზოგადოებას!

ხელის აწევით მიესალმება.

— ეს ვილაც მწყემსია, — სთქვა მოხუცმა, როდესაც დახვეული საწვიმარი და კომბალი დაინახა.

— არა, — სთქვა ახალმოსულმა, — ვილაც მწყემსი კი არა, სწორედ ის მწყემსია.

მოხუცი წარბებ-ქვეშ გახედავს.

— თომასი ხარ, გიცანი.

— დიახ, დიახ, — ამბობს თომასი, — მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, ჩემმა ახალმა ხალათმა შეგიყვანა შეცდომაში.

— არა, თომას. ჩამოჯექ, ტვირთი მოიხსენი. ვითომ შენს ოჯახში ხარ. არა, შეცდომაში შემიყვანა არა ახალმა ხალათმა, არამედ იმ მძიმე დრომ, რომელმაც გაიარა ჩვენი პირველი შეხვედრიდან დღემდე. მაგრამ დამიჯერე, გელოდი ომის დამთავრების შემდეგ. გელოდი გასულ წელსაც. მთაში ცხვარს რომ მიერეკებოდნენ, ჩემთვის ვთქვი: თუ თომასი ცოცხალია, თავის ვერძს მოაკითხავს-მეთქი. მერე გადავწყვიტე, რომ შენ ცოცხალი აღარ იყავი.

— არა, არ მოვმკვდარვარ, — ამბობს მწყემსი, — მე იმ კროში, ბარში, სიკვდილი არ შემიძლია.

ერთხანს სტუმარი თავის სუფთა ხალათის ლურჯ ხაოს ხორკლიან ხელს უსვამს.

— აი სწორედ ამისთვის მთაში მივდივარ. უკანასკნელად.

— უკანასკნელად ამ წელიწადს, — ღიმილით უსწორებს მოხუცი.

— უკანასკნელად, შაბრან, — ამბობს მწყემსი, — მუხლი აღარ მივარგა, ძველებურად ველარ ვსუნთქავ, სიტყვები მავიწყდება, ნებისყოფა მილპება, როგორც დაგუბებული წყალი. ჩემ ბატონ-პატრონს ვუთხარი: ერთი სიკეთე მიყავით, მთაში გამიშვით არა როგორც მეთაური, მაგისთვის მეტად ბებერი ვარ, ვერ შევძლებ-მეთქი. მან მითხრა: აქ უკეთესი მოვლა გექნებათ. მერე მიხვდა: კარგი, თომას, წადი, და ხელი ჩამომართვა. გამოვემშვიდობე ქალიშვილს, დისახლისს, მის პატარა ბიჭუნას. ფარას ბალონში დავეწიე... და აი აქა ვარ.

— ვალის გადახდას და სიკვდილს კაცი ყოველთვის მოესწრება, — ეუბნება მოხუცი.

— დროზე სიკვდილს ყოველთვის ვერა. შემთხვევა ხელიდან არ უნდა გაუშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იულია, რადგან დღეს შენა ხარ დიასახლისი, ჭიქები მოიტანე. განჯინაში მარჯვნივ მუცლიანი ბოთლია.

სამივე ფეხზე წამოდგება.

— მშვენიერი ვაჟკაცია! — სთქვა მწყემსმა და ოლივიეს მხარზე ხელი დაადო.

იულიამ ჭიქები მოიტანა და არაყი, როგორც წესი მოითხოვდა, ჯერ მწყემსს დაუსხეს, შემდეგ მოხუცს და ოლივიეს.

დგანან და ხელში არაყი უთრთით.

— მეგობრობას გაუმარჯოს! — ამბობს მოხუცი მასპინძელი.

— . —

მწყემსი გარშემო მიმოიხედავს: იულია, ოლივიე, კალათა, საიდანაც ამელი-ჟანას თავი ამოუყვია.

— მომრავლებულხართ.

— ბევრი ტანჯვაც გამოვიარეთ, — ამბობს მოხუცი.

— შაბრან, სიცოცხლე სისხლით იქმნება.

ზემო ოთახებიდან ცივი კივილი ისმის. ქალის ხმა მოემართება საყვედურის გრძელ ეკლად, თითქოს მთელი ქვეყნის დაფლეთა განუზრახავსო.

— მაშ ეს შენი რძალი არ ყოფილა? — ამბობს მწყემსი და იულიაზე მიუთითებს.

— არა, ჩემი რძალი ზემოთ არის, მშობიარეა.

— მიხვდი. ამ კვნესას ვიცნობ, ბაბუა, ეს იმედის ყვირილია. ყურადღებას ნუ მიაქცევ. მე ზოგჯერ ვამბობ ასეთ რამეს. ხანდახან გიჟად მთვლიან.

იგი ოლივიეს მიუბრუნდება.

— შვილო, — ამბობს მწყემსი, — თუ ის, რასაც ვხედავ იქ, კალათაში, გოგონაა, ახლა ისეთ ბიჭს გისურვებ როგორიც შენა ხარ, არც უკეთესს, არც უარესს. ცხოვრების საძირკვლად შენისთანები გამოდგებიან.

— იულია, იულია, — ჩამოსძახებს კიბეებიდან დედა, — ამოდი ჩქარა, დროა!

— . —

— წავიდეთ, — ეუბნება მოხუცი ოლივიეს და მხრებზე ხელს მოხვევს, — წამო, მწყემსო, შენც, ამ მოლოდინში შენი ყოჩი ვნახოთ.

ბოსლის კარს აღებს.

— არლატენ! — ეძახის მწყემსი.

და ვერძი ამ ხმაზე მაშინვე უპასუხებს ხრინწიანი სასიყვარულო სიმღერით. პრიალა ჩრდილის შუა ადგილას, სადაც დამპალი ფოთლების და

ოფლის ორთქლი ირხეოდა, დაინახეს ყოჩი, რომელიც მორცხვი ნაბიჯით მოადგა სინათლეს. შუქი წითურ მატყლის დიდ ქარიშხალში შეიჭრა. ზღვის გრიგალივით დახვეულ ფართო რქებს მიუნათა. აი სდგას ცხვარი ნაბეკვარ წყვდიადში, თითქოს აქოჩრილი ტალღებით გარშემორტყმული.

მწყემსი მუხლის თავებზე დაეშვება.

— ისევ გხედავ, — ამბობს იგი ხმადაბლა. — მოდი, ჩემო კარგო, მოდი, დღესავით მშვენიერო, ხუჭუჭავ! ოჰ, ჩემო არლელო! ზღვის პირად მარილისთვის რომ მიგიყვანდი, თევზების ქარავანს აფრთხობდი. ჩემო მშვენიერო მზეო! შენ რომ ახლა ზღვიდან ამოდიოდე დაბანილი, დაიძახებდნენ: ეგვიპტიდან მოსულიაო.

ყოჩი უფრო ახლო მივიდა. თავი მიიბრუნა, რათა რქები უფრო მოხერხებულად დაეჭირა. თავი მწყემსის კისერს დაადო. ქშინავს, დროგამოშვებით სიხარულის ხმებს გამოსცემს.

— კარგად მოგივლია, — ეუბნება მწყემსი.

— გმადლობ, — უპასუხებს ბაბუა,

— ჩემზე უკეთესად.

— არა, შენზე უკეთესად არა. კეთილშობილი პირუტყვია. შეხედე, აგერ მთელი მისი ოჯახი იქ დიდიხანია გიცდის. ოთხ მაკე ცხვარს გვიტოვებს.

მწყემსი ფეხზე წამოდგება.

— შაბრან, — ამბობს ის, — აქ, ჩალაზე, ჩემს ყოჩთან, მშვიდად ვიგრძენი ცივი სიკვდილი. ხომ გახსოვს ის დღე, როდესაც შენგან წავედი? მე კი მახსოვს, რადგან ის დღე შანთით არის ამომწვარი ჩემში. მაშინ მითხარი: გმადლობ, რომ შენი გულშემატკივრობა მიჩვენეო. გაიხსენე, ბაბუა. მკაცრ ადამიანად მთვლიდი. მე კი ვფიქრობდი, რომ მართებულად ვიცქეოდი, — ყოველთვის გეშინიან გამოამჟღავნო შენი გულშემატკივრობა. ეს სამწუხარო ჭეშმარიტებაა. ფარა არასოდეს არ უნდა წაიყვანო ამოსაჟლეტად, როგორც მე მიმყავდა იმ გზებზე. უშჯობესია ადამიანებზე აიღო ხელი... ეჰ, თავი გავანებოთ ამას.

— . —

სახლიდან მოისმის: „ოლივიე“, „ბაბუა“, „მოდით“! და ფოთოლთა შრიალში სიხარულის ხმები ირხევა. დედამ ფანჯარა გააღო და ეძახის მათ. ოთახის სილრმიდან მადლონის სუსტი, დამშვიდებული ხმაც მოესმათ.

— მოვდივართ, მოვდივართ! — გასძახებს ბაბუა.

იგი ქალებს ეკითხება ღამის სიბნელეში:

— საღია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საუცხოო ბიჭუნაა! — უპასუხებენ.

— ნება მომეცი, წავიდე, — ამბობს მწყემსი, — არ მეწყინება, თქვენ ახლა სასიხარულო საზრუნავი გაქვთ.

— დარჩი, მწყემსო, — მიმართავს ოლივიე, — მე გთხოვ, ბავშვის მამა. პირველად უბედურება შეგვემთხვა: პატარა გოგონას, შენ რომ ნახე, უსიცოცხლო ფეხები აქვს. ახლა შეიძლება ჩვენს ოჯახში ბედნიერება შემოვიდეს. დარჩი, დაგვეხმარე შენი გამოცდილებით.

იულია კარებში დგას. წინსაფრით რაღაც მოაქვს.

— რა არის? — ერთად ეკითხებიან ბაბუა და ოლივიე.

— საუცხოო ბიჭი.

— გვაჩვენე.

იულია წინსაფარს გაშლის, შიგ ერთ ბღუჯა ბალახზე მთლად ტიტველი ბავშვი წევს.

პატარა, ჩვილ სხეულს, რომელსაც ნაკეცებში ჯერ კიდევ აქვს სისხლი შერჩენილი, ბაბუა ლაჯებში ხელს ჩაუდებს. თითებს მოუთათუნებს.

— დიახ, ეს ნამდვილი ვაჟკაცია, ყველაფერი თავის ადგილას აქვს.

ყოჩი წინ წამოიწევს და მიდის ბავშვთან, როგორც ბატკანთან, დასასუნავად.

— მიუშვი, — ამბობს მწყემსი, — კარგი ნიშანია, როცა ცხოველი ბავშვის დაბადებას ესწრება. ერთი არსება კიდევ შეემატა დედამიწას. მაშ, ბიჭუნა, შენ გინდა მწყემსების ძღვენი მოგართვა?

— ჰო, — ეუბნება ოლივიე, — მიეცით, რათა ბედნიერება ჩვენს მხარეზე იყოს.

მწყემსი კალათასავით მორგვალებულ ხელებში ბავშვს აიყვანს.

პატარას ტუჩებზე სულს შეუბერავს.

— ბალახის სიმწვანე, — ამბობს იგი.

ჩვილს მარჯვენა ყურში შეუბერავს.

— ქვეყნის ხმაურობა, — ამბობს იგი. შემდეგ თვალებში შეუბერავს.

— მზე, — და მერე ცხვარს მიმართავს: — ცხვარო, მოდი აქ. ამ პატარა ადამიანს სული შეუბერე, რომ შენსავით გამძღოლი გამოვიდეს, რომ ისეთი ადამიანი გამოვიდეს, რომელიც წინამძღოლი იქნება და არა სხვისი მაჩანჩალა. ახლა ჩემი ჯერია:

— ბავშვო, მთელი ჩემი ცხოვრება ფარის მწყემსად ვიყავი. მამაშენმა პატივი დამდო და აი ახლა გესალმები იმ დროს, როდესაც შენ ადამიანთა დიდ ფარაში შედიხარ.

„უპირველეს ყოვლისა გეუბნები: აი ღამე, აი ხეები, აი ცხოველები, და მალე დღესაც დაინახავ. შენ იცი ყველაფერი.

„და კიდევ დავუმატებ:

„დეე ზეცამ მისმინოს, რომ შენ იყო დინჯი და მტკიცე ყოველ სიყვარულში, იმ ადამიანივით, რომელსაც გუთნის სახელურებს ეჭიდავს და უფრო და უფრო ღრმად ხნავს.

„შენს თვალს მწუხარების ცრემლი ნუ ენახოს, სამაგიეროდ გასხლულ ვაზივით შვების ცრემლი ედინოს. ეს ცხოვრებას ფეხქვეშ გაგიფენს და ძალღონით აგავსებს.

„ცხოვრების გზაზე მხარბეჭი ლაღად გაგეშალოს.

„ბუმბულივით გეზიდოს ადამიანთა ტვირთი, გზისპირას წყარო გამხდარიყო.

„და ვარსკვლავები გყვარებოდეს".

— ყოჩაღ, — ამბობს ყრუდ ბაბუა.

— ბავშვი გაცივდება.

— დარჩეს ქალო, დარჩეს. ახლა უნდა იგრძნოს, თუ რა არის იმედი.

მწყემსი ბავშვს მაღლა აიტაცებს. ყოჩი დიდი, გაშლილი რქებიდან ჰორიზონტს გაჰყურებს და ტკბილად ბუზღუნებს. და იქ, შორს, თითქოს ამ ალერსიანი ღუღუნისაგან ღამე ნათლდება.

— სენ-ჟან! სენ-ჟან! — იძახის იულია, — შეხედეთ!

და შუალამისას მწყემსების ვარსკვლავი ამოდის.

თარგმანი ფრანგულიდან ირაკლიონ ქავთარაძისა

ეროვნული-
ბიბლიოთეკა

დიმიტრი გენაშვილი

დიდი შემოქმედი

„Вперед, вперед моя история"-
А. Пушкин.

რუსეთის გამოჩენილ მწერალს ი. ტურგენევს ერთ-ერთ თავის მშვენიერ პროზაიკულ ლექსში („Порог") დიდებულად აქვს აღბეჭდილი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის რუსი ინტელიგენციის მეამბოხე სულის სიდიადე. უზარმაზარ, მახინჯ, სახლის ღია კარის წინ სდგას ულამაზესი ახალგაზრდა ქალი. საიდუმლო ხმა აფრთხილებს—მოერიდოს დერეფანს, ნუ შევა ღია კარებში, „იქ სიცივე, შიმშილი, მძულვარება, დაცინვა, ზიზღი, შეურაცხყოფა, საპყრობილე, ავადმყოფობა და თვით სიკვდილია". მაგრამ ქალი არ შედრკება, მას არ უნდა „არც მადლობა, არც შებრალება, არც სახელი".

„მაშ რომ გასჭრიდეს, სისხლის დანაშაულსაც ჩაიდენ? — ეკითხება ქალს საიდუმლო ხმა. ქალმა თავი დაღუნა, პატარახანს უკან საიდუმლო ხმა განმეორდა: ის კი იცოდე, რომ შემდეგში იქნება რწმენა დაგეკარგოს და აღარ ინდომო, რაც დღეს გინდა და მაშინ იგრძნო, რომ მოსტყუვდი და ამაოდ დაღუპე ახალგაზრდა სიცოცხლე.

— ეგეც ვიცი და მაინც მინდა კარებში შესვლა.

— შედი.

ახალგაზრდა ქალი ფეხს გადაადგამს და მძიმე ფარდა ჩამოეფარება.

„სულელი"! წამოიძახა ვიღაცამ უკანიდან.

„წმინდა"! საიდანღაც გაისმა პასუხად.

ამ პატარა ესკიზში გენიალურად არის მოცემული ის დრო, როდესაც „სენატის მოედანზე გასროლილი ზარბაზნების ხმამ გამოაღვიძა მთელი თაობა". ესენი „14 დეკემბრის ადამიანები იყვნენ, გმირების ფალანგა, გამოკვებილი ნადირის რძით, როგორც რომული და რემი. ესენი იყვნენ რაღაც ბუმბერაზები, თავით ფეხამდე წმინდა ფოლადით ნაჭედნი გმირი მეომრები, რომელთაც შეგნებულად გასწირეს თავი, რათა გამოეღვიძებინად ახალგაზრდა თაობა და გაეწმინდათ ჯალათებისა და მონურ მორ-

ჩილების გარემოში დაბადებული ბავშვები“ (გერცენი). ეს ადამიანები წინ უსწრებდენ თავიანთ დროს და წინასწარ ხედავდნენ [illegible] ეპოქის განთიადს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ შესანიშნავ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა რუსეთის ერთი უგენიალესი მწერალი — ალექსანდრე სერგეისძე პუშკინი.

წარმოშობით პუშკინი თავადაზნაურთა წრეს ეკუთვნოდა და მოწოდებით მათი მომღერალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რუსეთის მაშინდელმა მდგომარეობამ აიძულა პოეტი, ზურგი შეექცია ალექსანდრე I მონარქიისათვის, მაშინდელი რუსეთის მოწინავე ინტელიგენციაში, რომლის წრეშიაც ტრიალებდა პუშკინი, ჯერ კიდევ ღვივოდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ნაპერწკალი. მას სურდა ფრანგების მსგავსად მონარქიის დამხობა და რესპუბლიკის დამყარება. მაგრამ ეს სახიფათო გზა იყო იმ დროში: რუსეთი ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული იმ იდეების გასატარებლად, რომელსაც რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია ბუნდოვანად გრძნობდა. კლასი, რომელსაც იგი ეყრდნობოდა სათანადოთ განვითარებული არ იყო. მას არ შესწვდა უნარი მთელი საზოგადოების დასამორჩილებლად და გარდასაქმნელად.

მოწინავე ინტელიგენციის წრემ თავისი დაღი დაასვა პუშკინის შემოქმედების პირველ ნახევარს; მან დასწერა ლექსი „Вольность“, სადაც მოცემულია მძაფრი კრიტიკა მათრახებისა და ციხეების მონარქიულ რუსეთისა.

„ვაიმე! სადაც კი სწვდება თვალი,
ყველგან მათრახი, ყველგან რკინა.
ურცხვთა კანონთა ურყევი რკალი,
უძლურთა ცრემლთა დახშული ბინა;
ყველგან რისხვა ხელისუფალთა,
უსამართლობის შავბნელი კალთა“.

1823 წელს პუშკინი კვლავ უბრუნდება სოციალურ კითხვებს. იგი სწერს პოემას: „ბოშები“. ამ პოემაში ალეკოს პირით კვლავ გაისმა აღშფოთების ხმა მონარქიული ველურობის წინააღმდეგ.

„წმინდა სიყვარულს სირცხვილად სთვლიან,
მისდევენ ურცხვად მონურ გზას ნაჩვევს,
კერპთა წინაშე თავებსა ხრიან
და მოითხოვენ ფულსა და ჯაჭვებს“.

მაგრამ თავისუფლების უკეთილშობილესი ხმა პუშკინს ყელში ჩაუწყვიტა 14 დეკემბრის კატასტროფამ. როგორც ცნობილია, ნიკოლოზ I სამეფო ტახტზე ასვლა სენატის მოედანზე გათამაშებული ტრაგედიით აღინიშნა. დეკაბრისტების დამარცხებამ ძლიერი გავლენა იქონია საზო-

გადოების შემდგომ განვითარებაზე და თვით პუშკინის პირად ბედზედაც. დეკაბრისტების სახით მაშინდელ სამომქმედო ასპარეზს ჩამოსცილდენ ყველაზე უფრო მოწინავე და განათლებული წრეები, ამიტომ ... სულიერი დაცემა, გონებრივი და ზნეობრივი დაქვეითება.

გერცენს ერთ-ერთ თავის მოგონებაში მშვენივრად აქვს მოცემული ეს დრო: „ძალიან ახალგაზრდა ვიყავი — სწერს გერცენი, — მაგრამ მახსოვს, რამდენად დაეცა მაღალი საზოგადოება, რამდენად ბინძური და ყურმოჭრილი მონა შეიქმნა იგი ნიკოლოზ პირველისა. ალექსანდრე პირველის დროინდელი არისტოკრატიული ქედმოუხრელობა, გვარდიული გამბედაობა გაქრა — 1826 წლიდან. ირგვლივ უდაბურება, ყველაფერი უპასუხისმგებლო, ადამიანობას მოკლებული, უნუგეშობა და მასთან რაღაც უმეცრება. გათახსირება და წვრილმანობა. თანამგრძნობის მაძებარი თვალი ხვდებოდა ლაქიურ მუქარას ან ლაჩრობას“.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ფრანგი მოგზაური მარკიზ დე კუსტინი ნიკოლოზ პირველის დროინდელ რუსეთზე სწერდა: „ყველა, ვინც ახლო გაიცნობს მეფის რუსეთს, მოხარული იქნება იცხოვროს სხვა მხარეში, სულ ერთია — სად. მუდამ სასარგებლოა იცოდეთ, რომ არსებობს ქვეყნად ისეთი სახელმწიფო, სადაც შეუძლებელია ბედნიერება; რადგან ადამიანი თავის ბუნებით არ შეიძლება ბედნიერი იყოს თავისუფლების გარეშე... ბოლოს რუსეთში თავისუფლების მზე ამოვა: იგი გააშუქებს იმდენ უსამართლობას და საშინელ სიმკაცრეს, რომ მთელი ქვეყანა შეძრწუნდება.“

ეს იყო მეტად მწარე და უნუგეშო ხვედრი რუსი ხალხისა (და არა მარტო რუსი ხალხისა). მონარქიზმის ბრჭყალებქვეშ ნადგურდებოდა ადამიანის პიროვნება. უფლება-მოკლებული ხალხი იმპერიის უსაზღვრო ტერიტორიაზე სულშეხუთული სცხოვრობდა. გაჭირვება, ტანჯვა „როზგი“, ციმბირი და სახრჩობელა ხალხის მუდმივი თანამგზავრებად გახდა. ცრემლი და სისხლი ალბობდა გაყინულ მიწას. ამ პროცესს თან სდევდა მაღალი საზოგადოების გონებრივი და ზნეობრივი დაცემა. საზოგადოების ეს ნაწილი ყურმოჭრილი მონა გახდა ნიკოლოზ პირველისა: ძველი არისტოკრატიული ქედმაღლობა, მლიქვნელობად, ლაქიობად შეიცვალა.

ძნელი იქნებოდა ამ საზოგადოებაში ცხოვრება ისეთ მგრძნობიარე და ჭკვიანი ადამიანისათვის, როგორიც იყო პუშკინი. 1826 წლიდან იწყება პუშკინის სულიერი ტრაგედია, რადგან ბედმა მას „მფარველად“ მიუჩინა ნიკოლოზ პირველის მარჯვენა ხელი — ჟანდარმთა უფროსი ბეკენდორფი. ბეკენდორფი ნიკოლოზ პირველის დავალებით სცდილობდა პუშკინის ჩამოცილებას ბრძოლის გზიდან და ამ ნიადაგზე მის გადაქცევას მონარქიული რუსეთის მომღერლად. ბეკენდორფი ხშირ შეხვედრას აწყობდა პუშკინთან რაც თავისთავად პოეტისათვის აუტანელ სულიერ ტანჯვასა და დამცირებას წარმოადგენდა. 1827 წელს ბეკენდროფმა მოახსე-

ნა ნიკოლოზ პირველს: „პუშკინი ჩემთან შეხვედრის შემდეგ ინგლისურ კლუბში აღტაცებით ლაპარაკობდა თქვენს უდიდებულესობაზე — სადილზე მყოფ პირებს თქვენი უდიდებულესობის სადღეგრძელო დალევინა. მიუხედავათ ამისა იგი მაინც გვარიანი ლაზღანდარაა, მაგრამ თუ მოვახერხეთ მისი კალმისა და სიტყვის შებრუნება, ეს ძალიან ხელსაყრელი იქნებაო". ამის შემდეგ პუშკინს, ან უნდა დაეწყო პოეტური ხოტბა მონარქიისათვის, ანდა ზურგი უნდა შეექცია მაშინდელ გაბატონებულ, მაგრამ ლაქიურ საზოგადოებისათვის. პუშკინმა მეორე გზა ირჩია და ამაშია მისი გენიალობა; იგი საყვირის მსგავსად ამცნობდა მონარქიულ, ბიუროკრატიულ საზოგადოებას:

„შორს ჩემგან! თქვენთან რა ესაქმება
უწყინარ პოეტს მოფრენილ ცითა:
გარყვნილებაში იქეცით ქვებად,
ვერ გაგაცოცხლებს ტკბილი ხმა სიმთა;
ხართ საზიზღარნი, ვით კუბოები.
ეძებენ მუდამ ციხეს და მათრახს
ბრაზით მძვინვარე თქვენი ბრბოები;
სხვა თქვენ სიკეთეს ვინ მოიგონებს?
გეყოფად ესეც უგუნურ მონებს. [1])

მიუხედავათ ამ მწარე დაცინვისა, ნიკოლოზ პირველს მაინც არ დაეკარგა იმედი პუშკინის მოჭკვიანებისა. სასახლის პოეტს ვ. ჟუკოვსკის

[1]) ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ პროფესორ სერგო დანელიას შემცდარი შეხედულება პუშკინის „პოეტზე". „აქ — სწერს დანელია, — მოცემულია ხელოვნების იდეალისტური ფილოსოფია. ესე იგი თეორია წმინდა ხელოვნებისა, ან „ხელოვნება ხელოვნებისათვის" (იხ. „ნარკვევები მე-19 საუკუნის რუსულ ლიტერატურის ისტორიიდან", გვ. 129). აქ არ შეუდგებით საწინააღმდეგო არგუმენტების მოძებნას, იგი თვით იმავე წიგნშია მოცემული. მე-99 გვ. იგი სწერს: „მთელ რიგ თავის ლექსებში „პოეტი"... და სხვ. — პუშკინი იბრძვის პოეტურ თავისუფლებისათვის მეფის ხელისუფლების დესპოტიზმისაგან, რომელსაც სურდა გენიალური მწერალი თავის მოჯამაგირედ ექცია და რუსული პოეზია დაებრუნებია 100 წლით უკან ტრეტიაკოვსკის ეპოქისაკენ".

და განა გასაკიცხია პუშკინი იმისათვის, რომ ზურგი შეექცია ნიკოლოზ პირველის დროის ცრემლისა და სისხლის სინამდვილეს! მაშ რატომ ცდილობს დანელია ლექსი „პოეტი" მოგვაჩვენოს, როგორც ქადაგება „ხელოვნება ხელოვნებისათვის", პუშკინი ხომ ამ ლექსით ეუბნება სასახლის ხროვას „შორს ჩემგან — თქვენთან რა ესაქმებაო". მაგრამ პროფ. დანელია უფრო შორს მიდის; მას პუშკინი მიაჩნია თავადაზნაურული ლიტერატურის სტილის პოეტად. „პუშკინი — სწერს დანელია, — იყო თავადაზნაურული ლიტერატურის კლასიკოსი" (გვ. 377).

ასეთი შეხედულება არ არის სწორი. არსებითად კი ვულგარული თვალსაზრისია, რომელიც სრულიად უსამართლოდ, ოდესღაც პისარევმა გამოთქვა პუშკინზე.

ნიკოლოზმა დაავალა—იმოქმედოს პუშკინზე. 1821 წელს 12 აპრილს ჟუკოვსკი სწერს პუშკინს წერილს, სადაც ვკითხულობთ: „ჩვენ ეს ახალგაზრდობა (ე. ი. მთელი მოზარდი თაობა) მოკლებულია ისეთ ადამიანს, რომელსაც შეუძლია მისცეს მას ცხოვრებაში დასაყრდენი წერტილი, ეცნობა შენი მშვენიერი პოეზიით მორთული მღელვარე აზრებს: შენ უკვე ბევრს მოუტანე გამოუსწორებელი ზიანი. ამან უნდა აგათრთოლოს შენ. ნიჭი არაფერს ნიშნავს, მთავარია ზნეობის სიდიადე“.

ასეთი იყო მაშინდელი გაბატონებული საზოგადოებრივი წრე, რომელსაც ვერ გაექცა პუშკინი, მიუხედავათ იმისა, რომ საკმაოდ გესლიანად გააკრიტიკა იგი. გენიალური შემომქმედი მაინც თავისი დროის პირმშო იყო და ასრულებდა ამ დროის ამოცანებს.

ისტორიამ პუშკინს იმავე როლის შესრულება დააკისრა, რაც მასზე ადრე შეასრულეს გერმანულ ლიტერატურაში გ ო ე თ ე მ, ფრანგულში—ჰ ი უ გ ო მ, ხოლო ინგლისურში — ბ ა ი რ ო ნ მ ა. ბელინსკი ტყუილად როდი ეძახდა პუშკინს „რუსეთის ნაციონალურ ბაირონს“. პუშკინის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დროს მოწინავე ქვეყნების ლიტერატურაში რომანტიზმი ზეიმობდა თავისი ძლევამოსილ გამარჯვებას კლასიციზმზე. რომანტიზმა რაღაც ჯადოსნური ძალით უკვე უმღერა დიდების ჰიმნი საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიერ მკვდრეთით აღდგენილ ადამიანის პიროვნებას. ათეულ წლების განმავლობაში შებორკილმა ადამიანის ინდივიდუალობამ მთელი ძალით იჩინა თავი. საზოგადოება ზეიმობდა პიროვნების თავისუფლებას; ეს პროცესი რომანტიზმის მამოძრავებელ ძალად გადაიქცა. ლიტერატურული დესპოტიზმი მოწინავე ქვეყნების ლიტერატურაში უკვე ითვლიდა აღსასრულის დღეებს. ეს ამათრთოლებელი წუთები რუსეთმაც განიცადა. დეკაბრისტების გამოსვლა დაკავშირებული იყო პიროვნების გაღვიძებასთან. ამ აზრით რომანტიზმს თავისი სასიცოცხლო ფესვები ღრმად ქონდა გადგმული ცხოვრების გულში. „ცხოვრება იქ არის, სადაც ადამიანია; სადაც ადამიანია, იქ რომანტიზმიცაა“, — სწერდა ოდესღაც ბელინსკი, ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები სარჩულად დაედვა ლიტერატურის ახალ სტილს.

ამ რიგად რომანტიზმს უნდა აღედგინა წარსული, უკუღმართი, ყრუ ეპოქის მიერ ჯვარზე გაკრული ადამიანები, რათა მომავალი თაობისათვის გადაეცა ის, თუ როგორ ცხოვრობდენ ადამიანები წარსულში, რამდენი ცრემლი და სისხლი დაიღვარა გულცივ დედამიწაზე.

რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული სტილი, რა თქმა უნდა არ უარყოფს პოზიტიურ ქვეყანას, როგორც შემეცნების საგანს. კერძოთ, გოეთეს, ბაირონის, ჰიუგოს და პუშკინის რომანტიზმი გამოდის იმ ფილოსოფიურ შეგნებიდან. რომ „მთელი ქვეყანა — ყოვილი ყვავილი, ფერი, ხმა, ყველაფერი ბუნებისაგან, სიცოცხლისაგან აღმოცენილი — პოეზიის საგანია“. მაგრამ მათი გაგებით, „პოეზიის აზრი, მისი არსი ის არის,

რაც დამალულია აღმოცენილ საგანში, რაც აძლევს საგანს სიცოცხლეს, რითაც საგნის სიცოცხლის მოძრაობა ხიბლავს ადამიანს, [illegible]ებაში სინამდვილე გავს სინამდვილეს, მაგრამ ნამდვილი კი [illegible]ნების ქმნილება... რომელიც მოგონებაზეა დაფუძნებული, უმაღლესია ყოველ ჭეშმარიტად მომხდარ ამბავზე". რომანტიკოსების აზრით, „პოეზია არის სიცოცხლე გაუმჯობესებული, არის სინამდვილე გაცხოველებული აზრითა და მხატვრობით".

ხელოვნების დანიშნულებაზე ჰიუგომ დრამატიულ ნაწარმოების „კრომველის" წინასიტყვაობაში მოგვცა ახალი შეხედულებანი წინააღმდეგ ცრუ კლასიციზმისა". დღეიდან — ამბობს ჰიუგო, არ არსებობს წესი და მაგალითები! ან უფრო მართალი რომ ვსთქვათ, არ არსებობენ სხვა კანონები, გარდა ბუნების საზოგადო კანონებისა, რომელიც ბატონობს მთელ ხელოვნებაში; არ არსებობს სხვა რომელიმე კანონი, გარდა სპეციფიური კანონისა, რომელიც გამომდინარეობენ თვითონ ნაწარმოების სიუჟეტის განსაკუთრებული თვისებიდან... პოეტს მრჩევლებად უნდა ჰყავდნენ: ჭეშმარიტება, ბუნებრივობა და თავისი საკუთარი აღმაფრენა". საყოველთაოდ ცნობილია, რომ კლასიციზმის საფუძველზე ცრუკლასიკური პოეტები ცოცხალ, მომქმედ ადამიანების ნაცვლად ქმნიდენ ლოგიკურად განყენებულ ტიპებს; რაც უფრო განყენებული იყო მათი მოქმედების პირობები, მით უფრო ეთანხმებოდა იგი ცრუკლასიკურ ლიტერატურულ სტილს. ჰიუგოს აუცილებლად საჭიროებად მიაჩნდა, რომ „ტიპები ცხოვრობდენ და მოქმედებდენ კონკრეტულ პირობებში. მოქმედების ადგილის გამოხატვა შეადგენს რეალიზმის პირველ მოთხოვნილებას. განა პოეტი გაჰბედავს მოჰკლას რიციო სადმე სხვა ადგილს თუ არა მარიამ სტიუარტის ოთახში. განა შესაძლებელია გენრიხ მე-4 ხანჯლით გაუგმირო გული სხვაგან, თუ არა დიდ ქუჩაზე, სადაც ხალხი და ეტლები ერთმანეთში ირევიან". ამ რიგად ხელოვნებაში აღწერილი მოქმედება უნდა შეეფარდებოდეს ეპოქასა და ადგილს.

მაგრამ ჰიუგოს აზრით „ხელოვნებაში სიმართლე კიდევ არ არის სინამდვილის აბსოლუტური გადმოცემა". მისი აზრით სფერო ბუნებისა და სფერო ხელოვნებისა სხვადასხვაა. ხელოვნური იდეალურს უერთებს მიწიერს და დადებით. ხელოვნება სარკეა, რომელშიაც იხატება ბუნება. მაგრამ თუ ხელოვნება ნამდვილ ჩვეულებრივ სარკეთ იქნება სწორი ზედაპირით — მისი ანარეკლი იქნება ფერმკრთალი, რეალობას მოკლებული. ის სწორი იქნება, მაგრამ უფერული, ცნობილია, რომ ფერები და საღებავები იკარგებიან ანარეკლში. იგი უნდა იყოს კონცენტრაციის-მქნელ სარკედ: მან კი არ უნდა შეასუსტოს ფერადი სხივები, არამედ ერთად მოაგროვოს და გააცოცხლოს იგი."

რომანტიკოსების აზრით, ხელოვნება ფურცლავს საუკუნეთა ბუნების დიდ წიგნს, ეკითხება ქრონიკებს, ავსებს იქ დაშვებულ ნაკლს, ალადგენს ფაქტებს, ზნეობრივულებებს, ხასიათებს, ფანტაზიის შემოქმედებითით ავსებს უფსკრულებს, აერთებს მოვლენებს, რომელიც დაყოფილია ცალკე ნაწილებად, შეაქვს მათში ჰარმონია. ამიტომ რომანტიკოსებისათვის აწმყო არ არის პირდაპირი და უშუალო შემოქმედების მასალა, ისინი ცდილობენ მოსცილდენ აწმყოს სიხარულსაც კი: „აწმყო არ არის ჩვენი, ამბობენ რომანტიკოსები, — რადგანაც ის თვითვე გვიტაცებს თავისკენ, და თვით აწმყო სიხარულიც კი სამძიმოა ჩვენთვის, ისე როგორც მწუხარება: არა ჩვენ, არამედ ის გვიმონებს, გვჯობნის, გვიპყრობს; და თუ გინდა დასტკბე და ისიამოვნო აწმყო სიხარულით, უნდა განშორდე მას რამდენიმე მანძილზე, ისე, როგორც უნდა განშორდე სურათს სინათლის გულისათვის. განშორებული... ისე უნდა უყურებდე, როგორც ჩვენს გარეშე მყოფ საგანს... სიშორე უმალვე აცილებს ჩვენს თვალს ყოველ უთანასწორობას, შემთხვევითობას, უწმინდურ ლაქებს, რომელიც კი ახლო ყოფნის დროს პირველად გვხდებიან თვალში“.[1]) ასეთი იყო ესთეტიური შეხედულება სინამდვილეზე რომანტიკოს პოეტებისა და კერძოდ პუშკინისა: და მართლაც, რა სახარბიელო იყო პუშკინისათვის ნიკოლოზ პირველის დროინდელი სინამდვილე? განა ამ სინამდვილემ არ დააბნო პოეტის უკეთილშობილესი მიზნები და სიჯაბუკის მისწრაფებანი უკეთეს მომავალისაკენ? განა ამ სინამდვილემ არ აიყვანა სახრჩობელაზე რუსეთის მაშინდელი საზოგადოების ყველაზე უკეთესი წარმომადგენელნი დეკაბრისტები? ნიკოლოზ პირველის დროინდელი სინამდვილე ცრემლისა და სისხლის სინამდვილე იყო: ამით აიხსნება მისდამი პუშკინის სიძულვილი. ჯერ კიდევ 18 წლის პოეტმა პირველ ლექსში („თავისუფლება“) გამოსთქვა თავისი ზიზღი მონარქიზმის წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც ზემოდ ავღნიშნე, თავისუფლების ამაყი ხმა პოეტს ყელში ჩაუწყვიტეს 14 დეკემბრის კატასტროფით.

ამ კატასტროფის შემდეგ პუშკინს, ბაირონის მსგავსად, თან დაჰყვა ორი დამახასიათებელი ტენდენცია: ერთი მხრივ — გაბედული უარყოფა და ზიზღი არსებული სინამდვილისა, მეორე მხრივ — რომანტიული მელანქოლია, რომელსაც ზოგჯერ უკიდურესობამდე მიჰყავდა პოეტი.

„ჩემ გვირგვინს სდევდა სასტიკი ბედი
და ზედ ყვავილი დასჭკნა ყოველი:
მე მარტო ვცხოვრობ, სავსე ვარ სევდით
და აღსასრულსაც სევდით მოველი“.

---

[1]) В. Белинский — том II, გვ. 94, 96, 98 (стихотворения М. Лермонтова).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ პოეტის ცხოვრებაში კატასტროფა არ მომხდარა. ამისათვის კავკასიას უნდა უმადლოდეთ. „ბედმა, — სწერდა გოგოლი, თითქოს განზრახ გადაისროლა იგი იქ, სადაც რუსეთის საზღვრები განირჩევა მკვეთრად თავისებურებით, სადაც რუსეთის სწორი, თვალუწვდენელი სივრცე სწყდება ღრუბლებამდე ასული მთებით და სამხრეთის სიოთი. მუდმივ თოვლით დაფარულმა ბუმბერაზმა კავკასიონმა ბორცვებიან ველებში გააოცა იგი. მან, შეიძლება ითქვას, გამოიწვია მისი სულის სიძლიერე და დასწყვიტა უკანასკნელი ბორკილები, რომელიც ჯერ კიდევ ბოჭავდნენ თავისუფალ აზრს. იგი დაატყვევა თავზე ხელაღებულ მთიელთა თავისუფალმა, პოეტურმა ცხოვრებამ, მათმა ბრძოლამ, მათმა სწრაფმა გაბედულმა თავდასხმებმა; და ამის შემდეგ მისმა კალამმა მიიღო ის ფართო გაქანება, ის სისწრაფე და გამბედაობა, რაც აგრე აკვირვებდა და აოცებდა კითხვის ახლად დამწყებ რუსეთს. გვიხატავს იგი ჩაჩნისა და კაზაკის შეტაკებას — მისი ენა ელვაა; იგი ისევე ბრწყინავს, როგორც ელვარე ხმალი... მხოლოდ ის არის კავკასიის მომღერალი: მთელი სულითა და გრძნობით უყვარს იგი: იგი გამსჭვალულია და გაჟღენთილი მისი საუცხოვო მიდამოებით, სამხრეთის ცით, მშვენიერი საქართველოს ხეობებით და ყირიმის იშვიათი ღამეებითა და ბაღებით. შეიძლება იგი თავის შემოქმედებაში ამიტომ არის უფრო მხურვალე და მგზნებარე იქ, სადაც მისი სული სამხრეთს შეეხო“ [1]).

პირველი რომანტიული პოემით („კავკასიის ტყვე“)—პუშკინი უკვე გამოდიოდა მოწაფეობის ასაკიდან და იწყებდა სერიოზულ მუშაობას დამოუკიდებელ მხატვრულ ნაწარმოების შესაქმნელად. „დამოუკიდებელი“ ვამბობ იმიტომ, რომ პუშკინი ამ პოემით თუმცა თავისუფლდებოდა ძველი კლასიციზმის გავლენისაგან, მაგრამ მასში მაინც მოსჩანდა გავლენის ელემენტები. ბელინსკი ფიქრობდა, რომ ზემოაღნიშნული პოემა, როგორც ლექსი მშვენიერია, შიგ ნამდვილი პოეზიაა. მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის მხატვრობა, რომელსაც ხელოვნების დიდი ოსტატები ქმნიან. თვითონ პუშკინი — წერილში „მოგზაურობა არზრუმში“ — სწერდა: აქ ვიპოვე „მე კავკასიის ტყვეს“ გასვრილი ხელთნაწერი და, გამოტყდები, დიდი კმაყოფილებით გადავიკითხე, ყველაფერი ეს სუსტია, ახალგაზრდული, სრული არ არის, მაგრამ ბევრი რამ სწორედ არის მიხვედრილი და გამოთქმული“.

ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვები, ძირითადად შეეხებიან ლექსის არა ფორმალურ, არამედ იდეურ მხარეს. „კავკასის ტყვე“ ერთი პირველ ნაწარმოებთაგანი იყო, რომელშიაც პუშკინმა გამოხატა თავისი იდეური დამოკიდებულება მაშინდელ ოფიციალურ რუსეთთან. მღელვარე სტრი-

---

[1]) Н. В. Гоголь — „Несколько слов о Пушкине“.

ქონები, რომლითაც პოეტი ქება-დიდების ჰიმნს უმღერს თავისუფლებას, ძლიერ ახლოს გეაგრძნობინებს ახალგაზრდა პუშკინის სულიერებას.

„თავისუფლებავ! შენ გეძებდა
მხოლოდ ერთს მარტო ამ ქვეყანაზე,
დაფერფლა სული რა ვნების ცეცლხმა
და გაუგრილდა გული ლირაზე.
მძლე მღელვარებით უგდებდა ყურსა
შენზე სიმღერას აღტაცებითა;
და შენ ამაყ კერპს რწმენით და ლოცვით
გულში იკრავდა გატაცებითა“.

პუშკინის ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ „კავკასიის ტყვე“ იდეალიზირებული ნაწარმოებია. იქ მომხდარი ამბავი თითქოს არ შეესაბამება სინამდვილეს და წარმოადგენს მხოლოდ პოეტის ფანტაზიას. ამავე დროს უსაყვედურებენ პოეტს, თითქო შავი ფერებით ხატავდეს ჩერქეზთა ცხოვრებას. მაგრამ გონების თვალით დაკვირვებული მკითხველისათვის სრულიად ნათელია, რომ პუშკინი (თუმცა რომანტიზმის ძლიერი გავლენის ქვეშ) ამ პოემაში დაყრდნობილია რეალურ მოვლენებზე: იგი ქმნიდა ცხოვრების გულიდან ამოღებულ მხატვრულ სახეებს: ამავე დროს პოეტი დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მთიელ ხალხს. მართალია ხანდისხან უთითებდა მათ ადამიანურ ნაკლოვანებაზე, მაგრამ შესანიშნავი პოეტური ფერებით ხატავდა მათ ვაჟკაცობას, გამბედაობას, სტუმართ მოყვარეობას.

„როცა ჩერქეზი მშობლიურ სახლში
ზის და იმის წინ ღვივის ლადარი,
ოდეს ცა ბნელი, მოღუშულია,
წვიმს და თარეშობს გარედ ავდარი;
უდაბურ მთებში ნაგვიანები,
დაღლილი მგზავრი მოუხვევს ცხენით,
შედის იმასთან და მოკრძალებით
ცეცხლს მოუჯდება თვალების ბრწყენით;
მაშინ მასპინძელს დინჯ მისალმებით,
მოაქვს შარბათით სავსე ფიალა
და ჩიხირს, ტკბილს და მხიარულს
სთავაზობს სტუმარს ალერსიანად;
შემდეგ ისვენებს ბოლიან სახლში
სველ ნაბდის ქვეშ და არ აკრთობს ჯავრი,
დილით კი სტოვებს სტუმართმოყვარულს
ჩარდახს მადლობით და მიდის მგზავრი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი პოემა ერთი გრძელი სიმღერაა ადამიანის განუმეორებელ სიცოცხლეზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე; ყოველივე ეს უშუალოდ დაკავშირებული პოეტის სულთან.

ამრიგად პოემა „კავკასიის ტყვე“ პუშკინის შემოქმედებაში წარმოადგენდა ერთგვარ უღელტეხილს, საიდანაც იწყებოდა დიდი მდინარის წმინდა ნაკადულების სათავე. „ბალჩისარაის შადრევანით“ პოეტმა ერთი უძლიერესი ნაბიჯი გადაგა წინ. ფორმის მხრივ ეს პოემა დამოუკიდებელი ხდებოდა კლასიციზმისაგან, თუმცა ჯერ კიდევ ეტყობოდა ახალგაზრდობა.

მაგრამ სოციალური საჭირბოროტო კითხვები პუშკინს არსად ისე რადიკალურად არ დაუყენებია, როგორც „ავაზაკ ძმებში“. პოემის დასაწყისშივე პოეტი დიდი სოციოლოგის თვალით ზომავს ბოროტების წარმომშობ მიზეზებს. უსახლკარობა, შიმშილი და შიში აიძულებდა ადამიანის ერთ ნაწილს ავაზაკობის დაწყებას. სიყმაწვილის განთიადზე ავაზაკი ძმები მოკლებულნი იყვნენ დედის მშობლიურ ალერსს, ნათესავებისა და მეგობრების მზრუნველ ხელს: გაჭირვება, ტანჯვა, უბინაობა მათ მიაქანებს უფსკრულისაკენ.

„ვიყავით ორნი: მე და ჩემი ძმა
და ვიზრდებოდით ერთად ტოლებად;
ჩვენ სიყმაწვილეს ასაზრდოებდა
სხვისი ოჯახი, სხვისი ქონება.
გვქნოდა ცხოვრება უსიხარულო
და გაჭირვების გვერტყა რკალები,
კარგად ვიცნობდით და გვაღელვებდა
უხეში შურის ფიქრთა წვალება.
არ შეგვრჩა ობლებს ტკაველი მიწა
და არც ქოხმახი თავშესაფარი“.

ამ სიტყვებში ისმის მწარე ხვედრი იმ ადამიანთა, რომლებმაც სოციალურ უთანასწორობის გამო ყველაფერი დაკარგა ცხოვრებაში: საკუთრება, რომელიც ამ ადამიანებს აკავშირებდა მიწასთან, ქვეყანასთან — უკვე წაართვეს; ამ ნიადაგზე მათ აღარ აქვთ დასაყრდენი წერტილი და იძულებული არიან მოსცილდენ ადამიანური ცხოვრებას.

„მოგვწყინდა ბოლოს ყოფა ამგვარი
და შეუთანხმდით ერთმანეთს მასში,
გამოგვეცადა სხვა ბედის ხელი,
და ავირჩიეთ ამხანაგებად:
ბასრი დანა და ღამე ბნელი.
დავაგდეთ შიში და მწუხარება
და სინდისზედაც ავიღეთ ხელი.“

სოციალურმა უთანასწორობამ ასე გადააქცია ავაზაკებად ადამიანები, რომლებსაც შეცვლილ პირობებში შეეძლოთ სასარგებლო საქმის გაკეთება. „ავაზაკ ძმები“თ პუშკინმა ბრალი დასდო ოფიციალურ რუსეთს, რომ თვით იგი იყო დამნაშავე და პასუხისმგებელი ავაზაკ ძმების მოქმედებისათვის.

პუშკინი მთელი პოეტური სიძლიერით პოემა „ბოშებში“ გამოჩნდა, ეკითხულობთ რა ამ ნაწარმოებს, ჩვენ ფეხსა ვდგამთ სრულიად უალ გზაზე; ეს იყო თავისუფლების, ვაჟკაცობისა და გამებდაობის დიდებული ჰიმნი. ალეკოს პირით მაშინდელ ყრუ ეპოქაში დაილაპარაკა თავისუფლების მოყვარულმა ადამიანმა, რომელმაც ვერ მონახა „თავისუფალი სული, საზრდო“ სატახტო ქალაქში და იძულებული გახდა მოსცილებოდა ამ გახრწნილ ატმოსფეროს. მაგრამ ალეკომ ვერც მოხეტიალე, თავისუფალ ბოშებში იპოვა დასაყრდენი წერტილი, რადგან ბოშების ტრადიციული ჩვეულებები ზოგჯერ სასტიკ კანონებზე უსასტიკესი იყო.

ისტორიულად ყოველი რომანტიკოსის ცხოვრების წარსული განსაკუთრებულ მაგიურ როლს თამაშობს მის შემოქმედებაში. ამ მაგიურმა ძალამ დაატყვევა ბაირონის აჯანყებული სული „ჩაილდ-ჰაროლდში“. ბრძოლაში დაღლილი პოეტი ეთხოვება სამშობლოს ნაპირებს. ამ დაშორებამ პოეტის ხსოვნაში აღადგინა განუმეორებელი სიჭაბუკის წლები. რა მომხიბლავად ეხატებოდა ბაირონს ყოველივე ის, რამაც ესოდენ ჭრილობა მიაყენა დავაჟკაცების დროს. „როგორ დიდებულად მეჩვენება ყოველივე, რაც მაახლოვებს ჩემს სიჭაბუკესთან; რამდენი სიხალისე, გამბედაობა და ნებისყოფა იყო დაგროვილი იქ... და როგორ უანგარიშოდ ვხარჯავდი ახალგაზრდობის საგანძურს“ — სწერდა თავის დღიურში.

განა ამასვე არ გრძნობდა პუშკინი, როცა იგი სწერდა გენიალურ ლირიკულ ლექსს „ცხრამეტი ოქტომბერი“. „როცა ჩვენ ვშორდებით ჩვენი ცხოვრების პირველ განთიადს, ჩვენთვის საყვარელი ხდება თვით მწუხარებაც. ჩვენ სიამოვნებას გვგვრის მისი მოგონება. ყოველივე წარსული გვეჩვენება სხვანაირად, ფერგამოცვლილად. ბედნიერებას ვხედავთ იმაში, რაც თავის დროზე უბედურება იყო. სიშორე გვიმალავს უწმინდურ ლაქებს“. „ცხრამეტი ოქტომბერი“, — ეს დიდებული ნიმუში პოეტური გენიისა განუმეორებელი სიმღერა იყო სიჭაბუკის იდეალებზე, რომელიც დაიმსხვრა უთანასწორო ბრძოლაში.

პუშკინის მოძრავი, მღელვარე, შფოთიანი ბუნება, რომელსაც არ შეეძლო შერიგება და დაკმაყოფილება „ცხრამეტ ოქტომბერ“-ში მოგვევლინა უსაზღვროდ დამწუხრებული. პუშკინის ამაღელვებელ, მებრძოლ ტონს აქ სცვლის დიდებული სიმშვიდე და ნაზი სიდიადე. პოეტი გასაოცარ ძალას იჩენს ლექსის თხზვაში. განცვიფრებული ხართ, საიდან მოდის ასეთი უხვი სიმდიდრე უმშვენიერესი ხელოვნებით მორთული აზრებისა. დიდებული გრძნობები, რომლებიც გამომდინარეობენ ხელოვნების

ემბაზიდან ატყვევებენ მკითხველს. „ცხრამეტმა ოქტომბერმა“ დაბეჭდვის-თანავე განცვიფრებაში მოიყვანა ისინიც კი, რომელთაც [illegible] იმ-დენი გემოვნება და სულიერი განვითარება, რომ მისი გაგება შესძლებო-დათ. მაგრამ „ის, რაც გაბედულია, უფრო მისაწვდომია, უფრო ძლიერ-ად აფართოებს სულს, განსაკუთრებით კი ჭაბუკურ სულს, რომელსაც მხოლოდ არაჩვეულებრივი სწყურია“, (გოგოლი).

თუ რა სიძლიერეს აღწევდა პუშკინის აღნიშნული ლირიკული ლექ-სის იდეურ-ესთეტიური ზემოქმედების უნარი, ამას მშვენივრად ადასტუ-რებს მაშინდელი ეპოქის ერთი უდიდესი ადამიანის ბელინსკის ცხოვრე-ბის ერთი შტრიხი. როცა ბელინსკი „ცხრამეტ ოქტომბერს“ კითხულობ-და, მან იგრძნო რაღაც არაჩვეულებრივი სიდიადე პოეზიისა. იძულებუ-ლი იყო აღიარებინა, რომ „პოეზია არის მსოფლიო სიცოცხლის მაჯის-ცემა, მისი სისხლი და ხორცი, მისი ცეცხლი, სინათლე და მზე“. შეიძ-ლება ბელინსკის შეფასებაში პოეზიის როლის გადაჭარბება იყო, მაგრამ განა უდავო არ არის, რომ პუშკინის ყოველი ლექსი მკითხველს ამაღ-ლებს სულიერად, ამდიდრებს მის გონებას და აცხოველებს გრძნობას? ამ აზრით „ცხრამეტი ოქტომბერი“ დარჩება რუსული პოეზიის განუმეორ-ებელ შედევრად [1]).

---

[1]) როდესაც „19 ოქტომბრის“ ქართულ თარგმანს ვკითხულობთ — დედნიდან მი-ღებული შთაბეჭდილებანი ჰქრება, რუსულ ტექსტში პუშკინის მიერ დანთებული დიდი ცეცხლი ქართულ თარგმანში ფერფლად იქცევა. ლექსმა უხეირო თარგმანში დაკარგა პუშკინისებური ელვარება, სინათლე და გრძნობიერება. „19 ოქტომბრის“ ქართულ თარგმანში შეცვლილია, არა მარტო პუშკინის დიდებულ აზრთა თანმიმ-დევრობა, არამედ დარღვეულია ლექსის შინაგანი ძალაც. თარგმანში მომატებულია სტრიქონები, სიტყვები და ზოგჯერ აზრიც, რომელიც ორიგინალში სრულიად არ არის. „19 ოქტომბერ“-ში პუშკინი ერთერთ ადგილს ნაღვლიანად მიმართავს თავის ლიცეის მეგობარს — კიუხელბეკერს და ეუბნება შემდეგს:

„Скажи, Вильгельм не то ль и нами было
Мой брат родной по м у з е, по с у д ь б а м“.

ეს ადგილი ნათარგმნია შემდეგ-ნაირად:

„ვილგელმ ორთავეს ჩვენ ეს ხშირად გამოგვიცდია,
ხომ ჩემო ძმაო ხორციელო, ჩემო პოეტო“.

ქართულად ნათარგმნიდან ვერ გაიგებს მკითხველი, თუ რისი თქმა უნდოდა პუშკინს ამ სტრიქონებით; რუსულ ტექსტში კი ეს მშვენივრად არის მოცემული. ამ სტრიქონებში მახვილი დარტყმული აქვს ერთნაირ ბ ე დ ს ა და მ უ ზ ა ს, რომელიც ცხოვრებამ არგუნა ორივე მეგობარს. სწორედ ამიტომ უწოდებს პუშკინი კიუხელ-ბეკერს ღვიძლ ძმას. ქართულ თარგმანში კი, რაღაც მოსაზრებით, ამოგდებულია სიტყვები „ბედი“ და „მუზა“, რომელთა გარეშე შეუძლებელია პუშკინის ღრმა აზ-რის გაგება. ეს უბრალო ქირურგიული პროცესი კი არ არის, არამედ ფსიქოლოგიური ოპერაციაა, რომელიც სცვლის ლექსის არსს.

როგორც ცნობილია, შემდგომ წლებში, მაშინდელი პოლიტიკური პირობების გამო, პუშკინის ლირიკული მუზა თანდათან დადუმდა და მის შემოქმედებაში ეპოსმა გაიმარჯვა.

„მე მკაცრი წლები პროზისკენ მხრიან,
წლები ცელქ რითმებს უკვე სდევნიან“.

ჰომიროსის მსგავსად, პუშკინი ძლიერი ხმით მოუწოდებს ეპოსის მუზას:

„ეპოსის მუზავ, შენ გევედრები,
მომეც მე კვერთხი სწორი, მართალი“.

„ევგენი ონეგინი“ პუშკინის შემოქმედების განვითარების გზაზე წარმოადგენდა ახალ ეტაპს. ამ ეტაპზე სამხრეთის ძლიერი გავლენა, რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა პუშკინის შემოქმდებაში, თანდათან სუსტდება. „ევგენი ონეგინ“-ში მოცემულია სატახტო ქალაქის ყოფა, რომელსაც ერთ დროს გაექცა პოეტი. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს პოემა წარმოადგენდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის რუსეთის ცხოვრების სრულყოფილ, მხატვრულ ისტორიას. „ევგენი ონეგინს“, — სწერდა ბელინსკი, — აქვს არა მარტო ესთეტიური მნიშვნელობა, არამედ უდიდესი ისტორიული და საზოგადოებრივი მნიშვნელობაც“ [1]).

ევგენი ონეგინი, როგორც ტიპი, ადამიანთა იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, რომლებიც წარმოშვა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარმა, არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპის მოწინავე ქვეყნებშიც. ამ ადამიანებს ოდესლაც „უდროობის გმირები“ უწოდეს; სახელწოდება სავსებით გამოხატავდა მათ ბუნებას. ბაირონის მოუსვენარმა გენიამ ეს ადამიანი ყველაზე ადრე შენიშნა და ჩაილდ-ჰაროლდის სახის მთელ ქვეყანას ამცნო მისი დაბადება. ბაირონმა ჩაილდ-ჰაროლდში, როგორც ფოკუსში, შეაერთა მე-19 საუკუნის პოლიტიკური მსოფლმხედველობა, ამ ეპოქის მორალი და დროის მწარე გამოცდილება. ჩაილდ-ჰაროლდს — ინგლისში, ბალზაკის რაფაელს — საფრანგეთში, გოეტეს უკვდავ გმირებს — გერმანიაში, ევგენი ონეგინს და პეჩორინს—რუსეთში შეეძლოთ გაემეორებიათ ტყვე სპარტანელ ჯარისკაცის პასუხი, რომელიც სიკვდილის წინ წარმოსთქვა ათინელ მოსამართლეთა შეკითხვაზე: „რისთვის ვცხოვრობდი? რა მიზნისათვის დავიბადე? ალბათ მიზანი არსებობდა და მეც მქონდა მაღალი დანიშნულება“.

ჩაილდ-ჰაროლდს რაფაელს, ევგენი ონეგინს, პეჩორინს, — მართლაც მაღალი დანიშნულება ჰქონდათ, მაგრამ იმ საუკუნეში, პოლიტიკურ და სოციალურ უთანასწორობის გამო მათთვის დახშური იყო სამოქმედო ასპარეზი. ამ მიზეზით მათ არ შეეძლოთ დანიშნულებისამებრ გამოეყე-

[1]) В. Белинский — том III. 1896 წ., გვ. 572.

ნებინათ საკუთარი სულიერი ძალები. ასპარეზის უქონლობამ ნიჭიერი ონეგინი, რომელსაც უეჭველად მაღალი დანიშნულება ჰქონდა, — აქცია უდროობის გმირად. უდროობამ ამ ადამიანში ჩაჭკლა დიდი მიზნები და მისწრაფებანი, სამაგიეროდ გააღვიძა წვრილმანი ინტერესების გრძნობა. შინაგანი ხმა მოუწოდებს ონეგინს დიდ საქმეებისაკენ, მაგრამ არ არსებობდა არავითარი შესაძლებლობა სურვილის სისრულეში მოყვანისათვის. შინაგანი სურვილისა და ობიექტურ შესაძლებლობას შორის მომხდარ კომფლიქტის მიჯნაზე წარმოშობილი ადამიანური ტრაგედია გენიალური მხატვრული ფერებით მოგვცა პუშკინმა — „ევგენი ონეგინის“ სახით.

ევგენი ონეგინი თავის დროის პირმშო შვილია; დეკაბრისტების დამარცხებამ—მოწინავე საზოგადოების ერთ ნაწილში ონეგინისთანა ტიპები წარმოშვა. რაინდული გამბედაობა, რომელიც დეკაბრისტებს ახასიათებდა, მათი დამარცხების შემდეგ შეიცვალა გაუბედაობათ. ონეგინის ტიპის ადამიანები ალღოთი გრძნობენ, რომ თვითმპყრობელური სინამდვილე მათ სურვილსა და მისწრაფებებს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მათ არ ყოფნიდათ გამბედაობა აშკარად ბრძოლისათვის ამ სინამდვილის წინააღმდეგ.

ონეგინი გაუბედავი იყო პირად ცხოვრებაშიაც; ტატიანას სიყვარულზე მან უარი განაცხადა მეორე-მესამე ხარისხოვანი მიზეზების გამო; არსებითად კი ონეგინმა დაკარგა პირადი ცხოვრებაც, მაგრამ არა იმიტომ, რომ იგი მსხვერპლად მიიტანა ხალხის სამსახურის საქმესთან, არამედ გაუბედაობით, ნების-ყოფის სისუსტით, რადგანაც არ შეუძლია ერთგული მეგობარი დარჩეს ტატიანასი.

„უარეს კაცი რას ნახავს მასზე,
როცა ოჯახში ცოლი საწყალი,
ბედის მგმობელი, სწუხს ულირს ქმარზე,
და დღე და ღამე უტირის თვალი.
როცა აფასებს მას ქმარი, მარა
მაინც ბედს სწყევლის ის წარა-მარა.
ასე მდუმარე, გულჯავრიანი,
გაბრაზებული და. იჭვიანი!
ასეთი ვარ მე. ასეთს ეძებდით
განა თქვენ წმინდა მღელვარე სულით;
როცა უმანკო, უბრალო გულით,
და ასე ჭკუით მე ბარათს მწერდით?
ნუთუ იღბალი თქვენ ამის მეტი,
არ უნდა გერგოთ სასტიკი ბედით?“

ბოლოს ონეგინი ცივი გონების კარნახით სიყვარულის გრძნობით შებორკილ უმშვენიერეს ტატიანას ცივი უარით ისტუმრებს. როცა ონეგინისათვის საჭირო იყო სულიერი მეგობარი, იგი გაურბოდა მას. ბოლოს ეს შეცდომა იგრძნო ონეგინმა, ამიტომ იძულებულია დაემორჩილოს სიყვარულის ძალას. ფეხქვეშ უვარდება ქალს, მაგრამ ტატიანას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ონეგინის მუდარა, ტატიანა უკვე სხვისი ცოლია და კანონის ძალით სხვას ეკუთვნის.

პუშკინს მეტად გრძნობიერი ფერებით აქვს დახატული ლენსკის ტიპი; ლენსკი ჯერ კიდევ საკუთარი სულიერი ძალების გაფურჩქვნის მიჯნაზე იღუპება ონეგინის ხელით. ახალგაზრდა ლენსკის სულიერი სამყარო შეპყრობილი ჰყავს რაღაც იდუმალ ძალას, რომელიც მას დაღუპვას უქადის; იგი გრძნობს რომ ამ ქვეყანაზე სიამოვნება და ბედნიერება დაუსჯელად არავის არ ეძლევა. „სურვილების დაკმაყოფილება სწვავს ადამიანს და სიკვდილი დარაჯობს იმას, ვინც ბედნიერების ყვავილებს დაუზოგავად სწყვეტს“, მაგრამ ლენსკი ვერ მიხვდა, რომ თავის საუკუნის ოფიციალურ რუსეთში წრფელი გრძნობა არ არსებობდა. სადაც გულგრილობა და ეგოიზმი იფარებოდა „ოქროსა და აბრეშუმის ქვეშ“. ლენსკის არა აქვს წარმოდგენა, რომ ყოველი მისი ნაბიჯი მას უფსკრულისაკენ მიაქანებს: ვერ გრძნობს, რომ ყრმობის ილუზიები იმსხვრევა საკუთარ დიდების ტაძრის თაღებქვეშ. თავისი მკაცრი გონებით ონეგინი ხედავს ლენსკის აღსასრულს, მაგრამ არ ეყო გამბედაობა პირდაპირ მიეთითებინა მეგობრისათვის, ამ საფრთხეზე. და ბოლოს ახალგაზრდა, უეჭველად ნიჭიერი, ლენსკი იღუპება მეგობრის ხელით. ეს იყო დროის განაჩენი და პასუხისმგებლობა ონეგინს არ ეკისრება.

პუშკინს გენიალური კალმით აქვს გამოქანდაკებული ტატიანას ტიპი; თავისი შეგნებით, მორალით და ნებისყოფით ტატიანა მაღლა სდგას თავის დროის მოწინავე საზოგადოებაზე; იგი, უკვდავ რუსთაველის გმირ ქალების მსგავსად, პირველი უცხადებს სიყვარულს მამაკაცს, მაგრამ მისდაუნებურად ონეგინი ცივი გონების და გაყინული გრძნობის კარნახით— უარს უთვლის გამჟღავნებულ სიყვარულზე. ამით უნდა აიხსნას ის სიმკაცრე, რომელსაც ბოლოს ტატიანა იჩენს მის ფეხთა წინაშე მუხლებზე დამხობილ ონეგინის მიმართ. აქ ტატიანა დროის ტრადიციას კი არ უხდის ვალს, არამედ შურს იძიებს სიყვარულისათვის.

ცნობილია რომ პუშკინამდე (კარამზინის გამოკლებით) ლიტერატურაში გაბატონებული იყო მწიგნობრული, რიტორული სტილი, რომელიც მოსწყდა ხალხურ, ცოცხალ, პლასტურ ენას. მდიდარი სიტყვიერი მასალა, რომელიც ხალხში დაგროვდა, სრულიად უყურადღებოდ იყო მიტოვებული. წიგნები იწერებოდა და იბეჭდებოდა მხოლოდ სწავლულებისათვის, ძველი მკვდარი ენით და ამ მოვლენას დადებითად სთვლიდნენ იმ დროინდელი მწერლობის დიდი ნაწილი.

პუშკინი რადიკალურად გაემიჯნა მწიგნობრულ სტილს და დიდ-პოეტური ნიჭით ლიტერატურაში ამეტყველდა იმ ცოცხალი ენით, რომლითაც ხალხი ლაპარაკობდა. ხალხური ენის პლასტიურმა ბუნებამ პუშკინს საშუალება მისცა უფრო ცოცხლად, ლამაზად და მხატვრულად გამოეთქვა ის დიდი ტანჯვა, რომელიც აგრე აწვალებდა მგოსანს. „ევგენი ონეგინი“ ცოცხალი, პლასტიურ ენის საუკეთესო ნიმუშია. „პუშკინის ლექსიკონი — სწერდა გოგოლი, — შეიცავს ჩვენი ენის მთელ სიმდიდრეს, ძალასა და მოქნილობას. მან ყველაზე უფრო, ყველაზე მეტად, გააფართოვა მისი ფარგლები და ყველაზე უფრო გვიჩვენა მისი სიერცე“ [1]).

მაგრამ პუშკინის პოემებში საერთოდ და „ევგენი ონეგინში“ კერძოთ მარტო ენის, ლექსიკონის სიმდიდრე და სიდიადე როდი იქცევს ყურადღებას. უდავოა, რომ პუშკინი თავისი ნათელი გონებით ჰფლობდა წერის სტილს, მაგრამ იგი ერთად, ბუნების მიერ უხვად დაჯილდოებული ნიჭის წყალობით, ფლობდა მაშინდელი ეპოქის ტიპიურ ადამიანებსაც. ამ მხრივ პუშკინი რუსულ ლიტერატურაში განსაკუთრებული მოვლენაა. ისე ახლო, ისე ინტიმურად არც ერთ მწერალს არ უგრძვნია თავისი გმირები, როგორც პუშკინმა იგრძნო. ყოველ თავის გმირს პოეტი დიდის სიყვარულით უჩვენებდა ადგილს ხელოვნების საჭადრაკო დაფაზე. გმირებიც კანონზომიერად იკავებდნენ მიჩნეულ ადგილებს.

მაგრამ პუშკინი უძველესი იყო არა მარტო პოეზიაში, არამედ პროზაშიაც. ასეთი მთლიანობა ერთ სფეროს ორ სხვადასხვა დარგში იშვიათია ლიტერატურულ ისტორიაში. დიდებული ვიქტორ ჰიუგო თუ შეედრება ამ მხრივ პუშკინს!

პატარა მოთხრობა „ნასროლის“ კითხვის დროს თქვენ თვალწინ სდგება ადამანის სულის მესაიდუმლე ხელოვანი; მან ოსტატის შინაგანი ხილვით იცის ტიპიურ გარემოში მყოფ ტიპიურ ადამიანთა მიზნები, მისწრაფებანი, გრძნობანი და განცდანი. რაღაც ჯადოსნური ძალით ხატავს მათ; პოეტური ფერებით შემკულს შლის თქვენს წინაშე, რათა ჩაგახედოთ შიგ, როგორც სარკეში; შეგაყვაროთ მათი განცდები, მისწრაფებანი; პატივისცეთ ყოველ იმას, რასაც ეს ადამიანები გრძნობენ. როდესაც ამთავრებთ სურათის ხილვას, თქვენ თან გამოგყვებათ სულში აღბეჭდილი მისი სახე. ფიქრობთ მასზე. თქვენ ძალას ატანთ საკუთარ თავს მოსცილდეთ მას, მაგრამ თქვენდა უნებურად მიჯაჭული ჰყევხართ იდუმალ ძალას. ესაა, თუ გნებავთ, ჭეშმარიტი ხელოვნება. სილვიოს სახე მარად უკვდავი ქანდაკებაა, იმათ შორის, რომლითაც პუშკინმა თავის ტიპების სახით დასდგა რუსულ ლიტერატურაში.

„სადგურის ზედამხედველი“, „ქარბუქი“, და „მეკუბოვე“ — მიუხედავათ თავიანთი პატარა მოცულობისა — ძლიერ ახლოს გვაგრძნობინებენ

[1]) Н. В. Гоголь — „Несколько слов о Пушкине“.

იქ მომქმედ ტიპების სულისკვეთებას. სამივე ნაწარმოების სიმძიმის ცენტრს წარმოადგენს ამ ტიპების ხასიათთა ასახვა. კონტრასტების მეშვეობით პუშკინი ქმნის კონფლიქტების მთელ წყებას, რომლის წარმოშობის წყარო გახლავთ იმ საუკუნის სოციალური წყობა; მაგრამ ჩვენ იქ ვერ ვხედავთ ტიპებს, რომლებიც ანტაგონისტურად იყვნენ განწყობილი სოციალურ უკეთესობასთან; მათ მხოლოდ გრძნობათა და შეხედულებათა შინაგანი ბრძოლა ასაზრდოვებს. ალბათ ამით აიხსნება პუშკინის სხვაგვარი მისვლა მეკუბოვეს ტიპთან. მხატვრულ ნაწარმოებში მეკუბოვეს ტიპიზირება ახალი არ იყო ლიტერატურისათვის, ამ ნიადაგზე ვერც პუშკინი დაიკვეხებდა ორიგინალობით. პუშკინზე ადრე შექსპირსა და ვალტერ სკოტს გამოჰყავდათ მეკუბოვენი, როგორც ხუმარა ადამიანები, რათა კონტრასტის ძალით მეტი შთაბეჭდილება მოეხდინათ ჩვენს წარმოდგენაზე. პუშკინი არ მისდევს ამ ტრადიციულ გზას; როგორც თვითონ აცხადებდა „ჭეშმარიტების წინაშე კრძალვის გამო არ ძალმიძს მივსდიო მათ მაგალითს. ჩვენ იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ ჩვენი მეკუბოვის ბუნება სავსებით ეთანხმება მის ხელობას“.

ამ საფუძვლებზე, პუშკინის მეკუბოვე — ანდრიანე მასხარა კი არ არის, როგორც ეს შექსპირის დრამებშია, არამედ პირქუში და მუდამ ჩაფიქრებული ადამიანია. მისი სახის გამომეტყველება საკუთარ-შინაგან ბუნებას გამოხატავს. ანდრიანეს არ ახასიათებს გულგრილი მისვლა მოვლენებთან, როგორც შექსპირის ხუმარა მეკუბოვეს. „ბოლოს და ბოლოს რა მოხდა? — ბუზღუნებდა ანდრიანე, — ჩემი ხელობა რითაა სხვისაზე უარესი?—განა მეკუბოვე ჯალათის ძმაა? მაშ რათა ხითხითებენ ეს ყიზილბაშები? განა მეკუბოვე ბაზრის ტაკიმასხარაა“. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ანდრიანეს არ შეუძლიან გულგრილად შეხედოს თავის ხელობას, როგორც ამას ჩადიან შექსპირის მასხრები; მოსალოდნელი სიკვდილის საფრთხის წინ ანდრიანე დროებით სულით ეცემა და მისი ხელობა — თავისი დანიშნულებით ამაზრზენ შთაბეჭდილებას ახდენს მასზე. მაგრამ ეს ემართება არა სიკვდილის შიშით, არამედ მხოლოდ იმ შეგნებით, რომ მას არ შეუძლია თავიდან მოიშოროს სიმწარის გრძნობა, რომელსაც იგი განიცდის, როგორც მეკუბოვე. ანდრიანე მზად არის მთელი ქვეყნის გასაგონად დაამტკიცოს თავისი ხელობის სამართლიანობა და ბუნებრივი აუცილებლობა, მაგრამ თავიდან მაინც ვერ მოუშორებია კეშმარული გრძნობა. ანდრიანეს ხშირად ეჩვენება ლანდები, რომელთა შორის სცნობს მის მიერ დამარხულ ცხედრებს. ბოლოს ანდრიანე მაინც ურიგდება თავის ხელობას, როგორც აუცილებლობას, მაგრამ შერიგების გრძნობამ მისი გარეგნული გამომეტყველება შესცვალა; იგი თავის ცხოვრებაში დარჩა პირქუში და ჩაფიქრებული ადამიანი.

„სადგურის ზედამხედველში“ პუშკინი გადმოგვცემს პატარა ადამიანის ინდივიდუალურ ტრაგედიას, რომლის წარმოშობის წყარო იგივე

სოციალური უთანასწორობაა. სემეონი, ამ მოთხრობის მთავარი გმირი, ერთი თვალსაჩინო ტიპია პუშკინის შემოქმედებაში: მართალია მეგობარეობით იგი პატარა ადამიანია, მაგრამ თავისი შეგნებით ძალზე სდგას თავის დროის გაბატონებულ საზოგადოებაზე. სემეონი სიკეთით სავსე ადამიანია: მისი ნუგეში — მისი ერთადერთი ქალიშვილია. ყველასგან მიტოვებული და დავიწყებული სემეონი თავის ოცნებაში ქმნის ახალ ქვეყანას, რომელსაც არ ახასიათებს რეალური ქვეყნის სისასტიკე და ულმობელობა. მაგრამ ბოლოს სემეონი მაინც მსხვერპლი ხდება ძალადობისა და ისე მიდის ამ ქვეყნიდან, რომ ადამიანებმა ცრემლიც კი შეინანეს მისთვის.

პუშკინის მოთხრობებიდან „დუბროვსკი" ერთი უშესანიშნავესი ნაწარმოებია არა მარტო თავის სოციალური აზრით, არამედ მხატვრული ფერებითაც. პუშკინმა ამ ნაწარმოებში ყველაზე უფრო რადიკალურად გამოხატა თავისი ზიზღი მსხვილ ფეოდალურ არისტოკრატიისადმი. წვრილი აზნაური დუბროვსკის ოჯახი მსხვერპლი ხდება მსხვილი ფეოდალის ტროეკუროვის აღვირახსნილი სურვილებისა. სიმდიდრისადმი მისწრაფების გრძნობამ მდიდარ ტროეკუროვში ჩაკლა ყოველგვარი ადამიანური გრძნობა: მან უზენაეს კანონად აქცია სიმდიდრისადმი ლტოლვა; სადაც ადამიანური ეშმაკობა უძლურია საქმის მოგებაში, იქ ტროეკუროვი ჯოჯოხეთურ საშუალებებს მიმართავს, ყალბ თამასუქებს ადგენს, რათა ფეხქვეშ გასთელოს თავისი „მოვალე". მოსამართლეთა მოსყიდვით, კანონი გადააქცია შემოსავლის წყაროდ. ყმების საშინელი ექსპლოატაციით სცდილობს მეფურ ბალებზე დახარჯულ თანხების ერთიორად ანაზღაურებას. ტროეკუროვის ამ არაადამიანურ სურვილს წინ აღუდგება ახალგაზრდა დუბროვსკი, იგი რაინდული გამბედაობით იბრძვის თავადის წინააღმდეგ, აწყობს გლეხთა აჯანყებას და ცეცხლის ალში სწვავს ტროეკუროვის კარმიდამოს. მაგრამ დუბროვსკის, როგორც კეთილშობილ რაინდს, აქვს თავისი ადამიანური ნაკლი, რომელმაც იგი იმსხვერპლა ბოლოს. გულკეთილ დუბროვსკის შეუყვარდება ტროეკუროვის უსამაზესი ქალიშვილი; სიყვარულმა ახალგაზრდა დუბროვსკში შეასუსტა თავისუფლებისადმი მისწრაფების გრძნობა. სოციალური სევდა, როდესაც დუბროვსკი ბავშვობიდანვე ატარებდა, მას აქეზებს შურისძიებისათვის, მაგრამ სიყვარულის ამათრთოლებელი განცდა ბორკავს და ხელს უშლის განზრახვის სისრულეში მოყვანას სიყვარულსა და შურისძიების მიჯნაზე პუშკინის მადლიანმა კალამმა გამოხატა შესანიშნავი ტიპი დუბროვსკის სახით: ეს ტიპი ადამიანთა იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელთაც, ონეგინის მსგავსად, ჰქონდათ მაღალი დანიშნულება, მაგრამ მონარქიულ რუსეთში მათთვის არ არსებობდა სამოქმედო ასპარეზი; ამ ნიადაგზე დუბროვსკის არ შეეძლო დანიშნულებისამებრ გამოეყენებია თავისი სულის ძალა. ასპარეზის უქონლობამ აიძულა იგი

დასდგომოდა სახიფათო გზას. ამ გზაზე მან ბევრი სასახელო საქმეები ჩაიდინა, მაგრამ მისი ბრძოლა წინასწარ განწირული იყო დასამარცხებლად; საზოგადოების ნაწილი, რომელსაც დუბროვსკი ეყრდნობოდა, ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული იდეების განსახორციელებლად, რომელსაც თვითონ წინამძღოლი ბუნდოვანად გრძნობდა. უდროობამ დუბროვსკში ჩაახშო კეთილშობილი მისწრაფებანი, ხოლო სიყვარული ტროეკუროვის ლამაზი ქალისა უკანასკნელი წყლის გადასხმა იყო უკვე ჩამქრალ, დიდებულ ხანძარზე.

„პიკის ქალი“ ვიწრო ყოფითი მოთხრობაა, რომელიც შეფერილია ფატალიზმით. ბრმა რწმენით. აქ მოთხრობილია მოხუცი გრაფინია ანა ფეოდოტოვნას უკვე განვლილი ცხოვრების ისტორია. ახალგაზრდობის პირველ განთიადზე გრაფინია ევროპაში მოგზაურობის დროს — შეჩერდება საფრანგეთში. პარიზში მან დიდი ყურადღება და მოწონება დაიმსახურა. ხალხი უკან დასდევდა, რათა დაენახა მოსკოვის ვენერა. თვით, თავის დროზე დარდიმანდ მოაშიკე ჰერცოგ როშელიეც კი გატაცებული იყო მისი მშვენებით. ახალგაზრდა გრაფინიას ჩვეულებად ჰქონდა ფარაონის თამაში. ერთ დღეს მეფის კარზე ერთერთ ჰერცოგთან თამაშის დროს გრაფინიამ დიდი თანხა წააგო. თანხის გადახდა — ქმრის წინააღმდეგობის გამო გრაფინიამ ვერ შესძლო, მაგრამ არც პირობის დარღვევა ისურვა. ჰერცოგთან წაგებულ თანხის სასესხებლად მიდის გრაფ სენ ჟერმენთან. ქალმა მეტად შავი ფერით აუწერა ქმრის ბარბაროსობა და ბოლოს გაუცხადა რომ მთელს იმედს შენს მეგობრობაზე და გულკეთილობაზე ვამყარებო, სენ ჟერმენი ჩაფიქრდება — „მე შემიძლია ეს თანხა ვიშოვო, სთქვა მან, მაგრამ თქვენ მანამდე არ დაწყნარდებით, სანამ ვალს არ გაისტუმრებთ, მე კი არ მსურს ახალი საზრუნავი გავიჩინო, არის სხვა საშულება: თქვენ შეგიძლიათ ამ თანხის ამოგება“. „მაგრამ ჩემო გრაფო ჩვენ სრულებით არა გვაქვს ფული“ — მიუგებს გრაფინია. „არ არის საჭირო,“ უპასუხა სენ ჟერმენმა. „კეთილ ინებე და მოითმინე“ და მან გაანდო გრაფინიას ერთი საიდუმლოება. ამ საიდუმლოების წყალობით გრაფინიამ მოიგო დიდი თანხები. ახალგაზრდა ინჟინერი—გერმანი დაინტერესდება ამ საიდუმლოებით და დაიწყებს ბრძოლას ამ საიდუმლოების გახსნისათვის. დიდი წვალების შემდეგ გერმანმა შეისწავლა იგი. ამის შემდეგ პუშკინი მოგვითხრობს გერმანის მიერ დიდი თახხის მოგების ამბავს და ბოლოს საიდუმლოების დარღვევის საფუძველზე გერმანის დამარცხებას.

როგორც დასაწყისშიეე აღვნიშნეთ, „პიკის ქალი“ ყოფა-ცხოვრებითი მოთხრობაა; პუშკინმა მთელი სიძლიერით დახატა გერმანის ტიპი, სიმდიდრის შეძენის სურვილით გახარებულ ადამიანთა შორის — გერმანი შესანიშნავი ფიგურაა მსოფლიო ლიტერატურაში. მტაცებლურ ინსტიქტში გერმანი ხედავს ღვთის ნების გამოხატვას. გამდიდრების სურვილი გერ-

მანში ქმნის მძლავრ და ენერგიულ ნებისყოფას; იგი მზად არის ღმერთის წინაშე დადებული პირობა დაარღვიოს ოქროს შეძენის მოლოდინში. ამ მიზნით არ ერიდება თვით ადამიანის სიკვდილსაც კი. სიცოცხლისადმი სიყვარული გერმანის აზრით — ადამიანის მოგონილია, რადგანაც მას მხოლოდ საკუთარი ბედნიერება უყვარს. სიცოცხლე მხოლოდ საშუალებაა ბედნიერების მოსაპოვებლად; სიმდიდრე კი ძირითადი წყაროა ბედნიერებისათვის; მაგრამ იმისათვის რომ ამ წყაროს მისწვდე საჭიროა სულის უკვდავება დასთმო. გერმანის აზრით — უკვდავება უბედურება იქნებოდა ადამიანისათვის, რადგანაც ბედნიერებას გააფერმკრთალებდა; გაფერმკრთალებული ბედნიერება კი ჭეშმარიტ სიცოცხლის ძალებს ასუსტებს და ანადგურებს. რა კი გერმანმა ეს აზრი ჭეშმარიტებად მიიღო, დაიწყო ენერგიული ბრძოლა საიდუმლოებისათვის, რომელიც ამ ქვეყანაზე მხოლოდ გრაფინიამ იცის. ბოლოს ოცნება სინამდვილეთ იქცა, მაგრამ არაოსტატური თამაშით გერმანმა თამაშის საიდუმლოება დაარღვია და იგი იძულებულია სიცოცხლე დასთმოს ბედნიერების დაკარგვის შიშით.

„პიკის ქალი“ ერთგვარი გადახვევაა პუშკინის შემოქმედების მაგისტრალურ ხაზიდან. ელინური სინათლე, რომელიც პუშკინის ყოველ ნაწარმოების თვისებას შეადგენს, აქ დაბნელებულია ფატალიზმით. მაგრამ მიუხედავათ ამისა, გერმანი მაინც საინტერესო ტიპია არა მარტო რუსულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიაც; პუშკინმა გერმანის ტიპში დახატა მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის ადამიანთა ერთი ფენის სულისკვეთება, რომელიც გაჩნდა კაპიტალიზმის შემოჭრასთან ერთად რუსეთში.

„კაპიტანის ქალიშვილი“ თავის შესანიშნავი დახვეწილი ენით და ღრმა შინაარსით — რუსულ პროზაში დღემდე მიუღწეველ სიმაღლეთ რჩება, მიუხედავათ იმ დიდი ძვრებისა, რომელიც ამ დარგში მოახდინეს გოგოლმა, ტოლსტოიმ, ტურგენევმა და დოსტოევსკიმ.

იყო დრო, როდესაც პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილს“ ზოგიერთები არისტოკრატიული, მონარქისტული წყობილების აპოლოგეტად სთვლიდნენ. ამ აზრის დასამტკიცებლად მოთხრობიდან მოჰყავდათ გრინიოვის შემდეგი ფრაზა: „ღმერთმა ნუ ქნას მოვესწრათ რუსულ უაზრო და შეუბრალებელ ამბოხებას“ [1]) მაგრამ ელემენტარული ანალიზია საჭირო მთელი ნაწარმოებისა (და არა ცალკე ფრაზებისა) რომ კაპიტანის ქალიშვილში დავინახოთ დეკაბრისტების ერთგული მეგობარი. თუმც არაპირდაპირი გზით მაგრამ არსებითად ავტორი უთანაგრძნობს პუგაჩოვს. გრინოვის რჩევაზედ, რომ პუგაჩოვი უბრძოლველად შეურიგდეს მეფეს, იცხოვროს მშვიდობიანად და დიდხანს ამ ქვეყანაზე, პუგაჩოვი სა-

[1]) А. Пушкин — „Сочинения“, 1928 წ., გვ. 485.

პასუხოდ უამბობს ზღაპარს, რომელიც მან ბავშვობისას გაიგონა ყალმუხი ქალისაგან. ზღაპრის შინაარსი ასეთია:

„ერთხელ არწივი ეკითხება ყვავს: „მითხარ, ფრინველთა ულამაზესი, ცოცხლობ ქვეყანაზე სამას წელს, როდესაც მე ბევრი-ბევრი ოცდა ცამეტი წელიწადი ვიცოცხლო“. „იმიტომ, ჩემო მეგობარო, — უპასუხა ყვავმა, რომ შენ სვამ ცოცხალ სისხლს, მე კი ვიკვებები ლეშით“. არწივი ჩაფიქრდა: „მოდი ვშინჯოთ, მეც მაგით უნდა გამოვიკვებოვო“. „კარგი. — მიუგო ყვავმა“. და გაფრინდნენ. მათ დაინახეს ცხენის ლეში. მივიდნენ და დაიწყეს ჭამა. ყვავი ნისკარტის ჩაკვრით ყლაპავდა ლეშს. არწივმა ჩაჰკრა ნისკარტი ერთხელ, მეორედ... ბოლოს მოუბრუნდა ყვავს და უთხრა: „არა, ძმაო, სამას წელიწადს მკვდარი ლეშით კვებას მირჩევნია ოცდაცამეტი წელი ცოცხალი სისხლით ცხოვრება“. ეს დიდებული ლეგენდა სიცოცხლის ხანმოკლეობაზე (სიცოცხლე, რომლისათვისაც უცხოა მონური მორჩილება და ყოველგვარი სიბინძურე) ახლოა პუშკინის პირად ბედთან. იქნებ პუშკინი ამ ლეგენდარულ არწივივით ფიქრობდა, როდესაც ესოდენ ახალგაზრდა ესალმებოდა სიცოცხლეს; ჯერ კიდევ ჯანღონით სავსე პოეტმა, დანტესის ტყვიით გულგანგმირულმა, სამუდამოდ დახუჭა თვალები.

პუშკინის სიკვდილმა ყუმბარის გასკდომის შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. პოეტის ერთ-ერთი თანამედროვე სწერდა: „პუშკინი — ეს საუცხოვო ოდების შემქნელი, ქვეყნის სიამაყე; პოეტი, რომელმაც აღადგინა სლავური პოეზია, პირველი რუსი პოეტი, ვისმა სახელმაც თვით ევროპის ყურადღება დაიპყრო, მოკლედ აწმყოს დიდება და მომავლის იმედი, დაიღუპა. დაიმსხვრა კერპი საკუთარი ტაძრის თაღებ ქვეშ.“

„ოო, პუშკინ, პუშკინ! რა საუცხოვო სიზმრის ნახვას ვეღირსე სიცოცხლეში და რა მწუხარე იყო ჩემი გამოღვიძება... რა უცნაურია! ღმერთო ჩემო, რა უცნურია! რუსეთი უპუშკინოთ!“ — ცრემლიანი მოსთქვამდა რუსეთის დიდი ბელეტრისტი — გოგოლი [1]).

სიკვდილთან დაკავშირებით ლერმონტოვმა დასწერა უშესანიშნავესი ლექსი „პოეტის სიკვდილი“. აქ ლერმონტოვმა რაინდული გამბედაობით სამარცხვინო ბოძზე გააკრა ტახტის გარშემო შეკრებილი ჯალათები.

„თქვენ ხარბი ბრბოთი შეკრებილნო ტახტის გარშემო,
ჯალათნო ნიჭის, დიდების და თავისუფლების;
თქვენთვის სამსჯავრო და სიმართლე აღარ არსებობს,
კანონის ჩრდილ ქვეშ შეფარულნი არ იღუპებით.“

---

[1]) Н. В. Гоголь — „Сочинения“, 1930 წ., გვ. 7.

ლერმონტოვს ღრმად სჯერა, რომ დადგება დრო, როდესაც რუსი ხალხი თვით გახდება მსაჯული ამ ჯალათებისა. დასასრულს პოეტი მთელი სიძულვილით მიმართავს მათ:

„და ვერასოდეს ვერ მოირეცხთ მაგ შავი სისხლით,
მგოსნის მართალი სისხლის ნაკვალევს“.

მართლაც, ძნელი იყო მაშინდელი ეპოქის მოწინავე საზოგადოებრივი აზრის შერიგება პუშკინის სიკვდილთან. დიდი პოეტი, რომელიც საკუთარი სისხლით ქმნიდა რუსულ (და საერთოდ მსოფლიო) პოეზიის გენიალურ ნიმუშებს, სრულიად შემთხვევით, მაგრამ მონარქიის წინასწარ მოფიქრებული გეგმით, დაეცა სამსხვერპლოზე. „პუშკინი, — სწერდა დოსტოევსკი, — გარდაიცვალა საკუთარი ძალის გაფურჩქვნის მიჯნაზე და უდავოდ შეიძლება ითქვას, რომ მან სამარეში თან ჩაიტანა დიდი საიდუმლოება“ [1]).

ტყუილად როდი ამბობდა ბელინსკი, რომ თავისმა სამშობლომ, მონარქიულმა რუსეთმა, მონობისა და ბატონობის ქვეყანამ ვერ იცნო დიდი პოეტი... მომავალი კი უდავოდ მას ეკუთვნისო.

მონებისა და ბატონობის რუსეთი ისტორიულ წარსულს ჩაბარდა. ლენინ-სტალინის დიადმა ეპოქამ რუსეთი, საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან ერთად, გადააქცია სოციალიზმის უძლეველ სამშობლოდ, თავისუფლებისა და ჰუმანიზმის ქვეყნად. ამ ეპოქის მამაცი შვილები დიდი სიყვარულით მოიგონებს პუშკინს. წარსულ ეპოქის ამ უკეთილშობილესი პოეტის ხსოვნა ჩვენი თაობის შეგნებაში მკვდრეთით აღსდგება, ხოლო მისი გენიალური მემკვიდრეობა უკვდავი იქნება სოციალისტურ სამშობლოსთან ერთად.

---

[1]) ф. М. Достоевский — „Сочинения“, 1931 წ., გვ. 668.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. მეგუკე

აკოფ აკოფიანი

სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკების სახალხო პოეტი აკოფ აკოფიანი, რომელიც გარდაიცვალა მიმდინარე წლის ნოემბერში, იყო სომხური პროლეტარული მწერლობის ფუძემდებელი და ვეტერანი. ა. აკოფიანი დაიბადა 1869 წელს და პირველდაწყებითი სწავლის დამთავრების შემდეგ საშუალო განათლება მიიღო სომხეთის სამასწავლებლო სემინარიაში.

პოეტი სკოლიდან გამორიცხეს მაშინდელი განათლების სამინისტროს წინააღმდეგ პროკლამაციის შედგენისა და გავრცელებისათვის. ეს იყო 1885 წ. და ამ ხნიდან ის რევოლუციურ პროპაგანდას ეწევა. მეფის რეჟიმის დროს იგი არალეგალურად მუშაობდა.

პოეტი 1904 წლიდან საკ. კ. პ. (ბ) წევრია. იგი ამიერ-კავკასიის პარტიული კომიტეტის წევრი იყო და პარტიული ორგანოს „ბორბას" სარედაქციო კოლეგიაში შედიოდა. 1911 წელს პარტიული დავალებით გაემგზავრა საზღვარგარეთ და პარტიულ საქმეებზე მოსალაპარაკებლად შეხვდა კარლ ლიბკნეხტსა და სხვა ამხანაგებს. 1914 წ. მონაწილეობა მიიღო ფინეთში გამართულ პარტიულ თათბირზე.

სამწერლო ასპარეზზე ა. აკოფიანი გამოვიდა გასული საუკუნის 90-იან წლებში. ამ დღიდან გარდაცვალებამდე მას კალამი ხელიდან არ გაუგდია და ამ ხნის განმავლობაში შექმნა ბევრი მაღალხარისხოვანი ნაწარმოები.

აკოფ აკოფიანს სომხურ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მან დისონანსი შეიტანა თავისი დროის სომხურ მწერლობაში, ზურგი შეაქცია გაბატონებულ ნაციონალისტურ მოტივებს და თავისი შემოქმედების საგნად გაიხადა მუშათა კლასი, მისი შრომა და რევოლუციური ბრძოლა. ნაციონალისტურმა ინტელიგენციამ არ აპატია ა. აკოფიანს თავისი წრიდან გაქცევა, აითვალისწუნა იგი და დაუწყო დევნა. მის შესახებ არაფერს სწერდნენ და თუ ოდესმე რაიმეს დასწერდნენ, მაშინაც აგინებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ხანებში მძიმე და აუტანელი იყო საერთოდ ამიერ-კავკასიის და კერძოდ სომხეთის მუშათა კლასის ცხოვრების პირობები. აკოფ აკოფიანი კარგად იცნობდა „ცრემლისა და ოფლის სამყაროს“ და თავისი პოეტური შემოქმედების მთავარ თემად გაბედულად აირჩია მუშათა კლასის შრომა, მისი ყოფა, მისი შეურიგებელი ბრძოლა კლასობრივ მტრებთან. შავი რეაქციის წლებში იგი უიმედობას არ მისცემია და ყოველთვის შესტრფოდა „თავისუფლების მზე ამომავალს“.

პირველი რევოლუციის (1905 წ.) ამბებით აღფრთოვანებული და აღგზნებული პოეტი ხედავდა, როგორ „ღელავდა ზღვა მრისხანე“ და როგორ ცელავდა მისი „ტალღები ქარიშხლის ზვირთებს“. მას მაშინ აჯანყებული ცის ხმაურიც კი ესმოდა და ელოდა იმ მომენტს, „როცა ძლევით იგრიალებს ცეცხლის მეხი უცნაური“. პოეტი ამ დროს თავის კლასობრივ ძმებს მიმართავს:

„ამხანაგო, ხომ გსმენია
შენ მშობელი დედის კვნესა,
როცა მწვავე ტკივილებით
მოუწოდებს იგი მხსნელსა?...
ან დაჭრილი ლომი როგორ
გააფთრებით კვნესის, გოდებს?..
ახალ ყოფის მძიმე ჟამი
შენ ბრძოლისკენ მოგიწოდებს!
აქ ბრძოლაა, მკაცრი ბრძოლა:
ან სიცოცხლე, ან სიკვდილი,
უნდა იშვას თავისუფალ,
მზიურ ყოფის შრომის შვილი.“

მაგრამ ეს „უძლეველი ცეცხლის ალი“ რეაქციამ დროებით ჩააქრო, „ძლევით მოვარდნილი თქეში“ მეფის თვითმპყრობელობამ მცირე ხნით დააშრო, 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა. პოეტი კვლავ მუშათა კლასს დასტრიალებს თავს და ბრძოლაში დაღუპულ გმირებს უმღერის, რომელთა ბაგედან თავიანთი ცხოვრების მწარე ხვედრზე „არ ისმოდა ხმები კრულვის“. იგი უმღერის იმათაც, რომლების ხვედრიცაა „დღეს ციხე, ხვალ უცხო მხარე“. პოეტი გულმხურვალედ მიმართავს:

„ჰეი, ბრძოლის ქარტეხილში
გამოვლილნო ტკბილო ხმებო,
უტეხ რწმენით ფრთებ-შესხმულნო
გზები განვლეთ სანაქებო.
ქარხნებსა და ქვაფენილებს
თქვენი სისხლი მოესხურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აენთო უშრეტ ცეცხლის
მფეთქავ ალით შრომის ჭურა“.

რევოლუციის დამარცხებამ და რეაქციის გამძვინვარებამ პოეტს ოდნავადაც კი ვერ შეურყია მტკიცე რევოლუციური რწმენა. ის კვლავ ამ რევოლუციის იმედით სცოცხლობს და ეჭვი არ ეპარება, რომ „გაჰქრება სასაკლაოს სისხლიანი ნისლის ქაოსი“. რევოლუციური რწმენით შთაგონებული პოეტი გაიძახის:

„და მე ვამბობ, მოვა ჟამი,
როს ტანჯული პროლეტარი
თვით განაგებს თავის ნაშრომს,
ახალ ყოფით გულდამტკბარი.
მას იხილავს შრომის შვილი,
იმედით რომ დაიტვირთა,
ის აღთქმული მიზანია
თავდადებულ მებრძოლ გმირთა.“

რეაქციის პერიოდში ა. აკოფიანმა დასწერა მთელი რიგი ნაწარმოებები, რომლებშიაც მოგვცა ქარხნის ცხოვრების სურათები. ის დიდხანს ცხოვრობდა პროვინციის მივარდნილ კუთხეში, განჯაში. იქ იგი დიდ ნივთიერ ხელმოკლეობას და გაჭირვებას განიცდიდა. მეფის დროს ქარხნის ცხოვრების მწარე რეჟიმი თავის თავზე აქვს ა. აკოფიანს განცდილი და, როგორც მისი „წითელ ტალღების“ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, ის იყო „ერთი იმ თანამედროვე მონათაგანი, რომელიც ნავთისა და ბანკის კაპიტალის სიმძიმის ქვეშ ოფლში იწურებოდა, რათა მის ბატონ-პატრონს განცხრომით ეცხოვრა“.

რეაქციის პერიოდის ლექსებში განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პოემა „ახალი დილის“ სახელწოდებით. ეს პოემა ეხება პროლეტარიატის ბრძოლასა და ქარხნების ცხოვრებას. იგი წარმოადგენს პირველ დიდ პოეტურ ნაწარმოებს ამ თემაზე სომხურ ლიტერატურაში.

რეაქციის ხანაში პოეტი მიდის საზღვარგარეთ და ცხოვრობს ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში. პარიზში ცხოვრების დროს მან დასწერა ლექსი „ქალაქი“, ხოლო ბრიუსელში — „ქვემო სართულებში“. პოეტი ამ ლექსებში გვიხატავს ბურჟუაზიის განცხრომას და ფუფუნებას და პროლეტარიატის ცხოვრების მძიმე პირობებს, აღნიშნავს სოციალურ კლასთა მძაფრ წინააღმდეგობას, გვიხატავს მომავალი ბრძოლების პერსპექტივებს.

იმპერიალისტური ომის დროს აკოფ აკოფიანი ინტერნაციონალურ პოზიციებზე სდგას და რჩება მარქსისტულ-ლენინური იდეების ერთგულ მებრძოლად. ის ზიზღით და მძულვარებით ივსება მენშევიკების, დაშნა-

კელების, ესერების და სხვათა წინააღმდეგ, რომლებიც ბურჟუაზიას ემსახურებოდნენ და დიდმპყრობელური შოვინიზმით გატაცებულნი მებრძოლ პროლეტარიატს ზურგიდან მახვილს სცემდნენ. პოეტის რევოლუციური რწმენა ამ პერიოდში უფრო განმტკიცდა, მას ურყევად სწამდა პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვება.

ოქტომბრის რევოლუციას პოეტი აღფრთოვანებით ხვდება, ის მოგზაურობს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში, ახლო ეცნობა სოციალისტურ მრეწველობას და სწერს მთელ რიგ პოემებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პოემები: „შირკანალი", „ვოლხოვმშენი", „ლენინგრადის პოემა" და სხვა.

პოეტის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი თბილისი იყო, და მას ეპიური სიდინჯით აქვს დაწერილი მშვენიერი ეპოპეა: „თბილისი" ეს ეპოპეა ავტობიოგრაფიული შინაარსისაა და მოცემულია რევოლუციურ-ისტორიული ამბების ფონზე.

აკოფ აკოფიანის ლექსები გამოცემულია ორ ტომად. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე შემდეგი წიგნები: „შრომის სიმღერები" (1906 წ.), „ახალი დილა" (1910 წ.), „26 კომუნარის ხსოვნას", პოემა „ერთობა" (1919 წ.), „წითელი ტალღები", პოემა 1905 წლის რევოლუციის შესახებ 1921 წ.), „რევოლუციური ესტრადა" — ლექსები ბელადებზე (1922 წ.) და პოემები: „ღმერთები ამეტყველდნენ" და „სიმღერა ოთხფრთებიანი".

პოეტის მიერ თარგმნილი და ცალკე წიგნებად დაბეჭდილია: ადა ნეგრის ლექსების ორი ტომი (ორჯერ გამოიცა), მაქსიმ გორკის ორი ზღაპარი და სხვა.

მისი პოეტური მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავად ამიერკავკასიის კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის მიერ ქართულად გამოცემულ იქნა პოეტის რჩეულ ლექსთა კრებული „წითელი ტალღის" სახელწოდებით. კრებულში მოთავსებული ლექსების თარგმანი ეკუთვნის ს. ეულს, კ. კალაძეს, ვ. რუხაძეს, ობოლ მუშას და სხვებს.

ქართულ ენაზე დაბეჭდილია აგრეთვე ცალკე წიგნად: „აგიტატორის მოგონებიდან". აქ მოგონების სახით აწერილია ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა და მუშაობა და სამოქალაქო ომის ეპიზოდები ჩრდილოეთ კავკასიაში.

აკოფიანი თითქმის 50 წლის განმავლობაში სწერდა მემუარებს. მემუარებში აღბეჭდილია მისი დროის ყველა ღირსშესანიშნავი მოვლენა. ა. აკოფიანის მემუარები ჯერჯერობით არ არის გამოცემული.

მისი რჩეული ნაწერები, რუსი მწერლის ინგბერის მიერ გადათარგმნილია ფრანგულ ენაზე.

ცნობილია, რომ რომენ როლანი დიდად აფასებდა აკოფიანის შემოქმედებას. რომენ როლანი სწერდა ინგბერს, რომ იგი მეტისმეტად დაინტერესა აკოფ აკოფიანის ნაშრომებმა, როგორც ეპიურმა რევოლუცი-

ურმა სიმღერებმა, რომლებიც დიადი პროლეტარული რევოლუციის პროდუქტს წარმოადგენდა; ეს ლექსები ძლიერია, ხოლო [illegible]ული თარგმანი ოსტატურად არის შესრულებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ და მაღალ შეფასებას აძლევდა პოეტის შემოქმედებას ან. ლუნაჩარსკიც. რუსულად გამოცემული მისი პოემის „ახალი დილის“ წინასიტყვაობაში იგი აკოფიანის შემოქმედებას ადარებს ცნობილ ბელგიელ პოეტის ემილ ვერჰარნის შემოქმედებას, მათში ბევრ საერთო მხარეს ხედავს, მაგრამ განსხვავებასაც პოულობს: „ვერჰარნი, — სწერდა ლუნაჩარსკი, — იყო მუშათა კლასის კარგი თანამგზავრი, აკოფ აკოფიანი კი პროფესიონალი რევოლუციონერია, მარქსისტი, ისეთი კაცი, რომელიც მთლიანად მიემხრო მუშათა კლასს“.

ამ წერილს აკოფ აკოფიანის შემოქმედების შესახებ დავასრულებთ იმავე ლუნაჩარსკის წერილიდან შემდეგი ადგილის მოყვანით:

„აკოფ აკოფიანი ტანჯვის, პროტესტის და რისხვის სიმღერებიდან მივიდა საბჭოთა სოციალისტურ მშენებლობის სიმღერებამდე. იგი ოქტომბრამდე უმღეროდა პროლეტარიატის ბრძოლას, მიესალმა ამ ბრძოლას, აქტიურად იბრძოდა მისი გამარჯვებისათვის, ეხლა კი უმღერის მის ძლევამოსილ სვლას და სოციალიზმის მშენებლობას პირველ პროლეტარულ სახელმწიფოში“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერ. ასტვაცატუროვი

„ახალი კოლხიდა“

კაცობრიობის ისტორიაში ორდენოსანი საქართველო, სხვა უდიდეს მიღწევებთან ერთად, შეიტანს განახლებულ კოლხიდას. ძველი ორასოცდახუთიათას ჰექტარიანი დაჭაობებული კოლხიდა, სადაც ბუდობდნენ ბაყაყები, კოლოები, გველები და სხვა ქვეწარმავალნი, სადაც ადამიანის სიცოცხლეს ციება განადგურებით ემუქრებოდა, იქცევა ნარინჯოვან მცენარეთა აყვავებულ ბაღად. ამ უდიდესი მოვლენის მნიშვნელობა სცილდება საქართველოს ფარგლებს.

ახალი კოლხიდა ისტორიაში შევა როგორც სოციალიზმისაგან განთავისუფლებული ხალხის მიერ ხალისიანი შრომითა და შეგნებულად შექმნილი ახალი ქვეყანა.

ოდესღაც თავისი სილამაზითა და გმირობით განთქმული კოლხიდა გადაქცეული იყო მტრებისაგან გავერანებულ, ჭაობებისაგან შთანთქმულ მხარედ. ლეგენდების საშუალებით ხალხის წარმოდგენაში ძველი კოლხიდა დარჩენილა ულამაზეს და უმდიდრეს მხარედ.

კოლხიდა დასაბამიდან იპყრობდა მოწინავე ქვეყნების ყურადღებას. კოლხიდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაერთებელი გზაჯვარედინი იყო. იგი განთქმული სავაჭრო გზა იყო, — ინდოეთიდან საბერძნეთისა და რომისაკენ მიმავალ ქარავნებს ამ გზით მიჰქონდათ საქონელი, უნდა კიფიქროთ, რომ კოლხიდა თავისი დროისათვის კულტურული მხარეც იყო. და აი ეს კულტურული, ეკონომიურად მდიდარი და ბუნებით ლამაზი მხარე იზიდავდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამპყრობელ ხალხებს. სწარმოებდა გამუდმებული ბრძოლა კოლხიდისა და მთელი საქართველოს დასაპყრობად, მისი სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად.

მაგრამ ჩვენი ქვეყანა მარტო გარეშე მტერთა მსხვერპლი როდი იყო; ქართველი შრომელი ხალხი განიცდიდა კლასობრივ ჩაგვრას „შინაური“ მტრებისაგან — საკუთარი მეფეებისა და მაღალი წოდებისაგან. იმ სავაჭრო გზამ, რომელიც აერთებდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, არა ერთი შემთხვევა იცოდა ქართველი ტყვეების გაყიდვისა საკუთარი მებატონეე-

ბისაგან. სავაჭრო ხომალდები იტვირთებოდა ხელფეხშეკრული ქართველი ძონებით, რომელთაც ჰყიდდნენ როგორც საქონელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმდიდრის, სილამაზის, ვაჟკაცობისა და გმირობის კუთხე გადაიქცა დამპალ, დაჭაობებულ და გავერანებულ გამოუყენებელ ადგილად. ოდესღაც ქართული ხალხური და ანტიური პოეზიის ფანტაზიის ნაყოფი გადაიქცა ქართული კლასიკური პოეზიის სევდის საგნად.

ეს სევდა ქართველი ხალხის საუკეთესო შვილთა გულებს განუწყვეტლივ ღრღნიდა, აწვალებდა. ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკა ობობასავით სწოვდა სისხლს საქართველოს და ცდილობდა მისი ეროვნული სახის წაშლას. არც მაშინ და არც შემდეგ, მენშევიკების დიქტატურის პირობებში, როცა საქართველო ეკონომიურად და კულტურულად დღითიდღე ნადგურდებოდა, ფიქრიც კი არ შეიძლებოდა კოლხიდის ჭაობების ამოშრობაზე. ამ უდიდესი ამოცანის განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. სოციალიზმის გამარჯვების ბრწყინვალე ეპოქაში, ხალხის მოამაგისა და მოსიყვარულის დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს ინიციატივით.

ამიტომ ბუნებრივია ის, რომ საქართველოს ხალხი მადლობის პირველ სიტყვებს ეუბნება იმას, ვისმა გენიამაც კოლხიდის მცხოვრებთ მისცა ლამაზი და ბედნიერი ცხოვრება, საქართველოს კი შესძინა ახალი, ნარიჯოვან მცენარეთა ბაღებით აყვავებული კუთხე, სევდისა და უიმედობის აღმძვრელი ძველი კოლხიდა კვლავ პოეტური აღფრთოვანებისა და ფანტაზიის დაუშრეტელ წყაროდ აქცია.

დაჭაობებული კოლხიდის თვალსაჩინო ნაწილი უკვე ამოშრობილია. ჭაობის ადგილას, სადაც ბაყაყები, კოლოები და გველები ბუდობდნენ, გაშენებულია საკოლმეურნეო სოფლები ახალი მოსახლეობით, ჩაის, ციტრუსების სპეციალური და ტექნიკური კულტურების მშვენიერი ბაღები.

„პირველი რიგის ყველა სამუშაოს თავი ეყრება ფოთის რაიონში 50 ათასიან ჰექტარ ფართობზე. პროექტით ეს მასივი ამოშრობილ უნდა იქნას 1940 წლისათვის. ამასთანავე კოლხიდაში მიმდინარეობს დიდი მუშაობა მდინარე რიონის გადასაგდებად სხვა კალაპოტში და დიდი საზღვაო ნავსადგურის ასაგებად. ერთიც და მეორეც, ერთად აღებული, ჰქმნიან პირობებს, როდესაც მომავალი ფოთის რაიონი გახდება ჩვენი სუბტროპიკული ზონის ერთ-ერთ საუკეთესო კუთხედ“ **(ლ. პ. ბერია).**

ამ საბოლოო აღორძინების გზაზე დამდგარ საუკეთესო კუთხეს უმღერენ ქართველი საბჭოთა პოეტები თავიანთ ლექსებში — „ა ხ ა ლ ი კ ო ლ ხ ი დ ა“. ლექსების ის კრებული, რომელიც ქართველმა პოეტებმა მიუძღვნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცი წლისთავს, წარმოადგენს საბჭოთა პოეზიის ბრწყინვალე გამარჯვებას. პოეტებმა ამ ლექსებში საკუთარ გრძნობებთან ერთად გამოხატეს ჩვენი ბედნიერი ხალხის დიდი გრძნობები და სიყვარული ლენინ-სტალინის პარტიისა და

დიდი სტალინისადმი, რომელთაც საუკუნეებით ჩაგრულ ხალხის ბნელი ცხოვრება ჩაუქრობელი მზის ცხოველი შუქით გაანათა. ქართველმა საბჭოთა მწერლობამ ამ კრებულით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ის ხალხის სისხლი-სისხლთაგანია და ხორცი-ხორცთაგანია, რომ საბჭოთა პოეზიის აღმაფრენის საგანი სხვა არაფერი შეიძლება იყოს, გარდა ხალხის ბედნიერებისა და სიხარულისა. ჩვენი მწერლობა თავისი შემოქმედებით დაკავშირებულია ხალხის გულთან, ამ გულის მგზნებარე მოძრაობასთან.

როცა კოლხიდის ერთ ნაწილში აღარ არის —

„აღარც უჟმური,
აღარც თხმელები,
გაჰქრა ჭაობი,
მოკვდა ციება;
იებად იქცა
ხალხის ცრემლები,
მიწა კი ნარინჯ
პლანტაციებად“
(გიორგი ქუჩიშვილი),

როცა

„სხვა სასწაულის მოწამე ხდება
კოლხეთის მხარე, ჭაობით სავსე!
აქ თითქოს მიწა ხელახლა ჩნდება
და მზეც პირველად ამოდის ცაზე“
(კოლაუ ნადირაძე)

და ხალხის გული იმსჭვალება უზომო სიხარულის, ბედნიერი ცხოვრების შეგრძნების ცოცხალი და ბრწყინვალე განცდებით, ქართველი პოეტებიც ამ განცდებმა გაიტაცეს, მათ დიდი უშუალობითა და მხატვრული ოსტატობით, მდიდარი ფერებით, შესანიშნავი სახეებითა და შედარებებით გამოხატეს იგი.

სამართლიანად ამბობს პოეტი:

„კოლხეთს მგოსანი რად უმღერებდა,
ან რას დაენთო გულში ხალისი,
იჯდა ბაყაყი ისლის ღერებთან
და ბუყბუყებდა მდორე ფაზისი“.
(დ. გაჩეჩილაძე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭაობებულ კოლხიდას არ შეეძლო გამოეწვია ქართველ პოეტებში შემოქმედებითი ენტუზიაზმი. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ეროვნული ფეოდალიზმი დის წყარო იყო. ოქტომბრის რევოლუციის წინა ხანებში ქართულმა მწერლობამ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სანდრო შანშიაშვილის პოემას, დუმილი არჩია. მხოლოდ ახლა, როცა „კრემლიდან დიდი კობა უკვე გზავნიდა კოლხეთს ალიონს“ და გმირი ხალხი ნაკვეთს ნაკვეთზე სტაცებდა ჭაობს, ქართველმა პოეტებმა ეს დიდი ისტორიული მნიშვნელობის პროცესი თავიანთი შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ თემად გაიხადეს.

კრებულში „ახალი კოლხიდა“ თითქმის ყველა პოეტია წარმოდგენილი. პოეტებს კოლხიდის თემა აღებული და გაშუქებული აქვთ კონტრასტების, ძველი და ახალი კოლხიდის დაპირისპირების საშუალებით. ამ მეთოდმა პოეტების დიდი ნაწილი აიძულა წმინდა ლირიკული განწყობილებიდან გადასულიყო სიუჟეტის „ეპიურ“ თხრობაზე და უფრო რელიეფურად გამოეკვეთა ახალი კოლხიდის ლამაზი სახე და მისი სოციალური თავისებურობა. გარდა ამისა, კრებულში მოთავსებული ლექსების ღირსება ისაა, რომ მათ გამოამჟღავნეს თითოეული პოეტის მხატვრული აზროვნების შესაძლებლობა, თემასთან თავისებური მისვლა, დამახასიათებელი დეტალების მიგნებისა და ამ დეტალების განსაზოგადოებულად მოცემის უნარი. კრებულში მოთავსებული პოემებისა და ლექსებისათვის უმთავრესად დამახასიათებელია სადა თხრობა, შთაბეჭდილებათა უშუალობა, თემისადმი სიყვარული და ნათელი და მკაფიო პოეტური სახეები, კოლორიტული ფერები.

ორდენოსან პოეტ ალიო მაშაშვილს მხატვრული ოსტატობით, ექსპრესიით და უშუალობით აქვს დაწერილი ორი სონეტი — „ხორგა“ ხორგა პოეტის მშობლიური სოფელია, სადაც მას თავისი ბავშვობა გაუტარებია, განუცდია ჭაობისა და კოლოების სუსხი. ეს ბავშვობის დროის შთაბეჭდილება მხატვრული დამაჯერებლობის ძალას აძლევს ლექსებს. პირველი სონეტი დათარიღებულია 1924 წლით, მეორე 1934 წლით. ამ ორ სხვადასხვა დროს მიღებული შთაბეჭდილებით ალიო მაშაშვილი მკვეთრად და ინტიმური ფერებით ხატავს კოლხიდის გარდაქმნის პროცესს, განთავისუფლებული შრომის გმირულ ბრძოლას ჭაობთან:

„ათი წელია, რაც ჩემ სოფელს დავშორებულვარ,
ვნახე, თავს მიკრავს, მესალმება, შტოებს გამიწვდის,
ათი წელია ჟამს ვებრძოლე აჟრჟოლებულმა
და ტანში მაინც კოლოების კვნესას განვიცდი!
აი, გავსცქერი მშობლიურ სახლს ყავარ გათელილს,
ეზოც აქარგულ ხალიჩებით არის გაშლილი,
კვლავ დაბაჩუნობს დედაჩემი სახე ნათელი,
დასდევს ხბოსა — და, ხბოც კუნტრუშობს ბაღში ბავშვივით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორს კი: ნაღმების აფეთქებით კრთიან ველები,
უკმურს ებრძვიან ჟანგისფერი კოლხიდელები,
წყალნი წასულან და წასულა სადღაც რიონი,
კოლხიდის მიწა ტანს იშუშებს სველს და მანკიერს,
და ჩემს ეზოშიც, ლაქაშების ნესტის მაგიერ,
მანდარინების, ნარინჯების დგას ალიონი!"

მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სიმონ ჩიქოვანის შვიდი ლექსი. ეს ლექსები დაწერილია ძლიერი ლირიკული განცდით, დეტალების ღრმა მოფიქრებით, აზრობრივად მდიდარის სახეებით და შედარებებით. ს. ჩიქოვანი ცდილობს ყოველ სიტყვას ლექსში სოციალური მნიშვნელობის ზუსტად გამომხატველი დანიშნულება მისცეს. საერთოდ მისი პოეტური მეტყველების სტილი უაღრესად რეალისტური, საკმაოდ დახვეწილი და დამუშავებულია. ამიტომ ს. ჩიქოვანის ლექსის ყოველი ელემენტი — ფონი, შედარება, სახე, სიტყვის პირდაპირი და არაპირდაპირი მობრუნება, პეიზაჟი, — უაღრესად მიზნობრივია, მათ „წინასწარ" აქვთ მინიჭებული გარკვეული ფუნქცია შინაარსის ნათელი გამოხატვისა და მკითხველზე ძლიერი ემოციური ზემოქმედებისათვის. კრებულში მოთავსებული ლექსების შინაარსი ერთი კონკრეტული თემის გარშემო იყრიან თავს. „სამეგრელოში შთაგონებული საღამოები" და „შემოდგომის საღამოების" პირველი ორი ლექსი („ტბაზე", „ბავშვობის მოგონება") წარმოადგენს მხატვრულად შერჩეული ფერების შექმნილ ფონს, რაზედაც შემდეგ სხარტად და ოსტატურად ხატავს იგი ახალ კოლხიდის მშვენიერ სახეს, მის ლამაზ ბუნებას, მაღალ საკოლმეურნეო მოსავლიანობას, ახალი ცხოვრებით აღფრთოვანებულ ადამიანებს, „ქარიშხალივით ზღვაში დამხრჩვალ ციების ჟრჟოლას".

უხვი პოეტური ფერებით არის დაწერილი ალ. აბაშელის, ვალ. გაფრინდაშვილისა და ირ. აბაშიძის ლექსები. ამ ლექსებში მხატვრული ოსტატობითა და დიდი პოეტური განცდით არის მოცემული ძველი კოლხიდა. ძველი კოლხიდის მუქ ფონზე უბრალო ფერებითაც კი რელიეფურად მოსჩანს ახალი კოლხიდა, რომელსაც —

„ვერ სჯობს მშვენება ვერც ზღვისა და ვერც ცისა.
„დღეს კოლხიდის მიდამო თითქმის ერთი ტყავია
ოქროს ბეწვით შემოსილ ლეგენდარულ ვერძისა".
(ალ. აბაშელი).

თუ „მზე ჭყონდიდის მუხაში დიდხანს იჯდა კრუხივით, მაგრამ ოქროს წიწილა ველარ გამოეჩიკა", ახლა იმავ მუხაში „მზე კრიახობს სხვა გვარად: ოქროს კვერცხის ნაჭუჭებს ყრის და ველარ იცილებს; ფორთოხლების შრიალმა მწვანე ველი დაჰფარა".

ვ. გაფრინდაშვილის ლექსი ეხება ყორათს, სადაც წინად-მძვინვარებ-და ციება, „მზეშიც კი სინოტივე იყო, დღეები დიდ გომბეშოს ჰგვანდ-ნენ იყო, ქვეყანა მთლად მოშხამული... დასაბამიდან“, ახლა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რევოლუციის დილამ ინათა
გამოიყვანა მხარე ღამიდან“
(ვ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი)

ირ. აბაშიძის ლექსი, „კოლხიდის საგანძური“ კარგად მოფიქრებული დეტალებით არის დამუშავებული. პოეტს აუღია კოლხიდაში გათხრების დროს აღმოჩენილი ძველი განძები, —

„მეფის თუ თვითონ გმირის ფარხმალი,
ჭრელი ჯამი და შუბიც ორწვერა,
ოქროს სურა და დანაც მეფური,
ფული ნახატი და ხელმოწერა
თვით მიტრიდატის დამოწმებული“.

მაგრამ ეს „საგანძური“ პოეტს მოტანილი აქვს მხოლოდ იმისათვის, რომ ხაზი გაუსვას კოლხიდის დიდ ისტორიულ და გმირულ წარსულს, დამპყრობელთა თარეშს. ამ საგნებს ლექსში პასიური ადგილი უჭირავთ. იქ მთავარი, აქტიური და მომქმედია „ახალი განძების კოლხიდა“, რომელიც აფრთოვანებს და იზიდავს პოეტს:

„ძველ საგანძურებს ჰქონდეთ მშვიდობა,
ახალ განძებით ვართ მოხიბლული“-ო.

ეს ახალი განძებია საკოლმეურნეო „ბაღჩები და ყიჟინა ახალგაზრდების“.

ავტორისათვის ჩვეულებრივი დაძაბული პათოსით, ოპტიმიზმითა და ლირიკული განცდით არის დაწერილი სახალხო პოეტის გ ა ლ ა ქ ტ ი ო ნ ტ ა ბ ი ძ ი ს ლექსები. საინტერესოა ი ო ს ე ბ გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს — „ნარინჯიანო“, ვ. გ ა ბ ი ს კ ი რ ი ა ს — „ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები“ და კ. ნ ა დ ი რ ა ძ ი ს — „თეთრი ტყემლები“ და „ორფეოსის სიმღერა“. ეს ლექსები მაღალი მხატვრული ოსტატობით შლიან მკითხველის წინაშე ცალკეული პოეტის პირად განცდებს, აღძრულს სოციალისტური შრომის ნაყოფით. ი. გრიშაშვილის ლექსი ავტორისათვის ჩვეული მგრძნობიარე, ინტიმური და ლამაზი სახეებით არის სავსე. თავისებურად აქვს დანახული, განცდილი და დახატული ი. გრიშაშვილს ახალგაზრდა სტახანოველი ქალის ტიპი, რომელიც „მარდათ მუშაობს და მარდათ ალაგებ-

თურინჯებს და ნარინჯებს. ი. გრიშაშვილის ეს ლექსი მნიშვნელოვანია ამით, რომ თუ პოეტი თავის ადრინდელ ლექსებში ქალს უყურებდა როგორც მხოლოდ სალაღობო არსებას, ახლა მან სცადა ახალი ეპოქის ქალში ქალურ სინაზესთან ერთად დაენახა აქტიური საზოგადოებრივი ძალაც.

ვ. გაბესკირიას, როგორც ერთ-ერთი საყურადღებო და ნიჭიერ ახალგაზრდა საბჭოთა ლირიკოსს, დიდი უშუალობითა და ლირიკული გულწრფელობით განუცდია კოლხიდის გარდაქმნა, მისი აყვავება. კოლხიდის გარდაქმნაში პოეტი ხედავს არა მარტო ბუნების შეცვლას, ჭაობების ამოშრობას, ციტრუსების, სპეციალური და ტექნიკური კულტურების ბაღების გაშენებას, რამაც ხალხს ბედნიერი და შეძლებული ცხოვრება შეუქმნა, არამედ ის აგვისახავს აგრეთვე იმ ცვლილებას, რომელიც მოახდინა კოლხიდის განახლებამ ადამიანზე, კერძოდ ქალზე. ლექსში „ჩვენი დროის ქალიშვილები" პოეტი იგონებს ძველი კოლხეთის ქალიშვილებს, რომელთაც არ გააჩნდათ გარკვეული მიზანი, ნათელი პერსპექტივა, გახვეულნი იყვნენ შეუცნობ ფიქრების ბურანში, დაკარგული ჰქონდათ ფართო ადამიანური ფუნქცია და შერჩენოდათ მხოლოდ ვიწრო, ქალური დანიშნულება. „ჩამავალ მზეზე, ზღვაზე ფიქრობდნენ, ან იგონებდნენ შორეულ სოფლებს, დღეს შესცქეროდნენ, როგორც ნიჟარის ყვითელ საფერფლეს". განახლებულ ქვეყანაში ეს ქალიშვილებიც გარდაიქმნენ და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის შემოქმედებად იქცნენ, „ეჯიბრებიან „შორ ჩრდილოეთელ ვინოგრადოვას".

კ. ნადირაძე საკმაო უნარით დაჯილდოვებული პოეტია. მისი შემოქმედებითი გააქტივება აუცილებლივ საინტერესო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მის ლექსებში არ მოსჩანს საბჭოთა პოეტის ღრმა პოლიტიკური ხედვა, იგი უფრო უნდა ჩაუკვირდეს თავის გზას და მეტი პოლიტიკური სიმახვილითა და უშუალობით ასახოს სოციალისტური სინამდვილის დამახასიათებელი მხარეები.

ორი კარგი ლექსით არის წარმოდგენილი კრებულში გ. კაჭახიძე. პირველი ლექსი — „ევკალიპტები" საინტერესოა თავისი მხატვრულობით, მეორე — „წურბლის გამყიდველი" უფრო შინაარსით. „წურბლის გამყიდველში" პოეტმა გვიჩვენა უპროფესიო და გაჭირვებული ადამიანის ყოფის გარდაქმნა. წურბლის გამყიდველს ცხოვრება „ბევრჯერ ასმევს შხამს", იგი „შიმშილს იტანდა რაღაც მოთმენით, ან ვის უნახავს, ვინ მოსწრებია წურბლებს მოეწყოს კაცის ცხოვრება!". ჭაობის ამოშრობამ და საკოლმეურნეო მშენებლობამ სავსებით გამოსცვალა მეწურბლე, მოსპო მისი წვრილმანური ყოფა—და აქცია იგი სოციალისტური მინდვრის გმირად, „საქმის თაოსნად".

სიუჟეტურად ასევე საინტერესოა ღ. გაჩეჩილაძისა და კ. ბობოხიძის ლექსები.

დ. გაჩეჩილაძის ლექსებისათვის საერთოდ დამახასიათებელია ბევრი სახეები და ნათელი ფერები, საგნის პირდაპირი ხედვა და დეტალების ასახვა. ამ ღირსებებით არის აღჭურვილი აგრეთვე კრებულში [illegible] ული მისი ლექსები. ლექსში „კოლხეთს“ პოეტი იძლევა ძველი და ახალი კოლხიდის სურათს სადა ფერებსა და დამახასიათებელ შტრიხებში. მეორე ლექსში „ნოჯიხეველი ნათანი“ გვიხატავს ებრაელი ნათანის პიროვნებისა და ცხოვრების გარდაქმნას. სოციალიზმმა წვრილი მესაკუთრე მეწვრილმანე ნათანების ცხოვრება და შრომის პირობები მთლად გამოსცვალა. ნათანს, რომელსაც ქვეყანაზე ადგილი არ ჰქონდა, ახლა „წილი უდევს“, იგი ლამაზი, მზიანი ქვეყნის აქტიური მშენებელია, ის შეძლებული მცხოვრები შეიქმნა.

კარგად მოგვცა მოხუცი ებრაელი იოხანანის პორტრეტი აგრეთვე პოეტმა კ. ბობოხიძემ. იოხანანი, რომელსაც ყოველთვის დახლთან ნახავდით თავის დაჟანგული ადლით, მაგრამ რომელიც „ვერასოდეს ვერ აძლობდა ცოლშვილს პურით“, ახალი მოქალაქე, დამკვრელი კოლმეურნე გახდა. „აღარ აწუხებს ფიქრი მწარე“.

„კოლექტივის თავმჯდომარეს
გამოზრდია შვილი,
ჰყავის ეზო, არე-მარე
ლაღად გადაშლილი“.

სოციალისტური სამშობლოს სიყვარულის გრძნობით არის გაჟღენთილი პეტრე სამსონიძის „სიმღერა კოლხეთზე“. ლექსი დაწერილია ავტორისათვის დამახასიათებელი უბრალოებით. ასევე შეიძლება ითქვას იაკინთე ლისაშვილის ლექსზე „კოლხეთის მიწა“ ეს ლექსი მგძნობიარე განცდებით და ხვალინდელი დღის — პერსპექტივის შეგნებით არის დაწერილი.

საინტერესოა მიქელ პატარიძის ლექსი — „ფერადი კენჭები“. ლექსი სიუჟეტური ხასიათისაა, იწყება ზღვის პეიზაჟის დახატვითა და რევოლუციური წარსულის აღწერით, როცა „მგზნებარე კოლხიდელი“ „ამზადებდა ქარბუქს მტარვალების დასამხობად“. სიუჟეტი საინტერესოდ არის მოფიქრებული, განვითარებულია დინჯი, ეპიური თხრობის სტილით. ლექსში არის საინტერესო ფერები და კარგი სახეები, მაგრამ იგი ერთგვარად დაუმთავრებელი ლექსის შთაბეჭდილებას სტოვებს, არ არის შეკრული. თემა თითქოს ფართოდ არის მოფიქრებული. მაგრამ უცბად სწყდება.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ალ. ქუთათელის ლექსების ციკლი — „კოლხიდა“, ს. თავაძის „საუბარი შვილიშვილთან“ და

ხ. ვარდოშვილის „კოლხეთის სიმღერებიდან“. ა. ქუთათელი ცდილობს გვიჩვენოს კოლხეთის ძველი და ახალი მოსახლენი და მათი ცხოვრების პირობების დაპირისპირების საშუალებით დაგვიხატოს [illegible] ბა ძველსა და ახალ კოლხიდას შორის. ს. თავაძის ლექსი ყურადღებას იქცევს თემის თავისებური მოფიქრებით და საინტერესო თხრობით, ხ. ვარდოშვილის ლექსი კი — პოეტური უშუალობითა და გულწრფელობით. ქუთათელისა და თავაძის ლექსების ნაკლად მიგვაჩნია გადაჭარბებული „სისადავე“. კრებულში საგულისხმოა აგრეთვე ვ. გორგაძის, შ. აფხაიძის, ვ. ჟურულის, ალიო ადამიას, ს. ხიდისთაველის ლექსებიც.

სპეციალური განხილვის ღირსია კრებულში მოთავსებული პოემები. ეს პოემები მკითხველის ყურადღებას იპყრობს სიუჟეტის აღნაგობით, ამბის თხრობითა და დამუშავების მხატვრული ოსტატობით. სანდრო შანშიაშვილისა და გიორგი ლეონიძეს თავიანთ პოემების თემად აუღიათ კოლხიდის შორეული ისტორიული წარსული. ს. შანშიაშვილის პოემას—„ოქროს ვერძი“—საფუძვლად უდევს ცნობილი ლეგენდა არგონავტების მოგზაურობის შესახებ კოლხიდაში და იაზონის მიერ ოქროს ვერძის გატაცება მეფის ასულის მედეას დახმარებით. ეს პოემა მხატვრული ოსტატობითა და მგრძნობიარედ დაწერილი შესანიშნავი პოეტური ნაწარმოებია. პოემა დაწერილია 1912 წელს. პოემა დაწერილია მშვენირი ენით, საუცხოო სახეებით, ადამიანის ფსიქოლოგიური განცდების ღრმა ცოდნით. მიუხედავად იმისა, რომ პოემას საფუძვლად უდევს ლეგენდა, ის ისეთი მხატვრული ოსტატობით და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით არის დაწერილი, რომ მკითხველში ნამდვილი ამბის შთაბეჭდილებას სტოვებს. ლეგენდის მიხედვით, რომელიც გალექსილი აქვს პოეტს, კოლხიდის ძალა ოქროს ვერძში ყოფილა. ეს ვერძი კოლხეთის მეფის ასულის დახმარებით ხელში ჩაუგდია ბერძენი გმირების მეთაურს იაზონს და წაუღია საბერძნეთში. ამის შემდეგ კოლხიდის დიდება დაცემულა, დაძაბუნებულა და მტრების სათარეშოდ გადაქცეულა:

„ამის შემდეგ მზე დიდების
კოლხეთისთვის ჩაესვენა;
აღარ იყო იქ ნუგეში,
აღარც სიტკბო, აღარც შველა.
რაც აშენდა მედეას დროს,
სულ მიწასთან გაცამტვერდა“.

პოემის დაწერის პერიოდში იდეალისტურად მოაზროვნე პოეტს არ შეეძლო დაენახა კოლხიდის აღორძინების კონკრეტული შესაძლებლობა, რომელსაც უნდა დაებრუნებინა ამ კუთხისათვის დაკარგული „ოქროს ვერძი“. პოეტი გულისტკივილით ამთავრებს:

„ო, კოლხეთო საყვარელო,
შენმა შვილმა რა იზრუნოს?
ვინ გამოჩნდეს, ვინ იქნება
ოქროს ვერძი დაგიბრუნოს?

პოეტის ამ გულწრფელმა და ბუნებრივმა გულისტკივილმა დასასრული ჰპოვა სოციალიზმის ეპოქაში. ლენინ-სტალინის პარტიამ დაუბრუნა ხალხს „ოქროს ვერძი“ და დიდი სტალინის შთაგონებით ხალხმა ყოფილ გაუვალ ჭაობიან ადგილებზე საამური ცხოვრება მოაწყო. სამწუხაროდ, სანდრო შანშიაშვილს ეს უდიდესი მნიშვნელობის პროცესი ექსპრომტის სახით მიულექსავს პოემისათვის. ახალი „ნაწილი“ ნაკლები მხატვრული სიღრმითა და ნაკლები გულმოდგინებით არის დაწერილი. საჭირო იყო სინამდვილედ ქცეული „ლეგენდის“, უფრო მეტი თუ არა. ისეთივე სიყვარულით და პოეტური ფანტაზიით მაინც დამუშავება, როგორც დაამუშავა ავტორმა ნამდვილი ლეგენდა.

გ. ლეონიძის „ფორთოხალა“ პოეტისათვის თვალსაჩინო გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. აქ პოეტს ისტორიული წარსული გაგებული და დამუშავებული აქვს თანამედროვეობის თვალსაზრისით. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ პოემა მკითხველზე დამაჯერებელ ემოციურ ზეგავლენას ახდენს. პოემა გადმოგვცემს ქართველი მშრომელი ქალის მძიმე მდგომარეობას წარსულში, რომელზედაც ძველი ისტორია სდუმდა.

თემის ღრმა ცოდნით და დიდი სიყვარულით არის დაწერილი სანდრო ეულის პოემა „ჭალადიდი“. აქ ეულმა საკმაო ფერებით და პოეტური ძალით გვიჩვენა რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდეგი დროის კოლხიდა. სოციალური ხასიათის მოვლენები პოეტმა დაგვიხატა მშრომელ ადამიანის ყოფის ჩვენებით. ს. ეულმა ნათლად გვაჩვენა, თუ როგორი საშინელი და უსიხარულო იყო მშრომელის ცხოვრება, რომელსაც, ერთის მხრივ, ავიწროვებდა კლასობრივი მტერი, ხოლო მეორეს მხრივ — ჰბოჭავდა კოლხიდის საშინელი ჭაობი. რევოლუციამ შესცვალა სოციალური ვითარება და შეიცვალა ამ ადამიანთა ცხოვრების პირობებიც, საშინელი და უსიხარულო ცხოვრება იქცა საამურ და ლამაზ ცხოვრებად.

ახალი ადამიანის ბედნიერ და საამურ ცხოვრებას აგვისახავს რაჟდენ გვეტაძის პოემა — „წალკოტი“. პოემის თემაა აყვავებული

კოლხიდა და ბედნიერად მცხოვრები კოლხიდელები. რ. გვეტაძე საამური და ბედნიერი ცხოვრების სურათს, სიხარულით განათებულ [illegible] სახეებს, განცდებს, ხასიათებს მეტად ლამაზ ფერებში [illegible] დაწერილია წარმტაცი ფერადოვნებით და კარგი რითმებით.

კრებულში მოთავსებულ ლექსებში მწერლები უდიდესი გულწრფელობით ხატავენ დიდი სტალინის განსაკუთრებულ ღვაწლს და ზრუნვას, საუკეთესო სტალინელის ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელ როლს კოლხიდის აღორძინებისა და ხალხის ბედნიერი და საამური ცხოვრების შექმნის საქმეში. პოეტები უმღერიან ბრძენ ბელადს და მის ერთგულ მოწაფეს. ამ სიმღერებში ისინი გამოხატავენ მთელი ხალხის გრძნობას, აზრს. კრებულში მოთავსებულ ილო მოსაშვილის სპეციალურ ლექსში „ლავრენტი ბერიას", ავტორი იძლევა ქართველი ხალხის საუკეთესო შვილის პორტრეტს ორდენოსან საქართველოს მიღწევათა ფონზე. პოეტი მთელი ხალხის სახელით სიტყვას აძლევს ლ. პ. ბერიას:

„...ბედნიერ სამშობლო მიწას
იმედად მუდამ გვიძღოდეს წინა,
შენ დიდ ბელადთან შეკრული ფიცით
და მისი ხელით ნაჭედი რკინა...
ჩვენ შენთან ვდგევართ კლდესავით მტკიცედ
ღამეა, დღე, თუ დილა სისხამი,
რომ შენს ძახილზე სამშობლოს მივცეთ
ჩვენი სიცოცხლის ყველა მისხალი".

კრებული „ახალი კოლხიდა" ჩვენი პოეტების მორიგი გამარჯვებაა და პირველი მნიშვნელოვანი ცდა ახალი კოლხიდის მხატვრული ათვისებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ე. ა — ი.

პ. უმიკაშვილი — „ხალხური სიტყვიერება“. გამოცემა „ფედერაციისა“, ფ. გოგიჩაიშვილის ბიოგრაფიული ნარკვევით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით

პეტრე უმიკაშვილი ილია ჭავჭავაძის დროს საზოგადო მოღვაწე იყო. იგი ჩუმად და უპრეტენზიოდ მუშაობდა ქართული კულტურის, კერძოდ, თეატრალური ხელოვნების ასპარეზზე. იქნებ ამ თავმდაბლობით აიხსნება ის, რომ დღემდე მისი მუშაობა საკმაოდ არ არის შესწავლილი. ფ. გოგიჩაიშვილის მიერ შედგენილი ბიოგრაფიული ნარკვევი, რომელიც დართული აქვს სარეცენზიო წიგნს, მხოლოდ ნაწილობრივ ჰფენს შუქს პ. უმიკაშვილის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროს.

პ. უმიკაშვილი დაიბადა 1838 წელს.. იგი დაახლოვებით 5-6 წლისა იყო, როცა მამა გარდაეცვალა და დარჩა დედის ამარა.

პეტრემ პირველდაწყებითი სწავლა მიიღო ქართულ ენაზე კათოლიკეთა სამრევლო სკოლაში. შემდეგ დედამ საკომერციო გიმნაზიაში მიაბარა. საშუალო სასწავლებელი დაამთავრა 1859 წელს. სწავლის გაგრძელება ძალიან სწყუროდა, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ მოახერხა. იგი დიდ გაჭირვებასა და სიღატაკეში ცხოვრობდა. ამის გამო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ პეტრეს ძალაუნებურად სამუშაო უნდა ეშოვა და ერჩივნა თავიც და დედაც. პეტრე იწყებს მუშაობას სხვადასხვა ადგილას ძალიან მცირე ხელფასზე და გაჭირვებით ირჩენს თავს.

ამავე პერიოდში იგი უახლოვდება „ცისკრის“ რედაქციას და იწყებს თანამშრომლობას. 1863 წელს მუშაობს კორექტორად „საქართველოს მოამბეში“, ეცნობა ილია ჭავჭავაძეს, სამოციანელთა სხვა წარჩინებულებს, იმსჭვალება მათი აზრებით, და „შვილებისა და მამების ბრძოლის“ დროს მხარს უჭერს ილია ჭავჭავაძეს.

ამავე დროს იწყებს იგი ლიტერატურულ მუშაობას, სთარგმნის სხვადასხვა ნაწარმოებს და წერს საკუთარს. მის მიერ თარგმნილ და გამოცემულ ნაწარმოებებიდანაც შეიძლება გაგებულ იქნას, თუ რით იყო იგი მაშინ გატაცებული და როგორი მსოფლმხედველობის გავლენას განიცდიდა. რუსეთის სამოციანელთა გავლენა ქართველ ინტელიგენტებზე მეტად ძლიერი იყო და, როგორც სამართლიანად სწერს გოგიჩაიშკილი, ვერც უმიკაშვილი ასცდებოდა ამ გავლენას, თუმცა უნდა ითქვას, რომ პ. უმიკაშვილი არ ყოფილა აქტიური და ეფექტიური გამომხატველი ქართველ სამოციანელთა შეხედულებებისა, იგი არც ცნობილი „მებრძოლი“ იყო. მისთვის დამახასიათებელი იყო თანაგრძნობა და თავჩაღუნული „შავი“ მუშაობა. მსოფლმხედველობა, მიდრეკილება მას ეხმარებოდა მხოლოდ იმ ფართო მუშაობაში (მწერლობა, გამომცემლობა, ფოლკლორის შეგროვება), რომელსაც იგი ეწეოდა.

პეტრე უმიკაშვილს გვიან შეუსრულდა დიდი ხნის წადილი. მხოლოდ 1864 წელს შევიდა იგი ნათესავებისა და მეგობრების დახმარებით პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებელში. „სტუდენტობის დროს ძალიან გატაცებული იყო მაშინდელი ლიტერა-

ტურულ-პუბლიცისტური მოძრაობით, გულმოდგინედ კითხულობდა [illegible]ის, პისარევის და სხვა მოწინავე მწერალთა ნაწერებს. ეცნობოდა [illegible] მწერლობის ძეგლებს.

1867 წლის შემოდგომაზე დაბრუნდა ტფილისს და დაიწყო პედაგოგიური, საზოგადოებრივი და ლიტერატურული მუშაობა.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ყველაზე უფრო მდიდარი და მნიშვნელოვანი პ. უმიკაშვილის მოღვაწეობაში არის ხალხური სიტყვიერების შეგროვება. მან ამ მიმართულებით ყველაზე მეტი გააკეთა თავის თანამედროვეებთან. ხალხურ სიტყვიერებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გარდა მხატვრული ღირსებისა, მას დიდი კულტურული და ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ხალხურ ზეპირგადმოცემებში, ფოლკლორში მოცემულია ხალხის სიბრძნე, მისი წარსული. ამიტომ ძველ ფოლკლორს პირდაპირი აქტიური მნიშვნელობა ჰქონდა მაშინაც და აქვს დღესაც. თუ ამ მნიშვნელობას ვინმე გრძნობდა, გასული საუკუნის მეორე ნახევარში, მათშორის ერთერთი თვალსაჩინო ადგილი პ. უმიკაშვილსაც უჭირავს. რატომღაც ფოლკლორზე მომუშავე თანამედროვე სპეციალისტები უმიკაშვილს არ იხსენიებენ იმ პირთა შორის, რომელნიც უდიდესი სიყვარულით ეკიდებიან ფოლკლორის შეგროვების საქმეს. მაგალითად, აკ. შანიძე თავის „ხალხური პოეზიის“ წინასიტყვაობაში ჩამოსთვლის ყველას (ნ. უბრნელი, თ. რაზიკაშვილი, ბაჩანა, ყაზბეგი, ხიზანიშვილი, ვაჟა-ფშაველა, აფშინაშვილი, ი. გომელაური), მაგრამ არ ასახელებს უმიკაშვილს.

პ. უმიკაშვილს უდაოდ გრანდიოზული მუშაობა ჩაუტარებია ხალხური სიტყვიერების შეგროვებისათვის. ჩვენს წინ მდებარე უზარმაზარი სარეცენზიო წიგნი 640 გვერდი მხოლოდ პირველ ნაწილს წარმოადგენს.

პ. უმიკაშვილს უყვარდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სიარული, ადგილობრივ ხალხთან კავშირის გაბმა, კერძოდ, იმ პერიოდში, როცა მას გ. წერეთელმა „სასოფლო გაზეთი“ გადასცა. ეს გაზეთი პ. უმიკაშვილის რედაქტორობით გამოდიოდა მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში. პეტრე სოფლად იჩენდა კორესპოდენტთანამშრომლებს და გაზეთის გამვრცელებლებს. ჰქონდა მათთან მიწერ-მოწერა. ამ კავშირს იგი იყენებდა ხალხური შემოქმედების შეგროვებისათვისაც.

ხალხური სიტყვიერების უამრავი მასალა უმიკაშვილს შეუგროვებია პირადი მოგზაურობის დროს და აგრეთვე ნაცნობების საშუალებით.

სარეცენზიო წიგნი მეტად მდიდარი და საინტერესო განძია. აქ თავმოყრილია ძვირფასი მასალა ხალხური შემოქმედებისა, უმთავრესად საგმირო, საისტორიო და საყოფაცხოვრებო ხასიათისა. არის ლექსები ბატონყმობის შესახებაც, რომლებიც უმთავრესად ეხებიან ბატონ-ყმობის გაუქმების ამბავს.

პ. უმიკაშვილის მიერ შეგროვილი მასალა საინტერესოა იმ მხრივ, რომ იქ თავმოყრილი ლექსები, ანდაზები და გამოცანები დიდი სიყვარულით არის ჩაწერილი და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დაცულია სიზუსტე.

აღსანიშნავია მხოლოდ ერთი გარემოება. წიგნში ძალიან ცოტაა ისეთი მასალა, რომელიც იძლეოდეს ფართო და ნათელ წარმოდგენას მშრომელი ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობაზე მეფის რუსეთისა და ბატონყმობის პირობებში, ხალხის ბრძოლაზე ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ.

მიუხედავად ამისა, პ. უმიკაშვილის მიერ შეგროვილ ზეპირსიტყვიერებაში მაინც მოსჩანს ხალხის უკმაყოფილება ყმობის საშინელებისა და გლეხების მძიმე მდგომარეობის გამო. ბევრ მათგანს ანტირელიგიური ხასიათიც აქვს და მიმართულია ხუცების მიერ შემოღებული წესების წინააღმდეგ.

„რა უნდა იყოს ჩვენი ცხოვრება, უფრო ვინატრებთ გარდაცვალებას, შეგვიეიდრე საწყალი ყმები, ღმერთო, ნუ მიგვცემ დროის ცვალებას, თუ მოგვაშორებ უწყალო ბატონს, მაშინ მოვრჩებით ამდენ წვალებას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ გამოთქმულია მშრომელი ხალხის საშინელი ყოფა ბატონყმობის პირობებში: ისინი საკუთარ ბედს უჩივიან, არჩევენ გარდაცვალებას.

ამ წარსულის ფონზე რა თვალის მომჭრელად ბრწყინავს ახალი ფოლკლორი, რომელიც თანამედროვე ბედნიერი კოლმეურნის ცხოვრებასა და სიხარულს აგვიწერს. დღევანდელ ხალხურ პოეზიას აღარ ახასიათებს სევდა და მწუხარება, იგი სიხარულის სხივით არის გაბრწყინებული. როგორც ძველი, ისე ახალი ფოლკლორი მდგომარეობის ნამდვილ რეალისტურ სახეს იძლევა. ხალხური შემოქმედება უდიდესი რეალისტური ძალითა და გულწრფელი გრძნობით გადმოგვცემს ტიპიურ მდგომარეობას. ხალხის სულისკვეთებას. დღევანდელ ფოლკლორში ასახულია ხალხის მტრებისადმი სიძულვილი, ბედნიერი და საამური ცხოვრება, სოციალისტური სოფელი დიდი კულტურული მიღწევებით. იქ ძლიერ შადრევნად სჩქეფს ხალხის მადლობა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადების — ლ ე ნ ი ნ ი ს ა და ს ტ ა ლ ი ნ ი ს ა დ მ ი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი, რომელთაც დაჩაგრულ ხალხებს მოუტანეს თავისუფლება და სოციალისტური ცხოვრება, სიხარული.

ძველ ფოლკლორს ამ შემთხვევაში, ისტორიულ მნიშვნელობასთან ერთად, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს, კერძოდ, იმ თაობისათვის, რომელსაც არ უნახავს და არ განუცდია ბატონყმობისა და ცარიზმის სუსხიანი ხანა. ძველი ფოლკლორი გვეხმარება ხალხის წარსულის, მისი ისტორიისა და გმირობის შესწავლის საქმეში. ამიტომ არის, რომ სოციალიზმის ქვეყანაში უდიდესი ყურადღება ექცევა ახალი ფოლკლორის შეგროვებასთან ერთად ძველის შეგროვებასაც.

იმ დიდ საქმეში, რომელსაც ვეწევით ხალხური სიტყვიერების დაგროვებისათვის პ ე ტ რ ე უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ შეგროვილ ლექსებს, ანდაზებს, გამოცანებს დიდი მნიშვნელობა აქვთ.

წიგნი კარგად არის გამოცემული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

	გვ.
ი. ბ. სტალინი — სიტყვა ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს . .	5
ლ. პ. ბერია — სიტყვა ქ. თბილისის საბჭოთა მშრომელი ინტელიგენციის საერთო საქალაქო წინასაარჩევნო კრებაზე . .	11
სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მოწოდება	19
სახალხო ტრიბუნი	27
შალვა დადიანი	29

მხატვრული ლიტერატურა

ალიო მაშაშვილი — ჰიმნი სამშობლოს (ლექსი)	33
გიორგი ლეონიძე — ძველი გორი (ლექსი)	35
გიორგი ქუჩიშვილი — შოვი (ლექსი)	37
იაკინთე ლისაშვილი — ძახილი მთაში (რომანი. დასასრული) . .	39
აკოფ აკოფიანი — შირკანალი (ლექსი. სომხურით თარგმნილი ი. **გრიშაშვილის** მიერ)	71
ვლ. მაიაკოვსკი — საუბარი ფინინსპექტორთან პოეზიაზე (ლექსი. თარგმანი **მიქელ პატარიძისა**)	75
ალ. ქუთათელი — პირისპირ (რომანი. მეორე ნაწილი. გაგრძელება)	83
ბაირონი — სიზმარი (ლექსი. ინგლისურით თარგმნილი **გივი გაჩეჩილაძის** მიერ)	119
ხალხური ლექსები — ჩაწერილი **ია კარგარეთელის** მიერ . .	125
ჟან ჟიონო — დიდი ფარა (რომანი. დასასრული. ფრანგულით თარგმნილი **ირ. ქავჟარაძის** მიერ)	129

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

დიმიტრი ბენაშვილი — დიდი შემომქმედი 198
გ. მებუკე აკოფ აკოფიანი 220
ერ. ასტვაცატუროვი — „ახალი კოლხიდა“ 225

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

ე. ა — ი — პ. უმიკაშვილი — „ხალხური სიტყვიერება . . . 236

Тбилисский Филиал Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП(б)

რედაქციისაგან: ამ ჟურნალის მე-177 გვერდზე მე-4 აბზაცში პოლიგრაფკომბინატის **სამანქანო ცეხის** დაუდევრობით დაიბეჭდა 2 ბწკარი უკულმა.